# გზა

არ გამოგრჩეთ განახლებული „გზა“

N34(480) 20/... ...,2009
ფასი 1 ლა...



ორი ბატონის მსახური ქართველი მომღერალი

„მშვენიერებას რომ ვუყურებ, მაშინვე ვთვრები“...

რატი დურგლიშვილის „ნარკოტიკი“

მდინარით მოწამლულები



„ნავი გადაგვიყირავდა და ყველანი გადავცვივდით“



25 კაცის გამლახავი ნაზი არსებები

„შსს-ს სადღეგრძელო სკამზე ასულმა დალია“





„ალილუევა საწოლის გვერდით, სისხლში ცურავდა... ხელში პატარა პისტოლეტი შერჩენოდა“

ISSN 1987 - 3029

ყველა საზღვარზე ნაფლეთ-ნაფლეთ მიწას გვაჭრიან...



NAFNAF
ოსკარი
DELFOS
Sandora
WELEDA
ველედა
„მის თინეიჯერი"
PUMA
Nicca De Luxe
ზაფხულის სეზონი
ტურისტული კომპანია „ჩემოდანი"
მის.: ლესელიძის 53
ტელ.: 72 01 10
იმისათვის, რომ ხმა მისცეთ თქვენს რჩეულს, იხილეთ ფოტოები ჟურნალ „ოსკარში". SMS ველში აკრიფეთ სასურველი კონკურსანტის კოდი და გააგზავნეთ ნომერზე: 8886.
კონკურსანტთა შეფასება ასევე შეგიძლიათ ინტერნეტ-პორტალზე:
WWW.AMBEBI.GE
პორტალზე შემოსული ხმების მიხედვით, „მის ონლაინი" გამოვლინდება.
„მის თინეიჯერის" ზაფხულის სეზონის გამარჯვებულს ტურისტული კომპანია „ჩემოდანისაგან" გადაეცემა:
ორკაციანი საგზური ეგვიპტეში, შარმელშეიხში, 5 ვარსკვლავიან სასტუმროში
ბრილიანტის სამკაული საიუველირო მაღაზია „დელფოსისგან"
კონტრაქტი სამოდელო სააგენტოსთან, სასაჩუქრე ბარათი სამედიცინო და ესთეტიკურ ცენტრ „მედისაგან" და სამახსოვრო საჩუქრები კონკურსის სპონსორებისაგან
+ 20 ნომინაცია
დაეხმარე შენს რჩეულს გახდეს ზაფხულის სეზონის გამარჯვებული!
ხმის მიცემა 10 სექტემბერს შეწყდება!
დაწვრილებითი ინფორმაციისათვის იკითხე ჟურნალი „ოსკარი".

# ქვეყანა





## ზღვაზე ნარკოტიკების მომხმარებელთა რისკვი იზრდება...

ბოლო ხანს პოპულარული გახდა კუსტარულად დამზადებული ნარკოტიკები, ისეთები, როგორიცაა: ვინტი, ჯეფი და სხვა. ეს ძალზე შემაშფოთებელია, რადგან კუსტარულად დამზადებული ნარკოტიკი განსაკუთრებულად დიდ საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას.

7

კვირის პალიტრა
გზა
№34 (480)
20 – 26 აგვისტო, 2009 წ.
ფასი 1 ლარი

■ მინიატიურები
ვექებოთ ჩვენ შორის მაიმუნები 5
ცვლილება და იმედი 6
■ ინფორმაცია 7
■ საფრთხე
მტერი არ ცხრება — ყველა საზღვარზე ნაფლეთ-ნაფლეთ მიწას გვართმევენ... 8
■ SOS!
არჩევანი ჩვეულსა და იაფს შორის: ჰეროინი თუ ვინტი? 11
■ თაობა
ყველაზე ტკბილი ბლოგერის ვარდისფერი ბლოგი 13
■ დაიჯესტი 16
■ ამპლუა
ორი ბატონის მსახური 19
■ ფსიქოპორტრეტი
„შსს-ს სადღეგრძელო სკამზე ასულმა დავლიე“ 22
■ წარმატება
დალურჯებული თვალები... 24
■ არდადეგები
რატი დურგლიშვილის „ნარკოტიკი“ 27
■ ვარსკვლავები
„ქმრის დასაბრუნებლად, მზად ვარ...“ 28
■ არშემდგარი პროფესია
გიგა ბატკუაშვილი — კაცი — ხმა... 32
■ თემა
პროფესიის წყალობით ნაპოვნი ბედნიერება 33
■ თქვენთვის, ქალბატონებო!
გვიან გამოსწორებული შეცდომა 35
■ ორნი
ასე შორეული და ახლობელი 36
■ ყველა ერთისათვის
„ნათესავების რისხვას რომ გადავურჩეთ“... 39
■ კონსულტაცია
ჯენტლმენი 41
■ სასარგებლო ინფორმაცია
ყველაზე ნიჭიერი კრიმინალები 43
■ სიტუაცია
უყურადღებობა 45

# ცხოვრება





## უყურადღებობა

20-წლიანი ერთობლივი, ოჯახური თანაცხოვრების შემდეგ, ქმარმა ცოლს ჰკითხა: „კი, მაგრამ შენ აპენდიქსის ოპერაცია როდის გაიკეთე?“

33

# სახე





## „ქმრის დასაბრუნებლად, მზად ვარ, მესამე ბავშვი გავაჩინო“

„ცხოვრება ბევრი სხვადასხვა ეტაპისგან შედგება. ლაქები მზესაც კი აქვს, მე — მით უმეტეს, მაგრამ იმის ჭკუა მყოფნის, რომ მივხვდე, რა და როგორ ვილაპარაკო.“

19

# გზავნილები



## საზაფხულო რომანი

სოფელში გათხოვილმა ქალმა ისეთი „შტუკები“ ჩაუტარა ჩვენს თენგიზს, აინუნშიც რომ არ იყო აქამდე, საწყალი. და მის ზურგს უკან, მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს სხვა პიროვნება (თუ პიროვნებები) იღებს.

85

M K

■ ექსტრიმი
რაფტინგი — ადამიანის „გაშიფვრის“ საუკეთესო საშუალება 47
■ ავტო 49
■ მოდა
...დიზაინერი, რომელიც მუზას უარყოფს 50
■ საკითხავი ქალებისთვის
✓ წიგნი სულის სარკეა 52
✓ რჩევები დიასახლისებს 53
■ ტაძარი
...იმპერატორ მარკუსის დროს დევნილი ქრისტიანები 54
■ ჯანმრთელობა
✓ ხალხური მედიცინა თრომბოზის წინააღმდეგ 56
✓ რჩევები დაბალი წნევის დროს 57
■ ტკივილი
უსახლკაროთა სევდიანი ამბები 59
■ თინეიჯერული პონტები
აკრძალული სიყვარულის ნაყოფი 62
■ კვალი
ქართველი მუსიკოსი ფრანგ მოღვაწეთა პანთეონში განისვენებს 65
■ ფესვები
„განდაგანაში ქართველი კაცის ისტორიული ღირსება ცეკვავს“ 66
■ უშიშროების არქივიდან
ემიგრაციაში დასრულებული სიცოცხლე 67
■ მინირომანი
უიღბლო სიყვარულის წამალი 69
■ ნამდვილი ამბავი
საძულველი ხახვი 71
■ რომანი
ვაჟა გიგაშვილი. ერთი ვინმე ყაფლანიშვილი (გაგრძელება) 72
■ რეალური
ეშმაკის მოციქული (გაგრძელება) 76
■ სასიყვარულო რომანი
სვეტა კვარაცხელია. წითელი ფეხსაცმელი (გაგრძელება) 78
■ დოკუმენტური პროზა
შეხვედრები სტალინთან (გაგრძელება) 82
■ გზავნილები 85
■ უცნაური ამბები 91
■ მობილიზაცია 92
■ P.S.
ჟურნალისტები (არ) ხუმრობენ 96
■ ფოტოტესტი 97
■ ერუდიტი
„დონ-კიხოტს დავემგზავრებოდი და მედეასთან ვიმეგობრებდი“ 98
■ გასართობი 100
■ მოზაიკა 102
■ ჰოროსკოპი 104
■ სკანვორდი 105
■ საფირმო კროსვორდი 106

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია**
პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფრიძე**
მენეჯერი: **მათე კბილაძე**

დიზაინი: **ნანა გიგოლაშვილი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტელიანი, ლუკა ჟორჟოლიანი**

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

## ადამიანი



### „ჩვენს „საერთო ბინას“ არა და არ დაადგა საშველი“

გორის ერთ-ერთ გარეუბანში, ყოფილი პოლიციის სამმართველოს შენობის ეზოში, ერთ ღამეში, მოულოდნელად კარვების მთელი „ქალაქი“ გაჩნდა. ახლა იქ თხუთმეტიოდე კარავია. ყველაფერი ისევეა, როგორც შარშანდელი აგვისტოს ავადსახსენებელ დღეებში...

59

## ბიბლუსი



### ერთი ვინმე ყაფლანიშვილი

— ჰო, გაგრიალდი, ზეინაბო, მაგრად გაგრიალდი! ფრანგული შამპანურები! შიკ-ბლესკ! მხეცური სექსი! ხომ გენატრებოდა ქვეშეცნეულად... თავს არ უტყდებოდი... მაგრამ ასე არა! ასე არა! სხვანაირად მენატრებოდა... ჩემს სიყვარულში მენატრებოდა! ახლა რა ვქნა? როდემდე ვიგრიალო ასე უხამსად, უშნოდ, ღორულად? რა ვქნა?!

69

## სამყარო



### „დიზაინერი, რომელიც მუზას უარყოფს

„მოდურია ჟოლოსფერი და იასამნისფერი ქსოვილისგან შეკერილი კოსტიუმები. თუმცა, ჩემი აზრით, ზაფხული მოდის ტენდენციების გათვალისწინებას არ საჭიროებს — წლის ამ დროს არჩევანში თავისუფალი ხარ, ზაფხულს ხომ ყველანაირი ფერი უხდება“.

47

## ტაიმ-აუტი



### ვარსკვლავური ტატუ

ტატუ ვარსკვლავების სხეულებსაც ამშვენებს. ანჯელინა ჯოლის ხელზე ამოსვირინგებული აქვს იმ ადგილების სახელწოდებები, სადაც მისი შვილები დაიბადნენ; დევიდ ბექჰემმა შვილების — ბრუკლინის, რომეოსა და კრუზის სახელები ამოისვირინგა; ჯონი დეპმა სხეული „კარიბის ზღვის მეკობრეების“ მოტივებით მოიხატა.

97

M K

# ვეძებოთ ჩვენ შორის მაიმუნები



**შესავლის ნაცვლად** თბილისის ზოოპარკის დირექტორი ზურაბ გურიელიძე ყოფილა. რატომ მოგახსენებთ და, ეტყობა, თავისი საქმის კარგი სპეციალისტია — სამშაბათს რომ ზოოპარკიდან მაიმუნები გაიქცნენ, იმასთან დაკავშირებით ინტერვიუ მისცა პირველ არხს და ბრძანა, — ამ ჯიშის მაიმუნები განსაკუთრებული გონიერებითა და სიმამაცით გამოირჩევიან, ახლაც ფილიგრანულად იმუშავეს, რათა გალია გაერღვიათ და გაქცეულიყვნენო...
ბატონი ზურაბის კომპეტენციაში ეჭვის შეტანის არანაირი საფუძველი არ გვაქვს და ეს თვით ზოოპარკსაც ეტყობა. ამიტომ, ამ კაცის სიტყვას უნდა ვენდოთ, რომ ის მაიმუნები განსაკუთრებით ჭკვიანები იყვნენ, ოღონდ, რა თქმა უნდა, მაიმუნის პირობაზე.



ჰოდა, პირველი, რაც ამ ჭკვიანმა მაიმუნებმა გააკეთეს, რა იყო?! რა და, დააწვნენ და პირდაპირ პირველი არხის შენობაში შეცვივდნენ!!! მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ — დირექტორი არჩეული დახვდათ! რას იზამ, ჭკვიანები კი არიან, მაგრამ ეტყობა, „ციხეში“ „ქსივა“ გვიან მიუვიდათ... რა ექნათ? ადგნენ და იქვე — „რუსთავი 2“-ის იუმორისტული გადაცემების სტუდიაში დურთეს თავი! აი, იქიდან კი ნაღდად აღარ აპირებდნენ წამოსვლას და ზოოპარკის თანამშრომლები იძულებულნი გახდნენ, სპეციალური თოფით დაეძინებინათ და ისე წაეყვანათ...

ისე, ნეტავ, მაგ თოფით ზოგიერთი ადამიანის დაძინება არ შეიძლება? მიაძინებ, გამოათრევ კაბინეტიდან ან ჩამოაგდებ მიტინგის ტრიბუნიდან და დააგდებ, სადაც ეკუთვნის...

მიტინგის ტრიბუნაზე გამახსენდა — ქალბატონ ბურჯანაძეს სასამართლომ 1,2-მილიონიანი ჯარიმის გადახდა დააკისრა!!! ასეთია ქართული არითმეტიკა: 1-ლარიან ქონებაზე 1,2-მილიონიანი ჯარიმა! უფრო სწორად: თუ „ჭკვიანად“ მოიქცევი — სასახლე ერთ ლარად, თუ „გაგვაბრაზებ“ — ერთი უდრის „მილიონ ს ჩემტოს! ეჭვი მაქვს, რომ ამ „უმაღლეს მათემატიკას“ შეიძლება, ასეთი გაგრძელება მოჰყვეს: თუ გადაიხდის, მაშინვე ჰკითხავენ: „საიდან ამდენი ფული?!“ და შემდეგ კითხვას უკვე სხვაგან დაუსვამენ მას ან მის მეუღლეს... თუ არ გადაიხდის, მოუწევთ მის მომხრეებს წყნეთის აგარაკის ალაყაფთან შეკრება და შიმშილობის გამოცხადება...

„ნაციონალთაგან“ ვიღაცას წამოსცდა, — მაგ აგარაკს უპატრონო ბავშვებს გადავცემთო და რა გამახსენდა, იცით? კონტროლის პალატის თავმჯდომარე, სულახან მოლაშვილი მოსვლისთანავე რომ დაიჭირეს „რევოლუციონერებმა“ და მისი წავკისის აგარაკი მიუსაფართა თავშესაფარს რომ გადასცეს, მაშინ, თუ არ ვცდები, ქალბატონ პარლამენტის თავმჯდომარეს პროტესტი არ გამოუთქვამს. ამ ორიოდე თვის წინ კი „მჩაგვრელიც“ და „ჩაგრულიც“ ერთად სტუმრობდნენ „ყოველთა ჩაგრულთა ქომაგს“, მეხუთე კამერაში. ასეა — მთა მთას არ შეხვდება, თორემ კაცი კაცს არ ასცდებაო...

კარგი, ახლა „საზღვარგარეთ“ გავიხედოთ: ცხინვალის „სპარტაკი“ რუსეთის საფეხბურთო ჩემპიონატში მონაწილეობას აპირებსო!!! ისეთი ამბავი დატრიალდა, თქვენი მოწონებული, მაგრამ რა მიკვირს, იცით? ეგ გუნდი შარშანაც მონაწილეობდა რუსეთის ჩემპიონატში, ინტერნეტში მისი შედეგების ნახვაც შეიძლება და ახლა რომ ასეთი ალიაქოთია, იქნებ, მაგის ნახევარი იმაზე აეტეხათ, მალტასთან რომ წააგო საქართველოს ნაკრებმა?! თორემ გადაგვეყრება სადმე ეგ „სპარტაკის“ ნაბიჭვარი და მოგვიგებს! მერე აპროტესტე ფიფაში!..

იმის არ იყოს — ჯანდაცვის სამინისტროში კომპიუტერის ორი მონიტორი მოიპარესო — სამი დღეა, ყველა არხი ამ ინფორმაციით იწყებს ახალ ამბებს და რამდენიმე კილომეტრი კიდევ რომ მოგვპარეს და პერევიდან აქეთ — უფრო დიდ სოფელ დირყში მიდი-მოდიან რუსები, ამის შესახებ მგონი, მხოლოდ რომელიღაც რადიოსადგურმა გადმოსცა...

რუსები... ახლა ჯვარი გამოაცხადეს ნაცისტურ სიმბოლოდ და აკრძალულთა ნუსხაში შეიტანეს, კომპარტიის დროშებიც აუკრძალავთ — ჩაქუჩი და ნამგალი გადაჯვარედინებული არ შეიძლება, ცალკცალკე მიახატეთო!!! ვიღაც-ვიღაცებს კი ისევ რუსეთიდან მოსული შველა ელანდებათ და გული მიგრძნობს, უკვე „არდადეგების“ შემდეგ საჯაროდ გამოაცხადებენ ამის შესახებ. აბა, მაშინ ნახეთ „პროვოკაციები“, თუ არ „დამიპადიეზდეს“...

**P.S.** **ბოლო სიტყვისთვის დიდ მწერალს დავესესხები. ნოდარ დუმბაძე თავის ერთ-ერთ ნაწარმოებში ასეთ ამბავს ჰყვება, რომელიც შემდეგ, ანეკდოტად გავრცელდა: თბილისის ზოოპარკიდან მაიმუნები გაქცეულან(!!!) (მაშინაც ყოფილან ჭკვიანი მაიმუნები), ქალაქის ხელმძღვანელობას თათბირი მოუწვევია, რათა ერთად მოეფიქრებინათ, როგორ დაეჭირათ ისინი. თათბირი, როგორც იმ დროს ხდებოდა, ძალიან დიდხანს გაგრძელებულა და ერთ-ერთ თანამშრომელს (ალბათ, ზოოპარკის დირექტორს) შეუბედავს რაიკომის თუ ქალაქკომის მდივნისთვის:**

**— ამხანაგო მდივანო, მალე დავამთავროთ ეს თათბირი და საქმეს მივხედოთ, თორემ მერე შეერევიან ხალხს და ველარ გამოვარჩევთ.**

**ჰოდა, ასეა: კიდევ კარგი, ის დრო წავიდა და ზოოპარკის თანამშრომლებიც ოპერატიულად მოქმედებდნენ, თორემ შეერეოდა ერთი ერთ მხარეს, მეორე — მეორეს და... კიდევ მაიმუნები გვინდა?!**

*პროვოკატორი*

# ცვლილება და იმედი...

მართალია, ბეჭდვით მედიაში, ტელე-რადიოსაგან განსხვავებით, წლის პერიოდების სეზონებად დაყოფა მიღებული არ არის, მაგრამ ჩვენ სწორედ „სეზონების“ მიჯნაზე გადავწყვიტეთ, თქვენთვის განახლებული „გზა“ შემოგვეთავაზებინა. თუმცა ჩვენი განზრახვა მხოლოდ „მკვდარი სეზონის“ დასრულებას როდი უკავშირდება. ვფიქრობთ, საზოგადოებაშიც თანდათან, კვლავ ჩნდება ცვლილებების მოლოდინიცა და იმედიც. შესაძლოა, ეს ზოგისთვის საკამათოც იყოს, მაგრამ არსებული პრობლემებისა და მძიმე ყოფის მიუხედავად, მოდი, ნუ დავხუჭავთ თვალს იმაზე, რაც ხელჩასაჭიდად მაინც გამოდგება. პოლიტიკოსები — „იქიდანაც“ და „აქედანაც“ — ცვლილებებს გვპირდებიან; დსთ-დან საბოლოოდ (თუ თითქმის?..) გამოვედით; საქართველოში ამერიკელ სამხედრო ინსტრუქტორთა ჯგუფი ჩამოვიდა და მალე, მათი რიცხვი კიდევ გაიზრდება... პუტინის მორიგი დემარშიც — სოხუმში „გასეირნება“ — წინამორბედების მსგავსად, მთელმა მსოფლიომ დაგმო; სექტემბერში, გაეროს გენერალური ასამბლეის ტრიბუნიდან კიდევ ერთხელ მოგვეცემა საქვეყნოდ სიმართლის თქმის საშუალება; იმედია, ტალიავინის კომისიის დასკვნაც შეგვიწყობს ამაში ხელს...



„ცვლილება“ — ეს სიტყვა შარშან, საპრეზიდენტო რბოლისას, ბარაკ ობამამ აქცია ყველაზე პოპულარულად. ძნელი სათქმელია, ამ გარემოებამ რამდენად მნიშვნელოვნად განსაზღვრა აშშ-ის პრეზიდენტად პირველი აფროამერიკელის არჩევა, მაგრამ უდავოა — ობამამ ის ისე მოხდენილად გამოიყენა (ლამის, დღესაც ყურში ჩაგვესმის მისი ათასგზის გამეორებული, ომახიანი შეძახილი — **Change!**), თითქოს რაღაც ახალი შინაარსი შესძინა. მოდი, მივბაძოთ მას: მოვინდომოთ ცვლილებების განხორციელება და მივაღწიოთ (მივაღწევთ!..) კიდეც. ხელისუფლება ვაიძულოთ, რეალურად დაუგდოს ყური ოპონენტებს, გაისიგრძეგანოს, რომ პოზიცია — „მე ვარ და ჩემი ნაბადი!“ — ქვეყანას არ არგია, ამიტომ, სანაგვეზე უნდა მოისროლოს; ოპოზიციას მოვუწოდოთ — „შვიდჯერ გაზომოს“ საკუთარი ნაბიჯი და ასე, მოზომილად შეუტიოს მმართველ წრეებს; საზოგადოებას, ე.წ. ჩვენ — ვისწავლოთ ავ-კარგის გარჩევა და არ დავუშვათ ერთმანეთისთვის ყურის გდება, არ გამოვიჩინოთ შეუწყნარებლობა და არ დავუშვათ ერთურთის შეურაცხყოფა... მასმედიას განსაკუთრებული როლი აკისრია და ათასგზის თქმულს გავიმეორებთ: კეთილსინდისიერად, ობიექტურად და პროფესიონალურად, რაც მთავარია — „კუპიურების გარეშე“ ავსახოთ სინამდვილე. ყველამ ერთად კი ვფიქრობ, აუცილებლად უნდა ვისწავლოთ ფხიზელი თვალით რეალობის დანახვა და მისი სალად შეფასება; არც მეტისმეტად დავკმაყოფილდეთ მიღწეულით და არც დავაკნინოთ ის სასიკეთო, რაც სინამდვილეში გაჩნდება.

ჩვენი სამშობლო ისეთი პრობლემის წინაშე დგას, რომლის გადაჭრის გზასაც ჯერჯერობით, ვერ ვხედავთ, მაგრამ ნუ მივეცემით უიმედობას. და თუ დღეს რეალური ხელჩასაჭიდი არ ჩანს, გავიხსენოთ უტყუარი ჭეშმარიტება: „ბერლინის კედლებს“ დიდი დღე არ უწერია...

განვლილი თითქმის 10 წლის მანძილზე, ყოველთვის — განსაცდელის დღეებშიც — სასიკეთო ცვლილებების იმედით ვშრომობდით თქვენთვის და ახლაც იმედიანად შევყურებთ ხვალინდელ დღეს. არაერთი სიახლეც შემოგვითავაზებია და თქვენგან მხარდაჭერაც მიგვიღია. ვიმედოვნებთ, ამჯერადაც მოგვიწონებთ სიახლეს, — მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად, ზოგიერთი თქვენგანი შესაძლოა, თავისი საყვარელი რუბრიკის სხვა ადგილას ხილვამ შეაცბუნოს. გვერწმუნეთ — სულ ცოტა ხანში ამ მცირედი დისკომფორტის განცდა უკვალოდ გაქრება...

როცა განახლებაზე ვფიქრობდით, ჩვენი სურვილი იყო — ჟურნალი უფრო გამომსახველობითი და მიმზიდველი გამხდარიყო თქვენთვის. ■



# ქვეყანა



სვეტლანა, 52 წლის, სოხუმელი:

– ჩვენ ჩეჩნები არ ვართ და არც სისხლი გვწყურია, მაგრამ არ გვინდა, ჩვენივე მიწაზე დევნილებად ვიქცეთ. ამის საფრთხე კი აშკარად გვემუქრება. გაგრასა და სოხუმში მომხდარი აფეთქებები – პირველი „ხმამაღალი სიტყვაა“, რომელიც რუსეთს „ვუთხარით“ და თუ არ გაგვიგონა, პირველს მეორეც მოჰყვება და მესამეც...

გვ.8

## „ევროვიზიის“ შედეგებით აზერბაიჯანის უშიშროება დაინტერესდა

2009 წლის „ევროვიზიის“ კონკურსზე აზერბაიჯანის რამდენიმე მოქალაქემ სომხეთის წარმომადგენელს მისცა ხმა, რაც პოლიტიკური სკანდალის აგორების საბაბი გახდა.

ამ ფაქტმა ქვეყნის ეროვნული უშიშროების სამინისტრო სერიოზულად დააინტერესა და იმ ადამიანთა ვინაობის დადგენა გადაწყვიტა, ვინც სომეხი გოგონების სასარგებლოდ მისცა ხმა: ისინი მალე დააკავეს კიდეც, პატრიოტიზმის უქონლობაში დაადანაშაულეს (მოგეხსენებათ, აზერბაიჯანს სომხეთთან უკვე მრავალი წელია, ტერიტორიული კონფლიქტი აქვს) და საკუთარი საქციელის ახსნა მოსთხოვეს.

„ევროვიზიის“ ერთ-ერთმა „არაპატრიოტმა“ აზერბაიჯანელმა მაყურებელმა „ბი-ბი-სის“ აზერბაიჯანულ სამსახურს განუცხადა, რომ ის ეროვნული უშიშროების რაიონულ განყოფილებაში იმისთვის დაიბარეს, რათა აეხსნა, თუ რატომ მისცა ხმა სომეხ კონკურსანტებს. ჟურნალისტების აზრით, უშიშროების სამინიტროს ქმედებამ შესაძლოა, აზერბაიჯანს „ევროვიზიის“ მომავალ კონკურსში მონაწილეობასთან დაკავშირებით პრობლემა შეუქმნას. ■

## დე ფაქტო რეჟიმი რუსეთის ჩემპიონატში ცხინვალის „სპარტაკის“ შესაძლო მონაწილეობას უარყოფს

გავრცელებული ინფორმაციით, ცხინვალის „სპარტაკი“ რუსეთის ჩემპიონატში მონაწილეობას აპირებს, რის გამოც, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია შესაბამისი საჩივრების შეტანას UEFA-სა და FIFA-ში გეგმავს.

ამ ფაქტს ცხინვალის მარიონეტული რეჟიმი კატეგორიულად უარყოფს. „საფეხბურთო გუნდი ცხინვალის „სპარტაკი“ რუსეთის ჩემპიონატში მონაწილეობას არ აპირებს. სხვა სახელმწიფოს ჩემპიონატში მონაწილეობისთვის საჭიროა, ამ ჩემპიონატს ღია სტატუსი ჰქონდეს. მოგეხსენებათ, რუსეთის ჩემპიონატი ღია არ არის და მასში ჩვენი გუნდის მონაწილეობის შესახებ ლაპარაკიც უსაფუძვლოა. გვერწმუნეთ, ასეთი შესაძლებლობა არც კი განიხილებოდა. რაც შეეხება ქართველი საფეხბურთო ჩინოვნიკების განცხადებებს, ეს მორიგი პროვოკაციაა“, — განაცხადეს ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ახალგაზრდულ საქმეთა, ფიზიკური კულტურის, სპორტისა და ტურიზმის სამინისტროში. ■

## საქართველო „პოსტსაბჭოთა დაჯგუფებიდან“ ოფიციალურად გამოვიდა

18 აგვისტოს საქართველო იმ პირველ ქვეყნად იქცა, რომელმაც დსთ ანუ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების „დაჯგუფება“ დატოვა, ეს ყველაზე თვალში საცემი ნიშანია იმისა, რომ მოსკოვს სამეზობლოში ამბოხს უწყობენ.

შარშანდელი აგვისტოს ხუთდღიანი დამანგრეველი ომის შემდეგ, საქართველომ პირობა დადო, რომ დატოვებდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შეიქმნა და რომელშიც მოსკოვი დომინირებდა.

ეს ნაბიჯი მოსკოვისგან ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ჩამოცილების პროცესს უსვამს ხაზს. „რუსეთს ძალიან ცოტა მეგობარი ჰყავს და ეს მეგობრებიც ძალიან ცვალებადები ხდებიან“, — ამბობს ჯეიმს ნიქსი — ლონდონური ორგანიზაცია Chatham House-ის მკვლევარი.

დსთ სეპარაციის ტრავმის შესამსუბუქებლად და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ისეთი ურთიერთობების სტიმულირებისთვის შეიქმნა, როგორიცაა: ვაჭრობა, ტურიზმი და უსაფრთხოება. დსთ-დან საქართველოს გამოსვლის შემდეგ, ამ „დაჯგუფებაში“ დარჩნენ: სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსია, ყაზახეთი, ყირგიზეთი, მოლდავეთი, რუსეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უკრაინა და უზბეკეთი. ■

ლალი პაპასკირი

# მტერი არ ცხრება — ყველა საზღვარზე ნაფლეთ-ნაფლეთ მიწას გვართმევენ...

## ...ბალაფშს კი ადგილობრივი ქართველების ეიმედება

**იმ მხარეს, სადაც საქართველოს პირობითი ან რეალური საზღვარი მთავრდება და რუსეთის ფედერაცია იწყება, ტერიტორიული პრობლემაც ჩნდება. აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთზე რომ არაფერი ვთქვათ, ნებისმიერ ადგილას, სადაც ეს სახელმწიფო გვესაზღვრება, ჩვენი დაუდევრობით თუ მოძალადის მიზანმიმართული და ეფექტიანი ქმედების შედეგად, რამდენიმეკილომეტრიანი მიწის ნაკვეთი საქართველოს საზღვრებს მიღმაა დარჩენილი.**

**მამუკა არეშიძე,** *ექსპერტი კავკასიის საკითხებში:*

— იმ რაიონებში, რომლებსაც რუსეთი ესაზღვრება, პრობლემები გვაქვს, მათ შორის ზოგი, განსაკუთრებით მწვავეა. ამ თემაზე საუბარს სვანეთით დავიწყებ. გეოგრაფიული მდებარეობის გამო იქ სამხედრო მოქმედებების წარმართვა რთულია, თუმცა მცდელობა მაინც იყო. სვანეთის მიმდებარე ტერიტორიას ყაბარდო-ბალყარეთი ესაზღვრება და იქვე არის ბაქსანის ხეობა. როცა რუსეთმა წვრთნები — „კავკასია 2009“ დაიწყო, სპეცოპერაციის წამოწყებაც მოინდომეს. ბაქსანის ხეობა მთიანი ადგილია, ეს იალბუზის მთის მიმდებარე ტერიტორიაა და რადგან საბრძოლო მოქმედებებს ვერ აწარმოებდნენ, ხეობა მთლიანად ჩაკეტეს და იქიდან ყველა ტურისტი და მთამსვლელი გამოუშვეს. ორი კვირის განმავლობაში, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმები სრულ მზადყოფნაში იმყოფებოდნენ ანუ რაღაცას აპირებდნენ, მაგრამ შემდეგ, ან გადაიფიქრეს, ან რაღაცამ შეუშალათ ხელი... იქიდან რაჭისკენ ჩამოვუყვეთ; იქ „მამისონის ეპოპეა“ ჯერაც არ დასრულებულა: რუსი მესაზღვრეები საქართველოს საზღვრისკენ არ გადმოწეულან, მამისონის უღელტეხილზე დგანან, მაგრამ ქართველმა მესაზღვრეებმა დაიხიეს უკან და იძულებული არიან, 40-50-კილომეტრიანი ტერიტორია მოძრავი ბლოკპოსტების საშუალებით აკონტროლონ. რუსების მხრიდან რაიმე სამხედრო პროვოკაციის შემთხვევაში, ჩვენი მესაზღვრეები თავშესაფრის გარეშე რჩებიან. საბჭოთა რუკის მიხედვით, ეს ადგილი ე.წ. სამხრეთ ოსეთის შემადგენლობაში შედიოდა. ის დასახლებული არ არის. მამისონის უღელტეხილიდან პირველი სოფელი — შოვი 18 კილომეტრში მდებარეობს, შემდეგ არის გლოლა და ოსებს ორივე ამ სოფელზეც უჭირავთ თვალი... ისე კი რუსეთის ფედერაციას მამისონთან დაკავშირებით, გრანდიოზული გეგმები აქვს: ჩრდილოეთ-ოსეთიდან როკის გვირაბისკენ მომავალ გზას განშტოება აქვს, რომელიც მამისონისკენ მიემართება და 18 კილომეტრზეა გადაჭიმული; ამ გზის მშენებლობისთვის დაახლოებით 3 მილიარდი რუბლი დაიხარჯა და უკვე დასრულებულია. მათი გეგმით, ამ გზას სამხრეთ ოსეთისკენ უნდა ჰქონდეს გაგრძელება.



**— ანუ ე.წ. სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის „გადაბმას“ აპირებენ?**

— დიახ. ამ პროექტს „მამისონი“ ჰქვია; 2006 წელს, კრასნოდარის ეკონომიკურ ფორუმზე იყო წარმოდგენილი და მათი გეგმის მიხედვით, ის გზა ჯავის რაიონისკენაც უნდა გააგრძელონ. ამასთანავე, ჩრდილოეთ ოსეთშიც არის ტერიტორია, რომელიც ე.წ. სამხრეთ ოსეთს ესაზღვრება და ნაკრძალად არის გამოცხადებული. მოსკოვი იქ ვეებერთელა სპორტული კომპლექსის აშენებას აპირებს, რომელსაც 35 სათხილამურო დასაშვები ბილიკი ექნება. ასეთი ტიპის კომპლექსი რუსეთში არ არსებობს და მისი აშენება 15 მილიარდ რუბლამდე ჯდება. ეს არის პუტინის პირადი პროექტი, რომელიც იმავე წელს კრასნოდარის ეკონომიკურ ფორუმზე წარმოადგინეს, მაგრამ ეკონომიკური კრიზისის გამო მისი მშენებლობა ვერ დაიწყეს. ადრე თუ გვიან, როგორც კი ეკონომიკურ მდგომარეობას გამოასწორებენ, გეგმის განხორციელებას დაიწყებენ... მოდი, ახლა ყაზბეგის რაიონსაც გადავხედოთ: ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების „დამსახურებით“, ლარსის საკონტროლო გამშვები პუნქტი 2 კილომეტრით გადმოიწია; იქ ამჟამად არაფერი ხდება, მაგრამ თვითონ რაიონს უტევენ. ერთი პერიოდი, კოკოითი და მინძაევი უტიფრად აცხადებდნენ, — ბაკურიანი ჩვენიაო, — მაგრამ ახლა „ჩვენება შეცვალეს“ და თრუსოს ხეობა მოინდომეს. თუმცა ეს არ არის კოკოითის „ნოუჰაუ“ — ბოლო ერთი წლის განმავლობაში, ჩრდილოეთ ოსეთის გაზეთები წერენ (ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობს ჭიდაობაში ოლიმპიური ჩემპიონის, რუსეთის დუმის დეპუტატის — არსენ ფადაევის გამოცემა), რომ ყაზბეგის


რუსეთის სასაზღვრო ნაწილის ბანაკი გალში

რაიონი გასაბჭოებამდე, ჩრდილოეთ ოსეთის შემადგენლობაში შედიოდა, გასაბჭოების შემდეგ კი საქართველოს „გადასცეს“. ამით საზოგადოების ცნობიერების შეცვლას აპირებენ... თრუსოს ხეობა კოკოითის სამიზნე რაიონის ნაწილია. გარდა ამისა, ეს ხეობა ახალგორის რაიონს ერთვის და საკმარისია, ოსმა სეპარატისტებმა ქედი გადალახონ, რომ გუდაური და ყაზბეგი კოკოითის, უფრო სწორად კი — რუსეთს დარჩება.

**— მსგავსი საფრთხე თუშეთის მხარესაც არსებობს?**

— თუშეთამდე ხევსურეთსაც შევავლოთ თვალი. მას ჩეჩნეთი ემეზობლება. მართალია, ამ ტერიტორიას შატილის საგუშაგო აკონტროლებს და რაიმე განსაკუთრებული ხიფათი არ შეინიშნება, მაგრამ წინა ხელისუფლების პირობებში, რუსებმა, „ნაძვების“ სახელით ცნობილი, სტრატეგიული ადგილი დაიკავეს, რის შემდეგაც, „შატილის საძოვრები“ ჩეჩნეთის მხარეს მოექცა. „ნაძვები“ ისტორიულად, ხევსურეთის ტერიტორია იყო, მაგრამ ადმინისტრაციულად, ასევე რუსეთის ფედერაციას ეკუთვნოდა. როგორც ჩანს, საბჭოთა კავშირის დროს, ადმინისტრაციული რუკა მსგავს პრობლემებზე წინასწარ გათვალეს. რაც შეეხება თუშეთს, — იქ, სადაც ერთმანეთს საქართველოს, აზერბაიჯანისა და რუსეთის ფედერაციის (დაღესტნის) ტერიტორიები უერთდება, სოფელ ხევის დიდი ნაწილი საქართველოს საზღვრის მიღმა დარჩა.

**— რაც შეეხება აფხაზეთს: ცნობილია, რომ აფხაზებსა და რუსებს შორის, ენგურის ადმინისტრაციული საზღვრის**






**დაცვასთან დაკავშირებით დაპირისპირება თანდათან მწვავდება...**

— აფხაზეთის ე.წ. პარლამენტმა ივლისის შუა რიცხვებში იმ კაბალური კანონის რატიფიცირება მოახდინა, რომელშიც წერია, რომ ე.წ. აფხაზეთის საზღვარი რუსებს უნდა გაეკონტროლებინათ (ამ კანონის დამტკიცებას ეწინააღმდეგებოდა „სეპარატიზმის მამა“ — გურამ გუმბა); ხელისუფლების დაჟინებული მოთხოვნით, კანონი მაინც მიიღეს და მას შემდეგ დაიწყო აფხაზი მესაზღვრეების შევიწროება, რასაც ოქტომბერში დისლოცირებული აფხაზური სასაზღვრო ჯგუფის პროტესტი მოჰყვა. ვითარების ადგილზე შესასწავლად, იქ ე.წ. აფხაზეთის შს მინისტრი ოთარ ხეცია და პრეზიდენტის რწმუნებული გალის რაიონში რუსლან ქიშმარია ჩავიდნენ. ვითარება ისე დაიძაბა, რომ აფხაზებმა ჰაერშიც გაისროლეს... დიდი „ქიდაობის“ შემდეგ, ახლა სამი პოსტიდან ორს აფხაზები და რუსები ერთობლივად აკონტროლებენ, თუმცა უკვე ყველამ იცის, რომ ძალიან მალე აფხაზ მესაზღვრეებს მაინც გაუშვებენ. აფხა-





**აფეთქების გარშემო უამრავი, ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია ვრცელდება**

ზური მხარე ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტს ერიდება და აფხაზი მესაზღვრეები ოფიციალურად არც გაუთავისუფლებია, — პოსტზე არ დგანან, მაგრამ ხელფასს ჯერჯერობით ისევ იღებენ. პოსტზე დგომა კი მათთვის დამატებითი შემოსავლის წყარო იყო: მათ ადგილობრივ ქართველებთან (და არა მარტო ადგილობრივებთან) სხვადასხვა სახის ერთობლივი, არალეგალური ბიზნესი ჰქონდათ.

**— გასაგებია, რომ საქართველოს ხელისუფლებას რუსეთის შესაჩერებელი მექანიზმი არა აქვს; ამ შემთხვევაში, საერთაშორისო საზოგადოებაც უმოქმედოა?**

— საერთაშორისო თანამეგობრობა იმაშიც კი უძლურია, რომ საკუთარი ხელმოწერილი დოკუმენტის თანახმად, რუს ოკუპანტებს პერევი დაატოვებინოს...

**— ბატონო მამუკა, გასულ კვირას სოხუმს პუტინი სტუმრობდა. გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსეთის პრემიერი იქ, დაპირისპირებული აფხაზებისა და რუსების დასაზავებლად ჩავიდა...**

— ვერ გეტყვით, შესაძლოა, ასეც იყო; მაგრამ პუტინის იქ ჩასვლის მთავარი მიზანი ის არის, რომ რუსეთი თავისი პოზიციის დემონსტრირებას ახდენს, — აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის მიმართ პოზიციას არ შევცვლიო.

*12 აგვისტოს, აფხაზეთში ვლადიმირ პუტინის ვიზიტისას, ორი აფეთქება მოხდა. პირველი ბომბი გაგრაში აფეთქდა და ორი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა (მათ შორის ერთ-ერთი, ქართველი, 25 წლის დავით მეტრეველი იყო), მეორე კი — სოხუმში. აფეთქების ადგილის სიახლოვეს, რესტორან „ელბრუსში" ვლადიმირ პუტინის დელეგაცია, რუს და აფხაზ ჟურნალისტებთან ერთად სადილობდა. აფეთქების შესაძლო ვერსიების გასარკვევად, რამდენიმე ადგილობრივ აფხაზ მოქალაქეს დავუკავშირდი.*

**სვეტლანა,** *52 წლის, სოხუმელი:*

— ჩვენ ჩეჩნები არ ვართ და არც სისხლი გვწყურია, მაგრამ არ გვინდა, ჩვენივე მიწაზე დევნილებად ვიქცეთ. ამის საფრთხე კი აშკარად გვემუქრება. გაგრასა და სოხუმში მომხდარი აფეთქებები — პირველი „ხმამაღალი სიტყვაა", რომელიც რუსეთს „ვუთხარით" და თუ არ გაგვიგონა, პირველს მეორეც მოჰყვება და მესამეც... მე სამი შვილის დედა ვარ და ნებისმიერი ადამიანის სიკვდილს განვიცდი, მაგრამ როცა სხვა გზას არ გიტოვებენ და ღირსებას გილახავენ, არც შენ უნდა დაუთმო, კბილი კბილის წილ... რუსი სამხედროების გაძლება აუტანელია. ჩვენ დასაკარგი არაფერი გვაქვს... ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჩხორთოლში ნათესავები მყავს; მათი მეზობლის სახლში რუსი ოფიცრები შევიდნენ და ოჯახის უფროსი სიკვდილამდე სცემეს მხოლოდ იმიტომ, რომ მათთვის გაშლილ სუფრაზე ყველი პატარა ნაჭრებად ყოფილა დაჭრილი და გრაფინში არაყი ნახევრამდე ესხა. ამას წინათ სოხუმში, სანაპიროზე ოთხმა მთვრალმა ჯარისკაცმა ჩემ თვალწინ, სასტიკად სცემა ბატიბუტის გამყიდველი ქალი... სხვა კონკრეტული ფაქტები არ ვიცი, მაგრამ ახლობლებისგან მსმენია, რომ ხშირია გაუპატიურებისა და მკვლელობის ფაქტიც და არც ერთ შემთხვევასთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა.

**ანა,** *32 წლის, გაგრელი:*

— აფეთქების გარშემო უამრავი, ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია ვრცელდება. ერთ-ერთის თანახმად, რუსებს აფხაზეთში სამოქალაქო დაპირისპირების დაწყება უნდათ. მართალია, ბაღაფშის ხელისუფლება ნებისმიერ მათ მითითებას ასრულებს, მაგრამ ეს ძალა ადგილობრივი მოსახლეობის თვალში, მაინც დამოუკიდებელ აფხაზეთთან ასოცირდება. ამიტომაც, მათ აფხაზეთის ხელისუფლებიდან ბაღაფშის მოცილება და მის ადგილას ვინმე კოლესნიკოვის დასმა უნდათ. ამის შემდეგ, რეფერენდუმს ჩაატარებენ, შეკითხვით — ვინ არის მომხრე, რომ აფხაზეთის რეგიონი რუსეთის შემადგენლობაში შევიდეს? ფაქტია, გაყალბება არ გაუჭირდებათ. ამიტომაც არის ბაღაფში განსაკუთრებით კეთილგანწყობილი ადგილობრივი ქართველების მიმართ და ცდილობს, მათ აფხაზური პასპორტები დროულად დაურიგოს: როგორც ჩანს, იმედი აქვს, რომ ქართველები რუსეთში შესვლის წინააღმდეგ გამოვლენ და მათ აფხაზებიც აჰყვებიან... მეორე, უფრო სარწმუნო ვერსიით, აფეთქების ავტორი — თავად „ფეესბეა", რაც საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს, რადგან აფეთქება „საჭირო" ადგილიდან საკმაოდ მოშორებით მოხდა ანუ „საქმეზე" ცუდად ინფორმირებული პირი გაგზავნეს ან დილეტანტი, რომელმაც შედეგი არასწორად გათვალა, რაც ძნელი დასაჯერებელია. აფხაზების ბუნება კარგად ვიცი და თუკი ისინი ასეთ წინააღმდეგობაზე წავიდნენ, მსგავს შეცდომას არ დაუშვებენ...

**— „ფეესბეს" სავარაუდო გეგმაზე რა იცით?**

— ის, რომ ამით რუსები პროვოკაციის მოწყობას აპირებენ და ამის შემდეგ, იმ აფხაზების წინააღმდეგ, ვისთვისაც აფხაზეთის „ათვისების" რუსული მეთოდები მიუღებელია, უფრო მკაცრი პოლიტიკის გატარებას აპირებენ. ჩემი აზრით, ამის ფიქრის საფუძველი უფრო რეალურია, ვიდრე დანარჩენი.

*P.S. შევეცადე, „ვინმე კოლესნიკოვის" დოსიე მომეძიებინა, რომელზეც ჩვენი რესპონდენტი საუბრობს. ჰოდა, აი, რა დავადგინე: ვლადიმირ კოლესნიკოვი გუდაუთის რაიონში დაიბადა. დაამთავრა როსტოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. სწავლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა რუსეთის ძალოვან სტრუქტურებში სხვადასხვა თანამდებობაზე, მათ შორის, 1995 წელს, რუსეთის შს მინისტრის, ანატოლი კულიკოვის პირველ მოადგილედ. 2004*



**წარმოშობით გუდაუთელი ვლადიმერ კოლესნიკოვი**

*წელს კოლესნიკოვი აფხაზეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაება და პრეზიდენტობის ორ კანდიდატს — სერგეი ბაღაფშსა და რაულ ხაჯიმბას შორის, მომრიგებლის ფუნქციაც იტვირთა. 2007 წლის დეკემბერში, რუსეთის ფედერაციის დეპუტატად აირჩიეს და თავდაცვისა და უშიშროების თავმჯდომარის მოადგილედაც დანიშნეს. აფხაზეთში ვრცელდება ინფორმაცია, რომ აფხაზეთის მომავალ არჩევნებში ვლადიმირ კოლესნიკოვი პრეზიდენტობის პოსტზე საკუთარ კანდიდატურას წამოაყენებს და ამ შემთხვევაში, იგი რუსეთის ფედერაციის ფავორიტი იქნება...*

# არჩევანი ჩვეულსა და იაფს შორის: ჰეროინი თუ ვინტი?



**ისევე, როგორც ბევრ ქვეყანაში, ნარკომანია საქართველოშიც უმწვავეს პრობლემად რჩება. არაოფიციალური მონაცემებით, ჩვენს ნარკობაზარზე არალეგალურად, ასობით მილიონი დოლარის ღირებულების „წამალი" შემოდის. ზაფხულის პერიოდში ნარკოტიკების მოხმარება მკვეთრად იზრდება ზღვისპირა რეგიონებში. პლაჟზე დაუდევრად დაყრილი, გამოყენებული შპრიცები კი ნებისმიერი დამსვენებლისთვის შესაძლოა, სასიკვდილო საფრთხის მატარებელი იყოს...**

## ზღვაზე ნარკოტიკების მომხმარებელთა რისკვი იზრდება...

ემა ტუხიაშვილი

**ნინო ბურჭულაძე**, *ანტინარკოტიკული მედიაკლუბის სპიკერი:*

— აგვისტოს ომის შემდეგ, საქართველოში ნარკოტიკების მომხმარებელთა რიცხვი გაიზარდა. ეს ბუნებრივია: ნებისმიერ ომგამოვლილ ქვეყანაში შეინიშნება ხოლმე ასეთი ტენდენცია. ნარკოტიკების მომხმარებელთა ზრდა გამოწვეულია სტრესული მდგომარეობით, უიმედობით, წაგებული ომის სინდრომით. იგივე ვითარება გვქონდა აფხაზეთის ომის შემდეგ, როდესაც ბრძოლის ველიდან დაბრუნებულ ახალგაზრდებში მკვეთრად იმატა ნარკოტიკების მომხმარებელთა რიცხვმა... თუ 2-3 წლის წინ საქართველოში მეტწილად, ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკებს ანუ ყაყაჩოზე დამზადებულ ნარკოტიკულ ნივთიერებებს მოიხმარდნენ, ბოლო ხანს პოპულარული გახდა კუსტარულად დამზადებული ნარკოტიკები, ისეთები, როგორიცაა: ვინტი, ჯეფი და სხვა. ეს ძალზე შემაშფოთებელია, რადგან კუსტარულად დამზადებული ნარკოტიკი განსაკუთრებულად დიდ საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას. რამდენიმე წლის განმავლობაში, სამართალდამცველთა უფრო შედეგიანი მუშაობისა თუ სხვა მიზეზთა გამო, ნარკოტიკები ნაკლებად ხელმისაწვდომი გახდა — როგორც მატერიალური, ასევე შოვნის თვალსაზრისითაც. ამის გათვალისწინებით, მათი ფასიც გაიზარდა და საშუალო მომხმარებელი ვერ ახერხებს მის ყიდვას. ნარკოტიკული დამოკიდებულების მოხსნა ძალზე რთულია, ამიტომ მომხმარებლები იძულებული გახდნენ, იაფფასიანი ნივთიერებები ეძებნათ და ნარკოტიკების კუსტარულად მომზადება დაიწყეს. ვინტისა და ჯეფის მოსამზადებლად საჭირო ინგრედიენტები ლეგალურად იყიდება: მას ძირითადად, გაცივების საწინააღმდეგო პრეპარატებისგან ამზადებენ. შესაბამისად, ასეთი ნარკოტიკის ფასიც დაბალია — საშუალოდ, 3-5 ლარი ჯდება. სხვათა შორის, აგვისტოს ომის შემდეგ, ვინტის მოხმარება თავდაპირველად, გორის რაიონში გაიზარდა. რაც კიდევ უფრო შემაშფოთებელია, ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის ჭარბი მიღება დევნილ ქალებში გახშირდა. მაგალითად, გორის რაიონში იყო შემთხვევები, როდესაც ნარკოტიკის შესაძენად, ქალები პროსტიტუციას ეწეოდნენ.

— **ასეთი ინფორმაცია საიდან გაქვთ? არსებობს რაიმე კვლევა ამ პრობლემებთან დაკავშირებით?**

— ოფიციალურად, ასეთ კვლევას საქართველოში არავინ ატარებს. ეს ინფორმაცია სოციალური მუშაკების ანგარიშებიდან და ამ სფეროში მომუშავე ექსპერტებისგან მოვიძიეთ. გორის რაიონის შემდეგ, კუსტარულად დამზადებული ნარკოტიკის მოხმარება თბილისშიც გაიზარდა. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ქართველმა მომხმარებელმა ვინტის გამოყენება დაიწყო. ასეთი რამ დროდადრო ხდება. მომხმარებელი მაშინ გადადის ვინტის გამოყენებაზე, როდესაც მისი მატერიალური შესაძლებლობა მცირდება. მაგრამ ამჯერად, პირველად წავაწყდით მოვლენას, როდესაც ვინტის მოხმარება დიდხანს გაგრძელდა. როგორც უკვე გითხარით, კუსტარულად დამზადებული ნარკოტიკი განსაკუთრებულად საშიშია ჯანმრთელობისთვის და მძიმე ფსიქოლოგიურ და ფიზიოლოგიურ დარღვევებს იწვევს. ხანგრძლივად მოხმარების შემთხვევაში, შესაძლოა, კოორდინაციის დარღვევის მიზეზი გახდეს. ზოგს კი ვინტის სისტემატურად მოხმარების შემდეგ, მეტყველება უჭირს; ადამიანი ძალზე აგრესიული ხდება.

— **ხომ არ გაქვთ რაიმე სტატისტიკური მონაცემები იმ ადამიანთა რაოდენობის შესახებ, ვინც კუსტარულად დამზადებულ ნარკოტიკს მოიხმარენ?**

— იმის სრულყოფილი მონაცემებიც კი არ არსებობს, თუ საერთოდ, რამდენს შეადგენს საქართველოში ნარკოტიკების მომხმარებელთა რაოდენობა. ამის დასადგენად, არანაირი კვლევა არ ჩატარებულა, რადგან სამწუხაროდ, საამისოდ საჭირო თანხები არა და არ მოიძებნა. ციფრები, რომლებიც პერიოდულად ჩნდება მედიაში თუ სხვადასხვა კვლევაში, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშებიდანაა ამოღებული. გარდა ამისა, არსებობს სპეციალური გამოთვლის ხერხი: იმისთვის, რომ დაადგინო — დაახლოებით, რამდენი ნარკოტიკის მომხმარებელია ქვეყანაში, ოფიაციალურად რეგისტრირებულ მომხმარებელთა რაოდენობა ათზე უნდა გაამრავლო. ოფიციალური მონაცემებით, ჩვენში 24 ათასი მომხმარებელი ირიცხება და თუ ამ ციფრს ათზე გავამრავლებთ, 240 ათასს მივიღებთ.

— **ბუნებრივია, არც იმ მონაცემებს ფლობთ, თუ რა რაოდენობის ნარკოტიკული ნივთიერება შემოდის საქართველოში...**

— დიახ, არც ამის ზუსტი რაოდენობა არსებობს, ამიტომ იძულებული ვართ, სხ-

ვადასხვა ექსპერტის ვარაუდს დავეყრდნოთ ან საკუთარ დაკვირვებებზე დაყრდნობით გამოვიტანოთ დასკვნები. წლების წინ ამბობდნენ, რომ საქართველოში ყოველწლიურად, დაახლოებით 120 მილიონი დოლარის ღირებულების ნარკოტიკი შემოდიოდა. მოგვიანებით, ეს სავარაუდო ციფრი 300 მილიონამდე გაიზარდა. მახსოვს, ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი რომან გვენცაძე წერდა, — საქართველოში წელიწადში მილიარდი დოლარის ნარკოტიკი შემოდისო(!). ჩემი და ჩემი კოლეგების ვარაუდით კი საშუალოდ, 200-250 მილიონი დოლარის ნარკოტიკი იყიდება.




**— რა თანაფარდობაშია ეს ვარაუდი, სამართალდამცველების მიერ ამოღებული ნარკოტიკული ნივთიერების რაოდენობასთან?**

— ჩვენ ერთადერთი ქვეყანა ვართ, სადაც ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლას მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის შესაბამისი სამმართველო ახორციელებს. ეს ერთადერთი სამსახურია, რომელსაც საქართველოში არალეგალურად შემოტანილი ნარკოტიკების ამოღება ევალება. ყველა ქვეყანაში, საბაჟო დეპარტამენტის შემადგენლობაში არსებობს სპეციალური სამსახური, რომელსაც ნარკოტიკების კონტრაბანდასთან ბრძოლის სამსახური ჰქვია. საქართველოში ასეთმა სამსახურმა მხოლოდ ერთი წელი იარსება, შემდეგ გაუქმდა და დღემდე არ არსებობს. არადა, იმ ქვეყნებში, რომლებიც ნარკოტიკულ ნივთიერებებს არ აწარმოებენ, ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე დიდი ტვირთი სწორედ საბაჟო სამსახურების სპეციალურ განყოფილებებზე მოდის. წელს ჩვენში ამოღებული ჰეროინის რაოდენობა შარშანდელზე მეტია. ამას ორი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს: ან შემოტანილი ჰეროინის რაოდენობა გაიზარდა, ან სამართალდამცველების მუშაობა გაუმჯობესდა. ეს პარამეტრი ოპერატიული ინფორმაციის ხარისხზეა დამოკიდებული. ნარკობიზნესი ძალზე სერიოზული კრიმინალური ბიზნესია, რომლის წიაღიდან ცნობების მიღებაც იოლი არ არის. მაგალითად, შარშან აზერბაიჯანელმა სამართალდამცველებმა ტონა სხვადასხვა ნარკოტიკული ნივთიერების ამოღება შეძლეს. ჩვენში ამავე პერიოდში, 8 კილოგრამი ჰეროინი, 8 ათასი აბი სუბუტექსი, დაახლოებით 3 კილოგრამი მარიხუანა, ოპიუმი და სხვა ნივთიერებები ამოიღეს. აშკარაა, რომ ეს მონაცემები სასურველზე დაბალია.

**— როგორც ამბობენ, ზაფხულის პერიოდში ნარკოტიკების მოხმარება ზღვისპირა რეგიონებში იზრდება. რა არის ამის მიზეზი?**

— ტურისტული სეზონის დაწყებისთანავე უამრავი ადამიანი მიდის დასასვენებლად და მათ შორის, ნარკოტიკების მომხმარებლებიც არიან. მათ ნარკორეალიზატორთა დიდი არმია მიჰყვება, რადგან ამ დროს ლოკალურად გასაღება საკმაოდ მომგებიანი საქმეა. მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ აჭარის რეგიონი ადგილობრივ ნარკორეალიზატორთა სიმცირეს განიცდის.

**— რატომ? თურქეთთან სიახლოვის გამო?**

— მოგეხსენებათ, ჩვენ ნარკოტიკების მწარმოებელი ქვეყანა არა ვართ. ამგვარად, რაც კი ჩვენს ბაზარზე ხვდება, მარიხუანის გარდა, სხვა ქვეყნებიდან შემოაქვთ. მაგალითად, ჰეროინის შემოტანა ძირითადად, წითელი ხიდის და სარფის საბაჟოს გავლით ხდება. საქართველოში არც ერთ საბაჟო-გამშვებ პუნქტზე ნარკოტიკების აღმომჩენი სკანერები არ დგას. მათი შეძენა დაახლოებით, 750 ათასი ლარი ჯდება, მაგრამ ვერც ამის საყიდლად გამოინახა საჭირო სახსრები. შესაბამისად, ჩვენში ნარკოტიკების შემოტანა დიდ რისკთან არ არის დაკავშირებული. ვიმეორებ — თუ არ არსებობს ოპერატიული ინფორმაცია ამა თუ იმ ტვირთზე, ნარკოტიკები საბაჟოზე შეუფერხებლად შემოვა. ჰეროინის სატრანზიტო კვანძი ევროპაში სწორედ თურქეთზე გადის. თურქეთში დაახლოებით 70 ათასი ფერმერი მისდევს ყაყაჩოს კულტივირებას. ეს ქვეყანა სამედიცინო მორფინის ერთ-ერთი მსხვილი იმპორტიორია. იქ მკაცრი სანქციებია დაწესებული იმისათვის, რომ ყაყაჩო და ოპიუმი შავ ბაზარზე არ მოხვდეს, მაგრამ ნარკორეალიზატორები ამას მაინც ახერხებენ. ამიტომაც, თურქეთში ჰეროინი ძალიან იაფი და ხელმისაწვდომია. საქართველოშიც ის ძირითადად, თურქეთიდან შემოაქვთ ავტობუსებით. დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ ამ ყველაფერს საკმაოდ ორგანიზებული სახე აქვს. სტამბოლში, „აქსარაის“ ავტოსადგურზე რამდენიმე შერეული, თურქულ-ქართული დანაშაულებრივი ჯგუფი მოქმედებს. მათ სამიზნეს მეტწილად, უსაბუთოდ და უფულოდ დარჩენილი ქართველი ქალები წარმოადგენენ: საქართველოში გადმოსვლის სანაცვლოდ, მათ აიძულებენ, საკუთარი სხეულით გადმოიტანონ ნარკოტიკები. ასეთ ქალებს „ცოცხალ კონტეინერებსაც“ უწოდებენ.

**— შესაბამისად, აჭარაში ნარკოტიკი შედარებით იაფი ღირს, ვიდრე თუნდაც თბილისში, არა?**

— ნარკოტიკებს თბილისის უბნებშიც კი სხვადასხვა ფასი აქვს: რაც უფრო ახლოს არის საზღვართან ნარკოტეკების სარეალიზაციო პუნქტი, მით უფრო იაფია. მომხმარებლებიც დასასვენებლად, ხშირად სწორედ ასეთ ადგილებს ირჩევენ.

**— ახალგაზრდებში ამჟამად ყველაზე პოპულარული რომელი ნარკოტიკია?**

— ახლა საკმაოდ მოდურია ექსტაზი. ბევრი ახალგაზრდა მას ნარკოტიკს არც უწოდებს. მას ძირითადად, ღამის კლუბებში და დისკოთეკებზე ავრცელებენ. ეს ნივთიერება ნარკოტიკების ნუსხაში ე.წ. მეორე ჯგუფშია შესული — როგორც სინთეზური ნარკოტიკი. წლების წინ მას, როგორც სამკურნალო საშუალებას, ფსიქოთერაპიაში იყენებდნენ, შემდეგ კი ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედების გამო, ნარკოტიკულ ნივთიერებათა ნუსხაში შეიტანეს. ამ ნარკოტიკის მომხმარებლები ამბობენ, რომ ექსტაზის მიღების შემდეგ, ყოველგვარი დაძაბულობა ეხსნებათ. მაგალითად, გოგონები, რომლებიც დისკოთეკებზე ცეკვას ვერ ბედავენ, ექსტაზის მიღების შემდეგ ლაღები, თავისუფლები, ენერგიულები ხდებიან და მთელ ღამეს ცეკვაში ატარებენ. ასეთ დროს ენერგიის ჭარბად დახარჯვამ შესაძლოა, სხეულის გაუწყლოება გამოიწვიოს. სისტემატურად მიღების შემთხვევაში, ექსტაზი იწვევს: სუსტ დამოკიდებულებას, ორგანიზმის გამოფიტვას, ნატრიუმის გამოდევნას, თირკმლების უკმარისობას. ძალზე შემაშფოთებელი ინფორმაცია გვაქვს მიღებული ამერიკიდან: დაავადებათა კონტროლის ცენტრის მონაცემებით, ექსტაზის სისტემატურად მიღებისგან იქ ყოველწლიურად, ასობით ახალგაზრდა იღუპება. დაუზუსტებელი ცნობებით, საქართველოში ამავე მიზეზით, ორი ახალგაზრდა გარდაიცვალა.

**— ნარკომანების მიერ გამოყენებული შპრიცები სხვა ადამიანების ჯანმრთელობასაც უქმნის საფრთხეს, განსაკუთრებით, ზღვის სანაპიროზე, სადაც დამსვენებელთა თქმით, გამოყენებულ შპრიცებს თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე აწყდები...**

— მართალია, პლაჟზე დაყრილი შპრიცები დიდ საფრთხეს უქმნის დიდსა თუ პატარას: ნემსი ფეხში რომ შეგერჭოს, შესაძლოა, საშიში სენი შეგეყაროს — ნარკოტიკების მომხმარებლებს ხომ ხშირად, ჰეპატიტი, შიდსის ვირუსი ან რაიმე სხვა მძიმე დაავადება სჭირთ. ამიტომ, ზღვაზე დასვენებისას დიდი სიფრთხილე გვმართებს, რომ დაუდევრად დაგდებულ შპრიცს ფეხი არ დავაბიჯოთ. ცნობილია, რომ მაგალითად, ჰეპატიტის ვირუსი შპრიცზე რამდენიმე დღე ძლებს. და თუ ეს ვინმეს შეემთხვა, ვურჩევ — დაუყოვნებლივ ექიმს მიმართოს. მათ კი, ვინც პლაჟზე დაგდებულ შპრიცს შენიშნავს, ვთხოვ — ფრთხილად აიღონ და სანაგვე ყუთში ჩაუძახონ...

# ყველაზე ტკბილი ბლოგერის ვარდისფერი ბლოგი



**იმ დღეს სვითიმ ვარდისფერი მაუსი იყიდა, იმიტომ, რომ საჩუქრად ვარდისფერ ნოუტბუკს ელოდება. ნოუტბუკი კი სვითის ძალიან სჭირდება — ის ხომ ყველაზე ტკბილი ბლოგერია ქართველ ბლოგერებს შორის და ბლოგიც ვარდისფერი აქვს. ზოგჯერ საყვედურობენ ამის გამო, მაგრამ ეს გულთან ახლოს არ მიაქვს და თუ დასჭირდა, აბებსაც კი ვარდისფერს სვამს. მარი-ტა ანუ სვითი ქართული ბლოგოსფეროს შექმნის სათავეებთან იდგა და ამის შესახებ ბევრის მოყოლა შეუძლია. ამიტომაც ვთხოვეთ ინტერვიუ.**

*ნანა ჩარკვიანი*

— **მარი, მოდი, იმის განმარტებით დაიწყე, თუ რა არის ბლოგოსფერო, ბლოგი და ბლოგინგი.**

— ბლოგი არის ერთი ადამიანის მიერ წარმოებული ვებსაიტი, რეგულარული ჩანაწერებით, რომელიც ეძღვნება რაიმე თემას ან აღწერს ამ ადამიანის პირად ცხოვრებას. ჩანაწერები ანუ პოსტები ბლოგზე განლაგებულია უკუქრონოლოგიურად, ანუ ჯერ ჩანს ბოლო ჩანაწერები, შემდეგ კი უფრო ადრინდელი. ბლოგის წარმოების მოტივი ბევრნაირია: შეიძლება, ვიღაცას ჰქონდეს თავისი პირადი დღიურის წარმოების, სხვას კი რაღაც თემის განხილვის და ინფორმაციის გაზიარების სურვილი.

— **შენ რატომ გააკეთე ბლოგი?**

— მთელი ბავშვობა მქონდა დღიურის წერის ჩვევა. მერე უკვე, როცა კომპიუტერი ვიყიდე და ერთი-ორი უცხოური ბლოგი ვნახე, მომეწონა და ბლოგერობა დავიწყე. დროთა განმავლობაში დავინახე, თუ რა დიდი პოტენციალი აქვს ბლოგს, თანაც, არ გყავს ცენზორი ან რედაქტორი და შეგიძლია, ნებისმიერი ასაკისა და პროფესიის ადამიანისთვის საინტერესო, ნებისმიერი თემა განიხილო. მიმაჩნია, რომ ეს ძალიან დიდი თავისუფლებაა დღევანდელ საქართველოში. ვცდილობდი, რაც შეიძლება მეტი ადამიანი ჩამერთო ბლოგინგში, მეგობრებიც ამყვნენ და პატარა ბლოგოსფეროც ჩამოყალიბდა. ბლოგოსფერო ბლოგებისა და ბლოგერების ერთობლიობას ნიშნავს. ბოლო წლებია, რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაცია საქართველოში ბლოგინგის, ზოგადად თავისუფალი მედიის განვითარებით ძალიან დაინტერესდა და მისი პოპულარიზაციაც დაიწყო. ჟურნალისტიკის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტებიც ძალზე დაინტერესებული არიან ამით, რადგან ბლოგინგი უშუალო კავშირშია ჟურნალისტიკასთან. ჟურნალისტისთვის საკუთარი ბლოგი ნიშნავს იმას, რომ აქვს საკუთარი გაზეთი, რომლის რედაქტორიც, ჟურნალისტიც, ფოტოგრაფიც და პერსონაჟიც თვითონაა.



ყველაზე ტკბილი ქართველი ბლოგერი – მარი-ტა

— **მერედა, ხომ შეიძლება, გქონდეს საკუთარი გაზეთი და ისე გამოვიდეს, რომ მისი მკითხველიც მხოლოდ შენა იყო?!.**

— ყველა ბლოგს აქვს თავისი მკაფიო ნიშა და ჰყავს ერთგული მკითხველი, რომელიც სისტემატურად შედის ბლოგზე, კითხულობს და მოუთმენლად ელოდება ახალ სტატიებს, ბლოგის ენაზე — პოსტებს. ინტერნეტში ხომ არაფერი იკარგება.

— **ბლოგერობა როგორ დაიწყე?**

— 2005 წლის მაისი იყო. მაშინ

ქართული ბლოგოსფერო საერთოდ არ არსებობდა. დავიწყე „მაიკროსოფტის“ რომელიღაც პირადი გვერდების სერვისით, სადაც პატარა ჩანაწერებს ვაკეთებდი ანუ ჩვეულებრივი პირადი დღიური იყო. „მაიკროსოფტის“ საიტის შემდეგ, „ბლოგსპოტზე“ მქონდა ბლოგი, სადაც მერე და მერე, დავიწყე ტუტორიალების ანუ გზისმკვლევების წერა, მაგალითად — როგორ გავაკეთოთ ბლოგი. ამ ტუტორიალების წყალობითაც ბევრი მკითხველი შევიძინე. „ბლოგსპოტი“ Google-ს ერთ-ერთი საიტია, სადაც ნებისმიერ მსურველს უფასოდ და მარტივად შეუძლია შექმნას საკუთარი ბლოგი, ისევე, როგორც „უორლდპრესზე“. „ბლოგსპოტზე“ ორი წლის განმავლობაში ვიყავი, შემდეგ კი, როცა ცოტა სიღრმისეული ცოდნა დამიგროვდა, გადავწყვიტე, საკუთარი დომენი ანუ მისამართი მქონოდა და უფრო პროფესიონალურად მივდგომოდი საქმეს. შევიძინე საკუთარი დომენი და ჰოსტი და ასე შევქმენი ვარდისფერი ბრენდი: „ტკბილი გოგო“, ნამცხვრებითა და წინსაფრით. ეს ფერი ჩემთვის წარმატებასთან ასოცირდება. თავიდან არ მეგონა, რომ პოპულარული გავხდებოდი და ამდენი ვიზიტორი მეყოლებოდა. ვერც წარმომედგინა, რომ ინტერნეტში იარსებებდა 400 კაცი, ვისაც აინტერესებს, რა ჭამე, თმა რა ფერი გაქვს, რა გაცვია, სად მოგზაურობ, რამდენი გაქვს შემოსავალი... ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ბლოგინგმა მომცა, ისაა, რომ მივხვდი — ამქვეყნად არაფერია შეუძლებელი! ამ ბოლო დროს იმდენ წარმატებას ვაღწევ, რომ მადლობელი ვარ სამყაროსი, მისი გულუხვობისთვის. როგორი გულუხვია! ახლა უკვე ჩემი ადგილიც ვიპოვე ინტერნეტსივრცეში და ისიც ვიცი, ვისთვის ვწერ... საერთოდ, ყველგან ყოველთვის ყველაზე მეტი მკითხველი ჰყავს ბლოგებს, რომლებიც ავტორის პირად ცხოვრებაზეა მოთხრობილი, რადგან ყველას აინტერესებს, რა ხდება სხვისი კარის მიღმა. ჩემი ბლოგი ამის ძალიან კარგი მაგალითია. ზოგადად, ძალიან აქტუალური თემებია: სიყვარული, ურთიერთობები, მეგობრობა. მთლიანად ავტორზეა დამოკიდებული, თუ რამდენად პოპულარული გახდება ბლოგი და როგორი ფიდბექი ანუ უკუკავშირი ექნება მკითხველთან.

— **დღეში რამდენი ვიზიტორი გყავს?**

— თუ ყოველდღე ვწერ, ვაქტიურობ და, ასე ვთქვათ, ბლოგს ვუვლი, ბლოგის უნიკალური ვიზიტორის — ორასიდან ოთხასამდე, ხოლო გვერდების მნახველების რიცხვი 700-დან 1000-მდე აღწევს. თუ ყოველდღე ვერ ვწერ ან მეზარება, ჩემი რეიტინგიც „ჩაყვინთავს“ და მაშინ სხვა ბლოგები უფრო რეიტინგულია; როგორც კი გავაქტიურდები, ისევ პიკზე ალმოვჩნდები ხოლმე.

— **შენს საიტზე რეკლამებიც დევს, ესე იგი, ბლოგს შემოსავალიც მოაქვს.**

— ყველაზე დიდი შემოსავალი, რაც ბლოგიდან მიმიღია, ერთ-ერთი უცხოური საშუამავლო კომპანიის საკომისიოებია. თვეში ორ-სამ სარეკლამო პოსტს ვწერ და თითოში 10 დოლარს მიხდიან. ეს, რა თქმა უნდა, დიდი თანხა არ არის, მაგრამ თავშექცევასთან ერთად, მაინც შემოსავალია. იმ ფულს არც ვხარჯავ. 3 წლის წინ, როცა ბლოგერობა დავიწყე, ესეც არ მქონდა.

— **რამდენი ბლოგერია დღეს საქართველოში?**

— დაახლოებით, 200-მდე ბლოგერს ვიცნობ. დარწმუნებული ვარ, სხვებიც იქნებიან. თუმცა, უკლებლივ ყველა აქტიურ ბლოგერთან ვურთიერთობ. თითოეული მათგანის პირველი ნაბიჯებიც ვიცი, პირველი პოსტებიც წამიკითხავს და ყველასთვის მითქვამს: „კეთილი იყოს შენი მობრძანება ბლოგოსფეროში!“ ბლოგერების რიცხვი თვალში საცემად იზრდება: შარშან სექტემბერში 100-იოდე აქტიურ ბლოგერს ვითვლიდი.

— **ახლა შენს წარმატებებზეც მომიყევი.**

— ჯერ ერთი, წარმატებაა ის, რომ „კოსმოპოლიტენში“ დავიწყე მუშაობა, სადაც სტატიებს ვწერ, ვთარგმნი. ამ ჟურნალის მიმართ ყოველთვის ძალზე თბილი დამოკიდებულება მქონდა, რადგან ჩემი ცხოვრების წესი თითქოს, ცნობილი კოსმოგოგონას იმიჯს ემთხვევა. წარმატებად მიმაჩნია ასევე, სოროსის ფონდის პროექტში რომ მოვხვდი. პირველი წარმატება ამ ფონდთან დაკავშირებით ის იყო, რომ ერევანში, ტექნიკურ კონფერენციაზე — ბარკემპზე გამგზავრება დამიფინანსეს. ეს ძალიან კარგი თავშეყრის ადგილია მათთვის, ვისაც ინტერნეტთან შეხება აქვს და ზოგადად, ეს სფერო აინტერესებს. მანამდე აზერბაიჯანში იყო ბარკემპი და ბლოგზე დავწერე, რომ ბილეთები ვერ ვიშოვე... ცოტა ხანში დამიკავშირდა ერთი ბიჭი, სოროსის ფონდიდან და მითხრა, — ორ კვირაში ერევანში ბარკემპი ტარდება და ჩვენ დაგაფინანსებთო. ერევნიდან რომ ჩამოვედი, ფონდში გამოთქვეს სურვილი, გრძელვადიან პროექტებშიც გვეთანამშრომლა. ბლოგი რომ არ მქონოდა, ვერც ერევანში წავიდოდი, ვერც ამდენ სიახლეს გავიგებდი და ვერც ამდენ რამეს გავაკეთებდი.

— **იმ პროექტზეც თქვი რამდენიმე სიტყვა, რომელიც ახლა ხორციელდება.**

— იქნება საიტი, რომელიც ბლოგინგს მიეძღვნება და სექტემბერში ბუმი იქნება... ახლა მეტს ვერაფერს გეტყვი. სიურპრიზია, ჯერჯერობით.

— **გამოდის, ბლოგერობა პროფესიად გიქცევია...**

— პროფესიით მარკეტინგისა და პიარის მენეჯერი ვარ და ამ განხრით რამდენიმე ადგილასაც მიმუშავია, მაგრამ ყოველთვის მეგონა, რომ უფრო მეტი შემეძლო. მარკეტინგი და პიარი კი მოიცავს კრეატივს, მაგრამ სხვის დაქვემდებარებაში ყოფნა თითქოს, იმ კრეატივსაც გართმევს. ყოველთვის მიმაჩნდა, რომ უფრო მეტსა და ღირებულს გავაკეთებდი, თუ ვიქნებოდი „ფრილანსერი“ და მართლაც, ასე მოხდა. მაშინ, როცა ბლოგერობა დავიწყე, ვერ ვიფიქრებდი, რომ აქედან რაღაც შემოსავალი მექნებოდა, მაგრამ შემდეგ, პროფესიონალურად რომ მივუდექი საქმეს და ამდენ წარმატებასაც მივაღწიე, ვიფიქრე, რომ შეიძლება, ჩემი ბლოგი

**სვითი აბებსაც კი ვარდისფერს სვამს**



ჩემი „ბიზნესი“ გახდეს და ბლოგერობაც ჩემი პროფესიაა.

— **როგორ უნდა იქცეს ბლოგი „ბიზნესად“?**

— უცხოეთის მაგალითზე ვიტყვი, რადგან საქართველოში ჯერჯერობით, ამის პრაქტიკა არ არსებობს. ბლოგიდან პირველადი შემოსავალი — რეკლამაა. გარდა ამისა, ბლოგთან და ბლოგინგთან დაკავშირებულ საქმიანობაში მონაწილეობითაც შესაძლებელია შემოსავლის მიღება. ჩემი აზრით, წარმატების საიდუმლო უნდა გაყიდო და არა — ტექნიკური უნარ-ჩვევები!

— **კონკურენცია და მეტოქეობა ბლოგერებში თუ შეინიშნება და ხომ არ იწვევს ეს აშკარა ან ფარულ კონფლიქტებს?**

— აშკარა კონფლიქტებს — არა, თუმცა 200-ვე ბლოგერთან ვერ გექნება მეგობრული დამოკიდებულება. რეალობაშიც ხომ არიან ისეთი ადამიანები, ვინც არ მოგწონს, ვისაც არ მოსწონხარ ანდა კონფლიქტი მოგდის? ერთი-ორჯერ ყოფილა შემთხვევა, როცა პოსტებზე დამცინავი კომენტარებიც მიმიღია, მაგრამ ამას სერიოზულად არასდროს აღვიქვამ, რადგან ჩემი აზრით, უარყოფითი ფიდბექიც (კავშირი მკითხველთან) პოპულარობის მაჩვენებელია. ჩემთვის მთავარია ის, რომ მყავს უამრავი მკითხველი, ვისაც ნამდვილად ვუყვარვარ და ჩემს ახალ პოსტებს ელოდება.

— **ახლა შენს მიზნებზეც მიამბე. ყველაზე მეტად, რა გინდა?**

— მინდა, ძალიან ბევრი ვიმოგზაურო. ხომ არიან ადამიანები, ვინც იმისთვის მუშაობს, რომ მერე კარგად ჭამოს, ჩაიცვას, სამკაულები ან მობილური ტელეფონი იყიდოს. ჩემთვის პრიორიტეტია, რაც შეიძლება მეტი ქვეყანა ვნახო და მეტი ხალხი გავიცნო. ასევე მინდა, ბლოგინგმა მომიტანოს იმდენი შემოსავალი, რომ სხვა რამეზე ფიქრი არ დამჭირდეს და ვაკეთო ის, რაც მსიამოვნებს. მინდა, ჩემი ბლოგი იყოს ჩემი მთავარი საქმე, ვიმოგზაურო, ვწერო და ხალხს ეს მოსწონდეს.

— **შენი ქმარიც ბლოგერია, არა?**

— ახლა იმდენად აღარ აქტიურობს, თუმცა, ერთ-ერთი პირველი ბლოგერი იყო საქართველოში! ამასაც ვუმადლი ბლოგინგს, რომ ქმარი მაჩუქა.

— **რამდენიმე დღის წინ მთელი ინტერნეტსამყარო შეაზანზარა ერთმა ქართველმა ბლოგერმა — „სუხუმმა“; ამაზე რას იტყვი?**

— ეს ბლოგერი დიდი თავდასხმისა და აგრესიის მსხვერპლი შეიქნა, მაგრამ ამავდროულად, ძალიან ცნობილი გახდა იმის გამო, რომ მისი ბლოგების დასაბლოკავად, კიბერშეტევა განხორციელდა „ტვიტერზე“, „ფეისბუქზე“, „ლაივჯორნალზე“, „მაისფეისზე“, „გუგლის“ სერვერებზე. უცხოურმა ტელევიზიებმა და მედიასაშუალებებმა არაერთი რეპორტაჟი მიუძღვნეს ამ ფაქტს. პირადად არ ვიცნობ „სუხუმის“, მაგრამ დიდ სოლიდარობას ვუცხადებ. სამწუხაროა, როდესაც ადამიანი თავდასხმის გამო ხდება ცნობილი, მაგრამ ამ შემთხვევაში მიხარია, რადგან ქართული ბლოგოსფერო და ქართველი ბლოგერი გახდა ამ აჟიოტაჟის მიზეზი და მთელმა მსოფლიომაც გაიცნო. ■





მარის ვარდისფერი „ფლეში“, „მაუსი“ და ტანსაცმლის იარლიყი...




თუ მიგაჩნიათ, რომ საინტერესო ამბავი იცით და გსურთ, ის ყველას გააგებინოთ...

მოჰყევით თქვენი ამბები

ამბები.GE-ზე

# SKYPE შეიძლება, დაიხუროს

ინტერნეტაუქციონმა eBay-მ ამერიკის ფასიანი ქაღალდებისა და ბაზრების კომისია მისი კუთვნილი Skype-ს რესურსის შესაძლო დახურვის შესახებ უკვე გააფრთხილა. საქმე ის არის, რომ კომპანია Joltid, რომელიც Skype-ს დამაარსებლებს — ნიკლას ზენსტრემსა და იანუს ფრიისომს ეკუთვნის, eBay-ს სალიცენზიო შეთანხმების დარღვევაში ადანაშაულებს და მისთვის Skype-ს საპროგრამო კოდით სარგებლობის უფლების ჩამორთმევას ითხოვს.

eBay-მ Joltid-ის მიერ ლიცენზიის ანულირების ცდები გააპროტესტა და საჩივრით სასამართლოს მიმართა, მაგრამ Joltid-მა საპასუხო სარჩელი მოამზადა. Joltid-ის იურისტების აზრით, eBay-მ საავტორო უფლება დაარღვია და საპროგრამო კოდის შესახებ არსებული საიდუმლო ინფორმაცია გაახმაურა. ახალი სასამართლო მოსმენა 2010 წლის ივნისში უნდა დაიწყოს. Joltid-ის გამარჯვების შემთხვევაში, Skype კანონგარეშე აღმოჩნდება.

eBay-მ Skype 2005 წელს, 2,6 მილიარდ დოლარად შეიძინა. კომპანიაში ფიქრობდნენ, რომ აუქციონების მონაწილეებს ერთმანეთთან ურთიერთობა Skype-ის მეშვეობით ექნებოდათ, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ და ამიტომაც, მისი გაყიდვა გადაწყვიტეს. Joltid-ში Skype-ს დაბრუნებისთვის მზადყოფნა განაცხადეს, მაგრამ როგორც eBay-ში ამბობენ, ისინი ამისთვის ძალიან ცოტა თანხას იმეტებენ.




„როგორც ჩანს, Joltid-ს კომპანიის დაბრუნების გეგმაზე ხელი მაინც არ აუღია, — აცხადებს ФИНАМ-ის ანალიტიკოსი ვლადისლავ კოჩეტკოვი, — მაგრამ აქ ბევრი რამაა გაუგებარი. მაგალითად, ის, თუ რატომ ვერ მოიპოვა eBay-მ საკვანძო ტექნოლოგიაზე უფლება? შექმნილი სიტუაცია ძალიან ჰგავს კორპორატიულ შანტაჟს“. „გამოდის, რომ Skype-ს შეძენისას eBay-ს პატენტებისა და უფლებების საკითხზე არ უზრუნია, რაც ფრიად უცნაურია“, — ეთანხმება კოჩეტკოვს რუსეთში Skype-ს კონკურენტის — Mail.Ru-Агент-ის მეპატრონე ანა არტამონოვა.

ФИНАМ-ის მიახლოებითი შეფასებით, VIP-სერვისით მოსარგებლე 5 მილიონი რუსეთის მოქალაქიდან 3,5 მილიონი Skype-ით სარგებლობს. თუ eBay სასამართლოში საქმეს წააგებს და Skype დაიხურება, კლიენტთა ეს ბაზა კონკურენტებზე გადანაწილდება. კოჩეტკოვის ვარაუდით: „Sipnet, Mail.ru-Агент-ის პარტნიორული სერვისის ჩათვლით, აბონენტთა ნაწილს მიიღებს, დანარჩენი კი ICQ-სა და Google-ს სერვისებში გადავა“.

თუმცა, eBay-ს სპეციალისტები Skype-ს საკუთარი ტექნოლოგიების შემუშავებას უკვე შეუდგნენ. თუ ისინი მის დამთავრებას სასამართლო პროცესამდე მოახერხებენ, მაშინ სასამართლოს გადაწყვეტილებას პრინციპული მნიშვნელობა აღარ ექნება. ექსპერტთა შეფასებით, მსგავსი ტექნოლოგიების შემუშავება ათეულობით მილიონი დოლარი დაჯდება. ■



# იტალიელმა მეცნიერებმა მომავლის ადამიანის პორტრეტი შექმნეს

ფუტუროლოგების პროგნოზით, მომავლის ადამიანები თანამედროვეთაგან შესამჩნევად განსხვავებულნი იქნებიან. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, შორეულ მომავალში ორივე სქესის ადამიანები, მათ შორის, თვით პოტენციურად ლამაზი გოგონებიც კი უთმონი იქნებიან, ხოლო მამაკაცებს წვერის ზრდაც შეუწყდებათ. მართალია, ამით ადამიანები ესთეტიკურად წააგებენ, მაგრამ წყლის რესურსების ეკონომიას ნამდვილად გასწევენ. მკვლევრების ვარაუდით, წლების შემდეგ ადამიანებს უფრო გრძელი და წვრილი თითები ექნებათ, კომპიუტერისა და მომავლის სხვა რთული ტექნიკის კლავიშებზე თითის დაჭერა უფრო რომ გაუადვილდეთ.

მომავლის ადამიანის კბილების წყობის შეცვლის თაობაზე პროგნოზები პირველად როდი კეთდება. თუმცა, თუ ადრე კბილების დაწვრილებასა და მათ სრულ გაქრობაზეც იყო ლაპარაკი, ახლა მკვლევრები იმასაც ვარაუდობენ, რომ მომავალში ადამიანებს სიბრძნის კბილები საერთოდ აღარ ამოუვათ. იტალიელი ფილოსოფოსი ფრანჩესკო კავალი სფორცა აცხადებს, რომ ელექტრონული და საინფორმაციო პროგრესი ნერვულ სისტემასთან დაკავშირებულ ცვლილებებსაც გამოიწვევს. „დღევანდელ ბავშვებს უკვე აქვთ უნარები, რომლებიც წინა თაობებს არ გააჩნდათ, — ეთანხმება სფორცას პედიატრთა იტალიური ასოციაციის წარმომადგენელი ჯუზეპე საჯეზე, — მომავალში, ტექნიკის წყალობით, ამ უნართა კიდევ უფრო გაუმჯობესება მოსალოდნელი, მაგრამ დაავადებები — სიმსუქნით დაწყებული და დეპრესიით დამთავრებული — ასევე გააქტიურდება“.

იმაში, რომ მომავალში კაცობრიობა უფრო ტანმაღალი იქნება, თითქმის ყველა მეცნიერია დარწმუნებული. მაგალითისთვის, იტალიაში ამჟამად, ადამიანთა 20% 180 სმ-ზე მაღალია, მსოფლიო ომის შემდეგ კი ეს მაჩვენებელი მხოლოდ 6% იყო.

თუმცა, ზოგიერთი ფუტუროლოგი იმ აზრსაც მტკიცედ ემხრობა, რომ ჰომო საპიენსი ნებისმიერი კატაკლიზმების მიუხედავადაც არ შეიცვლება. ანთროპოლოგების აზრით, მკაცრი ბუნებრივი გადარჩევისთვის ბიძგის მიცემა მხოლოდ სერიოზულ ბუნებრივ კატასტროფას თუ შეუძლია. ფსიქოლოგები კი თავის მხრივ, გვაფრთხილებენ, რომ ელექტრონული მოწყობილობებისა და სხვა ტექნიკის სწრაფი განვითარება და ინფორმაციის რაოდენობის ასევე სწრაფი ზრდა კაცობრიობას ნერვული სისტემის დაავადებამდე მიიყვანს, მასობრივ ხასიათს მიიღებს სიმსუქნე და დეპრესიები.

მეცნიერთა აზრით, ჰომო საპიენსის სახეცვლილება უკვე დაიწყო. ფრანგი მეცნიერების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების თანახმად, დღევანდელ ადამიანებს, თავიანთ წინაპრებთან შედარებით, ყნოსვა გაცილებით გაუუარესდათ, რადგანაც ყნოსვის გენების 72%-მა, უფუნქციობის გამო, მუტაცია განიცადა. ზოგიერთი მეცნიერის ვარაუდით, შემდეგი ნაბიჯი ცხვირის სრული ატროფია იქნება.

კბილებზე შეიძლება, კონსერვანტების, სხვადასხვა შაქრის დიდი რაოდენობით გამოყენებამ, უხეში საკვების არქონამ იმოქმედოს და შედეგად, ისინი ჯერ დაწვრილდება, შემდეგ კი საერთოდ გაქრება. ზოგიერთი ფუტუროლოგის აზრით, XXI საუკუნის შუახანებისთვის დედამიწის მოსახლეობის უმეტესობას მუქი კანი, ვიწრო თვალის ჭრილი ექნება და ევროპეოიდური რასა სწორედ ასე გადაიხდის გამრავლების სურვილის არქონის საფასურს.

ასევე, მოსალოდნელია ადამიანის კუნთოვანი მასის შემცირებაც. ერთ-ერთი თეორიის თანახმად, ბუნებამ იმ ნიჭიერი ცაციების პოპულაციის აღდგენაც გადაწყვიტა, რომლებიც ქვის ხანაში მეომარ პრიმიტიულ „მემარჯვენეებთან“ შეტაკებებისას გადაშენდნენ.

როგორც ამერიკელი მეცნიერები მიიჩნევენ, დაახლოებით, 2 ათასი წლის შემდეგ, ატმოსფეროში არსებული დაბინძურებული ნივთიერებების სიჭარბის გამო, ადამიანს თვალები საგრძნობლად დაუპატარავდება და მეორე ქუთუთო გაუჩნდება, ფილტვები კი პირიქით, ზომაში მოიმატებს და მას უფრო ბლანტი სისხლის მიმოქცევის სისტემა ექნება, რომელიც ჰაერში დარჩენილი სულ მცირე ჟანგბადის მიღებასაც კი მოახერხებს. მეცნიერთა აზრით, ადამიანს კანიც გაუუხეშდება, რათა ამ გზით ატმოსფეროში არსებულ ქიმიურ დამბინძურებლებსა და აქტიურ მზესთან გამკლავება შეძლოს.

ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, შეიცვლება ყურის ფორმაც და იმის გამო, რომ ადამიანები ხმაურისგან თავის დაცვას დაიწყებენ, მათ ყურებზე ნაკეცები გაუჩნდებათ. თირკმლები ახალ ფუნქციას შეიძენს და შარდიდან წყლის გამოყოფასა და მის ორგანიზმში შენახვას დაიწყებს. ბევრი ანთროპოლოგი იმასაც ამტკიცებს, რომ ადამიანის თავი მარტო კი არ დამრგვალდება, არამედ თავის ქალის ტვინოვანი ნაწილის გაზრდის გამო, გაცილებით გადიდდება კიდეც. მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, მომავალში კაცობრიობას არაერთი ახალი, მაგალითად, ტელეპათიის დონეზე ურთიერთობის უნარიც გაუჩნდება.

# ფულს სუნი უდის!

ბანკნოტთა 90%-ს, რომლებსაც აშშ-ის მოსახლეობა იყენებს, კოკაინის კვალი აღენიშნება, — ასეთი დასკვნა გამოიტანეს მასაჩუსეტსის უნივერსიტეტის მეცნიერებმა, რომლებმაც აშშ-ის, კანადის, ბრაზილიის, იაპონიისა და ჩინეთის ეროვნულ ვალუტაზე ნარკოტიკების ნაწილაკების არსებობასთან დაკავშირებით, სპეციალური კვლევა ჩაატარეს. შედეგები Science Daily-ს ფურცლებზე გამოქვეყნდა.

აღსანიშნავია, რომ ფული, რომელზეც კოკაინის კვალი აღინიშნებოდა, ყველაზე ხშირად ვაშინგტონში ხვდება: აშშ-ის დედაქალაქში ამგვარ ბანკნოტთა 95%-ია ნაპოვნი. დაახლოებით ასეთივე მაჩვენებელი ფიქსირდება სხვა დიდ ქალაქებშიც, მაგალითად: ბალტიმორში, ბოსტონსა და დეტროიტში. ამერიკულ კუპიურებზე კოკაინის შემცველობა 0,006 მკგ-დან 1,240 მკგ-მდე მერყეობს.

მეცნიერთა თქმით, ფულზე ნარკოტიკები სხვადასხვა გზით ხვდება. ყველაზე გავრცელებული შემთხვევაა, როდესაც მილაკის სახით დახვეული კუპიურის მეშვეობით კოკაინს ყნოსავენ. გარდა ამისა, კოკაინის უმნიშვნელო რაოდენობა ბანკნოტებზე ნარკოტიკის ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული გარიგებების დროს ხვდება. ნივთიერება აგრეთვე, კუპიურიდან კუპიურაზე შეიძლება მოხვდეს.



# ონასისის შვილიშვილი ბაბუის დანატოვარ კუნძულს ყიდის



ათენა და მისი კუნძული

როგორც ცნობილი გახდა, აწ გარდაცვლილი მაგნატის, არისტოტელე ონასისის შვილიშვილი, ათენა ონასისი იონიის ზღვაში მდებარე ოჯახის კუთვნილი კუნძულის — სკორპიოსის გაყიდვას აპირებს. ლონდონში მდებარე მსხვილმა რიელტორულმა კომპანიამ უკვე მიიღო კუნძულის გაყიდვის შეკვეთა, რომლის საწყისი ფასიც 100 მილიონ გირვანქა სტერლინგს აღემატება. პოტენციურ მყიდველებს შორის გიგანტ Microsoft-ის დამაარსებელ ბილ გეიტსსა და მომღერალ მადონას ასახელებენ.

თუმცა, ახალგაზრდა მილიარდერ ქალთან დაახლოებული წრეები კუნძულის გაყიდვის თაობაზე გავრცელებულ ინფორმაციას არ ადასტურებენ. როგორც ბრაზილიაში საბერძნეთის კონსულმა და ათენა ონასისის ნათლიამ, კონსტანტინოს კოტრონაკისმა ათენის ტელეარხ „ალფას“ განუცხადა, მას ათენასთან ურთიერთობა ცოტა ხნის წინ ჰქონდა და ამ უკანასკნელმა კუნძულის გაყიდვის ყველანაირი შესაძლებლობა გამორიცხა. ისე კი მაგნატის ერთადერთი მემკვიდრე, რომელსაც საბერძნეთში თითქმის არ უცხოვრია, სკორპიოსსაც ძალზე იშვიათად სტუმრობს.

1968 წელს, ამ ტყით დაფარულ ქათქათა კუნძულზე არისტოტელე ონასისმა და ამერიკის ყოფილმა პირველმა ლედიმ — ჟაკლინ კენედიმ იქორწინეს. მდიდრული ვილის გარდა, კუნძულზე პატარა სასაფლაოცაა, სადაც თავად არისტოტელე ონასისი, მისი ვაჟი ალექსანდროსი და ქალიშვილი კრისტინა (ათენას დედა) არიან დაკრძალულნი.




არისტოტელე ონასისი და ჟაკლინ კენედი

# მაღალი IQ სიცოცხლეს ახანგრძლივებს

ჰელსინკის უნივერსიტეტის მეცნიერები ამტკიცებენ, რომ მაღალი IQ-ს მქონე ბავშვები თავიანთ მოსულელო თანატოლებზე დიდხანს ცოცხლობენ. მათ მოაგროვეს და გააანალიზეს ბრიტანეთის იმ 10620 მოქალაქის მონაცემები, რომელიც 1958 წელს პროგრამა British Birth Cohort-ში მონაწილეობდა და 11 წლის ასაკში IQ-ს ტესტებს გადიოდა. ამ ექსპერიმენტის მონაწილეებს მკვლევრები მანამდე აკვირდებოდნენ, ვიდრე მათ 46 წლის ასაკს არ მიაღწიეს.

კვლევის შედეგებმა უჩვენა, რომ ისინი, ვისაც ბავშვობაში დაბალი ინტელექტი აქვთ, საშუალო ასაკში, ნიჭიერებთან შედარებით, უფრო ხშირად იღუპებიან. თანაც, ეს მონაცემი ექსპერიმენტის მონაწილეთა დაბადებისას დაფიქსირებული წონის, 11 წლის ასაკში მიღწეული სიმაღლის, ყოფაქცევასთან დაკავშირებული პრობლემების, მათი მამების საქმიანობის ხასიათის, შვილის განათლებით მშობლების დაინტერესების, ოჯახის სიდიდისა თუ ოჯახური უთანხმოებებისგან დამოუკიდებლად ნარჩუნდებოდა.



როგორც გაირკვა, ზრდასრულ ასაკში დაფიქსირებული ისეთი ცვალებადი მაჩვენებლებით, როგორიცაა: განათლება, საქმიანობის ხასიათი, ოჯახური სტატუსი, მოწევა, წონა, ალკოჰოლის მოხმარება და ფსიქოსომატური სიმპტომები, სიცოცხლის ხანგრძლივობის ინტელექტუალურ განვითარებაზე დამოკიდებულების ახსნა მხოლოდ ნაწილობრივ თუ შეიძლება. თუმცა, იმის ახსნა, თუ სახელდობრ, როგორ მოქმედებს IQ სიცოცხლის ხანგრძლივობაზე და როგორია ამ კავშირის მექანიზმები, მეცნიერებს ჯერ კიდევ უჭირთ.



მოამზადა რუსუდან ლებანიძემ



# სახე



„ღიმილი მართლა აკლია რესტორნებსა და კაფეებს. შემიმჩნევია, ზოგჯერ როგორ მიყურებს ოფიციანტი, თითქოს მისი ვალი მქონდეს... არა უშავს, ნიჭიერი ხალხი ვართ ქართველები, ღიმილს როგორ ვერ ვისწავლით?! მთავარია, ქართული სული არ დავკარგოთ! ყოველნაირად ვცდილობ, რომ არანაირად არ გავევროპელდე!.. აჭარაში ჯერ კიდევ ბევრი რამაა შესაცვლელი და შესაქმნელი – სასმელი წყლით დაწყებული, მომსახურების სერვისისთვის რეალური ფასების დადებით დასრულებული...“

გვ.26

ლალი ფაცია

**მომღერალი ია ჩანტლაძე ცოტა ხნის წინ ისრაელიდან შთაბეჭდილებებით სავსე დაბრუნდა. მან იქ 5 წარმატებული სოლო კონცერტი გამართა, რაზეც ინტერვიუში დაწვრილებით გვიამბობს; თუმცა ბევრისთვის ალბათ უცნობია ის ფაქტი, რომ ია პარალელურად, ბიზნესვუმენიც გახლავთ და საქართველო-ისრაელის ბიზნესპალატაში ახალი პროექტების დეპარტამენტს ხელმძღვანელობს. იას სამსახურში გასულ კვირას ვეწვიე. ჩვენ მის ბოლო გასტროლზეც, ზოგადად მუსიკალურ თუ ბიზნესკარიერასა და კიდევ ბევრ სხვა საკითხზე საკმაოდ ვრცლად ვისაუბრეთ.**

## ორი ბატონის მსახური — რა წარმატება ელის ია ჩანტლაძეს 5 წლის შემდეგ

**— ია, გასული წლებისგან განსხვავებით, მეტად გააქტიურებული ჩანხარ...**

— ბოლო დროს მუსიკაში რაღაცნაირად ის ფორმა ვიპოვე, რაც ჩემთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო — ცოცხლად სიმღერა, ორკესტრის თანხლებით. გასულ წლებში, როდესაც ჩვენში ფონოგრამით სარგებლობამ მახინჯი ფორმები მიიღო, მუდმივად მქონდა პროტესტი და ყოველთვის ვცდილობდი, ცოცხლად მემღერა. თუ მუსიკოსი ხარ, უნდა გქონდეს ამის მოთხოვნილება. მოკლედ, ბოლო დროს, როგორც აღვნიშნე, გაჩნდა იმის საშუალებაც, რომ ორკესტრთან ერთად მემღერა და სხვათა შორის, შესანიშნავ მუსიკოსებთან დავიწყე მუშაობა. ეს არის ბენდი „სპილო“, რომა რცხილაძის ხელმძღვანელობით. მათთან, გარდა შემოქმედებითი, მჭიდრო მეგობრული ურთიერთობაც მაქვს, რაც ჩვენ ერთობლივ საქმიანობაში გვეხმარება. ისინი ყველა ჩემ მიერ აღებულ ნოტსა თუ აკორდს ანუ რისი თქმაც მინდა, საუცხოოდ გრძნობენ და მეც ასევე მესმის მათი, რითიც ძალიან ბედნიერი ვარ.

**— დავუბრუნდეთ ისრაელში შენ მიერ ჩატარებულ სოლო კონცერტებს.**

— ისრაელიდან სამი დღეა, რაც



გრანდიოზული სოლო კონცერტი ისრაელში

ჩამოვედი და საოცარი შთაბეჭდილებებით ვარ აღსავსე. ძალიან მნიშვნელოვანი ვიზიტი იყო. იმიტომ არა, რომ მასში მე ვმონაწილეობდი, ამ პროექტით სერიოზული თანამშრომლობა დაიწყო იერუსალიმსა და თბილისს შორის და ზოგადად სახელმწიფოებს შორისაც (გარკვეულ საკითხებში). ბიზნესპალატამ ამ საქმეში დიდი როლი ვითამაშეთ. ჩვენთან ერთად, ქართველების დიდი დელეგაცია იყო წამოსული, რომელსაც ფესტივალის ფარგლებში, უზარმაზარი მხარდაჭერა ჰქონდა.

**— რა ფესტივალზე იყავით?**

— ეს გახლავთ იერუსალიმის საერთაშორისო ფესტივალი („ხუცოთ აიოცერ“), რომელმაც სტარტი წელს 34-ედ აიღო. ფესტივალში ყოველწლიურად 35 ქვეყანა მონაწილეობს. მას ისრაელის მუნიციპალიტეტი ატარებს და დაახლოებით, ორი კვირის განმავლობაში, 100000 ადამიანი ესწრება. ფესტივალი ძველი ქალაქის ტერიტორიაზე, რომელსაც „სულთანს ფულს“ (სულთნის აუზი) უწოდებენ, იქ მიმდინარეობს. უზარმაზარი, გაშლილი ტერიტორიაა (თეატრონის მსგავსი, რამდენიმე სცენით), რომელიც მთლიანად ხალხით ივსება. ფესტივალის განმავლობაში იქ მაყურებლის ნაკადი არ წყდება. გარდა მთელი ისრაელისა, მას დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებიც ესწრებიან, რადგანაც ქვეყნის მასშტაბით დიდი რეკლამა კეთდება. ეწყობა ხელით ნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვაც. ტურიზმის დეპარტამენტის წარმომადგენლებიც წავიყვანეთ, რომელთაც წამოღებული ჰქონდათ ბუკლეტები საქართველოზე, ასევე ჩვენთან ერთად იყო ორი ხელოვანი: ერთმა — ტიხრულ მინანქარში საკუთარი ნამუშევრები გამოფინა, მეორემ — კერამიკული. ჩემი 5 სოლო კონცერტიც ამ ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა, მათ შორის ერთი (ყველაზე გრანდიოზული) ისრაელის ცნობილ მომღერალ შლომი შაბათთან ერთად. კონკრეტულად იმ კონცერტს 20000 კაცი დაესწრო. ჩვენ დუეტში ვმღეროდით. მან საშუალება და უფლება მომცა, რომ მასთან ერთად მისი სიმღერა (სავიზიტო ბარათი) „ლექოლ ეხად“ მემღერა. ეს ჩემთვის საოცრად საპასუხისმგებლო მისია იყო. როგორც კი დავიწყე სიმღერა, მაშინვე 20000 კაცი ჩემთან ერთად ამღერდა. გარდა იმისა, რომ დუეტი ვიმღერეთ და შესანიშნავი მუსიკალური ნომერი გამოგვივიდა, შაბათმა პუბლიკას შესანიშნავად წარუდგინა საქართველო და მეც. იმის მერე ყველა, საქართველოს სტენდთან მოდიოდა და კარგა ხანს ჩერდებოდა. სერიოზული რეკლამა გაგვიკეთა. ასე რომ, ძალიან წარმატებული ვიზიტი გახლდათ.

**— სოლო კონცერტზე სხვა რა სიმღერები შეასრულე?**

— საათნახევრიანი პროგრამა მქონდა: იყო ჯაზური კომპოზიციები, ჩემი რეპერტუარიდან რამდენიმე ახალი სიმღერა და შაბათთან ერთად შესრულებული ებრაული სიმღერები.

**— რეპერტუარი რამდენ ხანში მოამზადე?**

— ფაქტობრივად, მანამდე მოთელვა-კონცერტი ბენდ „სპილოსთან“, მარტში მქონდა. იმ პროგრამიდან რაღაცები დავტოვე და ახალი ნამუშევრებიც დავამატე. მერე, როდესაც უკვე ისრაელში წასვლა გადაწყდა, ორი თვის განმავლობაში ინტენსიურ რეპეტიციებს გავდიოდი. ბენდის წევრებმაც კონცერტებზე არაჩვეულებრივად წარმოაჩინეს საკუთარი ხელოვნება. აღსანიშნავია, რომ გაისად კიდევ მიგვიწვიეს ფესტივალზე. ამ ყველაფრის თავიდათავი ისრაელის ბიზნესპალატა გახლდათ და მუსიკის პარალელურად, ბევრი სფერო საკმაოდ მაღალ დონეზე იქნა წარმოდგენილი.

**— მაგიდაზე გვიდევს ისრაელის პრესა, სადაც ივრითზე შენ შესახებ რაღაც წერია. იქნებ მითხრა, რას წერს იქაური პრესა?**

— პირველი კონცერტის შემდეგ, მეორე დღესვე დაიბეჭდა სტატია სათაურით: „ქართული მუსიკალური ჯგუფი, რომელიც მღერის ლენონს“, რაც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

**— ლენონის სიმღერა შეასრულე?**

— კი, „იმეჯი“... მანამდე კი მას ასეთი წარდგენა გავუკეთე: ყველამ იცით, ამ სიმღერის პაციფისტური ტექსტი, ამიტომ ქვეყნებს შორის მეგობრულ ურთიერთობას, სიკეთეს, ურთიერთგატანას დიდი მნიშვნელობა აქვს; ეს საჭიროა, როგორც საქართველოსთვის, ასევე ისრაელისთვის-მეთქი. თან ერთერთი კონცერტი ჩვენს დაღუპულ ჯარისკაცებს მივუძღვენი, რადგანაც ერთი წელი გავიდა იმ საშინელი ომის კოშმარისგან. მათაც შესანიშნავად იციან, რას ნიშნავს ომი, რადგანაც მუდმივად ომის საშიშროების წინაშე არიან და მშვიდობის ფასიც იციან. სცენა საქართველოს დროშებით მოვრთეთ (მანამდე — საქართველოს საელჩო) ასე რომ, ერთი კონცერტი ზოგადად მშვიდობას მივუძღვენი, რამაც საოცარი რეზონანსი გამოიწვია, ადამიანებზე სხვანაირად იმოქმედა და პრესაშიც დადებითი რეცენზიები გაჩნდა.

**— მოკლედ, ორ სერიოზულ საქმეს ხარ შეჭიდებული — ორი ბატონის მსახურივით ხარ. ერთი მუსიკაა, მეორე — ბიზნესი. როგორ ართმევ თავს?**

— ბიზნესი როგორ გამომდის, ამის შესახებ ჩემს პარტნიორებსა და თანამშრომლებს უნდა ჰკითხო. საერთოდ, რაც უფრო მეტად არის ადამიანი დაკავებული, მით მეტად ასწრებს ბევრ საქმეს. და თუ მონდომებულიც არის, მთლად უკეთესი; ისეთი მონდომებული და „ტრუდაგოლიკი“ ვარ, რომ ხომ ხედავ, ასე გვიან, თითქმის 9 საათი ხდება და შაბათს ჯერ კიდევ სამსახურში ვარ. მაგრამ რა ვქნა, როცა საქმეს სჭირდება?!

**— მუსიკისთვის როდისღა იცლი?**

— ქართულ მუსიკალურ სცენაზე დღეს მაინცდამაინც არაფერი ხდება, არ არის ყოველდღიური კონცერტები... სამსახურშიც ხელს მიწყობენ. გარდა იმისა, რომ კომპანიაში უამრავი საქმის კეთება მიწევს, მათ შორის პიარსაკითხებსაც ვკურირებ, ჩემი კომპანიის სახეც ვარ. ბევრ რაღაცას ჩემი მუსიკალური მოღვაწეობის შედეგადაც ვაღწევ. საერთოდ, მიღებული პრაქტიკაა, რომ ცნობილ კომპანიებთან პიარის კუთხით ცნობილი ადამიანები მუშაობენ. როდესაც კომპანიას უფრო ვჭირდები ან კონკრეტულად დიდი პროექტი მაქვს გასაკეთებელი, მაშინ მუსიკისთვის ვერ ვიცლი. მაგრამ იმისთვის, რომ ვოკალურად სულ ფორმაში ვიყო, ვოკალის გაკვეთილებს ინტენსიურად გავდივარ — დღეში მინიმუმ ერთი საათი, რადგანაც ჩემს მუსიკალურ აზროვნებაში მთლიანად გამორიცხულია ფონოგრამა.

**— საქმიანი ქალი ხარ, ბიზნესვუმენი, ამასთან სასიამოვნო გარეგნობის; გათხოვებაზე არ ფიქრობ?**

— ამ მიმართულებითაც ვიზამ რამეს (*იცინის*), მაგრამ ამას მხოლოდ მე არ ვწყვეტ...

**— ია, კიდევ რისთვის გრჩება დრო?**

— მოგზაურობისთვის. ეს ჩემი სუსტი წერტილია. ვამბობ, რომ ვარ საშინე-



ისრაელის ცნობილ მომღერალ შლომი შაბათთან ერთად

ლი მაწანწალა. ორ თვეში ერთხელ თუ ქვეყნიდან არ გავედი, მართლა საშინელი უგუნებობა მეწყება. შეიძლება ითქვას, რომ ენერგიას მოგზაურობით ვიღებ. „პაეზდკიდან" დადებითად დამუხტული, იდეებით დახუნძლული ვბრუნდები. მაგრამ იმის გამო, რომ მუდმივად ინფორმაციის განახლება მჭირდება, უცხოეთშიც რომ ვარ, ვერ ვდუნდები, მაინც საქმიანი თვალით ვუყურებ ირგვლივ ყველაფერს... მაქსიმალურად ვცდილობ, რომ ყველა ფაქტისა და მოვლენის შესახებ მეტი და მეტი გავიგო. საერთოდ, პასიური დასვენება ჩემს შემთხვევაში გამორიცხულია.

**— მართლაც, დასვენების როგორი სტილი გაქვს?**

— ხანდახან მიკვირს, როგორ ვახერხებ ამდენი საქმის კეთებას. ისრაელში 5 დღის განმავლობაში საათნახევრიანი კონცერტები მქონდა, თან — რეპეტიციები კონცერტამდე, იქვე საქმიანი შეხვედრები, მოლაპარაკებები გარკვეულ წრეებთან, ექსკურსიები... მაგრამ თითქოს არ დავღლილვარ. დიდად მჭამელიც არ ვარ, რომ ენერგიას ამ სახით ვინაზღაურებდე. მეხუმრებიან, ფოტოსინთეზით ხომ არ მუშაობ (*იცინის*)?.. უკვირთ, საიდან იღებ ენერგიასო?! როდესაც სიჩუმე მსიამოვნებს, მაშინ ვხვდები, რომ გადავიღალე. ახლა მეკითხებიან, შვებულებაში არ მიდიხარო? ვპასუხობ, რომ არ მინდა შვებულებაში წასვლა.

**— ალბათ, წლის განმავლობაში, უცხოეთში ხშირი გასვლა რომ გაქვს, ამით ინაზღაურებ. სად იყავი წელს სამოგზაუროდ და ეს ენერგია სად დააგროვე?**

— ორჯერ გახლდით გერმანიაში, გასულ ნოემბერს — საფრანგეთში ვიყავი, მერე ისრაელში და კიდევ სადღაც, ვეღარ ვიხსენებ,...

**— საქართველოში სად ისვენებ ხოლმე?**

— შეიძლება, ანტირეკლამა გამომივიდეს, მაგრამ საქართველოში ზღვაზე დასვენება არ გამომდის. არადა, ყოველთვის არ გაქვს იმის საშუალება, ისეთ კუნძულზე წახვიდე, სადაც შენ გარდა არავინ იქნება. ჩემს მეგობარს მთიან აჭარაში სახლი აქვს, რომელიც ზღვას გადაჰყურებს. შეიძლება, იქ ერთი კვირა ისე ვიყო, რომ ზღვის ნაპირზე საერთოდ არ ჩავიდე. თავს მთაში შესანიშნავად ვგრძნობ, მაგრამ იქაც სამ დღეზე მეტხანს ვერ ვძლებ, მალე მბეზრდება. დასასვენებლად რომ წავსულვარ, რამდენჯერ მითქვამს — გადავაგდებ ტელეფონს, კომპიუტერს-მეთქი, მაგრამ ტექნიკას მაინც ვერ ველევი. სამი დღის შემდეგ, ხომ გითხარი, უკვე საქმის კეთების სურვილი მიჩნდება.

**— რომელიმე ზაფხულს ხომ არ გაიხსენებდი?**

— შარშანდელი ზაფხული მახსენდება: პირველივე დღეს, როდესაც ომის შემდეგ დასავლეთის გზა გაიხსნა, ჩემი დაზაფრული და „დასტრესილი" სამეგობრო აჭარაში წავედით. სასაცილო ის იყო, რომ სულ წვიმდა და გონიოში მხოლოდ მე და ჩემი სამი მეგობარი ვიყავით, ასევე ის ადამიანები, ვინც იქ ომის პერიოდში შემორჩა. იმას თუ დასვენება ერქვა, არ ვიცი... ამრიგად, დასვენება, ფაქტობრივად, არ გამომდის.

**— ქვეყნებიდან, რომლებშიც ყოფილხარ, რომელია შენთვის ყველაზე ახლობელი?**

— ვამბობ, ალბათ წინა ცხოვრებაში ფრანგი ვიყავი-მეთქი. როგორც საფრანგეთში ვგრძნობ შინაგანად თავს, ისე არც ერთ ქვეყანაში. მსოფლიოში, საქართველოს გარდა, რომელი ქვეყანაც შეიძლება, მომენატროს ან დამესიზმროს, ეს საფრანგეთია! არადა, უცნაურია, საფრანგეთში მხოლოდ პარიზში ვარ ნამყოფი, მაგრამ ჩემთვის იმ საოცარი ემოციებისთვის საკმარისია. თვითმფრინავის ტრაპიდან როგორც კი ფეხს საფრანგეთის მიწაზე დავდგამ, თითქოს მიწაზე კი არა, ოცნებების სამყაროში ვინაცვლებ. რაღაც გაუცნობიერებელი განცდა მეუფლება ხოლმე.

*ამ საუბარში ვიყავით, რომ ოთახში საქართველო-ისრაელის ბიზნესპალატის ხელმძღვანელი —* ***ICIK MOŠE*** *შემოვიდა, რომელსაც რამდენიმე კითხვით მივმართე.*

**— კმაყოფილი ხართ ისრაელში იას გასტროლით?**

— ჩვენი კომპანიის მიზანია, ურთიერთობების აწყობა შევძლოთ ნებისმიერი სფეროს ადამიანებთან. ბოლო დროს ნელ-ნელა გვარდება ის საკითხი, რომ საქართველოსა და ისრაელს შორის, ერთი და იმავე სფეროს ადამიანები ურთიერთობებს ამყარებენ. ჩვენი ბოლო ვიზიტი ისრაელში საქართველოს კულტურისა და ტურიზმის წარდგენას ემსახურებოდა. იას კონცერტები კი გახლდათ ცენტრალური ღონისძიება. მიმაჩნია, რომ ია განსაკუთრებული შემთხვევაა. თუ ისრაელსა და საფრანგეთში საქართველოდან ვინმეზე შეუძლიათ თქვან, საიმედო პარტნიორიაო, ამის თქმა თამამად იაზე შეიძლება. ეს გადაჭარბება კი არა, სიმართლეა. მომღერალიც ხომ არაჩვეულებრივია, მაგრამ უკეთესი ბიზნესვუმენია. მას ისრაელელ ბიზნესმენებთან მუშაობის დიდი გამოცდილება დაუგროვდა. ეს მისი გამარჯვებაა! ისრაელთან ჯერ რეალურად საქართველოს ბიზნესი არ დაუწყია. ამ მიმართულებით ორივე ქვეყანას უდიდესი პოტენციალი აქვს. ამიტომ, შეიძლება, დღეიდან, 5 წელიწადში, ია იყოს კვლავაც წარმატებული მომღერალი, მაგრამ დაბეჯითებით გეტყვით, რომ ერთ-ერთი წარმატებული ქალი იქნება ბიზნესში. ამასთან, საქართველოში, ერთ-ერთი ფანტასტიკური ბუტიკ-სასტუმროს მფლობელიც. ის იმგვარი სასტუმრო იქნება, რომელიც მომავალში საქართველოს სახედ იქცევა.

**— რას ამბობთ?!**

— დიახ, ია ამას მის ებრაელ და ფრანგ პარტნიორებთან ერთად მიაღწევს. ასე რომ, დაიმახსოვრეთ, ორ წელიწადში ყველაფერი გამოვლინდება. თბილისში, ყველაზე კარგ ადგილას, ყველაზე კარგი პარტნიორებით (ფრანგები და ებრაელები, რომლებმაც თავად აირჩიეს იასთან ურთიერთობა), მაგარი პროექტი დაიწყება. ეს ყველაზე ძვირად ღირებული სასტუმრო, ქალაქის ყველაზე ლამაზ ადგილას აიგება. მის დიზაინზე საერთაშორისო კონკურსი გამოცხადდება. ამ სასტუმროს რესტორანში იას პარტნიორი ჟერარ დეპარდიეა... იასთან პირველი შეხვედრის შემდეგ გამოჩნდა, რომ მას აქვს ნიჭი დიპლომატიაში, მენეჯმენტში, ბიზნესში. მან კარგად იცის ისრაელის ბიზნესკულტურა, რაც აუცილებელი პირობაა, რომ ისრაელთან კავშირები გაამყაროს. რაც შეეხება ამ კონცერტს, ეს იყო საქართველოსა და ისრაელს შორის ურთიერთობების კულმინაცია, ვინაიდან იას, ისრაელის მხრიდანაც წამყვანი მომღერალი დაუდგა გვერდით. ამასთან, მნიშვნელოვანი ძვრები საქმიან ურთიერთობებშიც მოხდა, მზადდება კავშირი ისრაელის ყველაზე დიდ საბითუმო კომპანიასა და იას კომპანიას შორის, რაც საქართველოში ტურიზმის სფეროში დიდი ნახტომი იქნება. ყველაფერი კი, რაც მოხდა იერუსალიმში, ჩვენი ოცწლიანი პრაქტიკის წარმატებული შედეგია, რაც ბევრს გაუხსნის გზას წარმატებისკენ. ■



იას პარტნიორი ჟერარ დეპარდიეა...

# „შსს-ს სადღეგრძელო სკამზე ასულმა დავლიე“



## ზალიკო ბერგერის ბოჰემური ცხოვრება

***ხალისიანი, იუმორით სავსე, კონტაქტური, ზარმაცი — ასე შეიძლება, რამდენიმე სიტყვით დიზაინერ — ზალიკო ბერგერის დახასიათება. ის იმდენად კონტაქტურია, რომ ტაქსის მძღოლებთან მეგობრობს. ასეთი ხასიათის გამო, დიდად არც დედისერთობას განიცდის. არც იმას დარდობს, წლები რომ მიდის და ჯერ ცოლი არ ჰყავს. უდარდელი დიზაინერი ღამღამობით რესტორნიდან რესტორანში ინაცვლებს, ყოველ საღამოს, 5 საათზე იღვიძებს და დედის მომზადებულ საუზმეს (წესით კი სამხარს) მიირთმევს.***

ნინო მჭედლიშვილი

— მამა ფიზიკოსი, პროფესორი გახლდათ, გეოფიზიკის ინსტიტუტში მუშაობდა. დედა ეკონომისტია, მაგრამ წლების განმავლობაში, გეოლოგიის სამმართველოში იყო დასაქმებული; ახლა კი თელასში მუშაობს. 5 წლამდე ჩემი ბავშვობა არ მახსოვს. საბავშვო ბაღიც ბუნდოვნად მახსენდება. იქ ერთი სიმპათია მყავდა — თეა თორაძე. როცა გავიზარდეთ, რამდენჯერმე შევხვდით ერთმანეთს და ჩვენს მაშინდელ გრძნობებზე ბევრი ვიცინეთ.

— **რატომ არ მოინდომეს შენმა მშობლებმა შენთვის დედმამიშვილი ეჩუქებინათ?**

— არ ვიცი, ერთხელ, მამამ დედას წამოაყვედრა, — შენ მეორე შვილის გაჩენას, ბიჭვინთაში დასვენება გერჩივნაო. ამას რომ ვამბობ, ვიცი, დედა ანათემას გადამცემს, მაგრამ მართლაც ასე იყო.

— **დედისერთას ალბათ მშობლები განებივრებდნენ, არა?**

— ძალიან. რა უნდა მეთხოვა, რომ ჩემთვის არ ეყიდათ. თუმცა, ძალიან მომთხოვნი და წუწუნა ბავშვი ნამდვილად არ ვიყავი. მაღაზიებში არ ვწვებოდი, ამას თუ არ მიყიდით, აქედან არ გამოვალ-მეთქი. გარკვეულ ასაკამდე მოწესრიგებულიც კი მეთქმოდა. ვიცოდი, როდის უნდა მემეცადინა, არავინ მაძალებდა, გინდა თუ არა, წიგნი აიღე ხელში და ისწავლეო. დედაჩემი იხსენებს: ერთხელ, თურმე მეგობრის დაბადების დღეზე წამიყვანა და ტვინი ავუდუღე — სახლში წავიდეთ, სამეცადინო მაქვს-მეთქი. თუმცა ბოლო კლასამდე ხუთოსანი არ ვყოფილვარ. მათემატიკა ორ საგნად — ალგებრად და გეომეტრიად რომ დაიყო, მაშინ „გავიჭედე“; ვერაფერი გავუგე გეომეტრიასა და ალგებრულ ფორმულებს.

— **თანაკლასელები ცუღლუტობდით სკოლაში?**

— ყოველდღე „შატალოზე“ არ დავდიოდით?!. ძალიან კარგი კლასის დამრიგებელი გვყავდა. ჩემი უსაქციელობის გამო, არასდროს დაუბარებია მშობლები სკოლაში.

— **შენი პროფესიის არჩევაში ვინ იქონია გავლენა?**

— თავად გადავწყვიტე, ვინ უნდა გამოვსულიყავი. სკოლა რომ დავამთავრე, კინორეჟისორობაზე ვოცნებობდი (პრინციპში, დიზაინერსაც აქვს გარკვეული კავშირი რეჟისურასთან, რადგანაც მისი მთელი შოუ ხომ დასადგმელია). პროფესიით ფილოსოფოს-სოციოლოგი გახლავართ. იმ დროს ჟურნალისტიკაზე ჩაბარებაც ძალიან პოპულარული იყო, მაგრამ ბოლოს არჩევანი სოციოლოგიის ფაკულტეტზე შევაჩერე. პირველ კურსზე გახლდით, როცა მოდელიერების კონკურსში მივიღე მონაწილეობა (ავანგარდული მოდის ასამბლეა ტარდებოდა), სადაც გავიმარჯვე. იქ რუსი ჟურნალისტები გავიცანი, რომლებმაც მოსკოვში დამპატიჟეს. იქაც ფესტივალი ტარდებოდა და ასე ნელ-ნელა მოვერგე მოდის სფეროს.

— **მკაცრი ხარ მოდელებთან?**

— თვითონ ამბობენ, რომ ჩვენების დღეს ჩემთან დალაპარაკება არ შეიძლება. ვყვირი ან შეკითხვებზე საერთოდ, არ ვპასუხობ. ჩვენების დღეს ძალიან მკაცრი ვარ, ცხოვრებაში — არა.

— **გასახდელში ამდენი შიშიფად ჩაცმული ლამაზმანის ყურებას როგორ უძლებს შენი გული?**

— ამას უკვე მივეჩვიე, იმდენი ხანია, ამ სფეროში ვმუშაობ. პირიქით, თუ ვინმეს რაიმე კომპლექსი აქვს და იმორცხვებს, მის არაპროფესიონალიზმს მივაწერ ხოლმე და ვუწყრები. თუ არ იხდიან, ხანდახან დავყვირებ კიდეც.

— **როგორი ხასიათი გაქვს?**

— ძალიან კონტაქტური ვარ, ეს თვისება დედისგან გამომყვა, ისიც ასეთია, ადვილად შედის ადამიანებთან კონტაქტში. ადვილად ვიძენ მეგობრებს. იმის გამო, რომ მანქანა არ მყავს და ხშირად ტაქსით ვმგზავრობ, მძღოლებთან ვმეგობრობ (*იღიმის*). თუ სადმე კლუბში ან რესტორანში ვარ, არც იქ მიჭირს საუბრის დაწყება უცხოებთან. ქართველებს იუმორის გრძნობა გვაქვს მოზღვავებული, ამ გრძნობას მეც არ ვუჩივი, რაც კლიენტებთან ურთიერთობაშიც ძალიან მადგება.

— **ზარმაცი ხომ არ ხარ?**

— ძალიან. დავიწყოთ იმით, რომ დილით ადრე გაღვიძება მიჭირს, ჩემი დილა საღამოს 5 საათისთვის იწყება... როცა რაიმე საქმეს მოვკიდებ ხელს, იმის ნებისყოფა მაქვს, რომ სიზარმაცე გვერდზე გადავდო, მაგრამ საქმემდე მისვლა მიჭირს. საქმე



თამადაც არაერთხელ ვყოფილვარ

მეორე დღისთვისაც გადამიდვია. ისიც ვიცი, გადადებული საქმე ეშმაკის რომ არის, მაგრამ... საშინლად არაპუნქტუალური ვარ...

**— რა მოგწონს შენს ხასიათში და რა — არა?**

— ვფიქრობ, უშუალობა კარგიც არის და ცუდიც.

**— ცუდი რატომ არის?**

— ქართულ შოუბიზნესში ცოტა ცხვირი თუ არ გაქვს აწეული, ფონს ვერ გახვალ. არადა, მსოფლიოს ცნობილ ვარსკვლავებს შევხვედრივარ და ყველა ძალიან უშუალო და უბრალოა ურთიერთობაში... არ მომწონს სიზარმაცე, თუ ვიღაცამ არ „დამქოქა“, საქმეს ვერ ვიწყებ. კარგი მენეჯერის პოვნა საქართველოში ძალიან ძნელია. არადა, უფრო მეტად პროდუქტიული შემიძლია ვიყო, ვიდრე ვარ.


გარიგება არ მიყვარს, აი, ეს გოგოა და აბა, ნახე, იქნებ მოგეწონოსო

**— ზალიკო, ცოლი რატომ არ მოგყავს?**

— ამაზე დიდად არ დავფიქრებულვარ; რაღაც არ ვჩქარობ. ჩემი ცხოვრების წესიდან გამომდინარე, ეს თემა დღის წესრიგში აქტუალურად არ დამდგარა.

**— არც დედა ჩქარობს?**

— რომ გითხრა, ძალიან ბურღავს ტვინს-მეთქი, მოგატყუებ. თუმცა სურვილი აქვს, შვილიშვილი ჰყავდეს; ფიქრობს, რომ დროა, ცოლი მოვიყვანო, მაგრამ არ ვჩქარობ. ოჯახი დიდი პასუხისმგებლობაა და ამას სერიოზულად უნდა მოეკიდო.

**— მერე, რა გიშლის ხელს?**

— როგორ გითხრა, გარიგება არ მიყვარს, აი, ეს გოგოა და აბა, ნახე, იქნებ მოგეწონოსო; ცოლს ასე ვერ მოვიყვან. სიყვარული თავისით უნდა მოვიდეს...

**— არასდროს გყვარებია?**

— როგორ არა, მაგრამ იმედგაცრუებაც ბევრჯერ მიგემია.

**— შენ მიდიხარ ხოლმე თუ ისინი გტოვებენ?**

— ხან — ასე და ხან — ისე. უფრო — მე.

**— რატომ?**

— ერთი და იგივე ადამიანი მალე მბეზრდება, ზოგი ნაკლებად საინტერესოა...

**— დედმამიშვილი რომ არ გყავს, ამას არ განიცდი?**

— სამაგიეროდ, არაჩვეულებრივი ნათესავები მყავს: ზურა ხაჩიძე ჩემი დეიდაშვილია... კიდევ, არაჩვეულებრივი მეგობრები მყავს. 2 ძმობილი მყავს, რომლის გვარებს ვერ დავასახელებ, ბიზნესმენები არიან. დაც მყავს უმცროსი — ნინო ორდენიძე. მის ოჯახშიც მიღებული ვარ, ძალიან ვუყვარვარ ყველას. ასე რომ, საერთოდ, ვერ ვგრძნობ მარტოობას.

**— რა პროფესიის არ უნდა იყოს შენი მეორე ნახევარი?**

— ვერც ამას გეტყვი. არ ვარ ამ მხრივ პრეტენზიული. იყოს თუნდაც მოდელი, თუმცა აუცილებლად უნდა ჰქონდეს სხვა პროფესიაც. მოდელობას თავისი ასაკი აქვს და დრო რომ გავა, ქალი უფუნქციოდ არ უნდა დარჩეს.

**— როგორ გგონია, კარგი ქმარი იქნები?**

— უშუალო, მომთხოვნი, გულწრფელი. ტყუილი არ შემიძლია, ძალიანაც რომ მინდოდეს, ვერ ვიტყუები. ამიტომ, ალბათ ერთგული ვიქნები.

**— სახლში დაღლილი რომ მიხვალ და სადილი მომზადებული არ დაგხვდეს, რას იზამ?**

— ცოლს ვეტყვი, რომ სასწრაფოდ მოამზადოს რამე. ძალიან განებივრებული ვარ ამ მხრივ. როცა ვიღვიძებ, დედას მზად აქვს საუზმე. ჯერ ვსაუზმობ და მერე ვსვამ ყავას. ასე რომ, უყურადღებობას ვერ ავიტან. მეუღლემ დაუთოებული პერანგიც უნდა მომაწოდოს. თუმცა ეს ყველაფერი არ გამორიცხავს იმას, რომ ისიც მუშაობდეს. თუ ორსულად არ არის, უნდა მუშაობდეს. მიმაჩნია, რომ ქალი დასაქმებული უნდა იყოს, ჰყავდეს თავისი სამეგობრო წრე, მე ხომ ადამიანებთან ურთიერთობაზე ვგიჟდები. ასე რომ, რაც მეტი ნაცნობი მეყოლება, თუნდაც მისი მხრიდან, მით უკეთესი.

**— როგორია მთვრალი ზალიკო?**

— უფრო კონტაქტური, სადღეგრძელოებიც კარგად გამომდის. თამადაც არაერთხელ ვყოფილვარ. ერთხელ ნინო ორდენიძის დაბადების დღეზე ვიყავი თამადა. ზესტაფონში, ერთ-ერთი ჩვენების მერე, ჩვენს პატივსაცემად გამართულ სუფრაზეც ვითამადე. უნდა ვახსენო, რომ ჩოხოსნები მყავს მეგობრები, ტრადიციული ქართველი მამაკაცები. ერთხელ, მათთან ერთად ერთ-ერთ წვეულებაზე ვიყავი, თავს ხომ არ შევირცხვენდი? იმდენივე დავლიე, რამდენიც — მათ. ასე რომ, ასეთი მამაკაცებიც დამითვრია.

**— მთვრალი საწოლს ეძებ თუ სხვა საზოგადოებას, მორიგი დროს სატარებლად?**

— არა, რა საწოლს! აუცილებლად ვიპოვი ადგილს, სადაც ვიღაც ჩემიანი სვამს და ასე გადავდივარ რესტორნიდან რესტორანში... მერე მოდიან ჟურნალისტები და მეკითხებიან, რატომ გძინავს 5 საათამდეო (*იცინის*)... სიმღერა არ მეხერხება, თუ ბევრი დავლიე, დიდი-დიდი, ვიცეკვო, მაგრამ არა მაგიდაზე. სადღეგრძელოები სკამზე ასულსაც დამილევია, მართლა, კი არ ვხუმრობ. სკამზე ასულმა შინაგან საქმეთა სამინისტროს სადღეგრძელო დავლიე (*იცინის*).

**— როდის ბრაზდები?**

— როცა მშია, როცა მაღვიძებენ. საცოდავი ის ადამიანი, ვინც გამაღვიძებს. ერთხელ, სოფო ჭყონიასთან ვმუშაობდი, ჩვენება მქონდა „მეტეხში“, სოფოს მენეჯერმა გამაღვიძა. არადა, ის ბიჭი მე მივიყვანე სოფოსთან სამუშაოდ. თან სულ დათვლილი მქონდა წუთები, სადამდე უნდა გამომეძინა, ვიცოდი, წინ დაძაბული დღე მელოდა. ის ბიჭი ისეთი სიტყვებით გავლანძღე, დღემდე არ ველაპარაკები.


ქეთა თოფურიასთან ერთად

**— როგორი იქნება ზალიკო ბერგერის ცხოვრება — 20 წლის მერე?**

— რა ვიცი, სურვილი მაქვს, რომ ასაკი ძალიან არ დამეტყოს. ასეც იქნება ალბათ, ხასიათი ისეთივე დამრჩება, ხალისიანი და იუმორით სავსე ვიქნები.

# დალურჯებული თვალები და დამფრთხალი თაყვანისმცემლები

# ანუ „რა გოგოს სპორტია მაი?“

**დახედეთ ჩემი 2, ლამაზი, ნაზი და ქალური რესპონდენტის ფოტოს და კარგად დაიმახსოვრეთ მათი სახეები (განსაკუთრებით — მამაკაცებმა). ხომ ჰგვანან მოდელებს? ხომ მიიპყრობენ ნებისმიერი მამაკაცის ყურადღებას?! ჰოოდა, არაფერი შეგეშალოთ, ბატონებო! თითოეულს 25 კაცის ერთდროულად გალახვა თვალის დახამხამებაში შეუძლია (ერთად — 50-ის). გეცინებათ? წაიკითხეთ მათი ინტერვიუ და მიხვდებით, რომ თუ ქუჩაში შემთხვევით სადმე გადააწყდით, თავი შორს უნდა დაიჭიროთ. წარმოგიდგენთ მსოფლიო ჩემპიონებს კარატე-შოტოკანში — თათია მელუასა და ნანა დარასელიას.**

*მარი ჯაფარიძე*




**თათია:**

— 22 წლის ვარ. 7 წლის ვიყავი, როდესაც კარატეზე შევედი და უკვე 15 წელია, ინტენსიურად ვვარჯიშობ.

**— ეს შენი სურვილი იყო?**

— არა, 7 წლის ასაკში მშობლები შვილის სურვილს ალბათ ნაკლებად გაითვალისწინებენ. ჯერ ჩემი ძმა და ჩვენი ბავშვობის მეგობარი ბიჭი შეიყვანეს, მერე — მეც. ბიჭებმა მალევე დაანებეს თავი ვარჯიშს, მე კი აქამდე შემოვრჩი.

**— პირველი გამარჯვება როდის იზეიმე?**

— 12 წლის ასაკში. გორში საქართველოს ჩემპიონატი ჩატარდა. მასში მეც ვმონაწილეობდი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ერთადერთი გოგო ვიყავი და ამიტომ, ბიჭებთან მომიხდა ჩხუბი. როგორც მითხრეს, 1 წლით ჩემზე პატარებს შემახვედრეს. პირველ ადგილზე გავედი და ქოლგით დამაჯილდოეს. ეს ქოლგა დღემდე შენახული მაქვს. სულ ახლახან „ოდნოკლასნიკებში“ ის ბიჭი ვნახე, რომელსაც მაშინ ფინალში მოვუგე და აღმოჩნდა, რომ თურმე ჩემზე უფროსი ყოფილა. პირველი სერიოზული გამარჯვება კი 14 წლის ასაკში მოვიპოვე. საქართველოში ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატი და სწორედ იქ ავიღე ოქროს მედალი. ამის მერე ორჯერ ევროპის ჩემპიონატი მოვიგე, სამჯერ — მსოფლიო ჩემპიონატი.

**— რა არის საჭირო იმისთვის, რომ გოგომ სპორტის ამ სახეობაში ასეთ წარმატებას მიაღწიოს?**

— შრომისმოყვარეობა, ნებისყოფა, ნიჭი, აზარტი. ყოფილა ისეთი შემთხვევაც, რომ ჩემზე სუსტ სპორტსმენთან წამიგია. სპორტია და ყველაფერი ხდება.

**— ასეთი ნაზები და ქალურები ხართ, სინამდვილეში კი 25 კაცს თავისუფლად მოერევით, არა?**

— ჩვენ ეროვნებით აზერბაიჯანელი მწვრთნელი გვყავს — ჰიდაეტ შაბანოვი. ის სულ გვეუბნება და გვაფრთხილებს: სპორტი — სპორტია, ვარჯიში — ვარჯიში, მაგრამ პირველ რიგში, უნდა გახსოვდეთ, რომ გოგონები ხართ და სავარჯიშო დარბაზის გარეთ ნამდვილი ქალებივით უნდა გამოიყურებოდეთ, მოწესრიგებულები და ნაზები უნდა იყოთ; რომ შევნიშნო, კაცური ქცევები გაქვთ და მამაკაცებივით იცვამთ, არ გაპატიებთო. თუ სხვა გოგონებს ეპატიებათ, ვთქვათ, უხეში საქციელი ან ბიჭური ქმედება, ჩვენ უფრო არ გვაპატიებენ, მაშინვე გვსაყვედურობენ, — აი, კარატე რას გიშვრებათ, ქალის სახე გაქვთ დაკარგულიო!..

**ნანა:**

— მე, თათიასთან შედარებით, ცოტათი გვიან შევედი კარატეზე. დიდი ხნის განმავლობაში ვთხოვდი მშობლებს, მაგრამ ცეკვაზე შემიყვანეს. 7 წლის წინ მშობლებისგან მალულად შევედი კარატეზე და კარგა ხანს არც კი იცოდნენ, რომ ვვარჯიშობდი. მერე დედაჩემი ერთ-ერთ შეჯიბრებაზე დავპატიჟე. ვუთხარი, — ისე წამოდი, ნახე, როგორი სპორტია-მეთქი, — და მონაწილეებს შორის რომ დამინახა, გაოცდა. მაშინ ერთ-ერთი საპრიზო ადგილი დავიკავე და იმის მერე აღარ დაუშლია. პირიქით, მხარსაც კი მიჭერდა. თან ფიქრობდა, სკოლას რომ დაამთავრებს, გონს მოეგება და თავისით დაანებებს თავსო, მაგრამ დარწმუნდა, რომ ეს, ჩემი გატაცება კი არა, უკვე პროფესიაა.

**— რა პერსპექტივა გაქვთ, როგორც კარატისტებს?**

— სახელმწიფოსგან არანაირი დაფინანსება არ გვაქვს. სპორტის ამ სახეობას ჩვენს ქვეყანაში ყურადღება არ ექცევა. ჩვენი კლუბი, „ალიგატორი“ ზრუნავს ჩვენზე და გვაფინანსებს. შეჯიბრებაზე გასამგზავრებელ თანხას ისინი გვიხდიან და მოგების შემთხვევაში პრემიებსაც გვაძლევენ. სხვა ქვეყნებში საკითხი სხვაგვარადაა დაყენებული. აგერ, ჩვენს მეზობელ თურქეთში წელიწადში 3 მილიონი დოლარია გამოყოფილი კარატეს ფედერაციისთვის, სხვა ქვეყნებში — უფრო მეტი. პერსპექტივა კი ისაა, რომ სანამ ასაკი საშუალებას მოგვცემს, ვივარჯიშებთ. მერე ვეტერანები გავხდებით და ეგაა. ბევრმა საქართველო დატოვა და სხვა ქვეყანაში წავიდა, მაგრამ ჩვენ არ ვჩქარობთ და არც სურვილი გვაქვს, რადგან თუ ქვეყანას დატოვებ, მერე, როგორც უნდა შეიცვალოს სიტუაცია, უკან ველარ დაბრუნდები და საქართველოს სახელით, საასპარეზოდ ველარ გამოხვალ. ჩვენ კი გვინდა, რომ გამარჯვების შემთხვევაში, ჩვენი ჰიმნი ისმოდეს და ჩვენი დროშა ფრიალებდეს ჩვენს ზურგს უკან.

**— გარდა კარატესი, კიდევ რას საქმიანობთ?**

**თათია:**

— მე უკვე დავამთავრე აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი, იაპონური ენის ფაკულტეტი. იაპონურს საკმაოდ

სრულყოფილად ვფლობ.

**ნანა:**

— მე ჯერ კიდევ ვსწავლობ აგრარულ უნივერსიტეტში, ეკონომიკის ფაკულტეტზე.

— **საინტერესოა, მტკივნეულია ჩხუბის დროს მოყენებული დარტყმები? ალბათ სილურჯეები ხშირად გაქვთ სხეულზე.**

**თათია:**

— რა თქმა უნდა, ძალზე მტკივნეულია. ქალებისთვის არსებობს სპეციალური სამკერდულები, რომლებიც ბრძოლის დროს უნდა გეკეთოს. ისე კი, თუ მოწინააღმდეგის ხელი ან ფეხი მოგხვდა, აუცილებლად დაგილურჯდება. მახსოვს, ერთხელ შეჯიბრების შემდეგ სკოლაში თვალდალურჯებული, სათვალით მივედი. მასწავლებელმა სათვალის მოხსნა მომთხოვა. რას ვიზამდი? ჩემი ჩალურჯებული თვალის დანახვაზე გაგიჟდა და მეჩხუბა: გოგო ხარ თუ ბიჭი, რა გინდა ამ კარატეზე, რომ დადიხარ, სარკეში ჩაიხედე, რას ჰგავხარო!

— **საპირისპირო სქესის წარმომადგენლებს რა რეაქცია აქვთ ხოლმე, როცა შეიტყობენ, რომ კარატისტები ხართ?**

— ერთხელ მე და ჩემი 2 დაქალი დაბადების დღეზე ვიყავით. იქ ბევრი ისეთი ადამიანი იყო, ვისაც არ ვიცნობდი. სტუმრებს შორის ხმა გავარდა, რომ ერთ-ერთი გოგო კარატისტი იყო, მაგრამ რომელი — ეს ვერ გაიგეს. ჩემი ერთ-ერთი დაქალი ცოტა „ჩადგმული“ გოგოა და ყველას ის ეგონა. ჩემზე არც არავის უფიქრია, ვინაიდან ყველას წარმოუდგენია, რომ კარატისტი აუცილებლად დაკუნთული, სპორტული აღნაგობის უნდა იყოს. გოგონებიც სარგებლობდნენ შემთხვევით და ყველა იბრალებდა, — მე ვარ კარატისტიო. ერთ-ერთმა სტუმარმა ბიჭმა ჩემს მეგობარ გოგოსთან, რომელიც ჩემ გვერდით იჯდა, გახუმრება გადაწყვიტა და წამორტყმა უნდოდა. ამ დროს ინსტინქტურად, მკვეთრი მოძრაობა გავაკეთე და წამოსარტყმელად გამზადებული ხელი დავუჭირე. მაშინ მიხვდნენ, რომ კარატისტი მე ვარ. ერთხელ, ფილარმონიასთან რომ შადრევანია, იქ გავიარე. ზაფხული იყო და 4 ბიჭი ამეკიდა. გახუმრება გადაწყვიტეს და ჩემი წყალში ჩაგდება მოიწადინეს. ერთს ისეთი შემოვარტყი, იქვე დავაგდე, მეორემ მკლავში ჩამჭიდა ხელი და ამის გამო კუნთი დამეჭიმა. გაგიჟდა, გაქვავებული კუნთი რომ შერჩა ხელში, უცებ გამიშვა. მეგობარი წამოაყენეს და თქვეს, — გიჟია, ვიღაცაა, გავეცალოთო.



ოდესაში ფანებმა პატარა ნიანგი მოგვიყვანეს

— **თქვენი პროფესია თავდაჯერებულობას გმატებთ, ალბათ...**

— 3 წლის წინ ახლობელმა ბიჭმა მომიტაცა. ისე ჩავჯექი მანქანაში, რომ არ ვიცოდი, მოტაცებას თუ მიპირებდა. არც მინერვიულია, ისე მოვახერხე, რომ სიმშვიდე შემენარჩუნებინა, ტელეფონი მოვპარე და მამაჩემს დავუკავშირდი. იმავე დღეს დავბრუნდი შინ. თავდაჯერებული რომ არ ვყოფილიყავი, ალბათ პანიკაში ჩავვარდებოდი და წიოკს ავტეხდი, სხვა გოგონებივით. კიდევ შემიძლია, ერთი შემთხვევა გავიხსენო: ღამის 12 საათზე მაღაზიაში გამგზავნეს. აი, კარატეს ერთი მინუსი — ჩემი უფროსი ძმა სახლშია ხოლმე და გვიან ღამით მაღაზიაში მაინც მე მგზავნიან. რა თქმა უნდა, კარატისტი რომ არ ვიყო, ვინ გამიშვებდა გარეთ ასე გვიან?.. მოკლედ, ჩავედი მაღაზიაში და უკან რომ ვბრუნდებოდი, ასე, 45 წლის მამაკაცი ამეკიდა. არ შემშინებია, რა თქმა უნდა, მშვიდად ვაგრძელებდი გზას. ლიფტში რომ შევედი, შემომყვა. ვიდრე კარი დაიხურებოდა, ფეხით ერთი მოძრაობა გავაკეთე. ჩემმა დარტყმამ ტყვიასავით გააგდო ლიფტიდან და კიბის მოედანზე დაენარცხა. ღილაკს მივაჭირე ხელი და სახლში ავედი. ჩემს ძმას კი საყვედური ვუთხარი: გცხვენოდეს, რომ ასე გვიან გარეთ გამიშვი და ხიფათს გადავეყარე-მეთქი.



ოდესაში ვიყავით, მსოფლიო ჩემპიონატზე

**ნანა:**

— უბნის ბიჭებს ხშირად უთქვამთ, — ჩხუბი გვაქვს და წამოგვყევითო, ან — ამის წაყვანა არ შეიძლება, დახოცავს ყველასო.

— **საინტერესოა, როცა გათხოვებას გადაწყვეტთ, როგორ მოიქცევით? წესით, ყველა ქალს ძლიერი მამაკაცი მოსწონს. თქვენზე ძლიერის მოძებნა, ცოტა არ იყოს, გაგიჭირდებათ... ჩხუბში უნდა გამოცადოთ ალბათ თქვენი რჩეული...**

**თათია:**

— მოვახერხებთ, ალბათ. თუმცა ვფიქრობ, რომ ჩვენი ცხოვრების სტილს ისევ სპორტსმენი თუ შეეგუება.

**ნანა:**

— მე მქონდა შემთხვევა, როცა ერთ ბიჭს მოვეწონე, ცოტა ხნის შემდეგ კი ულტიმატუმი წამიყენა, რომ კარატესთვის თავი დამენებებინა, რადგან ძალიან ბევრს ვვარჯიშობ-

დი და დრო აღარაფრისთვის მრჩებოდა. იმ თაყვანისმცემელს მაშინვე დავემშვიდობე, რადგან ურთიერთობის გაგრძელება არ ღირდა.

**თათია:**

— ჩემი კარატისტობის წინააღმდეგი მხოლოდ ჩემი 90 წლის, დიდი ბებიაა — დედაჩემის ბებია (გურული გახლავთ). სულ მეუბნება, — რაი გინდოდა, ბებია, რეიზა იქნევ ფეხებს, რა გოგოს სპორტია მაიო?! როცა ჩემი ჩხუბის ჩანაწერს უყურებენ და დაინახავენ, რომ მოწინააღმდეგემ დამარტყა, სხვა ბებიები ამბობენ: ვაიმე, მოგიკვდა ბებია, როგორ დაგარტყაო! — ის კი ნიშნის მოგებით მეუბნება — ღირსი ხარ, მასთე გინდაო.

**ნანა:**

— ერთხელ მე და თათია მასთან სტუმრად მივედით და როცა გაიგო, რომ მეც კარატისტი ვიყავი, შვებით ამოისუნთქა: უი, ნენა, ვინცხა მეორეც ყოფილა, ფეხებს რომ იქნევს, მე მარტო ჩემი აბდალა შვილიშვილი მეგონა, ახლა კი დავწყნარდი, მარა ამხელა საქართველოში მეორე შენნაირი სად მოძებნეო? — თათიას ჰკითხა.

— **როგორც ვიცი, ახლახან 2 ჩემპიონატი მოიგეთ. მომიყევით თქვენი წარმატებების შესახებ.**

**თათია:**

— ოდესაში ვიყავით, მსოფლიო ჩემპიონატზე. მე ჯერ 55 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოვიგე, მერე — ყველა წონას შორის, ფინალისტებში.

**ნანა:**

— მე მეოთხედფინალამდე მივედი ჩემს წონით კატეგორიაში. შემდეგ ტრავმა მივიღე, ცხვირი გამიტეხეს და შეჯიბრებას გამოვეთიშე.

**თათია:**

— ტრავმა რომ არ მიეღო, დარწმუნებული ვარ, ფინალში აუცილებლად გავიდოდა. ისე, ოდესაში ერთი კურიოზი მოხდა: ჩვენ გუნდურ შეჯიბრებაშიც ვმონაწილეობდით. ამ დროს, წესით, 3 სპორტსმენი მონაწილეობს, ჩვენ ორნი ვიყავით. როდესაც რეგისტრაცია გავიარეთ, არაფერი უთქვამთ. ეგაა, რომ ასეთ დროს, როდესაც გუნდს სპორტსმენი აკლია, წინასწარ 6 ქულა აკლდება. ფინალში გავედით... ერთმანეთს გამარჯვებას ვულოცავდით, როცა გვითხრეს, რომ ასპარეზობიდან მოგვხსნეს. ტატამზე დავსხედით და ძალიან ბევრი ვიტირეთ. მერე რაღაცები შეიცვალა და ისევ დაგვიშვეს. მხოლოდ 1 ქულა დაგვაკლდა და მესამე ადგილზე გავედით. ოდესაში ფანებმა პატარა ნიანგი მოგვიყვანეს. მასთან სურათი გადავიღეთ და უკან დავუბრუნეთ, რადგან აქ წამოყვანას ვერ შევძლებდით... შემდეგ, ათენში გავემგზავრეთ, იქაც მსოფლიო ჩემპიონატი ტარდებოდა. გუნდურში ოქროს მედალი მოვიპოვეთ, მაგრამ ექსცესების გარეშე არც იქ ჩაუვლია. ფინალში იაპონელებს ვხვდებოდით. საქართველოს დროშის ფერებში დამზადებული, თმის სამაგრები გვეკეთა. გვითხრეს, რომ თუ შავ სამაგრებს არ გავიკეთებდით, შეჯიბრებიდან მოგვხსნიდნენ. რა უნდა გვექნა? გამოსავალს ვერ ვპოულობდით. ნახევარფინალში რუმინელ გოგონებს მოვუგეთ და ისევ ისინი დაგვეხმარნენ — მოიხსნეს შავი თმის სამაგრები და გვათხოვეს... მსაჯებს ეგონათ, რომ ფსიქოლოგიურად გაგვტეხდნენ და ბრძოლას წავაგებდით, მაგრამ სინამდვილეში, უფრო გავმწარდით და იაპონელები დავამარცხეთ. მათ მწვრთნელი იაპონურ ენაზე უკარნახებდა, რა უნდა გაეკეთებინათ. მე კი, როგორც უკვე გითხარით, იაპონური ვიცი და შესაბამისად, მესმოდა, რას ეუბნებოდა. შეჯიბრების შემდეგ იაპონურად ვუთხარი: მესმოდა, რასაც მწვრთნელი გიკარნახებდათ-მეთქი. ძალიან გაუკვირდათ, მათი ენა რომ ვიცოდი. ათენში სულ 8 სპორტსმენი ვიყავით. 2 ოქრო, 2 ვერცხლი და 3 ბრინჯაო ჩამოვიტანეთ. ჩვენს წარმატებას ჩვენს მწვრთნელსა და ფედერაციის პრეზიდენტს, ბატონ ზურაბ ლეჟავას ვუმადლით. ■

**თუ სხვა გოგონებს ეპატიებათ, ვთქვათ, უხეში საქციელი ან ბიჭური ქმედება, ჩვენ უფრო არ გვაპატიებენ**



## ჯაბა ანანიძე

***მიუხედავად იმისა, რომ წელს, აგვისტოში, ამინდი არც ისე გვანებივრებს, დამსვენებელი ზღვის სანაპიროს მაინც უხვად ჰყავს. ამიტომ ბათუმს არაერთი ცნობილი და საინტერესო ადამიანი სტუმრობს. ბათუმის ბულვარში მომღერალ რატი დურგლიშვილსაც შევხვდით. სიმართლე გითხრათ, მასავით ღიმილიანი, გულწრფელი და უბრალო ადამიანი მომღერლებს შორის ცოტა მეგულება...***

— ძალიან მიყვარს მუსიკა, ზღვა და ბათუმი... აქაური სიტუაცია განსაკუთრებულად მიმშვიდებს სულს, აქ ყველაფერს მშობლიური სურნელი ასდის. მართალია, საზოგადოების თავშეყრის ადგილებში, გემოვნებიან მუსიკას იშვიათად მოისმენ, მაგრამ შემიძლია, ნებისმიერ სიტუაციაში გავერთო. მთავარია, იცოდე ადამიანმა — რა გინდა და ფანტაზია გაძლევდეს გასაქანს. ჩემი ცხოვრების „ნარკოტიკი“ მუსიკაა, ამის გარეშე ვერსად ვჩერდები. ამიტომაც ავმღერდით მე და მაკა ბათუმში. ახლა მაკა თბილისშია, მაგრამ მალე ისევ დაუბრუნდება ბათუმს. ბულვარში დუეტ „ჯორჯიას“ კონცერტი ჩემი მეგობრის, დათო მგალობლიშვილის ორგანიზებით მოეწყო. მაყურებლისგან დიდი სიყვარული ვიგრძენით. ჩვენთვის გულწრფელი ტაში ყველაფერს ნიშნავს!.. ქუჩაში, კაფესა თუ სასტუმროში ყველგან ღიმილით მხვდებიან.

— **უცხოელი ტურისტები აღნიშნავენ, რომ ქართულ კურორტებზე ღიმილი არ იციანო...**

— მართებული შენიშვნაა. ღიმილი მართლა აკლია რესტორნებსა და კაფეებს. შემიმჩნევია, ზოგჯერ როგორ მიყურებს ოფიციანტი, თითქოს მისი ვალი მქონდეს... არა უშავს, ნიჭიერი ხალხი ვართ ქართველები, ღიმილს როგორ ვერ ვისწავლით?! მთავარია, ქართული სული არ დავკარგოთ! ყოველნაირად ვცდილობ, რომ არანაირად არ გავევროპელდე!.. აჭარაში ჯერ კიდევ ბევრი რამაა შესაცვლელი და შესაქმნელი — სასმელი წყლით დაწყებული, მომსახურების სერვისისთვის რეალური ფასების დადებით დასრულებული. უცხოეთის ზღვის კურორტებზეც არაერთხელ ვყოფილვარ. იქ

# რატი დურგლიშვილის „ნარკოტიკი“ და საზაფხულო გატაცება

მომსახურების მაღალ ხარისხს, გაცილებით იაფად გთავაზობენ... თან, გემრიელ ღიმილსაც მოაყოლებენ ხოლმე... მინდა, ბათუმში, მაგალითად, ისეთი გრანდიოზული მუსიკალური ფესტივალი ტარდებოდეს, როგორიც იურმალის „ახალი ტალღაა“. ქალაქი იურმალა ხომ ამ ფესტივალით არსებობს, ბათუმში კი სამწუხაროდ ჯერ საკონცერტო დარბაზიც არ არის.

— **როგორ შეხვდა იურმალა გასული წლის ფავორიტს — დუეტ „ჯორჯიას“?**

— ძალიან თბილად. იქ ხომ პოლიტიკა და ქვეყნებს შორის დაძაბულობა არავის აინტერესებს. ჩვენ ჯო კოკერის სიმღერა შევასრულეთ, მგონი, ძალიან მოეწონათ. სამწუხაროა, რომ იურმალის კონკურსის ქართველი მონაწილის — ლიკა ხანთაძის უბადლოდ შესრულებული სიმღერები ქართველმა მაყურებელმა ვერ ნახა. ლიკა სცენაზე ბოლომდე დაიხარჯა, იურმალის სცენაზე გამოსვლა კი იოლი საქმე არ არის...

— **„წვიმიანი მზიანეთი“ — დღეს ასე ეძახიან ბათუმს, სადაც მზეს ჯერჯერობით წვიმა ჯაბნის... ასწრებ გარუჯვას?**

— ბათუმი იმდენად მიყვარს, რომ ჩემთვის მზესა და წვიმას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. საერთოდ, ერთი და იგივე დღე ჩემს ცხოვრებაში არ არსებობს. ძალიან მიყვარს უცნობების გაცნობა, მათთან საუბარი... აქ ბევრი მეგობარი მყავს, რომელთანაც ვერთობი; დავდივართ სხვადასხვა საინტერესო ადგილას, ზღვაზე, მაგრამ მზის გულზე დიდხანს წოლას ვერ ვუძლებ. დიდი გურმანი ვარ და გემრიელ კერძებსაც ხშირად მივირთმევ... ირგვლივ იმდენად ლამაზ პეიზაჟებს ვუყურებ, რომ ხშირად ჩემი ნამდვილი პროფესია, ფერწერა მახსენებს თავს, მაგრამ მერე ისევ მუსიკას ვუბრუნდები... და ვარ ასე — მუსიკისა და სიცოცხლის სიყვარულში. სიყვარულის გარდა, არაფერი ხდება ჩემს ცხოვრებაში (*იღიმება*).

— **სიყვარულს უკვე კონკრეტული სახელი და გვარიც ხომ არ აქვს?**

— ჯერ — არა. საერთოდ, არ მიყვარს პირად ცხოვრებაზე ლაპარაკი, თუმცა გეტყვით, რომ ჩემთვის, ქერათმიანი გოგონები უფრო სექსუალურები არიან. ადამიანებში უბრალოდ მათი შინაგანი სილამაზე მომწონს. როდესაც ასეთ მშვენიერებას შევხედავ, მაშინვე ვთვრები. გოგონები, რომლებიც ამბობენ: — ვაიმე, სად შემიძლია, საქმის კეთება? სახლს რა დამალაგებინებს ან სადილებს რა გამაკეთებინებსო?! — ჩემს სიმპათიას ვერასდროს დაიმსახურებენ. ასეთი ცოლი მე ნამდვილად არ მეყოლება!..



**არ მიყვარს პირად ცხოვრებაზე ლაპარაკი**

— **დუეტ „ჯორჯიას“ გეგმების შესახებ რას გვეტყვი?**

— ვმუშაობთ ახალ მუსიკალურ ალბომზე. პარალელურად 2 კლიპის გადაღებისთვისაც მიმდინარეობს სამზადისი. საქართველოში სამწუხაროდ, სპონსორის მოძებნა ჭირს. ძირითადად, ჩვენი დუეტის მიმართ უცხოეთიდან უფრო იჩენენ ინტერესს და გვაფინანსებენ კიდეც. თუ აქ შემოთავაზებები ვერ მივიღეთ, შესაძლოა, ამავე ზაფხულს, ანტალიაში გადავინაცვლოთ და იქ ვიმღეროთ...

— **ალბათ, კრიზისი მალე დასრულდება, სიმღერასაც დააფინანსებენ და სასიმღეროდაც ექნება ყველას საქმე...**

— ყველანი მაგ იმედით ვართ.

■

**სიმღერის გარეშე მე და მაკა ვერ ვძლებთ...**



# თინა კანდელაკი: „ქმრის დასაბრუნებლად, მზად ვარ, მესამე ბავშვი გავაჩინო“



**„გულახდილად ვამბობ, რომ ამჟამად მე და ჩემს ქმარს ურთიერთობაში რთული პერიოდი დაგვიდგა. შესაძლოა იმიტომაც, რომ ჩვენი დაქორწინებიდან უკვე 11 წელი გავიდა“, — ამბობს თინა კანდელაკი — რუსეთის წამყვანი არხების ყველაზე რეიტინგული ტელეშოუების წამყვანი. ბოლო დროს ყვითელი პრესის პირველ გვერდებზე მისი ფოტოსურათები ქმართან, ბიზნესმენ — ანდრეი კონდრახინთან განქორწინების გამო გამოჩნდა. ჟურნალისტი მას იურმალაში „ახალი ტალღის“ ფესტივალზე შეხვდა; თინას ხომ ქსენია სობჩაკთან ერთად პოპულარული კონკურსი მიჰყავდა.**

**— თინა, თქვენმა მეგობარმა სტანისლავ სადალსკიმ ინტერნეტ-დღიური გახსნა, სადაც თქვენსა და თქვენი ქმრის საკმაოდ გართულებულ ურთიერთობებს აქტიურად განიხილავს. მას მიაჩნია, რომ თქვენი ოჯახი დანგრევამდე იმის გამო მივიდა, რომ ანდრეის ბიზნესში პრობლემები შეექმნა; თქვენ მას მხარში არ ამოუდექით... ნუთუ არ გწყინთ, სტანისლავი ხომ თქვენი მეგობარია?**

— მასთან დავას აზრი არ აქვს, რადგან სტასთან კამათი, თავისთავად უკვე სისულელეა... მასთან ურთიერთობის ერთადერთი შესაძლო ფორმა — მხურვალე სიყვარული, ან ცივი, გულგრილი დამოკიდებულებაა. სადალსკი ძველებურად მიყვარს, თანაც, არ შეიძლება, რომ მისი გამონათქვამების მიმართ ერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულება მქონდეს. იქნებ ჩემზე იმიტომ წერს, რომ ძალიან ბევრი დრო აქვს?! ამაში მისმა ინტერნეტდღიურმა დამარწმუნა, თვითგამოხატვა სადმე ხომ უნდა შეძლოს?! მოხარული ვიქნები, თუ მას ამაში გამოვადგები. სტანისლავი თავად ამბობდა — ნეკროლოგის გარდა ყველა განცხადება კარგიაო. მადლობა ღმერთს, ნეკროლოგამდე ჯერ ადრეა, სხვა ყველაფერზე კი თანახმა ვარ (*იცინის*).

**— ეკონომიკური კრიზისი უკვე შეიგრძენით?**

— როგორც ჩემი არაჩვეულებრივი დედამთილი ამბობს: — რა კრიზისი, ფასები ხომ ძველებური დარჩა?

**— ამბობენ, რომ კრიზისის გამო მრავალი ვარსკვლავი თაღლითების „ანკესზე“ წამოეგო...**

— ახლა უკვე კარგად ვიცი, რომ იური ანტონოვის მაგალითს უნდა მივბაძო. როგორ გგონიათ, ანტონოვის მეკობრული დისკები რატომ არ არის? იმიტომ, რომ იგი ყოველდღე პირადად დადის ბაზრობაზე და მეკობრეებს მილიციის საშუალებით უსწორდება... სხვათა შორის, სწორედ ახლა თაღლითებთან მაქვს სასამართლო დავა. კომპანია „რიომ“ რამდენიმე ქალაქში ჩემი თანხმობის გარეშე რეკლამა განათავსა ლოზუნგით: „შეიძინეთ ფასდაკლებით ჩვენი ქურქები“. სარეკლამო რგოლებიც კი დაამზადეს და ინტერნეტში ვიდეო განათავსეს, სადაც ქურქში გამოწყობილს ერთ-ერთი ჟურნალისტისთვის მიღებენ. უკვე ოთხი თვეა, რაც სასამართლო დავა მიმდინარეობს. თაღლითებმა სკანდალის თავიდან ასაცილებლად 10.000 დოლარი შემომთავაზეს, მე კი ვუპასუხე: „მოდი, ნურაფერს მომცემთ — უბრალოდ, საქმე სასამართლომდე მივიყვანოთ და ერთხელ და სამუდამოდ გავაცნობიეროთ, რომ ჩვენს ქვეყანაში კანონი ზეიმობს“.

**— დღეს პირველ პლანზე ახალგაზრდა ვარსკვლავები გამოვიდნენ — თქვენ, სობჩაკი, ურგანტი, გრიშაევა... ეკრანზე ტელევიზიის მეტრების შევიწროება როგორ შეძელით?**

— ქსენია სობჩაკს ესოდენ დიდ ყურადღებას რატომ აქცევენ? იმიტომ, რომ იგი ძალზე გულწრფელია. უინსტონ ჩერჩილს გენიალური ფრაზა აქვს ნათქვამი: „ჩემი დაცინვის საშუალებას არავის მივცემ, რადგან ამას თავად ვაკეთებ!“ ჩვენს შოუბიზნესში სობჩაკი ადამიანთა იმ მცირერიცხოვან კატეგორიას მიეკუთვნება, რომელსაც საკუთარი თავის მიმართ ირონიული დამოკიდებულება აქვს. სობჩაკი იმას ლაპარაკობს, რასაც ფიქრობს. ხოლო როდესაც ამის არ გეშინია, საერთო ფონზე სხვებზე მომგებიან მდგომარეობაში ხარ. ჩვენს შოუბიზნესში, სადაც უმეტესად იტყუებიან, ხოლო ერთი პატიოსნად თამაშობს, მოგების შანსი სწორედ პატიოსან მოთამაშეს აქვს.

**— თქვენი სახელის გარშემო ატეხილი სკანდალის გამო რას იტყვით? ჯერ იყო და, ნიცაში დამწვარი „ფერარის“ შესახებ ჭორაობდნენ, ახლა ამას განქორწინების თემა დაემატა...**

— ცხოვრება ბევრი სხვადასხვა ეტაპისგან შედგება. ლაქები მზესაც კი აქვს, მე — მით უმეტეს, მაგრამ იმის ჭკუა მყოფნის, რომ მივხვდე, რა და როგორ ვილაპარაკო. ვარსკვლავებმა რაც უნდა ამტკიცონ — პაპარაცებმა გამოიძიეს, დაგვედევნენ და გამოგვიჭირესო, ეს ასე არ არის! სრული პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადო — თუ ადამიანს რაიმეს დამალვა სურს, ამას მოახერხებს და მართლაც ვერავინ ვერაფერს გაიგებს. ღვთის წყალობით, ჩემს ცხოვრებაში ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ მთელი ქვეყნის გასაგონად, ყვირილი დამჭირვებოდა. დიახ, ჩემს ცხოვრებაში უსიამოვნო მომენტები მართლაც იყო და თუ ამგვარი შემთხვევები საზოგადოების ყურამდე მიდიოდა, კომენტარს ყოველთვის ვაკეთებდი. როდესაც არ გსურს, რომ არასასურველი ინფორმაცია განხილვის მთავარი თემა გახდეს, საზოგადოებას კიდევ

რამდენიმე ინფორმაციული საბაბი უნდა მისცე! ამ თვალსაზრისით, ნიცასთან დაკავშირებული სკანდალის დროს შეცდომა დავუშვი. მაშინ მხოლოდ ერთი საინფორმაციო მიზეზი ჰქონდათ — ეს იყო ნიცა. ახლა, ასაკი მომემატა, დავჭკვიანდი და მშვენივრად ვხვდები, მაშინ როგორ უნდა მოვქცეულიყავი. ნებისმიერი სიტუაციიდან ლამაზად გამოძრომა შეიძლება, თუ ცხოვრების მთავარი მიზანი გაქვს. აი, მაგალითად: რამდენიც უნდა იჭორაონ ალა პუგაჩოვას პირადი ცხოვრების შესახებ, იგი უპირველეს ყოვლისა, მაინც გენიალური მომღერალია. პუგაჩოვა მართალია, როდესაც ამბობს: „მოხდეს, რაც მოსახდენია, სიმღერები მაინც დარჩება!“

**— და მაინც, ახლა ყველა თქვენი განქორწინების შესახებ ლაპარაკობს. შერიგების შანსი თუ არის? რაც უნდა იყოს, ორი შვილი გყავთ...**

— ცოტა ხნის წინ მამა გარდაიცვალა. სტატუსის მიუხედავად, ტკივილს ყველა ერთნაირად განიცდის. ამ დანაკარგს მეც ძალზე განვიცდი, მამა ძალიან მიყვარდა... ხოლო ჩემს ოჯახს რაც შეეხება — ცნობილ ადამიანებს კონფლიქტები მუდამ ურთულდებათ, უფრო მასშტაბურ ხასიათს იძენს. მე და ანდრეი კონდრახინი ოფიციალურად რომ განვქორწინებულიყავით, ამას იოლად გაიგებდით — მმაჩის ბიუროში ყოველთვის მოიძებნება ადამიანი, რომელიც 500-დან 5.000-მდე დოლარის საფასურად ამის შესახებ პრესას აუწყებს. მაგრამ მე ქმარს არ გავშორებივარ და არც ვაპირებ. უკვე თვე-ნახევარია, რაც ანდრეი ბავშვებთან და ჩემს დედამთილთან ერთად, იტალიაში ისვენებს. გულახდილად ვამბობ, რომ ამჟამად მე და ჩემს ქმარს ურთიერთობაში რთული პერიოდი დაგვიდგა. შესაძლოა იმიტომაც, რომ ჩვენი დაქორწინებიდან უკვე 11 წელი გავიდა... მიუხედავად იმისა, რომ ახალ ბინაში რემონტს მარტოდმარტო ვაკეთებ, ეს მაინც არაფერს ნიშნავს.

ჩვენ ზრდასრული ადამიანები ვართ და ცხოვრებაში სხვადასხვა ეტაპი დგება. მხოლოდ ერთი რამ არ იცვლება — ჩემი დედამთილი ნადეჟდა ჩემთანაა და მუდამ ჩემ გვერდით იქნება. ჭკვიანი ადამიანი იოლად მიხვდება, რომ დედამთილთან ასეთი ურთიერთობის დამყარებას დიდი ძალისხმევა სჭირდება.

**— ქორწინების კრიზისულ პერიოდში მრავალი წყვილი ბავშვს აჩენს, რათა ოჯახი შეინარჩუნოს. ქორწინების გადასარჩენად იქნებ კიდევ ერთი შვილი გაგეჩინათ?**

— შეგიძლიათ, ანდრეი კონდრახინს დაურეკოთ და ჩვენი ოჯახური კრიზისის დაძლევის ეს გზა შესთავაზოთ — როგორც გადაწყვეტს, ისე მოვიქცევი (*იცინის*). ბავშვები ძალიან მიყვარს და მესამე შვილის გაჩენა მართლა მინდა, ამიტომ ანდრეის მხრიდან მსუბუქი ძალდატანების შემთხვევაშიც კი კიდევ ერთ შვილზე უარს არ ვიტყვი! (*იცინის*). გულწრფელად ვამბობ: — მე თანახმა ვარ! ახლა მოსკოვში ვბრუნდები და ქმრის დაბრუნებას დაველოდები. გპირდებით, რომ როდესაც ანდრეი „შემომიტევს“, თავს არ დავიცავ! მესამე ბავშვის გასაჩენად მზად ვარ!

**— ეს თქვენს სამუშაო გეგმებს არ შეცვლის?**

— გავაჩენ და ჰეი, მშობიარობიდან მესამე დღეს სამსახურში გასასვლელად მზად ვიქნები. ამისათვის სპორტდარბაზში დიდ დროს ვატარებ.

■



მესამე შვილის გაჩენა მართლა მინდა, ამიტომ ანდრეის მხრიდან მსუბუქი ძალდატანების შემთხვევაშიც კი კიდევ ერთ შვილზე უარს არ ვიტყვი!

## ოქსანა გრიგორიევა მელ გიბსონისა და იღბლის შესახებ ჟურნალისტებთან პირველად საუბრობს



მელ გიბსონისა და მისი საყვარლის რომანის ოფიციალური ურთიერთობის შემდგომ მიცემულ პირველ ინტერვიუში 39 წლის ოქსანა გრიგორიევამ განაცხადა: — მინდა, რომ ჩემი მუსიკის წყალობით სახელი გავითქვა. სარანსკელმა მუსიკოსმა ინტერვიუში მისი ორსულობისა და მომავალი ბავშვის მამის, მელ გიბსონის შესახებაც ისაუბრა.

მელ გიბსონის კუთვნილი ხმის ჩამწერი კომპანიის ლეიბლზე Icon Distribution ოქსანა გრიგორიევას ალბომი Beautiful Heartache 23 ივლისს გამოვიდა. „ოსკაროსანი“ მსახიობი საყვარელი ქალის ოთხი მუსიკალური კლიპის რეჟისორიცაა. „მელი საოცარი შემოქმედია, იგი წინასწარმეტყველური ნიჭითაა დაჯილდოებული. ამ ალბომის გამოშვება სწორედ მან მირჩია და ძალზე ბევრი გააკეთა იმისათვის, რომ ჩემი მუსიკა გაცოცხლებულიყო. კლიპები — მინიფილმებს წააგავს, ისინი ელვარე სახეების ამაღელვებელ გრიგალს მაგონებს, ასეთ რამეს იშვიათად თუ ნახავ“, — ამბობს გრიგორიევა. პაპარაცებმა ოქსანა გრიგორიევა და მელ გიბსონი ერთად პირველად მელის ფილმის „წყვდიადის კიდე“ გადასაღებ მოედანზე გამოიჭირეს. ბავშვი, რომელიც ამ წლის ბოლოს მოევლინება ქვეყნიერებას, ამ კავშირის ლოგიკური შედეგია. ეს ბავშვი ოქსანასთვის მეორე შვილი იქნება. მას მსახიობ ტიმოთი დალტონისგან უკვე ჰყავს 12 წლის ვაჟიშვილი. ოქსანა ამბობს, რომ მომავალ მშობლებს ბავშვის სქესის გაგება განგებ არ სურთ.



M K

„ნეიტრალური ფერის ტანსაცმელსა და ნივთებს ვყიდულობ. ჩემს შვილს, ალექსანდრეს დის გაჩენაც გაუხარდება და ძმისაც. იგი პატარა მამაკაცია და დედას იცავს!“ ოქსანა გრიგორიევა ამბობს, რომ ის და მელი ახლო მომავალში დაქორწინებას არ გეგმავენ. რუსი მუსიკოსი გულწრფელად აღიარებს, რომ მელ გიბსონთან რომანმა მას ნიჭის განვითარების საშუალება მისცა. „ნიჭი ძლიერი ადამიანის მხარდაჭერასა და დახმარებას საჭიროებს. მე ძალზე გამიმართლა და ამისთვის მადლიერი ვარ. ადამიანს მოვლენათა მსვლელობის გაკონტროლება არ ძალუძს. არც იმ ადამიანის შერჩევა შეუძლია, რომელსაც მომავალში ბედისწერა შეახვედრებს. მეც არაფერი დამიგეგმავს, უბრალოდ იმას ვაკეთებდი — რასაც ყოველთვის. ჩემი მიზნები არ შეცვლილა“, — ამბობს მელ გიბსონის უკანასკნელი სიყვარული, რომელიც მაღალ საზოგადოებაში ცხოვრებას ნელ-ნელა ეჩვევა. „არც ისე ძნელი ყოფილა. იყო პერიოდი, როდესაც ერთგვარ უხერხულობასა და სირთულეებს ვგრძნობდი, მაგრამ ახლა ყველაფერი რიგზეა“. ■

# მაიკლ ჯექსონი დაკრძალეს



გარდაცვალებიდან შვიდი კვირის შემდეგ, 6 აგვისტოს მაიკლ ჯექსონის ცხედარი მიწას მიაბარეს, მაგრამ ეს ამბავი მხოლოდ სამი დღის შემდეგ გახმაურდა. პრესისთვის ცნობილი გახდა დაკრძალვის სენსაციური დეტალები და ვარსკვლავის უკანასკნელი განსასვენებლის აღწერილობა. ჯექსონის დაკრძალვის ორგანიზება მისმა ძმამ, რენდიმ იკისრა. ვიდრე ოჯახის სხვა წევრები ინტერვიუებს იძლეოდნენ, რენდიმ Motown Records-ის დამაარსებელ მილიონერ ბერი გორდის კუთვნილ აკლდამაში სამარხი მოამზადა. აღსანიშნავია, რომ ოჯახური ანსამბლის Jackson's Five სიმღერები სწორედ Motown Records-ზე იწერებოდა.

ორ მილიონ დოლარად ღირებული 18-ადგილიანი აკლდამა სასაფლაო Forest Lawp-ზე მდებარეობს. ერთი ადგილი მაიკლ ჯექსონისთვის გამოყვეს, მაგრამ უცნობია, კერძოდ რომელ ადგილზე დაკრძალეს მომღერალი. ადრე აკლდამას ასო G (ბერი გორდის გვარის პირველი ასო) ამშვენებდა, მაგრამ ახლა ამოსაცნობი ნიშანი უსაფრთხოების მიზნით უზარმაზარი ორმეტრიანი ქვით დაფარეს. ცნობილია ისიც, რომ აკლდამა სათვალთვალო ვიდეოკამერისა და დაცვის 24-საათიანი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება. ბერი გორდის არაფერი აქვს საწინააღმდეგო იმისა, რომ პოპმუსიკის მეფემ მის აკლდამაში სამუდამოდ განისვენოს, მაგრამ ჭორად ამბობენ, — ეს აკლდამა მაიკლ ჯექსონის სამუდამო განსასვენებელი არ არისო. ჯექსონის ახლობლები დაკრძალვამდე მომღერლის ცხედარს ჰოლივუდის ბორცვებზე მდებარე სასაფლაო Forest Lawp-ზე მალავდნენ. ■

# რობი უილიამსი ახალ „რეალობას“ გვიჩვენებს



რობი უილიამსი მსმენელს ახალი სტუდიური ალბომით Reality Killed The Video Star უბრუნდება, რომელიც 2006 წელს გამოშვებული Rudebox-ის შემდეგ მუსიკოსის პირველი ნამუშევარია. ალბომის რელიზი 9 ნოემბრისთვის არის დანიშნული.

ალბომის პროდიუსერია ბრიტანული სინტი-პოპჯგუფის The Buggles ყოფილი წევრი ტრევორ ხორნი. 80-იანი წლების დასაწყისში The Buggles-ის მთავარი ჰიტი კომპოზიცია Video Killed The Radio Star იყო. ასე რომ, რობი უილიამსისა და მისი პროდიუსერის ფანტაზიის გაქანება თვალნათლივ ჩანს.

ახალი ალბომი ნამდვილი ბომბია! იქ „ძველ რობისაც“ მოისმენთ, ახალსაც და ისეთსაც, ჯერ რომ არ მოგისმენიათ. იმედი მაქვს, ობიექტური ვიქნები და ახალი ალბომი მხოლოდ მე არ მომეწონება“, — ამბობს რობი უილიამსი. ■

# შაკირა ახალი კლიპით ბრუნდება

შაკირამ სცენა დიდების ზენიტში დატოვა და ახლა უკან დაბრუნებას იმავე წერტილიდან აპირებს. მძლავრი ელექტროფიცირებული ტრეკით გამაგრებული ახალთახალი ვიდეო, ახალი წარმატების საფუძვლიანი განაცხადია. მომღერალმა შოუბიზნესის ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ კლიპმეიკერ ჯეიკ ნავის მიმართა, რომლის ბოლოდროინდელი ნამუშევრებიდან რამდენიმეს დასახელებაც საკმარისია. ესენია: ბეიონსის If I Were a Boy და Single Ladies (Put aRing on It), კლიპები ჯგუფებისთვის Destiny's Child, Rolling Stones; ბრიტნი სპირსი, პინკი, კაილი მინოუგი და ათეულობით სხვა ვარსკვლავი. ვიდეოს კონცეფცია და ცეკვები თავად შაკირამ დაამუშავა. „წლების მატებასთან ერთად, ჩემს თავისუფლებას სულ უფრო და უფრო მძლავრად შევიგრძნობ და ვფიქრობ, რომ She Wolf („ძუ მგელი“) სწორედ ამ თემას ეძღვნება. ეს-აა სიმღერა ქალზე, რომელმაც იცის, თუ რა უნდა, საკუთარ ქვენაგრძნობებს იცნობს და სასურველ მიზანს მაინც აღწევს, თუნდაც ამისთვის კლანჭებისა და ეშვების გამოყენება დასჭირდეს“, — ასეთ კომენტარს უკეთებს მომღერალი თავის ბოლო ნამუშევარს. ■



# სიახლე
# გამომცემლობა „პალიტრა ლ"-გან!
## ფარნიანი წიგნები!

ასეთი წიგნები ჯერ არავის ჰქონია















# გიგა ბატკუაშვილი

## კაცი-ხმა, კაცი-დიჯეი...

**გარეგნულად შეიძლება, არ იცნობდეთ, მაგრამ არ არსებობს ადამიანი, ვისაც მისი ხმა ერთხელ მაინც არ ჰქონდეს გაგონილი ტელე თუ რადიოეთერში: მას უამრავი სარეკლამო რგოლი აქვს გახმოვანებული. ტექნიკური უნივერსიტეტის ეკონომიკური ინფორმატიკის ფაკულტეტი დაამთავრა. სპეციალობით, ამ დარგის ექსპერტია. თუმცა ამჯერად გიგას არშემდგარ პროფესიაზე — მსახიობობაზე სასაუბროდ ვესტუმრე, რადიო „ფორტუნა+“-ში.**

*ნინო გონგაძე*

**— გიგა, მსახიობობაზე ოცნებობდი, რადიოწამყვანი როგორ გახდი?**

— შემთხვევით; ეს კურიოზული ამბავია: მეათეკლასელი რომ ვიყავი, იმ პერიოდში, პოპულარული გახლდათ რობი უილიამსის სიმღერა — Supreme. ამ სიმღერას რადიო „ევრიკა“ „ატრიალებდა“ და დავრეკე პირდაპირ ეთერში (მახსოვს, წამყვანს თათა ერქვა); ვთხოვე, — თუ შესაძლებლობა გაქვთ, ეს სიმღერა გაუშვით-მეთქი. ძალიან მიყვარს რობი უილიამსი, უნიჭიერესი მომღერალია. დიჯეიმ ხმით, მათ ერთ-ერთ წამყვანს მიმამსგავსა, რომელიც რადიოდან ახალი წასული იყო; თათას ეგონა, „ვეკაიფებოდი“. მეც შევყევი ლაპარაკში. ერთ დღესაც იმ გოგომ მითხრა: მუსიკალური წამყვანის ვაკანსიები გვაქვს და თუ სურვილი გექნება, ჩვენთან მოდიო. მივედი, გასაუბრება გავიარე და სამუშაოდ მიმიღეს. პარალელურად ვმუშაობდი ჟურნალ „პოპულარ ექსპრესში“. „ევრიკაში“ ნახევარწლიანი მუშაობის შემდეგ, რადიო „საქართველოს ხმაში“ გადავედი. იქაც შემთხვევით მოვხვდი, ბიჭი-წამყვანი სჭირდებოდათ. იქ 3 წელი ვიმუშავე და მერე, ასევე შემთხვევით, აღმოვჩნდი „ფორტუნა+“-ში. რაც შეეხება ჩემს ოცნებას, ბავშვობიდან სამ პროფესიაზე ვოცნებობდი; მინდოდა: მსახიობობა, ჟურნალისტობა და რადიოწამყვანობა. ორი ოცნება ამიხდა. მსახიობობა ძალიან პატარას მინდოდა. შაბათ-კვირას მეგობრებთან ერთად, სახლში სხვადასხვა სპექტაკლს ვდგამდით. მე რატომღაც, პროფესორის როლს ვირჩევდი, ყოველთვის დამრიგებლის ამპლუაში ვიყავი; არ ვიცი, რატომ (*იცინის*). სკოლის სპექტაკლებშიც აქტიურად ვმონაწილეობდი. სახლში, როდესაც საკუთარ თავთან მარტო ვრჩებოდი, სარკესთან დავდგებოდი, რაღაც როლში შევიდოდი, ვითომ განრისხებული მეფე ვიყავი და იმ ადამიანებს გავიხსენებდი, ვინც გულს მტკენდა და ვსჯიდი. აი, ასეთი საინტერესო ბავშვობა მქონდა (*იცინის*)...

**— სამსახიობო ფაკულტეტზე რატომ არ ჩააბარე?**

— არ ვიცი... ბავშვობიდან ისე წარიმართა ჩემი ცხოვრება, რომ... 11 წლის მანძილზე, პირდაპირ ეთერში, რადიოში მიწევდა მუშაობა. 24 საათი სულ იქ ვიყავი. მინდოდა, ყველასგან განსხვავებული ეთერი მქონოდა. ახალ გადაცემებსა და პროექტებზე ვმუშაობდი. ამას იმდენი დრო მიჰქონდა, რომ სხვა რამეზე საფიქრალად ველარ ვიცლიდი.



**— რა ჟანრის მსახიობი იქნებოდი?**

— კომიკოსი ნამდვილად ვერ ვიქნებოდი. სერიოზული ადამიანის როლს მოვირგებდი. სიამოვნებით ვითამაშებდი გამომძიებელს.

**— როგორი უნდა იყოს მსახიობი?**

— ნიჭიერი, ბევრს უნდა მუშაობდეს საკუთარ თავზე. ასევე უნდა იყოს კარგი ფსიქოლოგი. მისთვის აცილებელია ჯანსაღი ფსიქიკა, რომ როლში კარგად შევიდეს. მაგალითად, როცა პირდაპირ ეთერში ვმუშაობ, აბსოლუტურად განსხვავებული პიროვნება ვხდები. ყველა ფიქრობს, რომ ვარ ბედნიერი ადამიანი და არანაირი პრობლემა არ მაქვს. შეიძლება, დღეს სცენაზე და კინოში არ ვთამაშობ, მაგრამ ვთამაშობ რადიოში, მსმენელისთვის.

**— ვინ არის შენი საყვარელი მსახიობი?**

— ძალიან მომწონს სკარლეტ იოჰანსონი; ძალიან ლამაზია, ვგიჟდები მასზე. თბილი სახე აქვს. რატომღაც, კარგი პიროვნება მგონია. მომწონს მერილ სტრიპი, პენელოპა კრუსიც მაგარია ალმოდოვარის ფილმებში. ქართველებიდან, ძალიან ბევრი საყვარელი მსახიობი მყავს: სესილია თაყაიშვილი, იპოლიტე ხვიჩია, რამაზ ჩხიკვაძე, ზურა ყიფშიძე... საქართველოში უწინ კინოინდუსტრია ძალიან მაგარი იყო.

**— რომელ როლს ვერ შეასრულებდი და უბრალოდ, მასზე უარს იტყოდი?**

— ალბათ, რელიგიურ-ისტორიული ჟანრის ფილმებში თამაშზე. მაგალითად, ვერ ვითამაშებდი მღვდლის როლს, ვფიქრობ, ძალიან რთულია; ვერც მონის როლს (*იცინის*). გამიჭირდებოდა ჰომოსექსუალისტის თამაშიც.

**— პორნოფილმებში გადაღებაზე თუ დათანხმდებოდი?**

— რატომაც არა?! სიამოვნებით. თუ გადამიღებდნენ და ფულს გადამიხდიდნენ, რა პრობლემაა?!. თავიდან, როცა რაღაცას იწყებ, არა აქვს მნიშვნელობა, პორნოფილმში თამაშობ თუ — სხვაგან. მთავარია — რამდენს გადამიხდიანო? — ეს არ იკითხო. ჯერ უნდა ისწავლო, დაოსტატდე; როცა ჩამოყალიბდები, როგორც პროფესიონალი შედგები, მერე შეიძლება, გქონდეს პრეტენზიები.

**— ინტიმურ სცენებში პარტნიორად ვის აირჩევდი?**

— ოო, ახლა იცი, რამდენი ქალი მიტრიალებს თავში?! თან, ყველა შიშველი წარმოვიდგინე (*იცინის*). შარლიზ ტერონი, სკარლეტიც მაგარი იქნებოდა. აი, ამ ორ ქალთან სიამოვნებით ვითამაშებდი ინტიმურ სცენებში.

**— „მიუზიკ-ბოქსის“ ეთერში, სერიალ „ჭორიკანაში“ ყველა მამაკაც გმირს ახმოვანებ. არ გიჭირს?**

— მართალი ხარ, ძალიან ბევრი გმირი მყავს: შვილიც მე ვარ, მამაცა და ბაბუაც. რა თქმა უნდა, რთული პროცესია, იმიტომ, რომ სხვადასხვანაირი ტიპია, სხვადასხვა თაობის ადამიანები და ხმის შეცვლა ხშირად მიხდება. ხანდახან გახმოვანების პროცესში ისეთი ტექსტებია, რომ ძალიან ვხალისობ. სერიალის ყველა ქალს ჩემი კოლეგა, ხატია ახმოვანებს („ფორტუნა+“-ის დიჯეი). ამ სერიალზე ჩვენ ორნი ვმუშაობთ. როგორც კი ამერიკაში ეს სერიალი გამოვიდა, ძალიან პოპულარული გახდა. დღემდე ასეა. პირადად მეც, ძალიან მომწონს და ვუყურებ.

**— გიგა, ბევრ ტელე და რადიორეკლამასაც ახმოვანებ. ფაქტობრივად, შენი ხმა უფრო ცნობილი და პოპულარულია, ვიდრე თავად ხარ.**

— ჰო, ასეა. ყველა ტელევიზიასა და ყველა რადიოში, სადაც რეკლამა გადის, ჩემი ხმა ისმის. დაახლოებით 3 წლის მანძილზე, 2500-მდე რეკლამა (მხოლოდ რადიოში) მაქვს გახმოვანებული. ტელევიზიაში — არ მახსოვს... მე და თამუნა გომართელი „ულტიმენტ შოფერის“ რეკლამას ვახმოვანებთ. მანდ, სხვათა შორის, როლში შეჭრა გიწევს, რადგან იქ ადამიანებს ესაუბრები, ფაქტობრივად, თამაშობ.

**— ცნობილი მსახიობი — არა, მაგრამ ცნობილი რადიოწამყვანი კი ხარ. გული არ გწყდება, შენი პირველი ოცნება რომ ვერ აიხდინე?**

— გული არაფერზე მწყდება. სხვათა შორის, იმ 11 წლის მანძილზე, რაც რადიოში ვმუშაობ, ბევრი ერთგული მსმენელი შევიძინე. მწერენ ხოლმე, — გიგა, შენს „ხმაზე გავიზარდეო“, — თუმცა ზოგი მათგანი 25 წლის არის, ზოგი — 30-ის, ზოგიც — 40-ის...

# ცხოვრება



## ჯენტლმენი – მამაკაცი, რომელიც არ არსებობს

**მამაკაცი, რომელიც ქალს კარს გაუღებს და ავტომობილიდან გადმოსვლისას ხელს მიაწვდის, მთლად ჯენტლმენი არ გახლავთ. ეს უბრალოდ, გალანტური თაყვანისმცემელია. ჯენტლმენის სახელი გაცილებით რთული მოსაპოვებელია...**

გვ.41

*ნათია ჟივიძე*

***ყველა ადამიანის ცხოვრებაში დგება ეტაპი, როცა პროფესია უნდა აირჩიოს. არჩევანის დროს მხოლოდ იმაზე ვფიქრობთ, ესა თუ ის პროფესია რამდენად ახლოსაა ჩვენს ხასიათთან და შევძლებთ თუ არა მომავალში საკუთარი თავის ფინანსურად უზრუნველყოფას. თუმცა, არცთუ იშვიათად, სწორედ ამ პროფესიების მეშვეობით ჩვენი ცხოვრების თანამგზავრებსაც ვხვდებით. პირადად მე, ჟურნალისტი რომ არ ვყოფილიყავი, ვერასოდეს მოვხვდებოდი თელავში, ერთ-ერთი კომპანიის მიერ გამართულ პრეს-ტურზე, სადაც ჩემი მომავალი მეუღლე გავიცანი. ჩვენი დღევანდელი რესპონდენტები სხვადასხვა პროფესიას ემსახურებიან და სწორედ თავიანთი სამსახურის წყალობით გაიცნეს მომავალი მეორე ნახევრები.***

# პროფესიის წყალობით ნაპოვნი ბედნიერება

**მამუკა**, *32 წლის:*

— ჩემი ოჯახის ყველა წევრი სტომატოლოგია. შესაბამისად, ბავშვობიდანვე ვიცოდი, რომ მეც ეს პროფესია უნდა ამერჩია. სიმართლე გითხრათ, ამ საქმიანობით დიდად დაინტერესებული არც ვიყავი, მაგრამ ბაბუაჩემის დაჟინებული მოთხოვნით, „სამედიცინოზე“ მაინც ჩავაბარე. ფაკულტეტზე გაცილებით მეტი გოგო სწავლობდა, ვიდრე ბიჭი და ლექციებზე სიარული მეხალისებოდა კიდეც. მოგვიანებით კი სტომატოლოგობის ხიბლიც გავიგე. პრაქტიკას ერთ-ერთ პრესტიჟულ კლინიკაში გავდიოდი. იქაც უამრავი პრაქტიკანტი თუ თანამშრომელი გოგონა იყო. როგორც ხედავ, მეც სიმპათიური ბიჭი ვარ (იცინის) და გოგონები ბუზებივით მეხვეოდნენ. ერთ დღეს ერთს ვუნიშნავდი პაემანს, მეორე დღეს — მეორეს. ერთხელ ახალი პრაქტიკანტი, ნინო მოვიდა. მაშინვე მივხვდი, რომ ის ჩემი ოცნების ქალი იყო და ჩემი ცოლი უნდა გამხდარიყო. გარშემო ყველა გოგონას არსებობა დამავიწყდა. სულ ნინოს ვეპრანჭებოდი, მისი ყურადღების მიქცევას ვცდილობდი. პაციენტი მამაკაცები შეხვედრას რომ უნიშნავდნენ და ყვავილების თაიგულებით აკითხავდნენ, გული მისკდებოდა. ნინო კი ყველა თაყვანისმცემელს, ჩემი ჩათვლით, ღიმილით იშორებდა. შეხვედრაზე მხოლოდ ერთი წლის მერე დავითანხმე და მაშინაც რესტორანში შესვლისთანავე მომახალა, ჩემდამი ინტერესს ამდენ ხანს იმიტომ გამოხატავ, შეხვედრაზე რომ ვერ დამითანხმე. ახლა მხოლოდ იმიტომ შეგხვდი, რომ გეგონოს, შენი ოცნება აისრულე და სხვა გოგონებივით მეც თავი დამანებოო. თურმე თანამშრომელ გოგონებს გაუფრთხილებიათ, დიდი მექალთანე ვინმეა, ხელიდან არავის უშვებს და თავბრუ არ დაგახვიოსო. მოკლედ, ნინოს გულის მოსაგებად კიდევ რამდენიმე თვე დამჭირდა. ახლა უკვე ორი შვილი გვყავს. ძალიან ბედნიერები ვართ. ერთი წლის წინ, მე და ნინომ ბანკიდან სესხი გამოვიტანეთ და საკუთარი სტომატოლოგიური კლინიკაც გავხსენით. საწყალი ბაბუაჩემი ვერ მოესწრო ამ ამბავს, თორემ ჩემით ძალიან იამაყებდა. მე კი მისი მადლიერი ვარ. ეს პროფესია რომ არ ამერჩია, ნინოს ვერასოდეს შევხვდებოდი.

**მარიკა**, *28 წლის:*

— პროფესიით ექიმი ვარ და შესაბამისად, ერთ-ერთ სადაზღვევო კომპანიაში, ოჯახის ექიმად ვმუშაობ. ეს პროფესია ბავშვობიდან მაინტერესებდა. მახსოვს, თოჯინებს ოპერაციებს როგორ ვუკეთებდი. ოჯახის ყველა წევრს, ვაიძულებდი, რომ როგორც პროფესიონალ ექიმს, ისე მომქცეოდნენ. ვინმეს თავიც რომ ასტკივდებოდა, თუ წამალს უჩემოდ დალევდა, ძალიან მწყინდა. სკოლის მოსწავლე უკვე სამედიცინო ლიტერატურას ვკითხულობდი. ეჭვიც არავის შეპარვია, რომ საბოლოოდ ამ გზას ავირჩევდი და ასეც მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ დისერტაცია დავიცავი და კათედრაზე დარჩენა შემეძლო, ვარჩიე, ექიმად მემუშავა და დიდი გამოცდილება შემეძინა.




იმის გამო, რომ მთელი ცხოვრება წიგნებში ჩაფლული ვიყავი, სიყვარულისთვის არასოდეს მეცალა. თაყვანისმცემლებს უხეშად ვიშორებდი თავიდან. პაემნებზე არ დავდიოდი, რადგან ყოველთვის სამეცადინო მქონდა. ეს ფაქტი ჩემი ოჯახის წევრებს ძალიან აღელვებდათ. შიშობდნენ, სწავლას არ გადაყვეს და გასათხოვარი არ დარჩესო, მაგრამ... ორი წლის წინ, ჩემთან ჩვენი ერთ-ერთი კლიენტი, საკმაოდ სიმპათიური ბიჭი მოვიდა. როგორც ჩანს, ქალებში სიარული მეტი მოუვიდა და ვენერიული დაავადება აიკიდა (იცინის). სადაზღვევო კომპანიის წესდების თანახმად, დაზღვეული ჯერ ოჯახის ექიმმა უნდა გასინჯოს, მიმართვა მისცეს და მერე ჩაუტარდეს სათანადო ანალიზები და მკურნალობა. რამდენჯერაც ავადმყოფი სტაციონარში მოვა, იმდენჯერ სავალდებულოა, კონსულტაცია ჯერ ოჯახის ექიმთან გაიაროს. ამ მიზეზით, იმ ბიჭსაც მთელი თვის მანძილზე ჩემი ნახვა უხდებოდა. უნდა ვაღიარო, რომ მისით თავიდანვე მოვიხიბლე, თუმცა შევიტყვე, რაშიც იყო საქმე და რა პრობლემაც აწუხებდა, მისდამი ინტერესი მაშინვე გამიქრა. ვიფიქრე, ჩვეულებრივ „მაჩოსთან“ მქონდა საქმე. მან მხოლოდ მესამე ვიზიტზე შეამჩნია, რომ საქორწინო ბეჭედი არ მეკეთა და გაოცებულმა მკითხა, ასეთი ლამაზი გოგონა გასათხოვარი ხარო? სიმართლე გითხრათ, გავიფიქრე, ეს ისეთი მექალთანე ჩანს, ალბათ შეხვედრას დღესვე მთხოვს-მეთქი და უარის სათქმელად მოვემზადე, მაგრამ ამის შესახებ კრინტიც არ დაუძრავს. ცოტა ვისაუბრეთ, ზრდილობიანად დამემშვიდობა და წავიდა. ორიოდე დღეში კვლავ მოვიდა. მეგობრულად მომიკითხა და ანალიზებისთვის მიმართვა მთხოვა. მაშინ მხოლოდ ის აღნიშნა, რამდენჯერაც უკრაინაში მივლინებით მიწევს წასვლა, მაშინვე მსგავს პრობლემებს ვაწყდები, ჭკუა ვერ ვისწავლეო. გაიხურა კარი და წავიდა. კინაღამ გავგიჟდი. ველოდი, დამირეკავს მაინც-მეთქი, მაგრამ არც ასე მოქცეულა. მას შემდეგ კიდევ რამდენჯერმე მოვიდა ჩემთან, ვსაუბრობდით ზოგად თემებზე. ერთმანეთი უკეთ გავიცანით და მისი შინაგანი ბუნებითაც ძალიან მოვიხიბლე, მაგრამ მას ჩემდამი არანაირი ინტერესი არ გამოუხატავს. ხელი ჩავიქნიე. ვიფიქრე, არც ისეთი ლამაზი ვარ, რომ ასეთი სიმპათიური და კარგი ადამიანი ჩემით დაინტერესებულიყო-მეთქი და საკუთარ თავს მასზე ოცნება ავუკრძალე. მალე მან მკურნალობის კურსი დაასრულა და მთელი თვე აღარც გამოჩენილა. 13 აპრილს ჩემი დაბადების დღეა. 12 აპრილს, ღამის 12 საათზე კარზე ზარი დარეკეს. რომ გავაღე, ულამაზესი ყვავილების თაიგული დამხვდა წერილით: „შენსავით ლამაზ გოგონებს არ ივიწყებენ. დაბადების დღეს გილოცავ და საჩუქრად ჩემს თავს გთავაზობ“. თავიდან ვერც კი მივხვდი, ვის ეკუთვნოდა წერილი, მაგრამ 5 წუთში ზურამ თვითონვე დამირეკა და წერილში დაწერილი სიტყვები გამიმეორა. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა და ეს აღფრთოვანება ვერც დავფარე. თურმე მკურნალობის დასრულებას ელოდა. არ მინდოდა, ჩემზე ცუდად გეფიქრაო, მითხრა. მოკლედ, რამდენიმე თვეში მე და ზურა დავქორწინდით და ახლა უკვე პატარასაც ველოდებით. ძალიან ბედნიერი ვარ და მიხარია, რომ ასეთი პროფესიული არჩევანი გავაკეთე. ზურას კი მივლინებებში აღარ ვუშვებ (*იცინის*).

**პაატა**, *35 წლის:*

— ცეკვის ნიჭი მშობლებმა ბავშვობაში შემამჩნიეს. 4 წლის ვიყავი, ჩემი დაჟინებული მოთხოვნით ქართულ ხალხურ ცეკვებზე რომ შემიყვანეს და მას შემდეგ არ გავჩერებულვარ, სულ ვცეკვავ. სკოლის დამთავრების შემდეგ ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩავაბარე, ინფორმატიკის ფაკულტეტზე, მაგრამ ჩემი სპეციალობით არ მიმუშავია, რადგან ისევ ცეკვით ვიყავი გატაცებული. 19 წლის ვიყავი, ცოლად ჩემი თანაკლასელი რომ შევირთე. თეა მთელ სკოლაში ყველაზე ლამაზი გოგონა იყო და ერთმანეთი ძალიან გვიყვარდა. როგორც თვითონ აღიარა, თურმე ჩემი ცეკვით მომიხიბლავს. თეა ამბობდა, ცეკვა და მუსიკა ძალიან მიყვარსო, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, ვერ აიტანა ჩემი ცეკვით გატაცება, გასტროლებზე სიარული და დაოჯახებიდან 3 წელიწადში ერთმანეთს დავშორდით. ოჯახის დანგრევა საკმაოდ მძიმედ გადავიტანე, მაგრამ მისიც მესმოდა, რადგან თითქმის ნახევარ წელიწადს გასტროლებზე ვატარებდი. დეპრესიიდან თავის დაღწევაში ისევ ცეკვა დამეხმარა. გამიმართლა, რომ სწორედ იმ დღეებში იტალიაში გავემგზავრეთ ორი კვირით და მოგზაურობას გული გადავაყოლე. თან შევამჩნიე, რომ ჩემი ერთ-ერთი ანსამბლის წევრი გოგონა ჩემდამი გულგრილი არ იყო. „ფარიკაობაში“ სოლოს ვცეკვავდი. ის გოგონა კი, ცეკვის ბოლოს ჩვენს შორის თეთრ მანდილს აგდებდა. მთელმა ანსამბლმა იცოდა, რომ იმ ბიჭს, რომელთან ერთადაც ხმლით შერკინება მიწევდა, მარი უყვარდა. მთელი ანსამბლი იმ ბიჭს ვგულშემატკივრობდით, რადგან საწყალი, ძალიან იტანჯებოდა და ყველას დახმარებას გვთხოვდა, მარი კი ახლოს არ იკარებდა. იტალიაში აღმოვაჩინე, რომ მარი სხვა გოგონებივით მეგობრულად არ მექცეოდა და ჩემ მიმართ განსაკუთრებულ სითბოს ამჟღავნებდა. მისი ჩემდამი ყურადღება გიომაც (ჩემმა პარტნიორმა) შენიშნა და ჩემზე გაბრაზდა. იმ საღამოს გამართულ კონცერტზე ენერგიულად „მეფარიკავებოდა“, ისეთი გაბრაზებული სახე ჰქონდა, საშუალება რომ ჰქონოდა, ალბათ მართლა დამარტყამდა ხანჯალს. ამასობაში კი მარი გამოფარფატდა და ჩვენ შორის თეთრი მანდილი ჩააგდო. იმ მომენტში აღმოვაჩინე, რომ მარი მართლაც ძალიან კარგი გოგონა ყოფილა და მის მიმართ გულგრილი არც მე ვიყავი. მოკლედ, ჩვენ ერთმანეთი შეგვიყვარდა და თბილისში დაბრუნებისთანავე ერთად ცხოვრება გადავწყვიტეთ. ჩვენს ურთიერთობას ცოლქმრობა არ ერქვა, რადგან არ მსურდა, ოჯახი ასე მალე შემექმნა და კიდევ ერთი შეცდომა დამეშვა. ორი წლის თავზე მე და მარის ვაჟი შეგვეძინა და მხოლოდ მას შემდეგ დავიწერეთ ჯვარი. ამჟამად უკვე საკუთარი სტუდია გვაქვს და ბავშვებს ქართულ ცეკვას ვასწავლით. გასტროლებზეც ერთად დავდივართ. ჩვენი ვაჟიც ჩვენს სტუდიაში ცეკვავს, ქალიშვილი ჯერ პატარაა, 4 წლის. მიხარია, რომ პროფესიად ცეკვა ავირჩიე და გვერდით არაჩვეულებრივი, მოცეკვავე მეუღლე მყავს. ■

# გვიან გამოსწორებული შეცდომა

მარინა ბაბუნაშვილი

**ჩემთან მოსულ რესპონდენტთაგან მამაკაცები გაცილებით უიმედოდ გამოიყურებიან, ვიდრე ქალები. ამ ორი წლის წინ, როცა მალხაზმა თავისი ამბავი გამიმხილა, საკმაოდ უიმედოდ მეჩვენა. შეძლებისდაგვარად ვანუგეშე, ის კი გაიძახოდა, — მარტოობა მეწერა და სიახლეს აღარ ვეძებო („მარტოხელობა ჩემი ბედისწერაა“, „კვირის პალიტრა“, 2007 წლის 15 იანვარი).**

### ამბავი პირველი
## სამი იმედგაცრუება

მალხაზი ერთი წლით უფროსი გახლდათ თამუნაზე. შეეშინდა, ლამაზი შეყვარებული მყავს და სანამ სკოლას დაამთავრებს, ვინმემ არ მომტაცოსო და ერთ მშვენიერ დღეს, მშობლებს კარზე პირდაპირ სკოლიდან მიაყენა. მაშინ მალხაზი 17 წლის იყო, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ახალი მოწყობილი, თამუნა — მეათეკლასელი. არ ესიამოვნათ მალხაზის მშობლებს უფროსი ვაჟის ნაადრევი დაოჯახება, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდათ? სკოლის ჩანთითა და ფორმით მისული რძალი თბილად მიიღეს. მალხაზის ოჯახი მრავალსულიანი იყო, „ხრუშჩოვკის“ ტიპის სამოთახიან ბინაში 7 სული ცხოვრობდა: დედა, მამა, უმცროსი და-ძმა, ბებია და ახლა უკვე მალხაზი — ცოლთან ერთად. თამუნა ერთადერთი ქალიშვილი იყო თავისი მშობლებისთვის, შეძლებულ ოჯახში გაზრდილი და განებივრებული. მართალია, უჭირდა ასე ვიწრო ცხოვრება. მაგრამ მალხაზი წრფელი გულით უყვარდა და ითმენდა. იმედოვნებდა, რომ მშობლები მალე შეურიგდებოდნენ და „რაღაცას“ მოუხერხებდნენ. როცა თამუნას მშობლები სიძის ოჯახში მივიდნენ და ასეთ სივიწროვესა და გაჭირვებაში ნახეს ქალიშვილი, ცხვირი აუბზუეს სიძეს და მისიანებს. ქალიშვილს შეუჩნდნენ, ან გაშორდი მაგ ლატაკს, ან არადა, ორივე ჩვენთან გადმოდით და თავი დააღწიეთ მაგ დუხჭირ ცხოვრებასო.

თამუნაც ამ წინადადებას ელოდა. მალხაზს სთხოვა, ჩვენებთან გადავიდეთ იქ უკეთესად ვიქნებითო. ბიჭს არ სურდა, სიდედრთან ცხოვრება, მაგრამ კარგად ხედავდა, რომ მის მშობლებს მართლაც ძალიან გაუჭირდათ ოჯახის რჩენა.

მალხაზმა დიდხანს იყოყმანა, მაგრამ როცა მათ სივიწროვეს თამუნას ორსულობაც დაემატა, მაინც გადაბარგდა სიდედრ-სიმამრთან.

თამუნას დედა, აქაოდა, შეძლებულები ვართო, სიძეს ზემოდან უყურებდა. რამდენჯერმე მძახლებიც აუგად მოიხსენია. მალხაზი დიდხანს ითმენდა... გოგონა გაუჩნდათ, ეკა დაარქვეს. მალხაზის დედა, რითიც შეეძლო, ისე ეხმარებოდა, მაგრამ რძლის დედის გული მაინც ვერ მოიგო. თამუნა ძალიან დაძაბული იყო. არ უნდოდა, მალხაზს რაიმეზე გული დასწყვეტოდა, ყველანაირად ცდილობდა უსიამოვნო სიტუაცია რამენაირად შეემსუბუქებინა, გაენეიტრალებინა. მაგრამ...

ამონარიდი წერილიდან: „საბოლოოდ, მოთმინების ფიალა მაშინ ამევსო, როცა დედამისმა თამუნა ძალით წაიყვანა გინეკოლოგთან და მუცელი მოაშლევინა, — ჯერ პატარა ხარ, რა დროს მეორე ბავშვიაო. კინაღამ გავგიჟდი. მივხვდი, მეტის ატანა აღარ შემეძლო და მათი სახლიდან წამოვედი. თამუნა ისე ჰყავდა დედამისს „ჩაბღუჯული“, რომ არ გამომყოლია.“

რამდენჯერმე სთხოვა მალხაზმა თამუნას, ცალკე გავიდეთ, ბინა ვიქირავოთ, სანამ მუშაობას დავიწყებ დედაჩემი დაგვეხმარებაო. მაგრამ ცოლი უარზე იყო, — ჯობია შენ დაბრუნდე ჩვენთან, ბავშვთან ერთად ქირით ცხოვრება გაგვიჭირდებაო. მალხაზმა ხელი ჩაიქნია, მოსკოვში გადაწყვიტა წასვლა. იქ მცხოვრები ნათესავი დახმარებას დაპირდა. ბევრი აღარ უფიქრია, აქაური ორომტრიალით ისე იყო დაღლილი, გაქცევა ყველაფერს ერჩივნა. წავიდა კიდეც. მოსკოვში 7 წელი დაჰყო. იქიდან რუსი ცოლითა და 2 წლის ქალიშვილით დაბრუნდა. ერთი წელი ძლივს გაძლო მოსკოველმა ქალმა თბილისში, მერე მალხაზს უთხრა, ან ერთად დავბრუნდებით ან გავქორწინდებითო. ულტიმატუმმა ძალიან გააღიზიანა მალხაზი. მას ამჯერად ფული უკვე ჰქონდა და ვერაზე იშენებდა სახლს. თანაც, ისევე თამუნა უყვარდა და იმედოვნებდა, რამენაირად შეირიგებდა პირველ ცოლს. ლიდა პატარა ნატაშკასთან ერთად მოსკოვში დაბრუნდა და იქიდან გამოუგზავნა განქორწინების საბუთი. ამასობაში კი, თამუნას დედამ ძალიან იაქტიურა და შვილი მეორედ გაათხოვა. მალხაზი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. გარკვეული დროის შემდეგ, ნათესავების ნებას დაჰყვა, გარისკა და მესამედ დაქორწინდა, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ შეცდა. სანამ შვილი შეეძინებოდა, მანამდე გასცილდა მესამე ცოლს.

### ამბავი მეორე
## შერიგება

„დავიღალე. თან შიში დამჩემდა. ალბათ, მარტოობა მიწერია ბედის დავთარში და იმიტომაც არ მიმართლებს. მხოლოდ თამუნასთან ვგრძნობდი თავს კარგად; მართალია, ისიც გაშორდა ქმარს, მაგრამ მასთან ხელახალი ურთიერთობის დაწყება აღარ შემიძლია“, — მითხრა მაშინ მალხაზმა, თუმცა ხმაში ეტყობოდა მთლად დარწმუნებული არ იყო თავის სიტყვებში. მალხაზი კარგა ხანს ბრაზობდა იმ ფაქტზე, რომ ცოლმა მას „გონს მოსვლა“ არ აცალა და მეორედ გათხოვდა (ის კი ავიწყდებოდა, თვითონ ცოლ-შვილით რომ დაბრუნდა მოსკოვიდან). ეკა უკვე 12 წლის იყო. სწორედ მან ითავა მშობლების შერიგება. „ბატონები“ შეხვდა, დრო იხელთა და დედას სთხოვა, მინდა მამა მოვიდეს ჩემთანო. თამუნამ დედამისი გააფრთხილა, ზედმეტი სიტყვა აღარ წამოსცდენოდა ყოფილ სიძესთან. ცოლმა გააგებინა თუ არა, მალხაზს ბავშვს შენი ნახვა უნდა, ჩუტყვავილა აქვსო, ერთ საათში იმათთან გაჩნდა. რადგან პირველი ბარიერი დაძლეული იქნა, მომდევნო დღეებში აღარ გასჭირვებია შვილთან მისვლა. „ბატონები თითქმის ორ კვირამდე გაუგრძელდა გოგონას, მაგრამ სიხარულისგან ჭკუაზე აღარ იყო, რადგან დედამ გაუმჟღავნა, რომ გამოჯანმრთელდები, სამივე ვერაზე გადავალთ და იქ ვიცხოვრებთო... თამუნა და მალხაზი 11 წლის შემდეგ შერიგდნენ.

ისინი წელიწადზე მეტია, რაც ერთად არიან. ამ ზაფხულს მალხაზმა რაღაცნაირად მოახერხა და ნატაშკა თავისთან ჩამოიყვანა. დები კარგად შეეწყვნენ ერთმანეთს. მალხაზი აღარ არის სასოწარკვეთილი. ან რატომ უნდა იყოს, როცა საყვარელ ქალთან ერთად ცხოვრობს?!

■

ჟურნალისტს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელ: 899.27.25.61
ან ელფოსტით babunamarina@yahoo.com

# ასე შორეული და ახლობელი

დასაწყისი იხ. „გზა“ №30-33

_ *მარი ჯაფარიძე*

**მერაბი:** აუ, 20-მდე რა გაძლებს? ოთხშაბათს წამოდი, რა... თან დაბადების დღეა შენი ნათლულის და მიზეზი გექნება წამოსვლის. გთხოვ, რა...

**ანა:** დაბადების დღეზე თუ ჩამოვალ, შენ ვერ განახავ...

**მერაბი:** მნახავ, არ არის პრობლემა. ისე მოვახერხებ, რომ არ გავიშიფროთ. წამოდი რა, ოთხშაბათს.

**ანა:** დაბადების დღე იმ ოთხშაბათსაა, ახლა კი არა...

**მერაბი:** მერე, ვინ გიმოწმებს? ქალი და თაღლითობები მე გასწავლო? არ გრცხვენია?

**ანა:** ქალი ვარ, პოლიციელი კი არა. :)

**მერაბი:** მანამდე დიდი დროა. მე რომ დამიჯერო, დღესაც უნდა წამოხვიდე, მაგრამ შევდივარ შენს მდგომარეობაში და ზეგამდე გადაგიტანე. ზეგ გელოდები, შენს თავს ვფიცავ.

**ანა:** მერაბ, სხვებს თავი დაანებე და მომაქციე ყურადღება... გაილახები. ზეგ რომ წამოვიდე, მანდ ვიქნები და გული აქეთ მექნება... მე კი მინდა, გულითაც შენთან ვიყო და სხეულითაც...

**მერაბი:** ზეგ გელოდები, ნუ მიტეხავ, ერთხელ გთხოვე რაღაც და შემისრულე, გთხოვ.

**ანა:** ზეგ სამშაბათია, ჯერ ერთი და დედაჩემის დაბადების დღეა-მეთქი, გითხარი.

**მერაბი:** ჰო, მაზეგ, შემეშალა და დამხვრეტ.

**ანა:** ჯერ არა... თუ შერცხვები, მერე შენ თვითონ რომ იხალო ტყვია საფეთქელში, ის ჯობია...

**მერაბი:** ნუ გეშინია, არ შევრცხვები. მაზეგ გელოდები და გამომიტანე ვერდიქტი.

**ანა:** მაზეგ არა... ვერააა...

**მერაბი:** მობილური ჩართე, გავდივარ, მეძახიან. იფიქრე წამოსვლაზე. გკოცნი.

**ანა:** მალე მოხვალ?

**ანა:** აბა, მოდი... მოდი... შე გაყინულო... ერთი თბილი სიტყვა რომ არ დაგცდება...

**მერაბი:** რას შვრები, მოიწყინე?

**ანა:** ჰო... შენ თუ არ ხარ, აქ არც მინდა ყოფნა... შენ კი არ გგავარ, ყველას რომ ელაპარაკები...

**მერაბი:** შენ ხომ შემისწავლე, მე სითბოს გამოყოფა შემიძლია. შენ რომ ჩაგიკრავ, მაშინ ხომ მიხვდები? ამიტომ, დააჩქარე ჩამოსვლა.

**ანა:** მარტო ჩამოსვლა გაკერია... გამოყოფა რომ შეგეძლოს, 1-2 თბილ სიტყვასაც გაიმეტებდი, მაგრამ ეგ უკეთესია... ე.ი. არ აფერისტობ და რასაც არ გრძნობ, იმას არ მეუბნები... ასე მირჩევნია, ტყუილს...

**მერაბი:** მე რასაც ვგრძნობ და რისი სურვილიც მაქვს შენთან ამ ეტაპზე, ხომ იცი და შემდეგ როგორ განვითარდება მოვლენები, ვნახოთ. აქედან რა გითხრა? ჩამოხვალ და რეალში გეტყვი.

**ანა:** შენ რას გრძნობ? იმას, რომ ჩემთან სექსი გინდა? თუ კიდევ რამეს?

**მერაბი:** კიდევ რამეს! ალბათ ჩვენი ურთიერთობა ასე არ დამთავრდება. რატომღაც ასე მგონია. ვნახოთ, მოვლენებს დაველოდოთ. იმიტომ მინდა შენი ჩამოსვლა.

**ანა:** როცა აქ არ ხარ, თუ გახსენდები მაშინ ხანდახან მაინც? გუშინ თუ გაგახსენდი?

**მერაბი:** გუშინ გამახსენდი კი არა და 20-ჯერ მაინც დაგირეკე, მაგრამ გათიშული გქონდა ტელეფონი. ისეთი „აშუშენიე“ მაქვს, ვითომ მარტო ჩემი ხარ. არ ვიცი, რა მაძლევს ამის უფლებას. ჯერ ხომ არც მინახავხარ. გთხოვ, დააჩქარო ჩამოსვლა.

**ანა:** მარტო შენი ვარ, აბა ვისი, კიდევ? მე აღარავინ მაინტერესებს ახლა... ჩემი ფიქრის ობიექტი შენ ხარ... ეს კი იმის ბრალია, რომ შენ გამოიწვიე ვნება და სურვილი... ხომ იცი, ადამიანს შოკოლადი რომ მოუნდება, ხაჭაპურს თუ შეჭამს, შოკოლადის სურვილს ვერ მოუკლავს... მე შენ მინდიხარ იმიტომ, რომ ეს გრძნობა შენ გამოიწვიე... არ ვიცი, ჯადო გამიკეთე თუ რა ჯანდაბა გააკეთე, მაგრამ რაღაცნაირად გამოგივიდა... ჰოდა, შენი ვარ... შენს მეტი ვერავინ შემეხება და თუნდაც მეორედ აღარ შევხვდეთ, შენ იქნები უკანასკნელიც, ვინც შემეხება... ამას შენ ვერ გაიგებ, მაგრამ ასე იქნება და არც არასოდეს ვინანებ ჩემს საქციელს...

**მერაბი:** დღეს ტელეფონში რომ მითხარი, მთვრალი ვარო, სად დათვერი?

**ანა:** აქ, ოფისში. ჩემი თანამშრომლის დაბადების დღეა... ახლაც ვამატებ და ვამატებ...

**მერაბი:** მე მჯერა მართლა შენი, ოღონდ ჩამოსვლის საკითხი გადამიწყვიტე.

**ანა:** რომ ჩამოვალ, ეგ უეჭველია...

**მერაბი:** ეეე, გეყოფა სმა, მერე შარაფში რამე არ მოგინდეს და ხომ იცი, მთვრალი ქალი საშიშია, შეიძლება აზრები სხვა მამაკაცზე გადაგივიდეს და მე გეგონო. „რუჩნოი“ მოსწიე, დასალევზე.

**ანა:** კარგი, რააა... ეგ აქამდე არ გამიკეთებია და... ისე, მაგაზეც ეჭვიანობ?

**მერაბი:** რა ვიცი, მართლა ასეთი ეჭვიანი კი არ ვარ. ე.ი. ოთხშაბათს გელოდები, არა?

**ანა:** ჰო, არა...

**მერაბი:** რა „ჰო-არა“, ნორმალურად გამეცი პასუხი.

**ანა:** არა, ამ ოთხშაბათს არა... ვერა, სიხარულო... შეგიძლია, სხვა რამე დაგეგმო...

**მერაბი:** შემოგევლე...

**ანა:** სასმელი მიმძაფრებს შენთან ყოფნის სურვილს... თერმობირთვული შეგრძნებები გარანტირებული გაქვს... აზრზე არ ხარ, როგორი გემრიელი და ტკბილი ვარ...

**მერაბი:** რა არის, თავს იქებ?

**ანა:** ამ ჭიქით ჩვენს პირველ ღამეს გაუმარჯოს... ვნებიანს, ცხელს, უძილოს... არა, თავს არ ვიქებ... იმას ვამბობ, რაც სიმართლეა...

**მერაბი:** მანდ ჩვენს მესიჯებს კიდევ ვინმე კითხულობს? ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს 16 წლის ხარ. ისე ხალისობ როცა მესაუბრები, თითქოს სხვა პიროვნებად გადაგაქციე და ადრე სხვა იყავი. უფრო გაგამხიარულე? თან სვამ და თან მესაუბრები. თანამშრომლები



ცარიელ თავში
მეტი ინფორმაცია
შედის

რას იტყვიან?

**ანა:** ჩვენს მესიჯებს არავინ კითხულობს... მარტო მე... და შენ... ამას ვის ვეტყვი, გაგიჟდი? ისე, იმ მხრივ მართალი ხარ, შენ ჩემი ცხოვრება მართლა შეცვალე... თუმცა, ამას სხვა ვერ ამჩნევს... სხვებთან ისეთივე ვარ, როგორც ადრე... შენთან სხვა ვარ, საკუთარ თავს ვერ ვცნობ... მე ალბათ ცოტა ზედმეტიც მომდის ხანდახან, მაგრამ ასეთ სიტუაციაში არ ვყოფილვარ... ალალად ვამბობ ყველაფერს, არ ვეშმაკობ და არ ვთამაშობ... რა გითხრა, შეგიძლია, ხანდახან აზრზეც მომიყვანო... გაივლის ეს ყველაფერი, მაგის გამო არ დამძრახო.

**მერაბი:** პირიქით, ასეთი მინდა, რომ იყო, ოღონდ მარტო ჩემთან, ჩემო სურვილო.

**ანა:** შენ ძალიან კარგი ადამიანი ხარ... ეს ზუსტად ვიცი...

**მერაბი:** საიდან იცი? შენ იცი, ჩემი როგორ ეშინიათ ქუთაისში „პრისტუპნიკებს“? ჩემი მანქანის დანახვაზე გარბიან.

**ანა:** „პრისტუპნიკებს“ რომ ეშინიათ, იმიტომ ხარ კარგი... სიმართლე გითხრა, პოლიციელებზე მაინცდამაინც კარგი წარმოდგენის არ ვარ... შენ კარგი ხარ... თუ მეც უნდა მეშინოდეს?

**მერაბი:** შენ არა, შენ უნდა მაფასებდე და გრძნობდე ჩემს სიძლიერეს. ახლა გავალ, მეძახიან.

**ანა:** მოდი... მოოოოდიიიი!

**ანა:** სადაა ჩემი საშიში ბიჭი? რომ მოხვალ, მომწერე, აქ ვარ, ხმას გავიგონებ და გიპასუხებ...

**მერაბი:** მოვედი. სად ხარ? ქეიფობ კიდევ?

**ანა:** 1-2 ჭიქა დარჩა და ამათაც გავუშვებ... დაგიგროვდა წერილები, არა? ნუუუუუ...

**მერაბი:** ჰო, არ მოიკლო არაფერი... ცოტა დატოვე, თითი რომ გაიჭრას ვიღაცამ, დაგჭირდებათ.

**ანა:** ჩემს წილს არაფერს დავიკლებ და მათ შორის — არც შენს ალერსს...

**მერაბი:** მოდი, გამოიქეცი და წამაქციე, ბარემ...

**ანა:** აქ ვარ... ისე, ჩემი არ იყოს, მგონი შენც შეიცვალე და ცოტა რომანტიკოსი გახდი... ერთი შენს დამნაშავეებს წააკითხა შენი მესიჯები...

**მერაბი:** მაგათთან მუშაობაში ვისწავლე ყველაფერი. ცხოვრება, წინდახედულობა და ბევრი რამ. ეგ ცხოვრება აკადემიაა, ხომ იცი. სწავლა სიკვდილამდეა.

**ანა:** კი, ვიცი. მეც მასწავლი რაღაცრაღაცებს?

**მერაბი:** ახლა სანამ ნასვამი ხარ გამოგტყუო ამბები, თორემ მერე შეიძლება არ მითხრა. ბოლოს და ბოლოს, რიცხვი მითხარი, როდის დაგხვდე. თუ სიურპრიზს მიმზადებ? რა თქმა უნდა, გასწავლი.

**ანა:** ნამდვილი პოლიციელი ხარ, მოკლედ... რიცხვი 20 — ყველაზე გვიან... მანამდე შეიძლება 14-ში ჩამოვიდე.

**მერაბი:** 14-ზე ადრე, გთხოვ, რაა... არ გეცოდები?

**ანა:** რატომ უნდა მეცოდებოდე?

**მერაბი:** რატომ და ვერ გრძნობ იმ



მუხტს ჩემგან, ჩემი სხეული რომ გითხოვს?

**ანა:** გული რომ მომთხოვს, მერე წამოვალ... სი-ხა-რუ-ლოოო...

**მერაბი:** აუ, რა ენის პატრონი ხარ, ყველა სიტყვაზე მომდევ... იმ კუთხით შეხედე, რომელი კუთხითაც საინტერესოა, თორემ ყველა სიტყვა ქართულში სხვადასხვანაირად შეიძლება გადათარგმნო. ჰო, გული გთხოულობს.

**ანა:** კარგი, რააა... შენ რაღა მოგივიდა... ნუ მეჩხუბები... ძლივს შევრიგდით... ისე გითხარი, ხომ ნახე, მეორე მესიჯი მოვაყოლე, რომ მიმხვდარიყავი, სერიოზულად არ ვამბობდი... უჰ... ისე, კი მომწონს, რომ მებუზღუნები ხოლმე... და იცი კიდევ რა მომწონს? შენი ჩაცინება... რაღაცნაირად, საყვარლად ჩაიცინებ ხოლმე, რომ მელაპარაკები...

**მერაბი:** არა, არ გეჩხუბები. ვიცი, რომ მაგრად გაინტერესებ და გინდა შეხვედრა. შეიძლება ფინანსურ კრიზისს განიცდი და ვერ მეუბნები?

**ანა:** არანაირად არ განვიცდი ფინანსურ კრიზისს... მაგის 100 ლარი არ გამჭირვებია, რომ ვიმგზავრო. მანდ კი შენ რომ არ გადამახდევინებ, ვიცი, მაგრამ თუ გადამახდევინებ, არც ეგაა პრობლემა... გავუშვებ გოგონებს, კარს ჩავკეტავ და მოვალ, 2 წუთში.

**მერაბი:** კარგი.

**ანა:** მერააააბ! ახლა ვიწყებ გაბრაზებას...

**მერაბი:** ერთი საათია, გეკითხები, როდის ჩამოხვალ. ალბათ დათვერი და აღარ გახსოვს. წაიკითხე წინა მესიჯები, სიყვარულოოო!

**ანა:** წავიკითხე... ფული არ გაქვსო? მკითხე და მაგაზე გიპასუხე... სხვა რა? როდის ჩამოვალ? მაგაზეც უკვე ბევრჯერ გიპასუხე... შენთან მინდააა!

**მერაბი:** ჰოდა, შეამცირე დრო. იმდენჯერ გეუბნები, მგონი დავითარსებით და ვეღარ შევხვდებით ერთმანეთს. თვალი არ გვეცეს.

**ანა:** ჰოდა, გაჩერდი, რააააა... გული არ მიშვებს, სანამ პრობლემები მაქვს... ნუ გეწყინება...

**მერაბი:** ერთი დღე რას წყვეტს? ჯიუტოოო!

**ანა:** ნუ შემჭამეეე... ტბილეული გიყვარს, მერაბ? ნამცხვრები, შოკოლადი...

**მერაბი:** არა, ტკბილეული არ მიყვარს. მინდა! მინდა! მინდა და ვსიო! მალეეეეე!

**ანა:** ეჰ... შენ ქალების მეტი რა გყავს? ჯერჯერობით უფლება გაქვს, გაისეირნო... ოღონდ, მე არ გამაგებინო, თორემ მოვკვდები, რომ წარმოვიდგინო, ის კაცი, რომელზეც ასე ვოცნებობ, სხვას ეფერება... მოვკვდებიიი!

**მერაბი:** ნუ გეშინია, ჯერ კარგად იქცევი და შენი ვარ. თუ შეგეშლება, რის უფლებასაც არ მოგცემ, მერე ვნახოთ.

**ანა:** წარმოვიდგენ ხოლმე, მე რომ გზაში ვარ და შენ მელოდები... მირეკავ, მეკითხები, სად ვარ... თუ არ დამირეკავ?

**მერაბი:** აბა, რას ვიზამ? შენ რაებს მეუბნები? მე მაგარი პასუხისმგებლობის გრძნობა მაქვს. ახლა უნდა გავიდე და შემდეგ შეგეხმიანები, 1 საათში.

**ანა:** კარგი... გელოდები.

**ანა:** მოვიდა ჩემი სიხარული?

**მერაბი:** გენაცვალე, ჩაგეხუტე მაგრად, მაგრად...

**ანა:** როგორ დამცინი, არა? გამოიჭირე სულელი ქალი...

**მერაბი:** არ გრცხვენია?

**ანა:** არა. დღეს კიდევ გადიხარ სადმე?

**მერაბი:** ახლა უნდა გავსულიყავი და გადაიდო. არ ვიცი.

**ანა:** ხომ მოხვალ ისევ?

**მერაბი:** ჯერ არ მივდივარ.

**ანა:** დაიღალე?

**მერაბი:** არა, შენთან რა დამღლის? ახლა ოპერაციაზე მივდივართ, რაიონში. ტელეფონი ჩართული გქონდეს.

**ანა:** დიდი ხნით მიდიხარ? ჩართულია... არ გამოვრთავ... დაგელოდები,

რომელი საათიც უნდა იყოს... არ დავიძინებ.

**მერაბი:** 2 საათი დამჭირდება იქ ჩასასვლელად. როდის ჩავატარებ ოპერაციას, არ ვიცი. გზადაგზა დაგირეკავ სიხარულო, მენატრები.

**ანა:** მეც მენატრები... კარგი, დაველოდები შენს ზარს გულის ფანცქალით... დილამდე არ მოხვალ, ალბათ... მაინც დაგელოდები, მაგრამ თუ დაღლილი იქნები, მაშინ დაგაძინებ... გკოცნი, ღმერთი შენკენ... რაღაცნაირად, თითქოს შემეშინდა...

**მერაბი:** მოდი, სანამ გავალ, მომწერე. შეიძლება უცებ გავიდე და ვერ გითხრა სიხარულო. აი, ხომ ხედავ, როგორ იცვლება მოვლენები. იმიტომ მინდოდა შენი ნახვა.

## 4 მაისი, 05:04

**მერაბი:** ახლა ჩამოვედი და არ გაგაღვიძე. დაღლილი ვარ, ძალიან.

**მერაბი:** აღარ მეძინება. „პივას" ვურახუნებთ მე და ჩემი ბიჭები აქ, ადგილზე. ალბათ მიმაძინებს. დღეს კიდევ მძიმე დღე მაქვს. მენატრები ანაააა. რა ვქნააა? დავაავადდი შენით, ვირუსი „ანა" შემეყარააა! მიშველი?

**ანა:** ამ დროს მეღვიძა და გელოდი... ცუდი ხარ.... დაგირეკე კიდეც და არ მიპასუხე... ახლაც დაგირეკე, 9-ის ნახევარზე... გული გამისკდა, რომ არ მიპასუხე. ვიფიქრე, მშვიდობა რომ იყოს, აუცილებლად დარეკავდა-მეთქი... აღარ მიყვარხარ... „რაზვოდ"!

**ანა:** რატომ არ მირეკავ? ნეტავ, სად დაცუნცულებს ჩემი ცხოვრება? როგორ მინდა, შენი ხმის გაგონება, მაგრამ აღარ გირეკავ. არ მპასუხობ და რა ვქნა? ალბათ სახლში ხარ. მენატრები, სიხარულოოო!

**მერაბი:** ჩემო პატარავ...

**ანა:** გაიგონე ჩემი ძახილი და დამირეკე? შენთან მინდა, მენატრები... იცი, ვფიქრობ ხოლმე, ჩვენ ხომ ამდენი კილომეტრი გვაშორებს და მაინც, რა ახლოს ხარ... აქვე, ჩემთან... სულ თან დამყვები... ვერ ხვდები, რომ.........
მიყვარხარ!

**ანა:** არა, გატყუებ, არ მიყვარხარ... მე არა ვარ ის ქალი, ასე იოლად რომ უყვარდებათ, უნახავად... სამწუხაროა, რომ წინა მესიჯის უკან დაბრუნება არ შემიძლია... მე ცივი, გულქვა, და უგულო ქალი ვარ... არ შეიძლება, ვინმე შევიყვარო, ეს შეუძლებელია! მაგრამ ახლა რატომ ვგრძნობ მკერდში რაღაც ცხელს, მფეთქავს... ეს უბრალოდ, იმის გამოა, რომ წუხელ შენზე ვინერვიულე. თითქოს ძალიან ახლობელი იყავი, ისე განვიცდიდი, როგორ იყავი, რას აკეთებდი... გელოდი... გელოდი... დილამდე გელოდი... 8 საათი იყო, რომ დავიძინე... ერთგულად გელოდი, როგორც შეგპირდი...

კარგი, კარგად... გკოცნი და............ მიყვარხარ.

## 5 მაისი, 07:40

**ანა:** როდის მოვა ჩემი ჯადოქარი?

**მერაბი:** გელოდები. ვზივარ და ისე მძინავს. რას შვრები? შენც არ გეძინა ალბათ, არ დაგაძინე, ხომ? გზიდან მილიონჯერ დაგირეკე. აქ ვის ელოდები ახლა? საიტზე რატომ ხარ?

**ანა:** როგორ მინდა შენთან ლაპარაკი... დღეს მთელი დღე მეჩხუბებოდი... ალბათ გადაღლილობის ბრალი იყო... გკოცნი. მოხდა რამე?

**მერაბი:** მოვედი, როგორ ხარ? მენატრები!

**ანა:** უჰ... რამდენი ვინერვიულე?!

**მერაბი:** რა განერვიულებს, სიხარულო, მე შენთან ვარ.

**ანა:** დილით მესიჯები რომ გახსენი და არაფერი მომწერე, არც დამირეკე... ტელეფონზე დაგიმესიჯე და არ მიპასუხე... არაა საკმარისი მიზეზი სანერვიულოდ? ჰაააააა?

**მერაბი:** არაფერი შეცვლილა. უბრალოდ, ტელეფონი კაბინეტში მქონდა და ახლა ვნახე. მოდი, გელოდები, სად წახვედი?

**ანა:** აქ ვარ, სიხარულო... გოგოები მოვიდნენ და დავალებები მივეცი... გული მიგრძნობს, რომ ვიღაცით ხარ დაკავებული...

**მერაბი:** არ გცალია?

**ანა:** მცალია და გწერ... შენ კი არ მპასუხობ...

**მერაბი:** რა ვიღაცით? უბრალოდ, მოქალაქეები მყავს და თან იმათ ვაქცევ ყურადღებას და შენც გესაუბრები. მძიმე დილა მაქვს.

**ანა:** მერაბ, ყურადღება მომაქციე... ნუ მაგიჟებ, დაიბრიდები, იცოდე...

**მერაბი:** გაქცევ, რა ვქნა მეტი? ალყა დაგარტყა და დაგიპყრო?

**ანა:** აბა, რა უნდა ქნა, მაგას კითხვა უნდა?

**მერაბი:** რა ხდება შენკენ, მოახსენე უფროსსა.

**ანა:** არაფერი... გუშინ უშენობა ვიგრძენი... 1-2 საათში სამსახურში წავალ. წეღან ხელოსანი მოვიდა და ჩემი მანქანა გავატანე. რაღაც, მუხრუჭი არ მომწონდა, ეს 2 დღეა... მომიყვანს და მერე წავალ.

**მერაბი:** ნელა იარე. ხომ იცი, როგორ მინდიხარ. წამოსვლაზე რა გადაწყვიტე? სულ ჩემთან მინდა, რომ მყავდე...

**ანა:** წამოვალ აუცილებლად... თუ შენ არ გადაიფიქრებ, რა თქმა უნდა.

**მერაბი:** მაგას სულ ნუ მეუბნები, გადაიფიქრებ, გადაიფიქრებო. მინდა, რომ ჩამოხვიდე და დასვი წერტილი! ეგ საკითხი გასაჩივრებას არ ექვემდებარება. გასაგებიაა???

**ანა:** კარგი, გავიგე... მეც მიყვარხარ. :)

**მერაბი:** მართლაა? აბა, როგორ?

**ანა:** ისე, როგორც შენ გიყვარვარ... ძალიან, ვნებიანად, მთელი სულით, გულით და არსებით და შენთან მინდა, ოღონდ იმაზე მეტად, ვიდრე შენ — ჩემთან...

**მერაბი:** ოლიმპიადა ხომ არ არის, ვეჯიბროთ ერთმანეთს, ვის უფრო მეტად? ჩამაშხამე შენი ჩამოუსვლელობით ყველაფერი. რას ნიშნავს ეს? ნელნელა ვიღლები.

**ანა:** იღლები??? კარგი, მაშინ შევწყვიტოთ ურთიერთობა... წამოსვლის წინადღეს დაგირეკავ, გეტყვი, ხვალ მოვდივარ-მეთქი და ეგაა... არ არის პრობლემა, მართლა...

**მერაბი:** აუ, რა ნერვოზიკი ხარ რა...

**ანა:** სულ მეჩხუბები... ნუ, რა, გთხოვ...

**მერაბი:** ჩამოხვალ აქ და ნახავ... შეგაგდებ ჩამოსვლისთანავე და ამდენი ლოდინისთვის დაგსჯი. კი არ გეჩხუბები, უბრალოდ, მინდა, ხელით შეგეხო და გიგრძნო, როგორი ხარ.

**ანა:** მეც მინდა... ძალიან მინდა, შეგეხო და გიგრძნო... ჩაგეხუტო და შენი ტუჩებისა და კოცნის გემო გავიგო... შენი ალერსის... ხელების... შენი სუნი გავიგო და დავტკბე შენთან ყოფნით... იცი, ეს რას ნიშნავს? იმას, რომ ყოველი წუთი აუტანელია... მაგრამ სამაგიეროდ, შენთან შეხვედრას აახლოებს... მინდიხაააარ!

**მერაბი:** მოიცა, აქამდე არ იყო ახლოს შეხვედრა?

**ანა:** კი, იყო, მაგრამ დრო რომ გადის, ხომ უფრო ახლოვდება?

**მერაბი:** ჰო, დღეები გადის და 20 რიცხვიც მოვა, 25-ც, მაგრამ ზუსტ დროს არ ამბობ.

**ანა:** ან 13 ან 20. გპირდები, მაგას არ გადაშორდება...

**მერაბი:** კიდევ კარგი, რომ ასეა. ჰო, ტელეფონზე არ დამირეკეო, დღეს რომ მითხარი, გამითავდა ანგარიში და ვერ გავდივარ ჩასართავად. გავალ, ჩავრთავ და დაგელაპარაკები. ახლა ხომ არ დავიწყებდი, მათხოვეთ მობილური, დავრეკო-მეთქი?

**ანა:** ჩაგირიცხო, რომ გავალ? ჩემი ცუნცულა დაცუნცულებს, დადის და მშურს იმ ადამიანების, ვინც მის ახლოსაა, ხედავს, ელაპარაკება, მისი ამონასუნთქი ჰაერით სუნთქავს.

**მერაბი:** მაგიტომ კი არ მითქვამს, ასე წაქცეული კი არ ვარ, ჯერჯერობით.

**ანა:** წაქცეული ხარ-მეთქი, არ მითქვამს და ღმერთმა ნუ წაგაქციოს... კარგი, ჰო... რამე კარგი და სასიამოვნო მითხარი, რომ გადამრიო, ისეთი...

**მერაბი:** ახლა სად მიდიხარ მაქედან?

**ანა:** სამსახურში.

**მერაბი:** მერე ერთი შენი დღის განრიგი მითხარი.

**ანა:** საღამომდე სამსახურში ვარ, მერე სახლში მივდივარ... ხვალინდელიც?

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# „ნათესავების რისხვას რომ გადაურჩეთ, უფლის წინაშე თავს როგორღა იმართლებთ“



**„გზის“ №33-ში დაიბეჭდა 17 წლის PAC GIRL-ის მესიჯი. იგი იმედოვნებდა, რომ ჩვენი ჟურნალის მკითხველები მის საქციელს არ გაკიცხავდნენ, მაგრამ გოგონას მესიჯმა ყველა — დიდი თუ პატარა, აღაშფოთა.**

*ლიკა ქაჯაია*

**უშნო ბიჭი:**

„გვრიტო, დარწმუნებული ვარ, იმ ბიჭს არ უყვარხარ! თუ გგონიათ, თქვენ შესახებ არავინ არაფერი იცის, ძალიან ცდებით. აი, თავზე რომ დაგადგებიან, მერე ნახეთ, რა მოხდება. ახლა ერთ ამბავს მოგიყვებით: ბიძაშვილ-მამიდაშვილს მართლა უყვარდათ ერთმანეთი და იცი, რა მოხდა? ბიჭმა თავი მოიკლა. მისი თვითმკვლელობის მიზეზი მისივე ძმაკაცისგან შევიტყვეთ. ასე უთქვამს: ის გოგო სხვა ადამიანის გვერდით რომ ვნახო, ამას ვერ ავიტანო... დაე, უფალი შეგეწიოთ და დაგეხმაროთ გამოსავლის პოვნაში“.

**ლაშა-ბარსა:**

„ძალიან მეცოდები, მაგრამ რას ვიზამთ? — ასეთი ბედი გერგო! რაც არ უნდა მოხდეს, ნათესავთან ფიზიკური ურთიერთობა არ გააბა და ეცადე, მალევე დაივიწყო. ყურადღება სხვა რამეზე გადაიტანე, მეგობრებთან ერთად გაერთე და მისგან თავი შორს დაიჭირე. ნათესავთან შეყვარებულობანას თამაში კარგს არაფერს მოგიტანს. თუ გინდა, ამ ნომერზე: 8(98) 65-76-48 დამეკონტაქტე და ყველაფერს უკეთ აგიხსნი“.

**ლიკუნა:**

„შენ ნორმალური ხარ? რა ნათესავის სიყვარული, ხომ არ გაგიჟდი? ღმერთის არ გეშინია? თუ კაცი გინდა, ნათესავის გარდა ვერავინ ნახე?“

**კოზანოსტრა:**

„შევეცდები, ისეთი რამ გირჩიო, რაც საქმის უმტკივნეულოდ მოგვარებაში დაგეხმარება. კარგი იქნება, თუ გარკვეული პერიოდის განმავლობაში მას არ შეხვდები და დაფიქრდები იმაზე, თუ რა შეიძლება მოჰყვეს თქვენს ურთიერთობას... ისე, რაღა ნათესავი აირჩიე, რაღა „სამოთხის ვაშლს“ მიადექი?.. მინდა, შენს ნათესავს მივმართო: ქართველი არ ხარ? სად გაიზარდე? შენ გოგოს შეცდენა, თანაც — ნათესავის, კაცობა გგონია? ნუთუ, ისეთი ვაჟკაცი ძმაკაცები არ გყავს, ჭკუა რომ გასწავლონ? ვინც არ უნდა იყო და სადაც არ უნდა ბრძანდებოდე, შეეცადე, 1000-ჯერ დაფიქრდე და ბოლოს, ისე გაჭრა, რომ არც საკუთარ თავს და არც ოჯახის სახელს ჩირქი არ მოსცხო. კეთილისმსურველი“.

**იკუშკები:**

„ძალიან ვეცადე, შენ მიმართ ლმობიერება გამომეჩინა, მაგრამ მაინც, ქართველობამ სძლია თანაგრძნობას. შენ ახლა ვნებას ჰყავხარ შეპყრობილი და არანაირი რჩევა-დარიგება არ გიშველის. შეიძლება, ეკლესიურად ვერ იცხოვრო, მაგრამ როცა ქრისტიანი ხარ, იმას მაინც ხომ უნდა შეეცადო, რომ უფალი ასეთი სულისმომაკვდინებელი ცოდვებით არ განარისხო? რა ვქნა, შეიძლება, ევროპელები ვართ და XXI საუკუნეში ვცხოვრობთ, შეიძლება, ყველაზე დიპლომატი მრჩეველი ვარ, მაგრამ ამ უმსგავსობაში მხარს ვერ დაგიჭერ. თუ ხვალ და ზეგ ქართველებმა ასე უკუღმართად უნდა ვიცხოვროთ, დაე, უფალმა დღის სინათლე აღარ გვაღირსოს! გადაგვარებას და გადაშენებას ღირსეული სიკვდილი ჯობია. რა თქმა უნდა, უცოდველი არავინაა, მაგრამ თქვენი საქციელი უკვე მეტისმეტია... დარწმუნებული ვარ, ხუთშაბათს, როცა ჟურნალს იყიდი და რჩევებს წაიკითხავ, შენს ცხოვრებაში აბსოლუტურად არაფერს შეცვლი, მაგრამ თუ ცოტა კეთილგონიერება მაინც შეგრჩენია, ადექი და მონასტერში წადი. ისეთ შეცდომას ნუ დაუშვებ, რომლის გამოსწორებაც შეუძლებელი იქნება“.

**მეამბოხე სული:**

„ადამიანო, ასეთი უწმინდური როგორ ხარ? სისხლით ნათესავთან სექსი როგორ გაიფიქრე? რადგანაც ასეთი ავსული ხარ, ლმობიერებას ნუ ელი! შენ დაგმე ყოველივე წმინდა, სისხლი არად ჩააგდე და ამას არავინ გაპატიებს. ნუთუ, ამქვეყნად კაცები დაილია? უფალს შენდობა სთხოვე და შეეცადე, ეშმაკს სძლიო“.

**ნათია:**

„ვიდრე ძალიან გვიანი არაა, სჯობს, ყველაფერი გამოასწორო. ახლა მკითხველებისგან რჩევას კი ითხოვ, მაგრამ მათ რაიმეში გამოიყენებ? მოდი, პირდაპირ გეტყვი: შენ და შენი ნათესავი უდიდეს ცოდვას სჩადიხართ!“

**მისტერ:**

„როგორ აღიარებ, რომ ერთმანეთი შეგიყვარდათ ან საერთოდაც, აზრად როგორ გაივლე მასთან დაწოლა? ნუთუ, სინდისი არ გქენჯნის? თავმოყვარეობა სულ დაკარგე? იცოდეთ, ამ საქციელის გამო ცხოვრება საბოლოოდ დაგენგრევათ!“

**მგზავრი:**

„კარგი გასატკუცი ხარ, წკეპლა სულ ერთ ადგილზე უნდა გირტყას კაცმა. რამ გადაგრიათ, თქვე დალოცვილებო? ქვეყანაზე გოგონები და ბიჭები დაილია, ნათესავები ერთმანეთს რომ არ ჩაეფსკვნათ? დროულად გამოფხიზლდით, თორემ მერე, ორი აგურიც არ გეყოფათ თავში საცემრად“.

ASHLEY PCD:

„გოგო, აზრზე მოდი! ვის უნდა დაუწვე, საკუთარ ნათესავს? გააფრინე? რასაც შენ ამბობ, იმას უფალი კრძალავს. დავიჯერო, ჯოჯოხეთში მოხვედრის პერსპექტივა ძალიან გხიბლავს? ტაძარში მიდი და მოძღვარს აღსარება ჩააბარე. მხოლოდ უფალი გიჩვენებს სწორ გზას“.

**ზესტა და-კე:**

„ევროპული ცხოვრება მოგინდა, არა? თავი გაანძრიე და აზრზე მოდი! დაფიქრდი, რას სჩადიხარ. თქვენ საქვეყნოდ უნდა შეგარცხვინონ და გაგროზგონ“.

LONELY GIRL:

„ეჰ, დალუპულო საქართველოვ, საით მიექანები?.. ტაძარში მიდი და შეცოდება მოინანიე. ისე, რაღა ნათესავს დაადგი თვალი? აუ, მართლა „გამოსერიალდა“ ეს ხალხი, რა. ღმერთმა შეგინდოს“.

**გაცოცხლებული თოჯინა:**

„იცოდე, თუ მასთან დაწოლის სურვილს არ შეეწინააღმდეგები, ყველა ზურგს შეგაქცევს და არც ის ბიჭი ამოგიდგება მხარში. გთხოვ, წინდახედულობა გამოიჩინე და მასთან დაწო-

ლის ცდუნებას როგორმე გაუმკლავდი“.

**ლი ჰარვი ოსვალდი:**

„ვიცი, რომ სხვისი განკითხვა ცოდვაა, მაგრამ მგონი, თქვენ სიტუაციას სალად ვერ აფასებთ. არც კი ცდილობთ, საკუთარ თავს მოერიოთ და სული არ წაიწყმიდოთ. ხვდებით მაინც, რამხელა დარტყმა იქნება ეს თქვენი ახლობლებისთვის?.. გირჩევ, რაც შეიძლება ნაკლებად იკონტაქტო მასთან“.

**ტირიფი 73:**

„ვაიმე, დედა, აღარ ვიცი, სიმწრისგან ვიტირო თუ ვიცინო?! თავადაც ხვდები, რომ ცხოვრებას ინგრევ და კიდევ უფრო ღრმად ეშვები უფსკრულში? ამბობენ, ქალები ჭკვიანები არიან იმიტომ, რომ პერიოდულად, ტვინის ერთ ნახევარსფეროს ასვენებენო. მაპატიე, საყვარელო, მაგრამ შენ ორივე გათიშული გაქვს?“

**გრუზინკა:**

„რატომ უნდა დაუწვე კაცს და თანაც, ნათესავს? ახალგაზრდა გოგო საკუთარი ხელით ითხრი საფლავს და შენ მიმართ ლმობიერება როგორ გამოვიჩინო? კაი განკეპვლა ალალია შენთვის... ისიც იცი, რომ ცოლად ვერ მოგიყვანს, მაგრამ მაინც, სისულელის ჩადენას აპირებ“. ■

# „თუ არ ვუყვარვარ, ასე რატომღა იქცევა?“

STRONG GIRL:

„პრივეტ, ლიკ. თქვენი დახმარება ძალიან მჭირდება. მყავდა შეყვარებული. ჩვენ 4 თვე ვიყავით ერთად, უკვე მომავალზე ვფიქრობდით, გეგმებს ვაწყობდით: სად უნდა გვეცხოვრა, ბავშვებს რას დავარქმევდით და ა.შ. ერთ დღეს კი გამომიცხადა: მაპატიე, მეგონა, შემიყვარდებოდი, მაგრამ ეს ვერ შევძელი და მოდი, მეგობრებად დავრჩეთო. სხვა რა გზა მქონდა? — არ მინდოდა, სამუდამოდ დამეკარგა და მეგობრობაზე დავთანხმდი. ერთხელ მივწერე, ახალი „ლოვე“ მყავს-მეთქი და ისეთი მესიჯი მომწერა, მივხვდი, ეს ამბავი არ ესიამოვნა. ვერ იტანს, როცა სხვასთან დამინახავს. ხშირად მწერს მესიჯს, მირეკავს და მეკითხება, არ გენატრებიო? ვერ გამიგია, თუ არ ვუყვარვარ, ასე რატომღა იქცევა? რჩევებისთვის წინასწარ გიხდით მადლობას“.

***P.S. მაშ ასე, თუ STRONG GIRL-ის წერილის წაკითხვის შემდეგ, მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მას თქვენი დახმარების იმედი აქვს.*** ■

# „ისეთი ვილაც გჭირდება, ვინც „შემოგილაწუნებს“

**„გზის“ №33-ში დაიბეჭდა 16 წლის უცნობის მესიჯი. შეგახსენებთ, იგი გვწერდა: „მამა გარდამეცვალა. ისედაც გამწარებულს, მამაჩემის პანაშვიდზე, მისმა ღვიძლმა ბიძაშვილმა ამიხსნა სიყვარული. გეფიცებით, ის მე არ გამომიწვევია, როგორც ძმას, ისე ვუყურებდი...“**



**გრუზინკა:**

„მას უნდა აუხსნა, რომ ნათესავია, ქრისტიანებში ასე მოქცევა კი ცოდვაა. ეცადე, მასთან ახლო კონტაქტი არ იქონიო, თავი აარიდე. ძალიან ცუდია, ქართველობას რომ კარგავთ“.

**თამუნა:**

„შენთან ურთიერთობა აუკრძალე. მგონი, გამოცდილება უკვე გაქვს და შეცდომას აღარ დაუშვებ. ასეთ ნათესავს ერიდე, მასთან ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვიტე. ნუ გეშინია, აუცილებლად იპოვი ისეთ პიროვნებას, რომელიც შეგიყვარებს და გაგაბედნიერებს. ღმერთი გფარავდეს“.

EKO BOY:

„ჩვენ რა უნდა გირჩიოთ? თავად შეეცადე და ამ ყველაფერს გაუმკლავდი. მოკლედ, რა არ ხდება ამქვეყნად რა, ლამისაა გავგიჟდე. ხალხნო, რამ გადაგრიათ, ნათესავებს რომ დაერიეთ? თქვენ მანამ უნდა გირტყან, ვიდრე გონს არ მოეგებით“.

**ლუნა:**

„შენს თავს ისეთი აურზაურია, მგონი, ვერაფრით დაგეხმარებით. ერთხელ გაგიტყდა სახელი და შენი ახლობლები ყველაფერში ამიტომაც გადანაშაულებენ. არავის არაფერი აუხსნა, ამას აზრი არ აქვს. ვალერიანის აბები დალიე, დაგამშვიდებს. კიდევ, რაიმე სასიამოვნოზე იფიქრე. მერწმუნე, დრო ყველაფრის მკურნალია და შესაბამისად, თანდათანობით შენც დაივიწყებ ამ ტკივილს. გკოცნი სევდით გადაღლილ თვალებზე“.

ASHLEY PCD:

„მოერიდე იმ ტიპს! თვითმკვლელობაზე ნუ ფიქრობ. ჩემი ცხოვრება შენსაზე გაცილებით უარესია, მაგრამ შენგან განსხვავებით, ძლიერი ქალი ვარ! იბრძოლე ბედნიერებისთვის და ამიერიდან აღარავის მისცე უფლება, ცხოვრება დაგინგრიოს“.

**მისტერ:**

„ვფიქრობ, რომ შენდაუნებურად, მის გრძნობებს მცირედი გასაქანი მიეცი, მან შენგან რაღაც იგრძნო... მიახვედრე, რომ ძალიან ცუდად იქცევა და დააფიქრე იმაზე, თუ რა შეიძლება მოჰყვეს მის ამ დაუფიქრებელ ნაბიჯს“.

**ურჩი გოგო:**

„ძვირფასო, შენ ისეთი ვილაც გჭირდება გვერდით, ვინც „შემოგილაწუნებს“ და აზრზე მოგიყვანს. მასთან ურთიერთობა არავითარ შემთხვევაში არ დაამყარო, თორემ ცხოვრებას დაიმახინჯებ და დაიღუპები“.

**მეამბოხე სული:**

„ყველაფერი გააკეთე იმისათვის, რომ მასზე ძლიერი და წმინდა იყო. ილოცე, რათა უფალმა მოგცეს იმის ძალა და ისეთი გონიერება, რომ საკუთარი ცხოვრება უკეთ წარმართო. P.S. ახალი არ ვარ, ნიკი შევიცვალე“.

**ზესტა და-კე:**

„ყველაფერი დედას უამბე. მართალია, ცოტათი გაგიბრაზდება, მაგრამ ეს არაფერი. შენ გამო გულწრფელად ვწუხვარ“.

**იკუშკები:**

„ღმერთო ჩემო, ეს რას კითხულობს ჩემი თვალები?! ნუთუ, მართლა გადაშენების პირას ვართ? უკიდურესად შეშფოთებული და განრისხებული ვარ! რა შეიძლება ვუწოდო ასეთ მარაზმს? ან ღმერთის არ ეშინია მამაშენის ბიძაშვილს, ან ვინმე გონიერი ნათესავი და ახლობელი არ ჰყავს, ჭკუაზე რომ მოიყვანოს? იმ უსინდისოს ჩამოშორებას ყველანაირად შეეცადე. თუ საჭირო გახდა, უჩივლე კიდეც. უვარგისი ნათესავებისა და ახლობლების ყოლას, სჯობს, მარტო იყო. აბა, შენ იცი, ფარ-ხმალი არავითარ შემთხვევაში არ დაყარო, საკუთარი ღირსება დაიცავი“.

**ლისა:**

„შენი პრობლემა იმაშია, რომ ცანცარა ხარ და ყველას ყურადღებას ამით იქცევ. ეტყობა, ჭკუა ვერაფერმა გასწავლა... ის ბიჭი კი მაგრად უბერავს. ჩემი აზრით, მთლად ნორმალური, დალაგებული არ უნდა იყოს“.

**უშნო ბიჭი:**

„თავს უნდა უშველო! ის ადამიანი მეხსიერებიდან ამოიგდე, ახლოს არ გაიკარო. მერწმუნე, მალე გეწვევა ნამდვილი სიყვარული და ბედნიერი იქნები. შენ არაფერში ხარ დამნაშავე“. ■

# ჯენტლმენი — მამაკაცი, რომელიც არ არსებობს

გრაფი თარხანი



**გამარჯობა, ჩემო მკითხველებო. ზაფხული მოგზაურობისთვის ზედგამოჭრილი დროა და როგორც იცით, მე ძალიან ბევრს ვმოგზაურობ. ჰოდა, ეს რამდენიმე კვირა საქართველოში არ ვიყავი. სამაგიეროდ, ჩემი ბიოგრაფია კიდევ რამდენიმე საინტერესო თავგადასავლით გავამდიდრე. იმ ქვეყნების (სადაც ვიყავი) შესახებ შთაბეჭდილებებსა და თავს გადახდენილ ამბებს მოგვიანებით მოგიყვებით, როცა ფოტოებს გადავარჩევ. ახლა კი ჯერჯერობით ჩვეულ რეჟიმში გავაგრძელოთ ურთიერთობა და მომავალში თქვენგან შემოსული წერილებიც განვიხილოთ, რომელიც ჩემი არყოფნის დროს ბლომად დაგროვდა.**

ინგლისური ხალხური სიბრძნე ამბობს: „ჯენტლმენი ის მამაკაცია, რომელიც სიბნელეში კატას ფეხს დაადგამს და წამოიძახებს: „კატა!“ ახლა კი წარმოიდგინეთ, რას წამოიძახებს ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივი, საშუალო სტატისტიკური ქართველი რაინდი, სიბნელეში საცოდავ კატას ფეხს თუ დაადგამს. დარწმუნებული ვარ, ისეთ სიტყვებს იტყვის, რომელიც ცენზურას ვერ გაუძლებს. ასე მოიქცევა მამაკაცების უმეტესობა (ჩემი ჩათვლით), რაც იმის დამამტკიცებელი არგუმენტი იქნება, რომ დღესდღეობით ნამდვილი ჯენტლმენი არ არსებობს.

ხმამაღლა გამოთქვი სიტყვა „ჯენტლმენი“... რა დახატა ასეთ დროს შენმა გონებამ? ტვიდის კოსტიუმში გამოწყობილი, ელეგანტური, ერუდირებული, საინტერესოდ მოსაუბრე, ქალის გვერდით გალანტური, მამაკაცთა საზოგადოებაში — ტაქტიანი მამაკაცი.

ჯენტლმენის წარმოსახვა გონებაში ისევე იოლია, როგორც მაგალითად, დინოზავრის. სიტყვები „ჯენტლმენი“ და „დინოზავრი“ ყველა ქვეყნის ენაში არსებობს, მაგრამ ერთიც და მეორეც დიდი ხნის წინ გადაშენდა. ისინი ისტორიას შეერწყნენ და გაქრნენ. ჯენტლმენმა მემკვიდრეობად თავისი საუკეთესო თვისებები დატოვა და ძლიერი სქესის სხვადასხვა წარმომადგენელში მცირე დოზებად გააბნია, რითაც მათ თავისი ამაყი სახელი — ჯენტლმენი დაუტოვა. ნამდვილ, „კლასიკურ“ ჯენტლმენს დღეს ვერ იპოვი. შესაძლოა, ასეთი ძველი შოტლანდიის რომელიმე ძველ ქალაქში შემთხვევით აღმოაჩინო. თუმცა, იმედს ნუ გადაიწურავ, ჩვენთან შესაძლებელია ისეთი მამაკაცის პოვნა, რომელსაც ჯენტლმენის რამდენიმე თვისება აქვს. ვინ არიან ისინი და სად შეიძლება მათი პოვნა, ამის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ.

## ცილინდრიანი მამაკაცების წარსულიდან

ახლა მცირე ექსკურსი ისტორიაში, თუ როგორ წარმოიშვა ასეთი „სახეობის“ მამაკაცი. სიტყვა „ჯენტლმენი“ ინგლისურიდანაა შემოსული. თავდაპირველად ის აზნაურს, კარგი ოჯახიდან გამოსულ, კეთილშობილ მამაკაცს ნიშნავდა. XVII საუკუნეში ინგლისში მოქმედებდა კანონი, რომლის თანახმადაც, აზნაურის წოდება მამიდან მხოლოდ უფროს შვილზე გადადიოდა. დანარჩენი ვაჟები „ჯენტლმენის“ ტიტულს სჯერდებოდნენ. მაშინ ამ ტიტულით მამაკაცის წარმოშობასა და საქმიანობას უსვამდნენ ხაზს. ჯენტლმენობა ეს ცხოვრების წესი გახლდათ. უკვე მაშინ გაჩნდა ჯენტლმენის განმასხვავებელი ნიშანი — ინტელექტუალური საქმე და შესაბამისი იმიჯი. ჯენტლმენები მუდამ ელიტაში ტრიალებდნენ, ინგლისურ კლუბებში იკრიბებოდნენ, პოლიტიკას განიხილავდნენ და ერთმანეთს აზრს უზიარებდნენ. ჯენტლმენი არასოდეს დაკავდებოდა კომერციული საქმიანობით და ფულთან დაკავშირებულ საკითხს ხმამაღლა არასოდეს განიხილავდა. ის თვითრეალიზებას შეძლებისდაგვარად ახდენდა: ძველ ენებს, სხვადასხვა მეცნიერებას, ისტორიას, სამხედრო საქმეს, ხელოვნებას სწავლობდა, ბევრს მოგზაურობდა და ცოდნას იღრმავებდა.

ბუნებრივია, ეს ყველაფერი ინტელიგენტი ადამიანის მანერებზეც აისახებოდა: შინაგანი ღირსება ამაყ სიარულს, ჟესტიკულაციას, ლამაზი საუბრის მანერას აყალიბებდა. ჯენტლმენისთვის ძალზე მნიშვნელოვანი გახლდათ პატივი და სიამაყე. ჯენტლმენები დახვეწილი დუელანტები იყვნენ. თუმცა, შედარებით დაბალი რანგის ადამიანის დუელში გამოწვევა (მაგალითად, ვაჭრის) მათ ღირსებაზე დაბლა იდგა.

ჯენტლმენი არასოდეს ლაყბობდა და მუდამ იკავებდა ემოციებს, სიყვარულშიც კი. ცოლს დიდ პატივს სცემდა, პატრონობდა და თავის ერთგვარ „დამატებად“ მიიჩნევდა. ლედის მის ზურგს უკან კომფორტი და სიმყუდროვე უნდა შეექმნა, ოჯახს გაფრთხილებოდა, შვილები აღეზარდა, ქველმოქმედი ყოფილიყო. კეთილშობილი აზნაურისთვის ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეგობრობასაც.

ახალგაზრდა აზნაურებს სპარტანულად ზრდიდნენ — დახურულ, ელიტურ კოლეჯში, მომავალ ჯენტლმენებს შორის. მათ ბავშვობიდანვე აჩვევდნენ სპორტის რომელიმე სახეობას და ჯენტლმენები ღრმა მოხუცებულობამდე ინარჩუნებდნენ გარეგნულ იერს.

მოკლედ, ჯენტლმენი მხოლოდ მამაკაცი კი არა, თვით სრულყოფილება და იდეალური მამაკაცის განსახიერებაა.

## ჯენტლმენი და ადამიანი: იპოვე 5 განსხვავება

სამწუხაროდ, „კლასიკურ“ ჯენტლმენს დღეს ვერ იპოვი. თუმცა, თანამედროვე რაინდებსა და დონ ჟუანებს შორის შესაძლებელია 2-3 ისეთი მამაკაცის პოვნა, რომელსაც შეიძლება, ჯენტლმენი ეწოდოს. როგორ უნდა ამოიცნო ის? რა განმასხვავებელი ნიშნები აქვს მას, „უბრალო მოკვდავთან“ შედარებით? აქვე აღვნიშნავთ, რომ მამაკაცი, რომელიც ქალს კარს გაუღებს და ავტომობილიდან გადმოსვლისას ხელს მიაწვდის, მთლად ჯენტლმენი არ გახლავთ. ეს უბრალოდ, გალანტური თაყვანისმცემელია. ჯენტლმენის სახელი გაცილებით რთული მოსაპოვებელია...

### I განსხვავება: განათლება

რაღა თქმა უნდა, ჯენტლმენს წარმოშობაც განასხვავებს. მაგალითად, ლოთების ოჯახში აზნაურების კეთილშობილი შთამომავალი ვერ აღიზრდება. ინტელიგენტურ წყვილს კი შეუძლია, ნამდვილი ჯენტლმენი აღზარ-

დოს. ამიტომ, თუ მუდამ „ცისფერსისხლიან“ მამაკაცზე ოცნებობ, ყურადღება მის წინაპრებსაც უნდა მიაქციო. თუ შენი რჩეულის მამა განათლებული, ინტელიგენტი, ჭკვიანი, გალანტური მამაკაცია, მაშინ შესაძლებელია, მის შვილს, როგორც მინიმუმ, დახვეწილი მანერები მაინც ჰქონდეს. ჯენტლმენმა აღზრდასთან ერთად ეტიკეტის ცოდნაც უნდა მიიღოს: ვინ უნდა გამოვიდეს ლიფტიდან პირველი, როგორ უნდა შეხვიდე თეატრში და რაზე უნდა ისაუბრო... თუ ეტიკეტს არ იცავს, ვერც ჯენტლმენი იქნება.

არანაკლებ მნიშვნელოვანია განათლება: ჯენტლმენი ბევრ სფეროში, ხელოვნებასა და კლასიკურ ლიტერატურაში უნდა ერკვეოდეს, უცხო ენებს ფლობდეს. უნდა იცოდეს, რომელ კომპანიაში რა თემაზე ისაუბროს.

ჯენტლმენს ყოველთვის აქვს ჰობი: შეუძლია, ძველი მონეტების კოლექცია შეაგროვოს ან თავისი ხელით ააგოს ავტომობილი. სამსახურში მიმავალმა ავტომობილში კლასიკურ მუსიკას მოუსმინოს, ძილის წინ მოპასანი ორიგინალში წაიკითხოს. ჯენტლმენისთვის ძალზე მნიშვნელოვანია თვითრეალიზება. თუ მამაკაცს თავისუფალ დროს ტელევიზორთან ლუდის სმა ურჩევნია და მიიჩნევს, რომ „ზეთით მოთხიპნილ“ ტილოებში მხოლოდ მუზეუმის თანამშრომელი ქალი უნდა ერკვეოდეს, შეგიძლია, თამამად მიათვალო ჩვეულებრივი მამაკაცების რიგს. შესაძლოა, არც ისე ცუდი მამაკაცების, მაგრამ არა — ჯენტლმენების.

## II განსხვავება: ფულთან ურთიერთობა

ჭეშმარიტი ჯენტლმენი და ფიზიკური შრომა — შეუთავსებელი ცნებებია. ჯენტლმენი ის მამაკაცია, რომელიც ინტელექტუალურად შრომობს. ის შესაძლოა იყოს იურისტი, ექიმი, ჩინოვნიკი, პოლიტიკოსი, ბიზნესმენი. ის ფულს არ გამოიმუშავებს. მას უბრალოდ, აქვს ფული. ნამდვილი ჯენტლმენი არასოდეს იღებს ვალს. თუ იღებს, მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში და არავითარ შემთხვევაში არ ისესხებს თანხას ქალისგან.

სხვათა შორის, ნამდვილი ჯენტლმენი თავისი და სხვისი შემოსავლების შესახებ არასოდეს საუბრობს ხმამაღლა. თუ ჯენტლმენს ჰკითხავენ, რა ღირს მისი ახალი შენაძენი, პასუხს თავს აარიდებს, თუ ნამდვილი ჯენტლმენია, არც თავად ჰკითხავს სხვას, შეძენილი ნივთის ფასს. ეს პრინციპის გამო არ ხდება. ნამდვილი ჯენტლმენი არასოდეს იტრაბახებს შემოსავლებით და არ იწუწუნებს უფულობის გამო. სხვათა შორის, ჯენტლმენს არც ფულის ფლანგვა სჩვევია. ჯენტლმენი ნივთის შეძენისას ფასს კი არა, ხარისხს კითხულობს.

## III განსხვავება: გემოვნება

ჯენტლმენს უზადო გემოვნება აქვს. მამაკაცი, რომელიც ძალზე ძვირად ღირებულ ნივთებს ყიდულობს და ამით თავის შემოსავლებს უსვამს ხაზს, სულაც არ გახლავთ ჯენტლმენი. თუმცა, ნამდვილი ჯენტლმენის გარდერობში ვერც „ვაგზლის ბაზრობაზე“ შეძენილ, იაფფასიან ტანისამოსს ნახავთ. არავითარი გაყალბებული, ძაფებჩამოკონწიალებული სპორტული ტანისამოსი, არავითარი ძირგაცვეთილი წინდა და ჭრელი, მაიამური პერანგი! ჯენტლმენს მუდამ სასიამოვნო სურნელი აქვს, აკურატული და ცოტა პედანტურიცაა. მას თითოეული დეტალი გასცემს: სარკესავით გაპრიალებულ ფეხსაცმელს არასოდეს ექნება მოცვეთილი ქუსლი, ჯიბეში არ ექნება დაჭმუჭნილი ცხვირსახოცი, არ ექნება იაფფასიანი საათი და სანთებელა. მკაცრი ჩაცმულობა აქვს. მის გარდერობში რამდენიმე ათეული პერანგია, რომელიც წელიწადის სხვადასხვა დროისთვისაა განკუთვნილი, პიჯაკები, დაუთოებული, გატკიცინებული შარვლები და ჰალსტუხების მთელი კოლექცია. და კიდევ: იდეალური მამაკაცი ყოველთვის ფორმაშია, სპორტითაა დაკავებული და ჯანმრთელობაზე ზრუნავს.

## IV განსხვავება: აზროვნება

ჯენტლმენის მთელი არსი საკუთარი ღირსების შეგნებაშია, რომელიც მანერებით, მეტყველებით, სიარულის მანერით, ჟესტიკულაციითა და ჩაცმის სტილით გამოიხატება. ჯენტლმენი მუდამ გაწონასწორებულია, მშვიდი, თავდაჯერებული, შარმიანი და მომხიბვლელი. ის სიმართლისმოყვარულია და პრინციპულად არ იტყუება. შესაძლოა, ხანდახან უბრალოდ, გაჩუმდეს. ის ენდობა სხვებს და თვითონაც ნდობას იწვევს.

ნამდვილი ჯენტლმენი პატივისცემით ეპყრობა საკუთარ თავსაც და გარშემომყოფებსაც, მიუხედავად მათი სქესისა, ასაკისა და სოციალური სტატუსისა. ქალს (მნიშვნელობა არ აქვს, მეზობელია, კოლეგა თუ მაღაზიის გამყიდველი) — ხაზგასმული ზრდილობითა და გალანტურობით ექცევა.

ჯენტლმენი სიტყვაძუნწია და არც ემოციებს გამოხატავს სახალხოდ. უახლოესი მეგობრების წრეშიც კი არასოდეს ილაპარაკებს ინტიმურ თავგადასავლებსა და პრობლემებზე. არ იჭორავებს. პუნქტუალურია, ტაქტიანი, სიტყვისა და პრინციპების ერთგული. მუდამ მზადაა სხვათა დახმარებისთვის, მაგრამ თავს არასოდეს მოგაბეზრებს.

ჭეშმარიტი ჯენტლმენისთვის ძალზე მნიშვნელოვანია რეპუტაცია. თვითონ არასოდეს აწყენინებს სხვას და არც აპატიებს წყენას. სხვათა შორის, ნამდვილ ჯენტლმენს საკუთარი თავის დაცვაც უნდა შეეძლოს, მაგრამ ჩხუბი თვითონ არ უნდა წამოიწყოს (გარდა იმ შემთხვევისა, როცა შეურაცხყოფას მიაყენებენ) და არც წაქცეულს სცემოს.

## V განსხვავება: უზადო მანერები

აღნაგობის, სიარულისა და ჯდომის, სიგარეტის ხელში დაჭერისა და მოწევის, გაზეთის კითხვის მანერა — ეს ის წვრილმანებია, რომლის საშუალებითაც ჯენტლმენის შორიდან ამოცნობაც შესაძლებელია. ყველაფერს გალანტურად, ღირსების შეგრძნებით, აუჩქარებლად აკეთებს. ნამდვილ ჯენტლმენს დაჯდომაც კი მოხდენილად უნდა შეეძლოს. ამ დროს შარვლის მარჯვენა ტოტი ოდნავ უნდა ასწიოს. „ჯენტლმენი არასოდეს ჭამს, ის მხოლოდ საუზმობს, სადილობს ან ვახშმობს“, წერდა კოულ პორტერი. სუფრასთან ასევე გალანტური და კეთილშობილია. უფრო მეტიც, თუ განმარტოებით საუზმობს, მაშინაც კი ისე იქცევა, თითქოს ელიტურ საზოგადოებაში იმყოფება. მისთვის მიუღებელია სახელდახელოდ დამზადებული ბუტერბროდი, ბოთლიდან ლუდის დალევა და შემწვარი კარტოფილის ტაფიდან ჭამა.

უცნობი ავტორი წერდა: „ჯენტლმენი ის მამაკაცია, რომელიც ჯუნგლებში მოხვედრისას, ვახშმისთვის სმოკინგს ჩაიცვამს და წვერს გაიპარსავს“.

*ახლა კი გაიხსენე, რამდენი დღის წინ გაიპარსა შენმა საყვარელმა მამაკაცმა წვერი? გუშინ? გუშინწინ? აი, საქმეც სწორედ მაგაშია...*

*შენ წინ 5 განმასხვავებელი ნიშანია. თუ მამაკაცს ეს თვისებები აქვს, შეუძლია, ჯენტლმენებს შორის საპატიო ადგილი დაიკავოს. თუ შენს კავალერს ამ თვისებების მესამედი გამოარჩევს, ამ შემთხვევაში, მოლოცვაც შეიძლება. ასეთი იშვიათი ეგზემპლარი უნდა დააფასო და გაუფრთხილდე.*

*ხშირად ისეც ხდება, რომ შესაძლოა, „გაყალბებული“ ჯენტლმენი შეგხვდეს. მისი გალანტურობა 1 წლის ურთიერთობის შემდეგ ქრება, შარმი — ჩამოირეცხება და რეალური სახე გამოჩნდება ხოლმე.*

*როგორც ამბობენ, „ჯენტლმენი ის მამაკაცია, რომელსაც ჯერ კიდევ არ იცნობთ“.*



# ყველაზე ნიჭიერი კრიმინალები

*თაღლითობის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი „სახეობა“ თითის ანაბეჭდის გაყალბებაა. ყოფილა შემთხვევა, როდესაც 1920 წელს, ცნობილმა ბოსტონელმა მედიუმმა თითის ანაბეჭდები გააყალბა იმისათვის, რომ სულებთან თავისი კონტაქტის „მატერიალური მტკიცებულება“ მიეღო. მისი ერთ-ერთი სეანსი შემდეგ ში მდგომარეობდა: მაგიდის გარშემო კლიენტები სხდებოდნენ. მედიუმი სინათლის გამორთვამდე მაგიდის შუაში ცვილის ნაჭერს დებდა და ყველას აჩვენებდა, რომ იგი სუფთა იყო. როდესაც სინათლეს ხელახლა აანთებდნენ, ცვილზე თითის ანაბეჭდები ჩნდებოდა. იდუმალებით მოცულ ნათითურებს ყველა იქ მყოფი ადამიანის ანაბეჭდებს ადარებდნენ, მაგრამ არც ერთს არ ემთხვეოდა. ყველა მიიჩნევდა, რომ ანაბეჭდს სული ტოვებდა. თუმცა, სკეპტიკოსებმა უცნაურად წარმოქმნილი ანაბეჭდების წარმოშობის დადგენა გადაწყვიტეს. ერთმა კეთილსინდისიერმა გადაწყვიტა, ცვილზე დარჩენილი ნათითურები მედიუმის ახლობლების ანაბეჭდებისთვის შეედარებინა. საკმაოდ შრომატევადმა ძიებამ შედეგი გამოიღო. აღმოჩნდა, რომ იდუმალი ანაბეჭდები მედიუმის კბილის ექიმს ეკუთვნოდა. თურმე, მედიუმს შემთხვევით შეუნიშნავს სტომატოლოგიურ ცვილზე დარჩენილი ექიმის ანაბეჭდები და ექიმისთვის უთხოვია, მისთვის დაეთმო. ექიმი დათანხმდა. ძნელი მისახვედრი არაა, როგორ მოიქცა ამის შემდეგ მედიუმი. მან ანაბეჭდები ყალიბში ჩამოასხა და სეანსის დროს, სრულ სიბნელეში, ცვილზე სწორედ მის კვალს ტოვებდა.*

● დღეს ყველაფერი შედარებით გაიოლებულია. ზოგიერთი „ხელოსანი“, ძიებისთვის კვალის ასაბნევად ჩვეულებრივ, რეზინის ხელთათმანს იყენებს და დანაშაულის ადგილზე იმ ადამიანის ანაბეჭდებს ტოვებს, რომლებსაც მყარი ალიბი აქვთ. ამის გამო გამოძიება ხშირად ჩიხში ექცევა.

● გაცილებით გონებამახვილი დამნაშავეები ფეხის თითებიდან ხელის თითებზე კანის გადანერგვას ახერხებენ. მათ ეს მეთოდი ტრადიციულმა მედიცინამ უკარნახა. ხელის ტრავმის დროს ქირურგები ხშირად ხელზე ფეხის თითის გადანერგვას ახდენენ. წარმოიდგინეთ, როგორი საინტერესო სურათი იქნება დანაშაულის ადგილზე.

● 50-იან წლებში, ინგლისში, დანაშაულის ადგილზე ხშირად პოულობდნენ ანაბეჭდებს, რომლებზეც ჩვეულებრივი ხაზების ნაცვლად, თვალი იყო გამოსახული. პოლიციელები საგონებელში ჩავარდნენ, მაგრამ იმედი ჰქონდათ, რომ ადრე თუ გვიან, ასეთი უცნაური ანაბეჭდების მქონე დამნაშავეს აუცილებლად მიაკვლევდნენ. დრო გადიოდა, ქურდობების სერია გრძელდებოდა, დამნაშავეს კი ვერ იჭერდნენ. მხოლოდ 10 წლის შემდეგ დააკავეს ადამიანი, რომელმაც აღიარა, რომ ქურდობის დროს თითზე თვალის ფორმის ბრელოკს მიიჭერდა ხოლმე, ვიდრე მასზე კვალს არ დატოვებდა.

● მსგავსი მეთოდები რომ გამოიყენო, ნამდვილი ტალანტი უნდა იყო. ხშირ შემთხვევაში ფალსიფიცირება გაცილებით „პროზაულად“ ხდება. ბოროტმოქმედები დანაშაულის ადგილზე განგებ ტოვებენ „შავი დღისთვის“, სხვადასხვა საგანზე შემონახულ, სხვის ანაბეჭდებს.

● ამ საქმეში უცოდველი არც პოლიციაა. ხშირად ისეც ხდება, რომ იარაღის სახელურზე სწორედ „შეკვეთილი დამნაშავის“ ანაბეჭდებს აღმოაჩენენ. ანუ იმ ადამიანის კვალს, ვისი დაპატიმრებაც სურთ...

● ხმის გაყალბების ტექნოლოგიაც საკმაოდ შორს წავიდა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც კომპიუტერული ტექნიკა და აუდიოპროგრამები მყარად დამკვიდრდა. სხვათა შორის, ხმის გაყალბება საკმაოდ ლეგალური გახლავთ და თითქმის ყველა ხმის ჩამწერ სტუდიაში ხდება, რათა მომღერლის ხმა საჭირო კონდიციამდე მიიყვანონ. აპარატურას მხოლოდ ყალბი ნოტის გასწორება კი არა, განსაზღვრული ხმის შექმნაც შეუძლია, რომელიც საჭირო ტექსტს წარმოთქვამს. ხოლო ის, რომ სიტყვების გადანაცვლება და ტექსტის ჩამატებაც შეიძლება, ეჭვგარეშეა.

● თუმცა, ტექნოლოგიური პროგრესის მიუხედავად, სიყალბის აღმოჩენა საკმაოდ იოლია. უმეტეს შემთხვევაში ფალსიფიკაციას ხმით კი არა, იმ ხმაურით ადგენენ, რომელიც ჩანაწერს თან ახლავს. ადამიანი სრულ სიჩუმეში არასოდეს ლაპარაკობს. მის ხმას აუცილებლად ახლავს ბგერითი ფონი. თუმცა, „შეუიარაღებელი“ ყურით მას ვერ გაიგონებ. გაყალბებული ჩანაწერის გამოკვლევის დროს იოლი აღმოსაჩენია, რომ ზოგიერთ ადგილზე მას ხმაური ახლავს, ზოგან კი სრული სიჩუმეა. დასკვნა ერთსახოვანია — ჩანაწერი დამონტაჟებულია.

● ხშირად ფალსიფიცირებას „ზემოდან“, პოლიტიკური მოსაზრებებით ახდენენ. ასეთი გახლდათ მწერალ ჩერნიშევსკის ხმაურიანი, „პოლიტიკური“ საქმე. 1862 წლის გაზაფხულზე, მისი იმპერატორული ბრწყინვალების კანცელარიის მესამე განყოფილება ჩერნიშევსკის უთვალთვალებდა. თუმცა, მწერლის ქმედებები იმდენად კონსპირაციული გახლდათ, რომ მტკიცებულება ვერ მოძებნეს. მაშინ შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვალუევმა ჩერნიშევსკის მიერ შედგენილი საბუთების ფალსიფიცირების ბრძანება გასცა. ასე გაყალბდა 2 დოკუმენტი: ბარათი, რომელიც მწერალმა პლეშეევს მისწერა და საიდუმლო ტიპოგრაფიას ახსენებდა, სადაც იატაკქვეშა გამოცემები იბეჭდებოდა. ჩატარებულმა კალიგრაფიულმა ექსპერტიზამ გასცა დასკვნა იმის შესახებ, რომ ეს ბარათი ნამდვილად ჩერნიშევსკის დაწერილი იყო. შედეგად, სენატმა მწერალს 14 წლით თავისუფლების აღკვეთა და სიცოცხლის ბოლომდე ციმბირში გადასახლება მიუსაჯა.

● არანაკლებ ცნობილია კიდევ ერთი პოლიტიკური საქმე. 1927 წელს, ამერიკაში საკოსა და ვანცეტის სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. 1920 წლის 15 აპრილს ქალაქ საუნტ-ბრეინტრში, რამდენიმე მძარცველი ადგილობრივი ფეხსაცმლის ქარხნის მოლარეს თავს დაესხა და მუშებისთვის განკუთვნილი ხელფასი, 15.776 დოლარი წაართვა. თავდასხმის დროს მოლარე და მისი თანმხლები დაცვის თანამშრომელი მოკლეს, თავდამსხმელები კი მიიმალნენ. ჩადენილი დანაშაულის გამო იტალიელი ემიგრანტები, კომუნისტური მოძრაობის ხელმძღვანელები, ნიკოლო საკო და ბართოლომეო ვანცეტი დააკავეს. ბალისტიკური ექსპერტიზის თანახმად, ტყვია, რომლითაც დაცვის თანამშრომელი მოკლეს და დანაშაულის ადგილზე აღმოჩენილი ჰილზი იმ იარაღიდან იყო გასრო-

ლილი, რომელიც საკოს დაპატიმრებისას ამოიღეს. პირადი ჩხრეკის დროს ვანცეტის ის რევოლვერი უპოვეს, რომელიც მოკლული დაცვის თანამშრომლის კუთვნილება გახლდათ.

ცხადია, ბალისტიკური ექსპერტიზა გაყალბებული გახლდათ. სინამდვილეში ტყვია დაუდგენელი იარაღიდან იყო გასროლილი. ამის შესახებ სასამართლო პროცეზე იმ ექსპერტმა განაცხადა, რომელმაც ექსპერტიზა პირველმა ჩაატარა. თუმცა, კომუნისტების მიმართ ანტიპათიამ გაიმარჯვა.

● თანამედროვე სამყაროში ყველაფრის გაყალბებაა შესაძლებელი. სიყალბის აღმოჩენა კი მხოლოდ ექსპერტიზას შეუძლია.

თუმცა, ყოველთვის ყველაფერი ბოროტი განზრახვით არ კეთდება. ხანდახან, ამა თუ იმ ნივთს ექსპერტები ფალსიფიცირებულად გაუგებრობის გამო მიიჩნევენ ან იმიტომ, რომ მიღებული შედეგის ორგვარად გაგება შესაძლებელი. უფრო ხშირად ასეთი რამ გენური იდენტიფიკაციის დროს ხდება. მამობის დადგენა არც ისე იოლი გახლავთ. შეცდომის ალბათობა დიდია და შესაბამისად, ექსპერტიზის პასუხი გაყალბებული აღმოჩნდება. ■

# უცნაურობები, რომლებიც ადამიანებს ახასიათებთ



1. იაპონელმა მეხანძრეებმა მოსახლეობისთვის ხანძარსაწინააღმდეგო რჩევების მიცემის აქციის დასრულება ზარ-ზეიმით აღნიშნეს, შედეგად კი მათივე კუთვნილი სახანძრო დეპო გადაწვეს, ხოლო გერმანელმა პოლიციელებმა ხელმძღვანელობის რისხვა დაიმსახურეს იმის გამო, რომ საახალწლო კარნავალზე შოტლანდიური კილტითა და ქვედა საცვლის გარეშე გამოცხადდნენ.

2. ჰოკეის შვედი არბიტრის მსაჯობაც სასჯელით დასრულდა. ის ნასვამი ასრულებდა თავის მოვალეობას და მატჩის ბოლომდე მიყვანა ვერ შეძლო. ხშირად ეცემოდა, სასტვენს კარგავდა და მოთამაშეებს ისეთ სიგნალებს აძლევდა, რაც ჰოკეიში არ არსებობს.

3. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ თურმე ფხიზელ ადამიანებსაც შეუძლიათ სულელური საქციელის ჩადენა. მექსიკელი მამაშვილი, ჭის გაწმენდის დროს, მომწამვლელი აირით მოიწამლა. იგივე ბედი ეწია მათ მეზობელს, რომელიც მათ გადარჩენას ცდილობდა. არც ადგილზე მისულ მაშველ ბრიგადას დასდგომია კარგი დღე. ყველაფერში „დამნაშავე“ კი სახლის გასანათებლად იქვე დამონტაჟებული პატარა გენერატორი აღმოჩნდა, რომლის გამონაბოლქვი ჭაში დაგროვდა.

4. გერმანელმა მამაკაცმა იმ ავტომობილის კაპოტს უკბინა, რომელზეც პოლიციის მანქანამ მიაჭყლიტა. პოლიციელები ცოლმა გამოიძახა, რომელმაც ქმარს ოჯახური ძალადობის გამო უჩივლა. სამართალდამცველებმა პატაკში აღნიშნეს, რომ მამაკაცი მარტო გაბრაზებული კი არა, მშიერიც იყო.

5. იაპონიაში დააკავეს მამაკაცი, რომელმაც 37760-ჯერ დარეკა საინფორმაციო სამსახურში, რათა ოპერატორი ქალბატონის კეთილგანწყობილი ხმა გაეგონა. 44 წლის მამაკაცმა აღიარა, რომ დღის განმავლობაში 950-ჯერ რეკავდა და ხმას არ იღებდა. მისი სიჩუმე 100 ოპერატორი ქალბატონის ფსიქიკური აშლილობის მიზეზი გახდა.

6. ირლანდიაში მძარცველები ბანკში მოპარული ბულდოზერით შეიჭრნენ და 500-კილოგრამიანი სეიფი გაიტაცეს. სეიფში 200.000 ევრო იდო. მათი მალაიზიელი „კოლეგები“ უფრო უიღბლონი აღმოჩნდნენ: რამდენიმე დღის განმავლობაში 2-ჯერ მიიტანეს იერიში ბანკომატზე, ერთხელ მძიმე ტექნიკითაც კი, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. მოპარული ექსკავატორით ისინი მთელი საათის განმავლობაში ცდილობდნენ შენობის კედლიდან ბანკომატის გამოგლეჯას და როდესაც ციცხვი ჭერს მიებჯინა, იძულებული გახდნენ, გაქცეულიყვნენ.

7. ისრაელში მცხოვრები ქალბატონი, რომელიც ქალაქში ექსტრემისტების მიერ ატეხილი სროლის დროს დაიჭრა, მკერდის იმპლანტანტის წყალობით გადარჩა... გულისკენ მიმავალი ჭურვის ნამსხვრევი სილიკონმა შეაჩერა.

8. მადაგასკარის პრეზიდენტის, მარკ რავალომანანის თვითმფრინავი რიგითმა ჯარისკაცმა დაცხრილა. პრეზიდენტი იძულებული გახდა, კუბაში გამართულ სამიტზე ჩვეულებრივი რეისით გამგზავრებულიყო. როგორც შემდეგ პრეზიდენტის პრესმდივანმა განაცხადა, აღმოჩნდა, რომ ჯარისკაცს ჰალუცინაცია ჰქონია და მოეჩვენა, რომ პრეზიდენტის თვითმფრინავს ტერორისტი ემუქრებოდა.

9. სიდნეის ციხეში მყოფმა პატიმარმა აგურის კედელში არსებულ ხვრელში გასატევად წონაში 14 კგ დაიკლო. ის ხვრელში გაძვრა, შემდეგ ღობეზე გადაძვრა და გაიქცა. მაგრამ თავისუფლებით დიდხანს ტკბობა არ დასცალდა. რამდენიმე დღის შემდეგ, ისევ დაიჭირეს.

10. იტალიის ქალაქ პალერმოს ცენტრში მდებარე, უზარმაზარ სკვერში მარიხუანის მოყვანისთვის ძმები დაიჭირეს. დაკავების მომენტში, ისინი მარიხუანის 20 ბუჩქისგან გაშენებულ პლანტაციას რწყავდნენ. გარეშე თვალისთვის მარიხუანის ბუჩქები სხვა მცენარეებით იყო დაფარული.

11. ამერიკის შტატ ორეგონში პოლიციელზე თავდასხმისთვის მამაკაცი დააკავეს, რომელმაც პატრულის მოსარევად ორივე ფეხის პროთეზი არ დაიშურა. როგორც აღმოჩნდა, დაზარალებულ პატრულს დამნაშავის ვაჟი ნასვამ მდგომარეობაში ავტომობილის მართვის გამო დაუკავებია.

12. ჩინელებს, რომლებიც სტრესულ მდგომარეობაში იმყოფებიან, საშუალება მიეცათ, აგრესიისგან სპეციალურ ბარში განიმუხტონ. აღნიშნულ ბარში კლიენტს უფლება აქვს, ოფიციანტს სცემოს, ჭურჭელი დაამსხვრიოს და იხმაუროს. ბარში ფიზიკურად ძლიერი 20 მამაკაცი მუშაობს და რაოდენ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, თავდასხმის ობიექტს სწორედ ისინი წარმოადგენენ.

13. კენგურუ დედობის სიმბოლოსა და ავსტრალიის პეიზაჟის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ■

# უყურადღებობა

**ყოველთვის მაოცებდა ზოგიერთი მამაკაცის უყურადღებობა, საკუთარი ცოლის მიმართ. როდესაც ჩემი მეგობრისგან მორიგ წუწუნს ვისმენ იმის შესახებ, რომ უყურადღებო ქმარი ჰყავს, რომ მისი დაბადების დღე, ქორწინების წლისთავი ან რაიმე უფრო მნიშვნელოვანი მოვლენა დაავიწყდა, ყოველთვის გაოცებული ვრჩებოდი და უიმედობა მიპყრობდა. რა თქმა უნდა, ვცდილობდი, მეგობრებთან არ შემემჩნია, მაგრამ ეს ყველაფერი რაღაცნაირად მთრგუნავდა და შოკში მაგდებდა. როგორ შეიძლება, ასე ცუდად იყოს ყველაფერი? ყურადღება ხომ ერთადერთი რამაა, რაც ქალს სჭირდება? ჩვენ, ქალები ყველაფრის უქონლობას ავიტანთ, ყურადღების გარდა...**

*მარი ჯაფარიძე*

არა, რა თქმა უნდა, ყველაფერი გვინდა. ბრილიანტისთვლიანი ბეჭედიც, ის ფეხსაცმელიც, რომელსაც ლამის ბინის ფასი ადევს, ის საოცარი სარეცხის მანქანაც, ის, მეორე, სარეცხის კი არა, ავტომატურსიჩქარიანი, წითელი მანქანაც, მაგრამ არ ვიღუპებით, თუ ეს ყველაფერი არ გვაქვს. იაფფასიანი „ბასანოჟკებითაც" მშვენივრად დავრბივართ და მეტროშიც სული არ გვეხუთება, მაგრამ მაინც ქალებად ვრჩებით.

მამაკაცის ყურადღების გარეშე კი ვიღუპებით. ფიზიკურად — არა... ვცოცხლობთ, დავდივართ, ვსუნთქავთ, ვიღიმით, მაგრამ ეს უბრალოდ, გარეგნულად... შინაგანად კი ქალი არ არსებობს. არადა, ის უნდა არსებობდეს, ეს ხომ აუცილებელია!

უბრალო ყურადღება გვჭირდება. შემთხვევიდან შემთხვევამდე კი არა, მუდმივად! მიზეზის გარეშე, აუცილებლად!

ერთხელ ერთმა მამაკაცმა ასეთი რამ თქვა: „თქვენ, ქალები ყურადღებით არ უნდა გაგანებივროთ, მერე მიეჩვევით და ფასს დაკარგავს, ვეღარ შეამჩნევთ".

არ შევეჩვევით! ადამიანი იოლად ფულს, კომფორტს ეჩვევა. ყურადღების შეჩვევა გამორიცხულია! ყურადღება სიურპრიზივითაა, არასოდეს მოგწყინდება.

ხანდახან მამაკაცები ყურადღებას საჩუქრებით ცვლიან. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგი და სასიამოვნოა, მაგრამ ეს ხომ ერთი და იგივე არაა? საქმე საჩუქრებში არ გახლავთ, ბატონებო!

ქალის გარეგნობაში, განწყობილებასა და ინტონაციაში სულ მცირედი ცვლილებაც კი უნდა შენიშნოთ და დაიჭიროთ.

ერთხელ მეგობართან ერთად ტანისამოსის მაღაზიაში შევედი. როდესაც აქეთ-იქით მიმოვიხედეთ, ჩემი მეგობარი აღფრთოვანებული დარჩა. ყველაფერი მოეწონა და ყველაფრის ყიდვა უნდოდა. რამდენიმე ნივთი შეიძინა. მათ შორის, საცვლების კომპლექტი. მაღაზიიდან ისეთი გაბრწყინებული სახით გამოვიდა, თითქოს უფასოდ გამოატანეს რამე. შევთავაზე, კაფეში დავსხდეთ და ყავა დავლიოთ-მეთქი, მაგრამ უარი მითხრა, სახლში ეჩქარებოდა, რათა ქმრისთვის შენაძენი ეჩვენებინა. ჰოდა, აღარ დავაძალე, წადი, იფრინე-მეთქი, ვუთხარი.

მეორე დღეს ისევ შევხვდით. მხრებჩამოყრილი მოდიოდა და თვალებში სიცარიელე ედგა.

ქმარმა ვერ შენიშნა. ვერც კი მიხვდა. ვერც განწყობილება დაინახა, ვერც ცოლის თვალებიდან წამოსული ცეცხლი, ვერც ახალი საცვლები. საერთოდ ვერაფერი შენიშნა. უბრალოდ, ჰკითხა, რატომ შეაგვიანდა შინ მისვლა. ცოლმა უპასუხა, რომ მაღაზიაში იყო და ახალი საცვლები იყიდა. „აა, გასაგებია", თქვა და მორჩა.

მეორე მეგობართან ერთად სილამაზის სალონში ვიყავი. თმა შეიჭრა, შეიღება, დაივარცხნა... ახალი ვარცხნილობა ძალიან მოუხდა. რამდენიმე დღის შემდეგ ვკითხე, მოეწონა თუ არა მის ქმარს მისი ახალი იმიჯი. „როდის იყო, ჩემი ქმარი ასეთ წვრილმანებს ამჩნევდა? ვერც კი მიხვდა".

მდაა... როგორ შეიძლება, მამაკაცმა და საერთოდ, მხედველმა ადამიანმა ასეთი ცვლილება ვერ შენიშნოს?

ასეთი შემთხვევა მილიონობითაა. თითქოს ნორმად იქცა.

ერთხელ მაღაზიაში სრულიად უცხო ქალი ქვედაბოლოს იზომებდა და ჩემი აზრით დაინტერესდა.

— მიხდება? — მკითხა და დამაკვირდა, რათა სიმართლე ჩემს თვალებში ამოეკითხა.

— კი, გიხდებათ, მთავარია, ქმარმა არ დაგიწუნოთ.

— ქმარმა? ის ვერც შენიშნავს, სანამ ფულს არ მოვთხოვ, — გაოცებით აზიდა წარბები.

ერთხელ ასეთი შემთხვევაც მოხდა: ახლობელი მესტუმრა. ფრჩხილზე შავი ლაქი ესვა.

— კი, მაგრამ ეს შავი ლაქი რა უბედურებაა? შენს ქმარს მოსწონს? — ვკითხე, რადგან მართლა არ უხდებოდა.

— ქმარი რა, ფრჩხილებზე ყურებას ხომ არ დამიწყებს?

და ქალები ამას ეჩვევიან, ჩვეულებრივად იღებენ და მიაჩნიათ, რომ ყველა კაცი ასეთია. თუმცა, მაინც ბრაზდებიან, მაგრამ არა იმის გამო, ვის გამოც უნდა ბრაზდებოდნენ, არამედ, გამვლელი მამაკაცების, თანამშრომლების, უბრალოდ, მეგობარი მამაკაცების მიერ გამოჩენილი უყურადღებობის გამო. თითქოს ასეც უნდა იყოს. ქმარი? ქმარი მაინც მიჩვეულია უკვე და ყურადღებას არ გამოიჩენს.

ხშირ შემთხვევაში ქალები ხელს ჩაიქნევენ ხოლმე. ქმარი მაინც ვერ ამჩნევს, რა მაცვია, როგორი ვარცხნილობა მაქვს და რა საჭიროა, თავის მოვლა? — ფიქრობენ ისინი და თავს აღარ იწუხებენ. და თუ ყოველივე ამის მერე, წლები გავა და ერთ მშვენიერ დღეს ეს ქალი შეცვლას გადაწყვეტს, ახალ კაბას შეიძენს და ახალ ვარცხნილობას გაიკეთებს, შესაძლოა, ქმარმა თვალიც კი ჩაულურჯოს და დააბრალოს, რომ საყვარელი გაიჩინა. იმას არც კი იფიქრებს, რომ ცოლმა ეს ყველაფერი მისთვის გააკეთა...

თუმცა, ეს ყველაფერი სასაცილოდ მოგეჩვენებათ იმასთან შედარებით, რაც ჩემს მეზობელს შემთხვა: 20-წლიანი ერთობლივი, ოჯახური თანაცხოვრების შემდეგ, ქმარმა ცოლს ჰკითხა: „კი, მაგრამ შენ აპენდიქსის ოპერაცია როდის გაიკეთე?" ■



# ფოტო, რომელმაც წარწერა დაკარგა



ამ ფოტოსთვის შესაბამისი წარწერა
უნდა გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე:
8.77.45.68.61
ჩემეული ვერსია კი ასეთია:

## „კრიზისიდან გამოსვლის საიმედო გზა“



# სამყარო



## წიგნი სულის სარკეა

ფსიქოლოგები ირწმუნებიან, რომ ადამიანის ბუნება თითოეულ მის ჟესტში, მოძრაობასა და მოქმედებაში ვლინდება. თურმე, იმისდა მიხედვით, თუ კითხვისას როგორ ზიხარ, შენი ხასიათის თავისებურებები ჩანს.

გვ.52

ეთო ყორღანაშვილი

# რაფტინგი

## – ადამიანის „გაშიფვრის“ საუკეთესო საშუალება

*რაფტინგი, იგივე ჯომარდობა სპორტის ექსტრემალური სახეობაა: „გიჟების“ გარკვეული რაოდენობა ერთად იკრიბება და სათანადოდ აღჭურვილი გუნდი მდინარეზე ნავით ეშვება... — დაახლოებით, ასე ამიხსნეს რაფტინგის არსი გამოცდილმა ჯომარდელებმა — დავით ქაცარავამ და აკაკი კობიაშვილმა. თურმე, მდინარეზე ერთი საჯომარდო ვიზიტიც კი თავს წყლის მბრძანებლად გაგრძნობინებს და მისი „დაპყრობის“ სურვილიც გიჩნდება!..*

**აკაკი კობიაშვილი:**

— ჯომარდობა უცნაური „ჩვევაა,“ ერთხელ გასინჯავ და „მოიწამლები“. 7-8 წლის წინ მდინარეზე ნავით გავედი და მეც ასე დამემართა — „მოვიწამლე“.



**— პირველი ჯომარდობა თავგადასავლის გარეშე არ ჩაივლიდა...**

— როცა მეგობარმა საჯომარდოდ დამპატიჟა, წარმოდგენა არ მქონდა, ეს რა იყო. ჰოდა, მდინარეზე პირველივე დაშვებისას ნავი „თავზე დამეხურა“. ანუ ნავი გადაყირავდა და ყველანი გადავცვივდით, მაგრამ სხვებისგან განსხვავებით, ნავის ქვეშ აღმოვჩნდი. მას შემდეგ გადავწყვიტე, რომ ეს ჩემი სპორტია (*იცინის*)!

**დავით ქაცარავა:**

— დაახლოებით, ერთი თვის განმავლობაში ვჯომარდობდით და თავს უკვე სერიოზულ ჯომარდელებად მივიჩნევდით. ამიტომ მეგობრებმა თერგზე წასვლა გადავწყვიტეთ. ამ იდეის ინიციატორი — თქვენი მონა-მორჩილი საშინელ მორევში აღმოვჩნდი. თერგმა კარგი გაკვეთილი ჩაგვიტარა და მივხვდი, რომ თურმე, მდინარის ლომი

„მხარბეჭიანი“ მტკვარი და მოყვარული ჯომარდელების ამბიციები

თუ ვეფხვი არ ვყოფილვარ (*იცინის*), უფრო — თერგის ნებას მინდობილი ნაფოტი აღმოვჩნდი. მორევთან „ჩახუტებული“ გახლდით. იცი, როგორი შეგრძნება მქონდა? თითქოს, ძალიან დიდ სარეცხ მანქანაში მოვყევი, რომელმაც მატრიალა, მაბურთავა...

**აკაკი:**

— **გაგწურა და გადმოგაგდო (*იცინიან*), არა?**

**დავითი:**

— მერე დინებამ წამიღო და კუნძულზე რობინზონ კრუზოსავით, მარტო აღმოვჩნდი. მართალია, წყალი ბევრი იყო და წყურვილით არ მოვკვდებოდი, მაგრამ თავი ძალიან ეულად ვიგრძენი (*იცინის*)... საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა: მეგობრებმა ნაპირზე გამიყვანეს, ერთმანეთს ჩავეხუტეთ და ნავში ჩავსხედით. ინსტრუქტორმა გვითხრა: თქვენ რა მაგრები ყოფილხართ, თერგი დიაგონალზე „გადმოჭერითო“! ამ კომპლიმენტის შემდეგ, ვეფხვობის შეგრძნება ისევ დაგვიბრუნდა (*იცინის*). ეს ამბავი 6 წლის წინ, მოხდა. რაღა დაგიმალოთ და, ერთ-ერთი ჩვენი მეგობარი, რომელიც თერგში ჩვენთან ერთად გადავარდა, იმ შემთხვევის მერე, წელს საჯომარდოდ პირველად გავიდა, დანარჩენებს კი მდინარეების დაპყრობის სურვილი უფრო გაგვიძლიერდა!



**— არაგვზე დახრჩობასთან ერთად, დალეწვის შანსიცაა, რადგან მდინარე ქვიანია, დინება — სწრაფი**

— **აკაკი, თერგზე საჯომარდოდ თქვენც იყავით?**

**აკაკი:**

— არა, მე ცოტა მოგვიანებით, არაგვზე „მოვიწამლე“. მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა, პირდაპირი მნიშვნელობით.

— **დამწყები ჯომარდელისთვის ყველაზე მოსახერხებელი რომელი მდინარეა?**

— არაგვი ყველაზე პოპულარული და ნაკლებად უსაფრთხო მდინარეა. მოგეხსენებათ, თოვლის დნობა, წვიმა თუ სიცხე მდინარეებზეც მოქმედებს და ტურისტული თუ პროფესიონალური დაშვებები ამის მიხედვით იგეგმება.

**დავითი:**

— მოყვარულ ჯომარდელებს ყოველთვის მტკვარს ვურჩევ: წყალუხვია, დიდი ტალღებია, შეგრძნებაც ექსტრემალურია და ნავიდან გადავარდნის შემთხვევაში, ტრავმის მიღების ნაკლები შანსია.

**აკაკი:**

— ერთადერთი „ტრავმა,“ რაც შეიძლება, მტკვარში მიიღო, ისაა, რომ დაიხრჩობი.

**დავითი:**

— არაგვზე დახრჩობასთან ერთად, დალეწვის შანსიცაა, რადგან მდინარე ქვიანია, დინება — სწრაფი.

**აკაკი:**

— მტკვარი კი „მხარბეჭიანი“ მდინარეა.

— **უახლოეს მომავალში, რომელი მდინარეების „დალაშქვრას“ აპირებთ?**

**დავითი:**

— ჯერჯერობით, ენგურზე წასვლისგან თავს შევიკავებთ, რადგან იქაურობა კარგად შესწავლილი არ გვაქვს და სიცოცხლისათვის სახიფათოა. გვინდა, თერგს თავი შევახსენოთ, ცხენისწყალსაც ვესტუმრებით... სხვათა შორის, თუშეთში ასვლასაც ვგეგმავთ.

**აკაკი:**

— თუშეთში საჯომარდოდ არ ვყოფილვარ — იქ ძირითადად, სათევზაოდ დავდივარ, მაგრამ ძალების მოსინჯვა ნამდვილად ღირს, რადგანაც თუშეთში მართლა საინტერესო მდინარეებია. ერთადერთ დისკომფორტს შორი მანძილი გვიქმნის, მაგრამ როგორც ძველი ბერძნები იტყოდნენ, — ჩიტი ბდღვნად ღირს!

— **ჯომარდობისთვის ცურვის ცოდნა აუცილებელია?**

**დავითი:**

— აუცილებელი — არა, სასურველია. მთავარია, წყლის არ გეშინოდეს და როცა მდინარეში აღმოჩნდები, არ დაიბნე.

**აკაკი:**

— ამას წინათ, ბორჯომში ტურისტებს გზა აებნათ: ჩვენ მდინარის ერთ ნაპირთან ვიყავით, ისინი — მეორესთან. ფეხით გზის გავლა დაეზარათ და გადაწყვიტეს: ბიჭებო, ბარემ აქვე ვართ და გადავცუროთო! დაახლოებით 10 კაცი მტკვარში ჩახტა და მოცურავს... ერთ-ერთი მათგანი დანარჩენებს ჩამორჩა, ერთი-ორჯერ მისი თავი და ფერდაკარგული სახე გამოჩნდა. ბოლოს კი, როგორც იქნა, ისევ იმ ნაპირზე აღმოჩნდა, საიდანაც მტკვარში ჩახტა. ნაპირიდან მიყვიროდა: ბიჭო, ცურვა არ ვიცი და „მამენტ“, ვერ გამოვცურავო? ავუხსენი, რომ ბუნებაში ასეთი კანონზომიერება არსებობს: ცურვა თუ არ იცი, ვერ გაცურავ (*იცინის*). სამაგიეროდ, ფეხით სიარული იცოდა და ჩვენამდეც ასე მოაღწია...

— **ბოლო დროს, ყოველწლიურად ტარდება „მედიაჯომარდი“, რომელშიც ჟურნალისტები მონაწილეობენ. ალბათ, ყველაზე მამაც ჟურნალისტსაც გამოავლენდით...**

— ეს ყველაფერი წლების მიხედვით იცვლება (*იცინის*).

**დავითი:**

— სხვათა შორის, საინტერესო ნომინაციაა — „ყველაზე მამაცი ჟურნალისტი“. იდეისთვის მადლობა, ვიფიქრებთ ამაზე.

**აკაკი:**

— ჟურნალისტებს ისეთი პროფესია გაქვთ, რომ გარკვეულწილად, ექსტრემალები ბრძანდებით. სხვებისგან განსხვავებით თქვენში შიში ნაკლებადაა. საერთოდ, ჯომარდი ადამიანის „გაშიფვრის“ კარგი საშუალებაა. მაგალითად, ვიღაც ხმელეთზე ძალიან მამაცია, წყალში კი არ იცის, შიშისგან ნიჩაბი სად გადააგდოს, სად დაიმალოს და ა.შ. როგორც კი ნავში ჩაჯდება, მაშინვე ეტყობა, მართლა მაგარია თუ „ცრუგულადი“ გახლავთ. ჯომარდობისას ადამიანის ამოცნობა შეიძლება.

— **...და ალბათ, დამეგობრებასაც ხელს უწყობს, ხომ?**

**დავითი:**

— დამეგობრება — ეს პირველია! ჯომარდობა მხოლოდ მდინარეზე დაშვება არაა და ამას ყოველთვის აღვნიშნავთ.

— **თქვენც ჯომარდობისას დამეგობრდით?**

**აკაკი:**

— დიახ. სხვათა შორის, ბევრი ისეთი ამბავი ვიცი, როცა ჯომარდობისას გაცნობილები დაქორწინდნენ, დაძმაკაცდნენ... რაფტინგს ქალებიც კარგად ართმევენ თავს.

— **შეიძლება ითქვას, რომ ჯომარდობა საქართველოში პოპულარულია?**

— პოპულარულზე მეტად, მოდურია: თუკი ვიღაც საჯომარდოდ ნამყოფია, ე.ი. კარგი ტიპია, რა (*იცინის*).

**დავითი:**

— სპორტის ამ სახეობის მიმართ მართლა დიდ ინტერესს იჩენენ, მერე კი, როცა მდინარეზე ერთი-ორჯერ დაეშვებიან, უკმაყოფილოები არიან.

— **უკმაყოფილოები — რატომ?**

— უფრო ზუსტად, კმაყოფილები და ბედნიერები არიან, მაგრამ 2 დაშვების შემდეგ, უკვე თერგზე გასვლას ითხოვენ. არადა, თერგზე დასაშვებად უფრო მეტი გამოცდილება, შემართება და ფიზიკური მომზადებაა საჭირო, რადგან ეს მდინარე რთულ კატეგორიას განეკუთვნება.

— **ჯომარდობის სეზონი როდის იწყება?**

— მაისის ბოლოდან იწყებოდა და სექტემბრისთვის მთავრდებოდა, მაგრამ წელს სეზონი აპრილიდან დავიწყეთ და ვფიქრობ, ოქტომბრის შუა რიცხვებამდე გაგრძელდება, მით უმეტეს, რომ მდინარეები ამის საშუალებას გვაძლევს.

**აკაკი:**

— მოკლედ, ჯომარდელებს ცუდი ამინდები გვახარებს, რადგან თუ წვიმს, ე.ი. მდინარეები ისევ ფორმაშია.

— **მდინარეში გასვლამდე რამე რიტუალს ხომ არ ატარებთ?**

— ყველანი „მამაო ჩვენოს“ ვამბობთ. ერთმანეთს წარმატებას ვუსურვებთ, ნავში ვსხდებით და მდინარეს მივუყვებით...

**დავითი:**

— ჰიმნიც გვაქვს, რომელიც მიშა მდინარაძემ სპეციალურად ჯომარდელებისთვის შექმნა. ერთ-ერთ სტროფს აკაკი ასრულებს.

**აკაკი:**

— *„ლოცვით ვხვდებით დილას მზესა,*
*ლოცვით ვეგებებით მტერსა,*
*მდინარეა ჩვენი სახლი,*
*ხან — წყნარი, ხან — ბობოქარი!“..* ■

# „ჯენერალ მოტორსი“ 25 ახალ მანქანას წარმოადგენს



მომავალი 2 წლის განმავლობაში, General Motors 25 ახალ მოდელს წარმოადგენს: 10 ავტომობილი ბრენდებისთვის — Buick და GMC — იქნება განკუთვნილი, კიდევ 10 — Chevrolet-ისთვის და 5 — Cadillac-ისთვის. ამის შესახებ სპეციალურად მოწყობილ პრესკონფერენციაზე კონცერნ GM-ის აღმასრულებელმა დირექტორმა, ფრიც ჰენდერსონმა განაცხადა. ამ მომენტისთვის ცნობილია მხოლოდ 4 ახალი მოდელის შესახებ, რომლებიც ჰენდერსონის მიერ წარმოდგენილი გეგმის თანახმად, ბაზარზე 2011 წლისთვის გამოჩნდება. მათ შორის იქნება ჰიბრიდული კროსოვერი Buick, ელექტროსედანი Chevrolet Volt, სედანი Cadillac XTS, რომელიც ავტომობილ ფლაგმან DTS-ს და კომპაქტურ ATS-ს შეცვლის. ეს უკანასკნელი გამოვა როგორც უკანა, ასევე სრულამძრავიანი ვერსიებით და ბაზარზე გამოჩენის შემდეგ ჰეჩბეკს — BMW 1-Series — გაუწევს კონკურენციას. გარდა ამისა, ფრიც ჰენდერსონმა ოფიციალურად გამოააშკარავა ეკონომიური Chevrolet Volt-ის მონაცემები. ეს მანქანა ახალი მეთოდიკით, გარემოს დაცვის ამერიკული სააგენტოს მოთხოვნების შესაბამისად შეიქმნა. როგორც ადრე იუწყებოდნენ, Chevrolet Volt აშშ-ში გაყიდვაში მომავალი წლის ბოლოდან იქნება. ■

# მძღოლი პოლიციელებისთვის გზის დათმობის გამო დააჯარიმეს

ბრიტანელი ავტომოყვარული იმის გამო დააჯარიმეს, რომ მან პოლიციას გზა დაუთმო და ამ დროს წითელ შუქნიშანზე სტოპ-ხაზიდან 90 სმ-ის მანძილზე გადავიდა. ცოტა ხნის შემდეგ, 36 წლის ფილიპ ლილეიმ 60 გირვანქა სტერლინგის ოდენობის საჯარიმო ქვითარი, შესაბამისი, შეტყობინება და შუქნიშანთან მდგომი თავისი მანქანის ფოტოები მიიღო. მძღოლის თქმით, როდესაც მან პოლიციის მანქანის სირენა გაიგონა, ახლოს მყოფმა ავტომობილებმა წითელ შუქნიშანზე გაიარეს და სამართალდამცავები გაატარეს. „ჩემ წინ მდგომმა ბიჭმა შუქნიშანზე გაიარა, ხოლო მე მას მივყევი“, — განაცხადა დაჯარიმებულმა. ლილეიმ ხაზი იმასაც გაუსვა, რომ მას არ ესმის, თუ როგორ იცილებენ თავიდან დაჯარიმებას ასეთ სიტუაციებში სხვა მძღოლები: „თუ ასეთი ქმედებების დროს დასჯა ხელისუფლებისთვის ჩვეულებრივი ამბავია, შემდგომში ადგილიდან აღარ დავიძვრები. მაგრამ ამავე დროს პოლიციის მანქანა ხომ უნდა გამეტარებინა“. სხვათა შორის, გასული წლის ივლისში მანჩესტერში ანალოგიურ შემთხვევას ჰქონდა ადგილი — ავტომობილისტი ჰალიდ მაჰმუდი ავტობუსებისთვის განკუთვნილ ხაზზე მოძრაობისას იმის გამო დააჯარიმეს, რომ მან გზა „სასწრაფო დახმარების“ მანქანას დაუთმო. თუმცა მოგვიანებით, მას საჯარიმო თანხა სასამართლომ მოუხსნა. ■

# „ლექსუსის“ ახალი სედანი

ინტერნეტში განახლებული სედანის — Lexus ES350 — პირველი არაოფიციალური ფოტოები გავრცელდა, რომლებიც იაპონიაში, მარკის ერთ-ერთ დილერცენტრთანაა გადაღებული. სურათების მიხედვით, ავტომობილს განსხვავებული წინა ბამპერი, რადიატორის ახალი ცხაური და უკანა ხედვის შუქდიოდური შეცვლილი სარკეები აქვს. ავტომობილის უკანა ნაწილში მხოლოდ ფარები შეიცვალა. აღსანიშნავია, რომ ამჟამინდელი „ლექსუსი“ ES Toyota Camry-ს ამერიკული ვერსიის პლატფორმაზეა აგებული და 6-საფეხურიანი, 3,5 ლიტრის მოცულობის, 272 ცხ.ძ. სიმძლავრის ძრავათია აღჭურვილი. სედანს — Lexus ES 350 — მხოლოდ ჩრდილო ამერიკაში, სამხრეთ კორეაში, ტაივანზე, ახლო აღმოსავლეთსა და ჩინეთში (ჰონკონგისა და მაკაის გარდა) შეიტანენ. იაპონიასა და სხვა ქვეყნებში, სადაც მარცხნივ მოძრაობენ, ასეთი ავტომობილი არ გაიყიდება. ■

# „აუდი“ ახალ სუპერავტოს ცდის





კომპანია „აუდი“ სუპერავტოს — R8 — შემსუბუქებული სატრეკო მოდიფიკაციის გამოცდას შეუდგა, რომელსაც Sport ეწოდება. შარშან „აუდის“ ახალი პროექტების განყოფილების ხელმძღვანელმა, შტეფან რაილიმ ამ მანქანის შექმნის შესახებ ოფიციალურად განაცხადა. წინასწარი ინფორმაციით, ძარას ზოგიერთი პანელის კარბონის ანალოგით შეცვლის, ახალი სარბოლო სავარძლების ჩამონტაჟების, აგრეთვე, კონდიციონერსა და აუდიოსისტემაზე უარის თქმის წყალობით, სატრეკო Audi R8-ის წონა 100 კგ-ით შემცირდა. გარდა ამისა, სიახლე ძარას ახალი ელემენტებით იქნება გამორჩეული, რაც მანქანის აეროდინამიკურ მაჩვენებლებს გააუმჯობესებს. ასევე, მას ექნება მძლავრი სამუხრუჭე მექანიზმები კარბონ-კერამიკული დისკებით. სავარაუდოდ, სატრეკო „აუდი“ 10-ცილინდრიანი, 5,2-ლიტრიანი, 525 ცხ.ძ. სიმძლავრის ან ამავე ძრავას უფრო მძლავრი ვერსიით (560 ცხ.ძ. სიმძლავრის) იქნება აღჭურვილი. ადრე გავრცელებული ცნობის თანახმად, Audi R8 Sport-ის დებიუტი მიმდინარე წელს შედგება. ■



# გაუბედავი ქართველი ქალების ამოჩემებული სამოსი

## და დიზაინერი, რომელიც მუზას უარყოფს

**მართალია, დათუნა სულიკაშვილი შედარებით ახალი სახეა, მაგრამ მოდის სფეროში უკვე წარმატებას მიაღწია და შესაბამისად, ცნობილ ადამიანთა გულის დაპყრობაც შეძლო. დიზაინერი ქართველი ქალების ნაკლად იმას მიიჩნევს, რომ სუსტი სქესის წარმომადგენლები გაუბედავები არიან და რაღაც ახლის მიღება ყოველთვის უძნელდებათ.**



*ლიკა ქაჯაია*

— მალე კვარიათში, ჩემი საზაფხულო კოლექციის ჩვენება გაიმართება. სხვათა შორის, იქვე მოეწყობა ჯიჯი რეჯინის ფოტოების გამოფენა, სადაც ფოტოხელოვანი მთელი წლის ნამუშევრებს გაიტანს და საღამო ჩემი „პაკაზით“ დასრულდება.

— **მოდის ტენდენციებზე რას გვეტყვი? წელს მოდურად როგორი სამოსი მიიჩნევა?**

— მოდურია ჟოლოსფერი და იასამნისფერი ქსოვილისგან შეკერილი კოსტიუმები. თუმცა, ჩემი აზრით, ზაფხული მოდის ტენდენციების გათვალისწინებას არ საჭიროებს — წლის ამ დროს არჩევანში თავისუფალი ხარ, ზაფხულს ხომ ყველანაირი ფერი უხდება. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ კაბისა და მაისურის მკლავის სიგრძე საგრძნობლად დამოკლდა.

— **როცა ამა თუ იმ კოსტიუმზე მუშაობ, რამდენად ითვალისწინებ მოდის ტენდენციებს?**

— რა თქმა უნდა, ვითვალისწინებ, მაგრამ ვცდილობ, ამავდროულად, თითოეულ კოსტიუმში საკუთარი შტრიხი შევიტანო და ვიყო ინდივიდუალური.

— **ვთქვათ, შენთან მოვიდა ისეთი კლიენტი, რომელიც დაჟინებით მოითხოვს, რაღაც შეუკერო, შენ კი ხვდები, რომ ეს რაღაც მას ძალიან არ მოუხდება. ასეთ შემთხვევაში როგორ იქცევი?**

— ასეთ შემთხვევაში და ისეთ დროსაც, როცა თავად მოაქვთ რაღაც ესკიზი, მათ ვეუბნები, რომ საქართველოში არსებობს ძალიან ბევრი კარგი მკერავი და შეუძლია, იქ წაბრძანდეს. კოსტიუმის მათთან შეკერვა უფრო იაფიც დაუჯდება და მეც არ დავხარჯავ დროს ასეთ სისულელეში.



— **დათუნა, შენი აზრით, ქართველ ქალებს ძირითადად, რისი პრობლემა აქვთ?**

— ნაკლებად გაბედულები არიან, გარისკვა უჭირთ. მაგალითად, ამოიჩემეს დაბალწელიანი ჯინსის შარვალი და ძალიან უჭირთ მასთან განშორება, რაღაც ახლის მიღება. ასევე, ამოჩემებული ჰქონდათ მიდი სიგრძის ქვედაბოლოები, მაგრამ საბედნიეროდ, ზოგმა სიგრძე დაამოკლა, ზოგმა კი პირიქით — ძალიან დააგრძელა. სხვათა შორის, მინიკაბა ფეხებს ძალიან უხდება.

— **ჰო, მაგრამ იმ ქალებმა, რომლებიც ბუნებამ ლამაზი ფეხებით არ დააჯილდოვა, რა ქნან? მიუხედავად ყველაფრისა, მოდას აჰყვნენ?**

— მათ შეუძლიათ, ასევე მოდური, გრძელი ქვედაბოლო ჩაიცვან... ისე, ყველაფერი ინდივიდუალურია. მაგალითად, შეიძლება, ლამაზი ფეხები გქონდეს, მაგრამ 100 კილო იყო და მოდის ამ ტენდენციას მაინც ვერ აუწყო ფეხი.

— **გარდა რისკისა, ქალებს კიდევ რისი პრობლემა აქვთ?**

— ჩემი დაკვირვებით, ისინი ძირითადად, თეძოსა და ფეხის დამალვას ცდილობენ. თუმცა, ასეთი რამ იშვიათად ხდება.

**— „გალიფე“ ისევ მოდაშია?**

— დღესდღეობით ისევ მოდაშია, მაგრამ ასეთი რაღაცები თავს დიდხანს ვერ იმკვიდრებს, მალე მომაბეზრებელი ხდება. ასეთ შარვალზე არ ვმუშაობ.

**— რატომ? არ მოგწონს?**

— იცი, ვიღაცაზე მომწონს, ვიღაცაზე არა. ჩემი აზრით, „გალიფე“ ბევრს არ უხდება, მაგრამ მაინც იცვამენ. ჩემს კოლექციაში ასეთი შარვალი არ არის, რადგანაც ქალს, რომელსაც იდეაში ვქმნი, „გალიფეს“ ვერაფრით მოვუხდენ.

**— რას ნიშნავს, „ქალს იდეაში ვქმნი“? მუზას გულისხმობ?**

— როცა კოლექციას ვქმნი, წარმოვიდგენ ვიღაც ქალს, მაგრამ ის არის კონკრეტული პიროვნება და არა ლოსფერსა და იასამნისფერს ვგულისხმობ.

**— ქამრებსა და სხვა აქსესუარებზე რას იტყვი?**

— ქუჩაში ისევ ფართო ქამრებით დადიან, არადა, მოდაში ვიწრო სარტყელი შემოვიდა. სამკაულებზეც ვმუშაობ, მაგრამ ჩემი აზრით, მას მოდა არ გააჩნია. ის ისეთი უნდა იყოს, როგორიც კაბას მოუხდება...

**— შენ მიერ შექმნილ სამოსს ძირითადად, როგორი ფეხსაცმელი უხდება: დაბალქუსლიანი თუ „მაღლები“?**

— რა თქმა უნდა, უპირატესობას მაღალქუსლიან ფეხსაცმელს ვანიჭებ, რადგანაც ის ქალის სილუეტს მეტად უსვამს ხაზს. ისე კი ქალს კედიც უნდა ჰქონდეს და გამოსასვლელი ფეხსაცმელიც. ახლა, პლაჟზე კაკუნით ვერავინ წავა. იქაც მინახავს გოგონები მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით და ეს ნამდვილად არაა სასურველი.

**— საცურაო კოსტიუმებზე რას გვეტყვი?**

— ზედა-ქვედა კოსტიუმი უნდა ჩაიცვან და არავითარი მთლიანი! მაგრამ თუ ნაკლის დაფარვა გსურს, მაშინ მთლიანი „კუპალნიკიც“ მისაღებია.

**— შენი ყველაზე ხშირი კლიენტი ვინ არის?**

— ამ ბოლო დროს, ქრისტინე იმედაძე ხშირად მსტუმრობს.

**— ცნობილი ადამიანები რამდენად კრიტიკულები, ბუზღუნები არიან?**

— პირიქით, მათთან მუშაობა საინტერესოა და დიზაინერის რჩევებსაც მაქსიმალურად ითვალისწინებენ.

**— და ჩვეულებრივი მოქალაქეები მათგან რით განსხვავდებიან?**

— ისინი უფრო მომთხოვნები არიან. მოდიან ძალიან ჯიუტი ადამიანებიც, რომელთაც ნათქვამს ვერაფრით გადაათქმევინებ.

**— თუ გქონია ისეთი შემთხვევა, როდესაც კლიენტმა წონასწორობიდან გამოგიყვანა?**

— კი, მქონდა ასეთი შემთხვევა და იმ ქალბატონის სამოსის შექმნაზე მხოლოდ კონსტრუქტორმა და მკერავმა იზრუნეს, მე არ ჩავრეულვარ. შესაბამისად, იმ კაბას არც ჩემი სახელი და გვარი აწერია.

**— საქართველოში რამდენად კონკურენტუნარიანია ის სფერო, რომელშიც თავად მოღვაწეობ?**

— აქ კონკურენცია საერთოდ არ იგრძნობა.

**— მაგრამ ამ პატარა ქვეყანაში ხომ ბევრი დიზაინერია?**

— ძირითადად, დიზაინერები ერთმანეთთან ვმეგობრობთ. ეს სასიამოვნოა, მაგრამ თან, რაღაც გაგებით ცუდიცაა — რაც მეტი კონკურენტი გყავს, ალბათ, მით მეტ რაღაცას შექმნი, მუშაობას მეტი მუღამი აქვს...

**— მამაკაცების კოსტიუმზე თუ მუშაობ?**

— კი, მაგრამ მათთვის რჩევის მიცემა გამიჭირდება, რადგანაც დამერწმუნეთ, ქართველი მამაკაცების მოდურად ჩაცმა ძალიან რთულია.

**— რატომ? მამაკაცი კლიენტების ნაკლებობას უჩივი?**

— არა, ბევრი მამაკაცი კლიენტი მყავს, მაგრამ ისინი ძირითადად, ქორწილისთვის, დღესასწაულისთვის მთხოვენ კოსტიუმის შექმნას. „პაკაზისთვის“ მამაკაცის სამოსს ნაკლებად ვქმნი.

**— ქართველ ქალებს რას ურჩევ?**

— იყვნენ მეტად თავდაჯერებულები, არ შეაშინოთ სიახლეებმა და ჰქონდეთ მეტი გამბედაობა.






— მუზა. როცა ხელოვანს მუზა ჰყავს, ის გარკვეულ ჩარჩოებში ექცევა. მხოლოდ იმაზე ფიქრობს, მას რა მოუხდება და სხვა ქალისთვის ღირებულს ვერაფერს შექმნის. ამიტომაც, მე მუზას არ ვაღიარებ და ის არც მყავს... ზოგადად, ზაფხულში რაც უფრო თავისუფალი იქნება ქალის ჩაცმულობა, მით უფრო სასიამოვნო ხდება მისი იმიჯი.

**— ჩანთებზე რისი თქმა შეგიძლია?**

— ჩანთის ზომის შერჩევა თავად ადამიანზეა დამოკიდებული. რაც შეეხება ფერს, კარგია, თუ ის ფერადი იქნება, მაგრამ ძალიან აჭრელებული ქსოვილები არ მიყვარს. უფრო, პასტელის ფერებს ვანიჭებ უპირატესობას. ასევე, ძალიან მომწონს წლევანდელი მოდის ტენდენცია — ჟო-



# წიგნი სულის სარკეა

**ფსიქოლოგები ირწმუნებიან, რომ ადამიანის ბუნება მის თითოეულ ჟესტში, მოძრაობასა და მოქმედებაში ვლინდება. თურმე, იმისდა მიხედვით, თუ კითხვისას როგორ ზიხარ, შენი ხასიათის თავისებურებები ჩანს.**

## კითხვისას წიგნი ხელებით გიჭირავს

ყოველდღიურ ცხოვრებაში ცივი, გულგრილი და აუღელვებელი ხარ. შეგიძლია ყველგან და ყოველთვის აკონტროლო და მართო შენი ემოციები. „რკინის ნიღბის" მიღმა იფარება შენი მისწრაფება — წინასწარ დაიცვა თავი გარშემო მყოფთა ყურადღებისგან. ეს ნამდვილად ზედმეტია. ცოტა მოეშვი, განიტვირთე, მიიხედ-მოიხედე და დარწმუნდები, რომ ცხოვრება მშვენიერია.

## კითხვის დროს თავი ხელზე გაქვს დაყრდნობილი

სიმშვიდისა და შინაგანი ჰარმონიის იშვიათი უნარით ხარ დაჯილდოებული. ძნელად თუ აგაღელვებს რამე. შენს ახლობლებს დიდი ძალისხმევა სჭირდებათ, რათა შენში ენთუზიაზმის ნაპერწკალი გააღვივონ. ერთნაირი ხარ ყველგან — სახლში, სამსახურში, მეგობრებთან. მუდმივი სიმშვიდე — ნირვანა — ეს რა თქმა უნდა, შესანიშნავი რამაა, მაგრამ ცოტაოდენი ცეცხლიც და... ნამდვილად არ ინანებ.

## კითხვის დროს ხელები მუხლებზე გიწყვია

ემოციათა ზღვა — ეს შენი სტიქიაა. თუმცა, ამით კმაყოფილი ნამდვილად არ ხარ. მუდმივად გეშინია, რომ თავს ვერ გააკონტროლებ და ისეთ რამეს ჩაიდენ, რაც შენს გულსა და გონებას ეწინააღმდეგება. რატომ აკრიტიკებ გამუდმებით თავს? ხანდახან მართლაც შეიძლება „აფრების აშვება".



## წამოწოლილი კითხულობ

ბავშვური გულუბრყვილობა შენი მომხიბვლელობის მთავარი საიდუმლოა. ყოველთვის გაინტერესებს, რა ხდება შენ ირგვლივ. ხშირად გადასახლდები ხოლმე იმ წიგნის სამყაროში, რომელსაც კითხულობ. ეს ნამდვილად კარგად გამოგდის. ის კი არა და, ხშირად წაკითხულის მიხედვით ცხოვრობ. უნდა დაიმახსოვრო, რომ ზომიერების გრძნობა საუკეთესო რამაა. წიგნიერი გამონაგონი რეალურ ცხოვრებაში ყოველთვის არ გამოგადგება. გაფრთხილდი: ცაში აფრენისას, მოულოდნელად მიწაზე არ დაენარცხო.





## კითხვის დროს ფეხები სკამზე გაქვს შემოწყობილი

წიგნის კითხვის შენეულ მანერაში არის რაღაც არისტოკრატიული. თითქოს შენი სურვილით კი არ კითხულობ, წიგნები თვითონ „გთხოვენ" წაკითხვას და შენც, მათ დროსა და ყურადღებას იძულებით უთმობ. რა საჭიროა ასეთი ქედმაღლობა? წიგნებში ბევრ ისეთ რამეს იპოვი, რაზე დაფიქრებაც ნამდვილად ღირს.

## სახეზე ხელებშემოჭდობილი კითხულობ

მგრძნობიარე, ნერვიული და მერყევი პიროვნება ხარ. დაძაბული კითხულობ და ცდილობ, სწორად გაიგო და ჩახვდე წაკითხულს, დაიმახსოვრო იგი. იმიტომ ხომ არ შემოიჭდე სახეზე ხელები, რომ სულ პაწაწინა საინტერესო აზრიც კი არ გაგისხლტეს? ასე ძნელია შენთვის ერთ საგანზე კონცენტრირება? მერე რა?! შენნაირი ამქვეყნად ბევრია. ჯობს დამშვიდდე, მოეშვა, ნუ მოითხოვ საკუთარი თავისგან ბევრს და დანარჩენი თავად მოგვარდება. ■

აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები
www.elva.ge
პრესის და წიგნების გავრცელების სააგენტო „ელვა.ჯი"

| გამოცემის დასახელება | 1ეგზ. ფასი | 3 თვე |
|---|---|---|
| 1. ИТОГИ | 3.00 | 39.00 |
| 2. НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА | 2.00 | 117.00 |
| 3. ЛИЧНОСТЬ. КУЛЬТУРА. | 32.00 | 32.00 |
| 4. КАРАВАН ИСТОРИЙ | 8.00 | 24.00 |
| 5. НОВАЯ ГАЗЕТА | 1.50 | 39.00 |
| 6. ВОКРУГ СВЕТА | 9.00 | 27.00 |

ტელ: 38-26-73; 38-26-74
ფაქსი: 38-26-74
აგრეთვე ნებისმიერი სხვა გამოცემა
E-mail:elva@kvirispalitra.com



# რჩევები დიასახლისებს



* * *

ბოსტნეულის წვნიანი უმჯობესია, უშუალოდ სუფრის გაშლის მომენტისთვის მოამზადოთ. მაშინ მასში C ვიტამინი დიდი რაოდენობით შენარჩუნდება. წვნიანის მომზადებიდან 3-4 საათის გასვლის შემდეგ, ვიტამინების შემცველობა ბევრად ნაკლები იქნება.

* * *

მჟავე ვაშლი ჰაერღუმელში დიდხანს არ გააჩეროთ — მათგან ნამდვილ პიურეს მიიღებთ. ხოლო ტკბილი ჯიშის ვაშლები, პირიქით, ჰაერღუმელში შეწვისას ფორმას შესანიშნავად ინარჩუნებს.

* * *

ნიგოზი ალერგიას რომ იწვევს, ცნობილია. მაგრამ თურმე სულ იოლად შეიძლება ამ უსიამოვნო



შედეგის თავიდან აცილება: ნიგოზი (თხილი, ნუში, მიწის თხილი) ცოტა ხნით ჰაერღუმელში შედგით ან ტაფაზე ოდნავ მოხალეთ.

* * *

ბრინჯი უკეთ შეინახება, თუკი შუშის ქილაში ჩაყრით და ერთ ცალ ცხარე წიწაკასაც ჩააყოლებთ.

* * *

თურმე კვერცხი ადვილად იღებს უცხო სუნს. ამიტომაც მისი შენახვა თევზის, გუდის ყველისა და სხვა სპეციფიკური, მკვეთრი სურნელის მქონე პროდუქტების გვერდით არ შეიძლება.

* * *

კატლეტი განსაკუთრებით გემრიელი გამოგივათ, თუ ფარშს თანაბარი რაოდენობით უმ და შემწვარ ხახვს და გახეხილ, უმ კარტოფილს დაუმატებთ. კარტოფილი კატლეტს უფრო ფუმფულას და გემრიელს გახდის. ■





## თევზის მწვადი

**ულუფა 4 ადამიანისთვის**

**მასალად საჭიროა:**

600 გ თევზის ფილე;
100 გ პომიდვრის მწნილი;
2 ს/კ ზეითუნის ზეთი;
ხმელი სუნელები;
მარილი, წიწაკა.

**მომზადების წესი:**

წითელი პომიდვრის მწნილი რამდენიმე წუთით მდუღარე წყალში ჩააწყვეთ, მერე ამოიღეთ და ცოტათი შეაშრეთ. დაჭერით თევზის ფილე. გააკეთეთ საწებელი ზეითუნის ზეთის, ხმელი სუნელების, წიწაკისა და მარილისგან. ჩააწყვეთ შიგ თევზი და პომიდორი. გააჩერეთ ნახევარი საათი. შემდეგ თევზის ფილე და პომიდორი მონაცვლეობით წამოაცვით ჩხირებზე და შეწვით ჰაერღუმელში (ან ტოსტერში) 5-6 წუთის განმავლობაში. მზა კერძი გაალამაზეთ მწვანე სალათის ფოთლებით. ■

# ნიღბები თმისთვის

**ჯანმრთელი და ლამაზი თმა სულაც არ არის ისეთი ძვირად ღირებული სიამოვნება, როგორიც ზოგიერთს ჰგონია. თმის მოსავლელად, ბალზამებისა და კონდიციონერების ნაცვლად შეგიძლიათ ბუნებრივ საშუალებებს მიმართოთ.**

## კარტოფილის ნიღაბი

თმის ცვენის შესაჩერებლად ეფექტიანია კარტოფილის ნიღაბი. აიღეთ ერთი ცალი დიდი ზომის კარტოფილი, გახეხეთ, დაუმატეთ 2 ს/კ ალოეს წვენი და 20 გ თაფლი. მიღებული მასა შეიზილეთ თმის ძირებში. შემდეგ თავზე პოლიეთილენის პარკი ჩამოიცვით და პირსახოცი შემოიხვიეთ. ნიღაბი თმაზე ორი საათი გაიჩერეთ, მერე ჩამოიბანეთ და თავი ჩვეულებრივი ჩამპუნით დაიბანეთ. პროცედურა ჩაიტარეთ კვირაში ერთხელ მანამ, ვიდრე სასურველ შედეგს არ მიაღწევთ.





## კომბოსტოს ლოსიონი

თმის ძირებს ძალზე კარგად კვებავს ეგრეთ წოდებული კომბოსტოს ლოსიონი. მის მოსამზადებლად აიღეთ კომბოსტო და ოხრახუში თანაბარი პროპორციებით, დაასხით 300 გ ადუღებული წყალი. მომზადებული ნაყენი 6 საათი გააჩერეთ და დაბანამდე 30 წუთით ადრე კარგად შეიზილეთ თმის ძირებში. ■

*რუბრიკა მოამზადა ეკა გუნთაიშვილმა*

# ანტიოქიისა და ალექსანდრიის ეკლესიების დაარსება და იმპერატორ მარკუსის დროს დევნილი ქრისტიანები

**განვაგრძობთ საუბარს ეკლესიის ისტორიასთან დაკავშირებით. გვესაუბრება არქიმანდრიტი მაკარი (აბესაძე).**

*შორენა მერკვილაძე*



**— იერუსალიმის ეკლესიის შემდეგ, ანტიოქიისა და ალექსანდრიის ეკლესიები დაარსდა. ყველაზე ადრე ანტიოქიასა და ალექსანდრიაში გაჩნდა მრავალრიცხოვანი ქრისტიანული თემი-კრებული. მცირედი მათ შესახებაც მოგვითხრეთ.**

— ანტიოქიის ეკლესია იერუსალიმის ეკლესიის დაარსებიდან რამდენიმე წლის შემდეგ დაარსდა. იმ დროისათვის ანტიოქია რომის აღმოსავლეთ პროვინციების დედაქალაქი, ამასთანავე, ძველი ფილოსოფიის ცენტრი იყო. ადამიანები განათლების მიღებისკენ იყვნენ მიდრეკილნი და ახალი სწავლების მიმართაც დიდი ინტერესი გამოიჩინეს. ამ ყველაფერმა განაპირობა ის, რომ ანტიოქიაში ჩამოყალიბდა მრავალრიცხოვანი ქრისტიანული კრებული. თანაც, ანტიოქია იერუსალიმთან ტერიტორიულადაც ახლოს იყო, მიმოსვლა იერუსალიმსა და ანტიოქიას შორის უფრო ხშირი და ადვილი გახლდათ, ვიდრე იმ პერიოდში არსებულ სხვა დიდ ქალაქებთან. ამის გამო, იქ თითქმის უფლის ყველა მოციქულმა იქადაგა. ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში საქადაგებლად წასულ მოციქულებს გზად აუცილებლად, ანტიოქია უნდა გაევლოთ. ანტიოქიის ეკლესია პეტრე მოციქულის მიერაა დაარსებული. ქრისტეს მოციქულებს პირველად სწორედ ანტიოქიაში ეწოდათ ქრისტიანები.

მალევე დაარსდა ალექსანდრიის ეკლესიაც. ალექსანდრია იყო რომის იმპერიის აფრიკული პროვინციების დედაქალაქი და უდიდესი გავლენა ჰქონდა. ვიცით, რომ ეგვიპტის ტერიტორიებზე უძველესი ცივილიზაციის კერები არსებობდა, ხოლო მას შემდეგ, რაც ალექსანდრე მაკედონელმა დააარსა ალექსანდრია, ის წიგნიერ ქალაქად იქცა და სწორედ ალექსანდრიის ბიბლიოთეკისთვის ითარგმნა პირველად ებრაული ენიდან ბერძნულ ენაზე „ბიბლია“, სამოცდაათი მთარგმნელის მიერ, რომელთა შორისაც სვიმონ ღვთისმიმრქმელიც იყო. ალექსანდრიაში არსებობდა მრავალრიცხოვანი ებრაული თემი და შესაბამისად, იქ ქრისტეს მოძღვრების მისაღებად საკმაოდ მტკიცე საფუძველი არსებობდა...

ალექსანდრიის ეკლესია მარკოზ მახარებლის დაარსებულია, რომელიც უფლის სამოცდაათ მოციქულთაგანი გახლდათ. ის იყო ალექსანდრიის ეკლესიის პირველი მღვდელმთავარი და მან იმდენად მტკიცე საფუძველი ჩაუყარა იქ ქრისტიანობის გავრცელებას, რომ ალექსანდრია ქრისტიანული სწავლების წამყვან კერად იქცა. ბერმონაზვნობის საფუძვლებიც ალექსანდრიიდან მოდის და ის მარკოზ მახარებლის მიერაა ფუძეჩაყრილი (ვიდრე ბერმონაზვნობა ჩამოყალიბდებოდა იმ სისტემით, როგორითაც III საუკუნის მიწურულს ანტონი დიდმა ჩამოაყალიბა, მას ეგვიპტეში ჩაეყარა საფუძველი). ალექსანდრიაში ჩამოყალიბდა კატეხიზაციის სკოლებიც, სადაც ადამიანებს ნათლისღებისთვის ამზადებდნენ. შემდეგ ეს სკოლები უდიდეს საღვთისმეტყველო აკადემიებად გადაკეთდა და ამ სასწავლებლებიდან უდიდესი მამები გამოვიდნენ.

**— ე.ი. ბერმონაზვნები — უკაცრიელ, უდაბურ ადგილას განმარტოებით მოღვაწე ქრისტიანები პირველივე საუკუნეში არსებობდნენ?**

— ქრისტიანობის პირველ ხანებში იყო შემთხვევები, როცა ქრისტიანები, იმის შიშით, რომ ვერ გაუძლებდნენ ფიზიკურ ტანჯვა-წამებას, დევნილების ადგილებს შორდებოდნენ, უკაცრიელ ადგილს აფარებდნენ თავს და იქ განადიდებდნენ უფალს. ბევრი მათგანი, დევნის შეწყვეტის შემდეგ, უკან აღარ ბრუნდებოდა, სიცოცხლის ბოლომდე უკაცრიელ ადგილას მოღვაწეობით ადიდებდა უფალს (იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც უდაბურ ადგილას მოღვაწეობის სანაცვლოდ მიღებული სიმტკიცის შემდეგ, ქრისტესთვის მარტვილობით დაასრულეს სიცოცხლე). უდიდესი ბერმონაზვნობის ღვაწლის მტვირთველი მამა პავლე თებელი ქრისტიანთა ერთ-ერთი დევნის დროს დის ქმარმა დაასმინა, რომ ქრისტიანი იყო. 17 წლის ყმაწვილს მძიმე ფიზიკური ტანჯვა-წამების შეეშინდა და უდაბნოს შეაფარა თავი. დევნის დასრულების შემდეგ უკან დაბრუნება აღარ ისურვა. მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრება უდაბნოში, მკაცრ მოღვაწეობაში გაატარა. ესეც უფლის დაშვებით ხდებოდა, რადგან ეს მოღვაწენი ამ გზით უფრო მეტად განადიდებდნენ უფალს.

ბერმონაზვნობაც მოწამეობაა, მოწამეობის ამ სახეს წმინდა მამებმა დროში განგრძობილი მარტვილობა უწოდეს — უფლისთვის ტანჯვა-წამების გზით თავგანწირვას, რასაც მარტვილები ერთ საათში ან რამდენიმე დღეში აღასრულებდნენ, ასკეტი ბერები მთელი მიწიერი ცხოვრების მანძილზე ტვირთულობდნენ.



M K

**— მოციქულთა კრებაც გავიხსენოთ...**

— ვიცით, რომ იმ პერიოდში ეკლესიის კრებულს წარმართობიდან და იუდეველობიდან მოქცეული ქრისტიანები შეადგენდნენ. იუდეველობიდან მოქცეული ქრისტიანები ამტკიცებდნენ, რომ უნდა აღესრულებინათ მოსეს სჯული — იუდეველთა წეს-ჩვეულებები და ამას წარმართობიდან მოქცეულ ქრისტიანებსაც აიძულებდნენ. სწორედ ამ საკითხის გადასაწყვეტად შეიკრიბნენ მოციქულები და დაადგინეს, რომ ქრისტიანებისთვის არ იყო საჭირო მოსეს სჯულის აღსრულება. ამას გარდა, კრებაზე მოციქულებმა დააკანონეს ქრისტიანული ცხოვრების წესები. მოციქულთა კანონები თანამედროვე პერიოდამდეა შემორჩენილი „დიდაქეს“ სახით, რაც ფაქტობრივად, იყო კატეხიზმი, ქრისტიანული ცხოვრებისა. მოციქულთა კანონები „სჯულის კანონშიც“ არის შესული.

**— დაახლოებით 174 წლიდან, იმპერატორ მარკუს ავრელიუსის ბრძანებით, რომის იმპერიაში კვლავ დაიწყო ქრისტიანთა ძლიერი დევნა, რომლის დროსაც განსაკუთრებული სიმტკიცე გალიის ტერიტორიაზე მცხოვრებმა ქრისტიანებმა გამოიჩინეს.**

— დევნამ, რომელიც იმპერატორ მარკუს ავრელიუსის დროს მძვინვარებდა, ურიცხვი ქრისტიანის სიცოცხლე შეიწირა. იმპერატორი ხშირად ხდებოდა მოწმე ქრისტიანთა სიმტკიცისა და სათნოებებისა, მაგრამ წარმართულ ფილოსოფიასა და კულტურაზე აღზრდილი ვერ ჩასწვდა ქრისტიანობის არსს, ვერ დარწმუნდა ქრისტიანობის ჭეშმარიტებაში. თუმცა, ერთხელ, მის თვალწინ მომხდარმა სასწაულებრივმა მოვლენამ დააფიქრა და მცირე ხნით ქრისტიანთა დევნის შეწყვეტის ბრძანებაც კი გასცა: რომის იმპერიის ჯარი გერმანულ ტომებს ებრძოდა. გერმანელებმა მთებში რომაელთა მომწყვდევა მოახერხეს. ალყაშემორტყმული რომაელები სიცხისა და წყურვილისგან იტანჯებოდნენ. მათ ჯარში ერთი პოლკი მთლიანად ქრისტიანებისგან შედგებოდა. ქრისტიანი მეომრები მუხლებზე დაეცნენ და უფალს შეწევნა შესთხოვეს. მოულოდნელად, ცა ღრუბელმა დაფარა და კოკისპირული წვიმა წამოვიდა, რომელსაც საშინელი ჭექა-ქუხილი და ქარიშხალი მოჰყვა; მტერს თავზარი დაეცა და გაიფანტა. ეს ყველაფერი იმპერატორის თვალწინ მოხდა... მარკუსმა აღიარა, რომ რომაელები ქრისტიანთა ლოცვამ იხსნა და ბრძანება გასცა, ქრისტიანთა დევნა შეეწყვიტათ. მაგრამ ეს მხოლოდ მცირე ხნით მოხდა — მალე მისივე ბრძანებით, ქრისტიანთა დევნა კვლავ განახლდა. დევნა რომის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე მძვინვარებდა, თუმცა განსაკუთრებული სიმტკიცე რომის ერთ-ერთი პროვინციის, გალიის (დღევანდელი საფრანგეთი) ტერიტორიაზე მცხოვრებმა ქრისტიანებმა გამოიჩინეს, რომლის ერთ-ერთი მთავარი ქალაქი გახლდათ ლიონი, სადაც საეპისკოპოსო კათედრაც კი არსებობდა. ამიტომაც, ეს დევნა გალიის ან ლიონელ ქრისტიანთა დევნის სახელწოდებითაა ცნობილი. ქალაქ ლიონში რამდენიმე ქრისტიანი შეიპყრეს და დასაკითხად წაიყვანეს მოედანზე, სადაც უამრავი ადამიანი იყო შეკრებილი. ქრისტიანებმა საჯაროდ და მტკიცედ აღიარეს თავიანთი რწმენა. ისინი ოლქის პროკონსულის მოსვლამდე საპყრობილეში ჩაყარეს. სამი დღის შემდეგ, პროკონსულმა ქრისტეს მიმდევრები კვლავ მოედანზე გაიყვანა დასაკითხად. დაკითხვის დროს მათ მიმართ სისასტიკეს იჩენდა. შეკრებილ ხალხს ერთი ახალგაზრდა ქრისტიანი, ვეტიუს ეპიგატი გამოეყო, რომელიც ყველასაგან პატივისცემით სარგებლობდა. მან ითხოვა, რომ ქრისტიანთა დაცვის უფლება მიეცათ. როდესაც პროკონსულმა მისი მგზნებარე სიტყვები მოისმინა, ჰკითხა — შენც ქრისტიანი ხარო? ვეტიუსმა საჯაროდ აღიარა თავისი რწმენა. ახალგაზრდა მაშინვე შეიპყრეს და ქრისტიანებთან ერთად, დილეგში ჩააგდეს... საპყრობილეები ქრისტიანებით აივსო... განაჩენი იმპერატორ მარკუსს უნდა გამოეტანა. ბოლოს და ბოლოს, რომიდან პასუხი მოვიდა — იმპერატორი ბრძანებდა, დაესაჯათ ყველა, ვინც ქრისტეს არ უარყოფდა... ქრისტიანთა დასჯა იმპერატორ ავგუსტუსის პატივსაცემად დაწესებულ ერთ-ერთ დღესასწაულზე დაინიშნა. ამ დღისთვის ლიონში უამრავი ადამიანი შეიკრიბა. პროკონსულმა ტყვეები კიდევ ერთხელ დაჰკითხა, მაგრამ ყველამ მტკიცედ განაცხადა, რომ ქრისტიანობას არ უარყოფდა. პროკონსულმა მათ მიმართ გამოჩენილ სისასტიკეში იმპერატორსაც გადააჭარბა: დატყვევებულ ქრისტიანებს, ვიდრე მათი დასჯის დრო მოაწევდა, აიძულებდა, სხვების ტანჯვა-წამებისთვის ეცქირათ. ზოგს გავარვარებული რკინის სკამზე სვამდნენ, ზოგს კი მხეცებს უგდებდნენ საჯიჯგნად... ბოლოს, წამებულთა ნეშტები არენაზე დატოვეს და დარაჯები დაუყენეს, რათა ღამით, ქალაქში დარჩენილ ქრისტიანებს ისინი ფარულად მიწისთვის არ მიებარებინათ. დღისით წამებულთა გვამებს მხეცებს უსევდნენ საჯიჯგნად... ექვსი დღის შემდეგ ქრისტიანთა ნეშტები დაწვეს და მდინარეში გადაყარეს... რამდენიმე ხნის შემდეგ იმპერიაში ქრისტიანთა დევნა შეწყდა.

როგორც ვთქვით, გალია იყო დღევანდელი საფრანგეთის ტერიტორია, სადაც სახლობდნენ გალები, კელტების მონათესავე ტომები. რომაელები მათ ბარბაროსებად მიიჩნევდნენ. გალებმა მოციქულთა ქადაგებით I-ივე საუკუნიდან მიიღეს ქრისტიანობა და ისევე, როგორც რომის იმპერიის სხვა პროვინციებში, ქრისტიანობა გალიის ტერიტორიაზეც საკმაოდ გავრცელებული იყო. გალები ხასიათით, სიმტკიცით გამოირჩეოდნენ, მათთვის ბრძოლაში სიკვდილი თუ სხვა სახის ვაჟკაცობა დიდი პატივი იყო.. ქრისტიანობის მიღების შემდეგ, თავიანთი ხასიათის სიმტკიცე რწმენაშიც გამოავლინეს. სწორედ მათმა სიმტკიცემ განაპირობა გალიის ქრისტიანთა მასობრივი მოწამებრივი აღსასრული იმპერატორ მარკუსის პერიოდში წამოწყებული დევნის დროს.

**— პირველი ქრისტიანები მოშურნეობით — უფლისთვის მკაცრი მოღვაწეობითაც ხომ გამოირჩეოდნენ...**

— თავად ქრისტიანებს ჰქონდათ მოთხოვნილება, რომ ღვთის სადიდებლად მკაცრად ემოღვაწათ — როდესაც ადამიანები შეიტყობდნენ ქრისტეს შესახებ, თუ რა აღასრულა უფალმა კაცობრიობისთვის, ცდილობდნენ, მაქსიმალურად ედიდებინათ უფალი. დევნილობის ჟამს ესწრაფოდნენ მარტვილებრივ აღსასრულს. როდესაც დევნა შეწყდებოდა, მკაცრი მოღვაწეობით ადიდებდნენ უფალს — გაძლიერებული ლოცვით, მარხვითა და სათნოებებით. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ალექსანდრიელი ქრისტიანები. მათ იმის სურვილი და მოთხოვნილება ჰქონდათ, რომ ძალზე მკაცრად დაეცვათ ქრისტიანული წესები. ზოგადად ეკლესიას მაშინაც ჰქონდა დადგენილი მარხვის, ლოცვისა და მსახურების წესები, მაგრამ შესაძლებელი იყო, ადამიანს ეკლესიისგან გამოეთხოვა კურთხევა და ეკლესიის მიერ დაწესებულზე მკაცრად აღესრულებინა საეკლესიო წესები და კანონები. ეს იყო პირადი ღვაწლი. ალექსანდრიელი ქრისტიანები სწორედ ამგვარი ღვაწლით გამოირჩეოდნენ.

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

# ხალხური მედიცინა თრომბოზის წინააღმდეგ



*** ლიმონი**

ლიმონი სისხლში პროთრომბინის შემცველობას აქვეითებს. ამიტომ, თრომბოზის დროს ავადმყოფებს ხშირად ურჩევენ ლიმონის წვენის დალევას. მკურნალობის ეფექტი ძლიერდება, თუ ლიმონთან ერთად ვაშლის ძმარს მიიღებთ: 1/4 ლიმონი გაწურეთ, ჩაასხით 0,5-ლიტრიან ქილაში, დაამატეთ 1 ჩ/კ ვაშლის ძმარი, 1 ჩ/კ თაფლი და შეავსეთ წყლით. მიიღეთ დღის განმავლობაში რამდენჯერმე, ღვინის ჭიქით. მკურნალობის კურსი 12-დღიანია. ყოველდღიურად ახალ-ახალი ხსნარი უნდა მოამზადოთ.

გახსოვდეთ! თუ გასტრიტი და კუჭის წყლული გაწუხებთ ან ნაღვლის ბუშტის ანთება გაქვთ, მაშინ ლიმონის მიღება რეკომენდებული არაა.

*** თხილის ფოთლები**

თხილის ფოთოლი სისხლის შედედებას აქვეითებს და სისხლძარღვების ტონუსს ზრდის.

თრომბოზის პროფილაქტიკის მიზნით, დააყენეთ თხილის ფოთლის ნაყენი (ჩაის ნაყენის მსგავსად) და მიიღეთ დილა-საღამოს.

*** ცხენის წაბლი**

ცხენის წაბლში შემავალი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები სისხლის შედედებას აქვეითებს და ამიტომაც, თრომბოზის პროფილაქტიკისათვის, მისგან დამზადებულ პრეპარატებს ხშირად იყენებენ. ხალხური მედიცინა კი ასეთ რეცეპტს გვთავაზობს: 50 გ ცხენის წაბლის ყვავილსა და ნაყოფს დაასხით 0,5 ლ 50-გრადუსიანი არაყი. 3-4 კვირის განმავლობაში მიიღეთ 30-40 წვეთი ნაყენი, დღეში 3-4-ჯერ, ჭამის წინ.



**როგორ დავიცვათ თავი თრომბის გაჩენისგან:**

* ყოველი კვების დროს მიიღეთ ერთი ჭიქა ღვინო. ის სისხლის მიმოქცევას აუმჯობესებს და თრომბების წარმოშობას უშლის ხელს;

* 5 ს/კ ფიჭვის წიწვს, 3 ს/კ ასკილს, 2 ს/კ დაჭრილ ხახვს დაასხით 1 ლ მდუღარე წყალი და ადუღეთ 10 წუთის განმავლობაში, შემდეგ კი გააჩერეთ ნახევარი საათი, გაფილტრეთ და მიიღეთ 100 გ 2-3-ჯერ დღეში, ჭამამდე (ბოლოს უნდა მიიღოთ ძილის წინ);

* აიღეთ 1 ჩ/ჭ კამის თესლი, 2 ჩ/კ კატაბალახას ძირი, 2 ჩ/ჭ თაფლი და კარგად აურიეთ. შემდეგ ჩაასხით თერმოსში, მერე კი 2 ლ-მდე შეავსეთ წყლით. ეს ნაყენი გააჩერეთ ერთი დღე და მიიღეთ 1 ს/კ 3-ჯერ დღეში, ჭამამდე 30 წუთით ადრე;



* გახეხეთ 1 ლიმონი და დაუმატეთ თითო-თითო ჭიქა დაქუცმაცებული შტოში, ასკილი და თაფლი. მიიღეთ 20-40 გ ჭამამდე;

* 3 ცალი „ანტონოვკა“ გარეცხეთ ცივი წყლით, დააწყვეთ მომინანქრებული ქვაბის ძირზე და დაასხით 1 ლ ადუღებული წყალი. დაახურეთ თავზე, შეფუთეთ და 4 საათის შემდეგ ვაშლი ქვაბშივე ჩაჭყლიტეთ, შემდეგ კი წვენი გადმოწურეთ და თაფლთან ერთად (50 გ ნაყენს დაუმატეთ 1 ჩ/კ თაფლი) მიირთვით დილით, უზმოზე და საღამოს — ძილის წინ;

* 1 ჩ/ჭ დაჭრილი ხახვი და 1 ჩ/ჭ თაფლი ერთმანეთში აურიეთ. გააჩერეთ 3 დღე ოთახის ტემპერატურაზე, შემდეგ კი 10 დღის განმავლობაში მაცივარში შეინახეთ. მიიღეთ 1 ს/კ დღეში 3-ჯერ, ჭამამდე 30 წუთით ადრე;

* ხის წიწვები შეინახეთ პოლიეთილენის თავლია პარკში. ყოველ საღამოს, ერთ მუჭა წიწვს დაასხით 1 ლ წყალი და ადუღეთ ნელ ცეცხლზე, 10-15 წუთის განმავლობაში. ეს ნაყენი გააჩერეთ მთელ ღამეს და მეორე დღეს მიიღეთ დღის განმავლობაში, წყლის ნაცვლად;

* 1 ს/კ დაქუცმაცებულ სვიის გირჩას დაასხით 1 ჩ/ჭ ადუღებული წყალი, ნელ ცეცხლზე ადუღეთ 20 წუთი, გაგრილების შემდეგ კი მიიღეთ 1 ჭიქა დღეში 3-ჯერ. ასევე კარგია, თუ ამ ნაყენში მარლას დაასველებთ და ვენებზე დაიდებთ. ■

# გულძმარვის დროს ნუ მიეტანებით სოდას

**ზოგიერთი ადამიანი გულძმარვის დროს სოდას იღებს, მაგრამ გამართლებულია კი ასეთი „მკურნალობა“? არა და, აი, რატომ:**

**პრობლემა პირველი:** მართალია, სოდა მალევე ხსნის უსიამოვნო შეგრძნებას (3 გ სოდა 75 წუთის განმავლობაში ინარჩუნებს კუჭის ნორმალურ მჟავიანობას), მაგრამ 1-2 საათის შემდეგ კუჭის გაღიზიანებული ჯირკვლები უფრო ინტენსიურად იწყებენ მარილმჟავას გამომუშავებას და რამდენიმე საათში მჟავიანობამ შესაძლოა, იმაზე მაღლაც აიწიოს, ვიდრე სოდის მიღებამდე იყო.

**პრობლემა მეორე:** სოდის მიღებისას ჭარბად გამოიყოფა ნახშირორჟანგი და კუჭის მოცულობა მკვეთრად მატულობს. სამედიცინო ლიტერატურაში, დიდი ოდენობით სოდის მიღების შემდეგ, კუჭის გასკდომის შემთხვევაც კი არის აღწერილი.

**პრობლემა მესამე:** კუჭის წვენთან სოდის ურთიერთქმედებისას თავისუფლდება იონიზებული ნატრიუმი, რომელიც ინტენსიურად შეიწოვება სისხლში, ეს კი გულ-სისხლძარღვთა სისტემის პათოლოგიის დროს მეტად საშიშია.

ხშირად, სოდას რძესთან ერთად იღებენ, რაც დაუშვებელია! რძისა და სოდის ერთდროული მიღება ორგანიზმის მჟავატუტოვან წონასწორობას არღვევს და თირკმლებში კენჭების წარმოქმნას უწყობს ხელს. ■

# რჩევები დაბალი წნევის დროს

**მათ, ვისაც დაბალი წნევა აწუხებს, ვურჩევთ გაითვალისწინონ ჩვენი რჩევები:**



* 3 ს/კ შვრიას დაასხით 1 ჩ/ჭ ოთახის ტემპერატურის წყალი, გააჩერეთ მთელი ღამე, დილით კი დაუმატეთ 1 ს/კ თაფლი და მიიღეთ უზმოზე;

* დაბალი წნევის დროს არ დაწვეთ და არ დახუჭოთ თვალები. უფრო სასარგებლოა, დაჯდეთ, შეიხსნათ საყელო და წრიული მოძრაობით (საათის ისრის მიმართულებით) დაიზილოთ საფეთქლები. კარგია, თუ საფეთქლებში შეიზელთ ლიმონის წვენს. დილას ცხელი ყავის მირთმევა არ დაგავიწყდეთ;

* კლიმაქსის პერიოდში დაბალი არტერიული წნევის დროს რეკომენდებულია ჭამიდან 2 საათის შემდეგ მიიღოთ შემდეგი ნარევი: 40 გ მოხალული და დაფქული ყავა, 0,5 კგ თაფლი, 1 ლიმონის წვენი კარგად აურიეთ ერთმანეთში და მიიღეთ 1 ჩ/კ დღეში 3-ჯერ;

* გახეხილი ვაშლი, 1 ს/კ თხილი ან გოგრის თესლი, 1 ლიმონის წვენი აურიეთ ერთმანეთში და მიიღეთ დღის განმავლობაში;

* კარგია, თუ წყლისა და სტაფილოს წვენის ნაზავს დაუმატებთ 1 ს/კ გოგრის თესლს და მიიღებთ დღის განმავლობაში რამდენჯერმე;

* ძალიან სასარგებლოა ნიახურის სალათა. იგი ასე მზადდება: ერთმანეთში აურიეთ დაჭრილი ნიახურის ძირები და ფოთლები, გახეხილი სტაფილო, ლიმონის წვენი და მაიონეზი;

* ხორცსაკეპ მანქანაში გაატარეთ 1 კგ ლიმონი, 300 გ ქიშმიში, 300 გ გარგარის ჩირი (კურაგა), 300 გ ლეღვის ჩირი და 750 გ თაფლი. აურიეთ ხის კოვზით, გააჩერეთ თბილ, ბნელ ადგილას, 24 საათის განმავლობაში. მიიღეთ დღეში 3-ჯერ, ჭამის წინ, თითო-თითო ს/კ.

* 1/2 ჩ/კ თაფლს დაამატეთ 150 მლ ნიახურის ნახარში, გადაიტანეთ მომინანქრებულ ჭურჭელში და 5 წუთის განმავლობაში ადუღეთ ნელ ცეცხლზე. 2 კვირის განმავლობაში მიიღეთ შუადღესა და საღამოს. ამ ნარევის მიღება რეკომენდებულია გაზაფხულსა და შემოდგომაზე. ■

# ალოე — გამაჯანსაღებელი საშუალება



გამოიყენეთ მხოლოდ 2 წელზე მეტი ხნის ალოეს ფოთლები. მოჭერით ალოეს შუა და ქვევითა მსხვილი ფოთოლი, ასევე, 3-4 ზედა ფოთოლი, გარეცხეთ მდუღარე წყალში, მოაცილეთ დაკბილული ნაწილი, დაჭერით წვრილად, დასრისეთ, ჩადეთ მარლაში და გაწურეთ. შემდეგ, აიღეთ 100 გ ალოეს წვენი, 500 გ კაკლის დაქუცმაცებული გული, 300 გ თაფლი, 3-4 წვეთი ლიმონის წვენი და ერთმანეთში კარგად აურიეთ. მიიღეთ 1 დესერტის კოვზი დღეში 3-ჯერ, ჭამამდე 30 წუთით ადრე.

განსაკუთრებით სასარგებლოა „წვენი ბიოსტიმულატორი“. მის მისაღებად გარეცხილი ალოეს ფოთოლი მოათავსეთ თეფშზე, დააფარეთ ქაღალდი და შედგით მაცივარში, 10-12 დღე. ასეთ პირობებში ალოეს უჯრედებში ხდება ე.წ. „ბიოლოგიური სტიმულატორების“ წარმოქმნა, რომლებიც უჯრედების სიცოცხლისუნარიანობას აძლიერებს. 12 დღის შემდეგ ფოთლები მაცივრიდან გამოიღეთ, გარეცხეთ, გააშრეთ, მოაცილეთ დაკბილული ნაწილი, გამუქებული ბოლოები და გამოწურეთ წვენი.

ალოე იკრძალება თირკმლების, კუჭნაწლავის მწვავე დაავადებების, ორსულობის, ქალის სასქესო ორგანოების მწვავე ანთებითი პროცესების, დეკომპენსაციის სტადიაში გულ-სისხლძარღვთა დაავადებების, ტუბერკულოზის გამწვავებისა და ბუასილის დროს. ასევე, მისი მიღება არაა რეკომენდებული ხანგრძლივად, გადაჭარბებული დოზებით, რადგან ამ დროს ნაწლავების პერისტალტიკა ითრგუნება, მისი ლორწოვანი გარსი ღიზიანდება და შეიძლება, ანთება განვითარდეს. ■

აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები
www.elva.ge
პრესის და წიგნების გავრცელების სააგენტო „ელვა.ჯი“

| გამოცემის დასახელება | 1ეგზ. ფასი | 3 თვე |
|---|---|---|
| 1. ГЕО / GEO | 9.00 | 27.00 |
| 2. ЛИЗА | 2.50 | 32.50 |
| 3. 100 ЧЕЛОВЕК, КОТОРЫЕ ИЗМЕНИЛИ ХОД ИСТОРИИ | 5.00 | 65.00 |
| 4. ПУТЕШЕСТВИЕ ПО СВЕТУ | 8.00 | 24.00 |
| 5. СЕМЬ ДНЕЙ | 2.50 | 32.50 |
| 6. HELLO! / ХЭЛЛОУ! | 4.00 | 52.00 |
| 7. ОТДОХНИ! | 2.00 | 26.00 |

ტელ: 38-26-73; 38-26-74
ფაქსი: 38-26-74
აგრეთვე ნებისმიერი სხვა გამოცემა
E-mail: elva@kvirispalitra.com

# იკითხეთ თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის




### მგზავრობა და ქრონიკული დაავადებები

როდესაც ასთმა არ არის კონტროლირებული, დაავადება არ ექვემდებარება მედიკამენტურ მკურნალობას და ხშირადაა საჭირო გადაუდებელი დახმარება, ქალაქიდან გასვლა რეკომენდებული არ არის.

### დასვენება სასანებელი რომ არ გახდეს

საგრძნობლად გახშირდა კანის ონკოლოგიური დაავადებები საქართველოშიც. განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც ინსოლაცია უფრო მეტია — კახეთში, დასავლეთ საქართველოში, შავიზღვისპირეთში.

### გაცივება და ანგინა

ბანაობის შემდეგ ბავშვს ფაქიზად გამოუმშრალეთ ყურები ბამბის ჩხირებით და მხოლოდ ამის შემდეგ გაუშრეთ თმა ფენით. ნამიანი თმითა და ყურებით გარეთ ნუ გაიყვანთ, როგორც არ უნდა ცხელოდეს.



M K



# ადამიანი



29 აპრილს დილით, დაახლოებით ოთხი საათი იქნებოდა, როდესაც კარზე დაიწყეს ბრახუნი. გავიგე, ავდექი ჩაუცმელი და კარი გავაღე. დავინახე შეიარაღებული კაცები და მივმართე: ვინ ხართ-მეთქი? იმათ კი დამიყვირეს: ჩვენ ვართ, თქვენს სახლს „ობისკი" უნდა დავარტყათო. რასაკვირველია, მანდატი მოვთხოვე, რა უფლებით უნდა გაეჩხრიკათ სახლი. მათ კი მიპასუხეს: მანდატი ჩვენს ოფიცერს აქვსო. ვუთხარი, მანდატი მოეტანათ და მერე მოსულიყვნენ, მაგრამ ბევრი აღარ მალაპარაკეს, კარს ძალით მოაწვნენ: ესეც ჩვენი მანდატიო და სახლში შემოცვივდნენ..."

გვ.67

## ,,ჩვენს ,,საერთო ბინას" არა და არ დაადგა საშველი"

ელენე ხირსელი

გორის ერთ-ერთ გარეუბანში, ყოფილი პოლიციის სამმართველოს შენობის ეზოში, ერთ ღამეში, მოულოდნელად კარვების მთელი „ქალაქი" გაჩნდა. ახლა იქ თხუთმეტიოდე კარავია. ყველაფერი ისევეა, როგორც შარშანდელი აგვისტოს ავადსახსენებელ დღეებში...

ომის შემდეგ, ხახუტაშვილისა და მოსკოვის ქუჩებზე მდებარე, დაზიანებული სახლების მოსახლენი, ისინი, ვინც დაბომბვის დროს იქ ქირით ცხოვრობდნენ, იქვე ახლოს, პოლიციის სამმართველოს ყოფილ შენობაში მოათავსეს. მაგრამ როცა მათი ბინების სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა, ბევრისთვის ეს, სიხარულის ნაცვლად, მწუხარების მიზეზი გახდა: განახლების შემდეგ მეპატრონეებმა ბინის ქირა გააძვირეს ან საერთოდ, უარი თქვეს მის გაქირავებაზე. გაჭირვებულმა ადამიანებმა კი, რომლებსაც ომის შემდგომ კიდევ უფრო გაუჭირდათ, ქირის გადახდა ველარ შეძლეს და ღია ცის ქვეშ აღმოჩნდნენ.



უსახლკაროთა სევდიანი ამბები

*ამჟამად პოლიციის სამმართველოს ყოფილ შენობაში სარემონტო სამუშაო მიმდინარეობს, სადაც მხოლოდ დევნილის სტატუსის მქონე პირებს შეასახლებენ. ქალაქის გამგეობამ გარეთ დარჩენილ „არადევნილებს“, მათი დიდი თხოვნა-მუდარის შემდეგ, დროებით, კარვები გადასცა და ამავე შენობის ეზოში გაშლის უფლებაც მისცა. თუმცა კატეგორიულად გააფრთხილეს (ხელწერილიც დაადებინეს!), რომ ზუსტად ერთი თვის თავზე ტერიტორია უნდა დატოვონ, თუ არა და, იქიდან ძალით გააძევებენ. კარვების ბინადარნი განაჩენივით ელიან ამ ვადის ამოწურვას. ამბობენ, რომ წასასვლელი არსად აქვთ. ამ ოჯახების სევდიანი ამბები ერთმანეთს კიდეც ჰგავს და კიდეც განსხვავდება ერთმანეთისგან.*



**განა სახელმწიფომ არ შეგვიქმნა ისეთი პირობები, რომელმაც ამ უკიდურესობამდე მიგვიყვანა?!**

**მაია მჭედლიშვილი,** *47 წლის:*

— მართალია, დევნილები არ ვართ და არავის გამოვუძევებივართ ჩვენი სახლებიდან, მაგრამ გამოგვაძევა სიდუხჭირემ, სილატაკემ, ჯანმრთელობის, ხშირ შემთხვევაში, სიცოცხლის შენარჩუნების აუცილებლობამ... ბევრმა ჩვენგანმა თავის დროზე, ერთადერთი საცხოვრებელი იმის გამო გაყიდა, რომ გადაუდებელი ოპერაცია გაეკეთებინა ან შიმშილით რომ არ მომკვდარიყო... გამგეობაში, რომელსაც ჩვენი პრობლემით მივმართეთ, გვითხრეს, — რა სახელმწიფოს გადასახადია, თქვენ თუ ბინები გაყიდეთო?! გასაგებია, მაგრამ განა სახელმწიფომ არ შეგვიქმნა ისეთი პირობები, რომელმაც ამ უკიდურესობამდე მიგვიყვანა?! თიაქრის ოპერაციის გაკეთება დამჭირდა. ოპერაცია ძვირი ჯდებოდა. როცა უკვე ძალიან ცუდად გავხდი, ვიფიქრე, ჩემს შვილს ჩემს მეტი არავინ ჰყავს (მაშინ პატარაც იყო) და მე რომ რამე მომივიდეს, რა ეშველება-მეთქი?! ბინა ნაჩქარევად გავყიდე — თითქმის „კაპიკებში“ გადავაგდე. მწარედ შევცდი! უზომოდ გვიჭირდა, ამხელა ფულს ჩემი ოპერაციისთვის ველარ ვიმეტებდი... ამასობაში კი თანხაც შემოგვეხარჯა. ვერც ოპერაცია გავიკეთე და ბავშვიც უსახლკაროდ დავტოვე. ახლა ჩემი მდგომარეობა უკიდურესად დამძიმდა — სიარულიც კი მიჭირს. ამ ბინაში, ქირაში 25 ლარს ვიხდიდით. სახლის დაბომბვის შედეგად, რაც კი რამ მებადა, ყველაფერი გამინადგურდა. ერთი დამტვრეული საწოლიღა შემომრჩა. ბედნიერი ვიქნებოდი, ამის მეტი სხვა უბედურება რომ აღარ შემხვედროდა, მაგრამ ომის დაწყებამდე რამდენიმე კვირით ადრე, ჩემმა ბიჭმა ჯავაში მშენებლობაზე დაიწყო მუშაობა. გვიხაროდა, გვეგონა, ცოტას ამოვისუნთქავთ-მეთქი, მაგრამ თურმე რა გველოდა!.. ომის დაწყებისთანავე, ოსებმა ჩემი ვაჟი მძევლად აიყვანეს. „ფსიქოლოგიურად მაწამებდნენ“ — მისი ტელეფონით მირეკავდნენ და საშინელებებს მეუბნებოდნენ: თავს მოვჭრით, ფეხებს მოვკვეთთ და ნაწილ-ნაწილ დაგიბრუნებთო... გახსენებაც კი მზარავს. საბედნიეროდ, „წითელი ჯვრის“ ჩარევით, ის სხვა მძევლებთან ერთად გაათავისუფლეს. ბიჭი ნაცემი და ნაწამები იყო. ერთი ნეკნი აღარ ჰქონდა მთელი, საშინლად დაითრგუნა, გაღიზიანებული იყო და საკუთარ თავს აღარ ჰგავდა. არ გეგონოთ, ამით დამთავრდა ჩემი უბედურება. 8 მარტს ჩემი ვაჟი, ორ ბიჭთან ერთად, პოლიციამ დააკავა. იმ ორს „ლიმონკა“ აღმოაჩნდა, ეს კი მხოლოდ იმიტომ დააპატიმრეს, რომ მათთან ერთად იყო. მის უდანაშაულობას, იმ ორი მეგობრის გარდა, კიდევ რამდენიმე მოწმე ადასტურებს. მიუხედავად ამისა, დღესაც ციხეშია. სასამართლო ჯერ არ ყოფილა, მაგრამ კარგს რას უნდა ველოდო?.. არანაირი შემოსავალი არ აქვს. არც კომპენსაცია მოუციათ. შვილსაც ვერაფერს ვუგზავნი. აქ ცხინვალიდან დევნილი რამდენიმე ოჯახია, რომელთანაც პროდუქტები მოაქვს. ყვავს რა ჰქონდა — ბუს გაჰქონდაო, ასეა ზუსტად. რომ არა მათი დახმარება, შიმშილისგან მოვკვდებოდი. აქედან რომ აგვყრიან სად წავალ, არ ვიცი. ისეთი არავინ მყავს, ვინც შემიფარებს: არც მშობლები, არც და-ძმა, უბრალოდ ადამიანი, ვისაც ჩემზე გული შესტკივა. ცხოვრებამ სანაგვეზე მომისროლა.

**მეგი ქიტუაშვილი**, *38 წლის:*

— არც მშობლების და არც მეუღლის სახლიდან არ მომცეს „წილი“. რაც ქმარს გავცილდი, მას შემდეგ ამ „საერთო“ ბინაში ვცხოვრობ ქირით. ბავშვები სულ მარტომ გავზარდე. არასდროს არავინ დამხმარებია. უფროსი რომ წამოიზარდა, ბაზრობაზე გამყიდველად დაიწყო მუშაობა. ოჯახს ის ინახავდა. ქირასაც თავისთავად, მისი წყალობით ვიხდიდით. წესიერი და მშრომელი ბიჭი იყო, მასზე აუგი არავის სმენია. ამ რამდენიმე თვის წინ, მეზობლის ბიჭის დედამ, რადგან თვითონ შეუძლოდ იყო, სთხოვა, თავისი პატიმარი შვილისთვის ამანათი შეეგზავნა, რომელიც მას შვილის ერთ-ერთმა მეგობარმა შინ მიუტანა. ამ ამანათში ნარკოტიკი აღმოჩნდა და ჩემი შვილი დააპატიმრეს. აი, ასე, უაზროდ დაიღუპა თავი. მინდა მჯეროდეს, რომ ის ქალი, ვის გამოც უდანაშაულო ბავშვი ამ უბედურ დღეში ჩამივარდა, სასამართლოზე სიმართლეს იტყვის. ერთბაშად ამდენი სადარდებელი გამიჩნდა, რომელი ერთი ვიჩივლო! — ბიჭის დაპატიმრება თუ ის, მთელი ოჯახით ღია ცის ქვეშ რომ დავრჩით?!

**ნინო ციცხიშვილი**, *26 წლის:*

— ხაშურიდან ვარ; გორში გავთხოვდი. უმამოდ გავიზარდე და დედა ფიქრობდა, — რაც მალე ჩამაბარებდა პატრონს, მით უკეთესი იქნებოდა. 19 წლის ასაკში გამათხოვეს. ქმარი ძალიან ცუდად მექცეოდა, სწავლისთვისაც თავი დამანებებინეს... ერთი სიტყვით, ჩვენი თანაცხოვრება ვერ შედგა და დავშორდით. ახლა მას უკვე სხვა ცოლი ჰყავს. ბავშვს არ ნახულობს და არც არაფრით გვეხმარება. დედა და ძმა ხაშურში, ერთოთახიანში ცხოვრობენ. ჩემი ძმა ავადმყოფია. ერაყში მსახურობდა და იქიდან ძალიან განერვიულებული, ფსიქიკურად აშლილი დაბრუნდა. მასთან ცხოვრება, მით უმეტეს ბავშვის, არ შეიძლება. ეს ბინა რომც გავყიდოთ, სანაცვლოდ ორი ბინა მაინც არ მოგვივა და რა აზრი აქვს?! ჩემი გოგონა, იმის გამო, რომ კონფლიქტურ ოჯახში გაიზარდა, ძალიან ნერვიულია, ომის შემდეგ კი შიშებიც დასჩემდა... უწინ ბინის ქირაში 20 ლარს ვიხდიდი, ახლა ქირა 80 ლარი გახდა. მე უმუშევარი ვარ. ადრე წვრილმანი სამუშაოც რომ გამოჩნდებოდა, იმდენს მაინც ვერ ვიღებდი, რომ ბავშვისთვის ბაღის გადასახადიც დამეფარა, ამიტომ გოგონას ხან ერთ მეზობელს ვუტოვებდი, ხან — მეორეს... ახლა უკვე სასკოლო ასაკისაა და რამდენი რამ სჭირდება. თუმცა ამას ვინლა ჩივის?! ნეტავ, თავზე ჭერი მაინც გვქონდეს.

**მარეხ წიქარიძე**, *28 წლის:*

— ქმარს გაშორებული ვარ, 13-ისა და 11 წლის გოგონებს ვზრდი. ადრე ბაზრობაზე გამყიდველად ვმუშაობდი, საბნებსაც ვქარგავდი. ასე თუ ისე, პურის ფული მქონდა, 25 ლარსაც ქირაში თავისუფლად ვიხდიდი. ომის შემდეგ კი, როცა

**ომის დაწყებისთანავე, ოსებმა ჩემი ვაჟი მძევლად აიყვანეს**



ვაჭრობამ იკლო, საქონლის მეპატრონეები თვითონ დადგნენ დახლთან. ახლა საბნებიც აღარავის უნდა. დავრჩი ყოველგვარი სახსრის გარეშე. წელს ბავშვებს სკოლის წიგნებიც ვერ ვუყიდე. ქირა კი არა, ბავშვებს საჭმელსაც ველარ ვაჭმევ.

**ლიკა ტიალიძე**, *21 წლის:*

— აქ დედამთილთან და ბავშვებთან ერთად ვარ; მეუღლე პატიმარია. ამ ადამიანებისგან განსხვავებით, ჩვენი ბინა გვაქვს. თითქმის ყველა ბინა შეარემონტეს, ჩვენს „საერთო ბინას“ კი (მოსკოვის ქუჩაზე) არა და არ დაადგა საშველი. აქ მუშაობა შუა გზაზე შეაჩერეს. ბინა საცხოვრებლად სრულიად უვარგისია. ჩვენს ოთახში იატაკი აყრილია, კარი მოხსნილია, კედლები კი სულ დაბზარულია (ერთი ისეთი ბზარია, მეზობლის სახლში თავისუფლად გადიან ბავშვები). მცირე მიწისძვრა საკმარისია და ყველაფერი თავზე დაგვექცევა. სხვათა შორის, შეკეთებულ სახლებშიც, რომლებიც გარეგნულად, ასე ლამაზად გამოიყურება, კედლები დასკდა. გამოდის, რომ ბინა მაქვს და თან — არც მაქვს.

**ლელა მაისურაძე**, *23 წლის:*

— 14 წლის ვიყავი, რომ მომიტაცეს, სოფელში გავთხოვდი. ქალაქში გაზრდილი ბავშვი, თოხსა და ბარზე ვმუშაობდი, არაფერს ვთაკილობდი. ქმარი მსმელი აღმოჩნდა, მცემდა. დედას რომ შევჩივლე, მოითმინეო, — მითხრა. საკმაოდ ვითმინე, მაგრამ ბოლოს, ველარ გავუძელი და წამოვედი (მესამე ბავშვზე ფეხმძიმედ ვიყავი). მას შემდეგ არც მეუღლე და არც მისი მშობლები ბავშვებით არ დაინტერესებულან. როცა ჩვენი ბინა შერემონტდა და ყველანი გადავედით (ერთ ოთახში მშობლებთან და ძმასთან ერთად ვცხოვრობდი), რამდენიმე დღის შემდეგ ძმამ გამომიცხადა: ცოლი უნდა მოვიყვანო და ოთახი დამიცალე; არ მინდა, ჩემს ცოლს აქ სამი ბავშვი დახვდესო. მშობლებიც მის მხარეზე არიან, მითხრეს, — სადაც გინდა, იქ წადიო. ისინი იმას ვერ მპატიობენ, ქმარს რომ გავცილდი. სამ ბავშვთან ერთად (ერთი 6 წლის არის, მეორე — 4-ის, ნაბოლარა კი მხოლოდ 3 თვისაა), ქუჩაში დავრჩი. აქაც არ მაკითხავენ. არ აინტერესებთ, რას ვჭამთ, რას ვსვამთ. ხშირად ბავშვები მშივრები დამიძინებია. მეზობლების იმედზე ვარ. კარავში მცხოვრებთ თვითონ რა აქვთ და მაინც სულ მეხმარებიან, ხან რას მომაწოდებენ, ხან — რას.

**ლია დოთიაშვილი**, *28 წლის:*

— ერთხელ მახსოვს, პრეზიდენტმა ტელევიზიით თქვა: საქართველოში უსახლკაროები არ უნდა იყვნენო, მაგრამ... მეუღლე და 3 მცირეწლოვანი ბავშვი მყავს; უმცროსი ერთი წლისაც არ არის. რამდენიმე წელია, „საერთო ბინაში“ ქირით ვცხოვრობთ, რადგან საკუთარი არ გვაქვს. ამჟამად კი უმუშევრები ვართ და ქირის გადახდის საშუალება არ გვაქვს. ვცხოვრობთ, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახებისთვის განკუთვნილ 50 ლარზე. სხვათა შორის, სოციალური აგენტის მიერ მონიჭებული ქულების მიხედვით, ჩვენს ოჯახს ქალაქში ყველაზე ნაკლები ქულები აღმოაჩნდა.



კარავში დედასთან და 2 წლის გოგონასთან ერთად ვცხოვრობ

**მარეხ შოშიაშვილი**, *29 წლის:*

— იყო დრო, როცა ყველა ნორმალური ადამიანივით, საკუთარი ბინა ჩვენც გვქონდა. ვცხოვრობდით ჩვენთვის, წყნარად. მაგრამ რამდენიმე წლის წინ, ჩემს 16 წლის ძმას, რომელსაც „ბრმა“ ტყვია მოხვდა მუცელში, სასწრაფო ოპერაციის გაკეთება დასჭირდა. ოპერაცია გაუკეთეს, მაგრამ მეორეს, რომელიც მის გადასარჩენად ასევე აუცილებელი იყო, უფასოდ აღარ უკეთებდნენ. ამხელა თანხა საიდან მოგვეტანა?! იძულებული გავხდით, საჩქაროდ, ბინა გაგვეყიდა. მერე ამ „საერთო“ ბინებში ვიქირავეთ ოთახი. უსაქმურები როდი ვართ. სახლთან ახლოს მე და დედამ ჰოლანდიური ყვავილების ბაღი გავაშენეთ. თავს ყვავილების გაყიდვით ვირჩენდით. ბაღი ომის დროს მთლიანად გაგვინადგურდა. ხელახლა რომ გავაშენოთ, თანხაა საჭირო. კომპენსაციასთან დაკავშირებით კი გამგეობაში განგვიცხადეს: ყვავილებზე კომპენსაციას არ გავცემთო. კარავში დედასთან და 2 წლის გოგონასთან ერთად ვცხოვრობ. არც მამა მყავს, არც მეუღლე; ძმა ციხეშია. დედის პენსია ავტომატურად, ბანკში ირიცხება — ომამდე გამოტანილი სესხის დასაფარავად. ვიღებ სოციალურ დახმარებას — ოჯახზე 78 ლარია. ქირაში კი ახლა სულ მცირე, 80 ლარი მაინც გვინდა. ბინა რომ ვიქირაო, ბავშვს რაღა ვაჭამო?!

**მარეხის დედა:**

— ომის დროს თუკი რამ გაგვაჩნდა, ყველაფერი გაგვინადგურდა. ბომბი ჩვენს ოთახში შემოვარდა. ტანსაცმელიც კი ნაკუწებად იყო ქცეული. შარვლის ერთი ნაწილი ოთახში, მეორე ნაწილი კი ქუჩაში რამდენიმე მეტრის დაშორებით ვიპოვეთ. საბედნიეროდ, დაბომბვის დროს სახლში არ ვიყავით. ხალათითა და ჩუსტებით, ბავშვით ხელში, ტყე-ტყე გავრბოდით. ფეხით მივაღწიეთ სოფელ ატენში. იქ კი შემხვედრ სატვირთო მანქანაში ჩავსხედით და ყვარელში აღმოვჩნდით. ახლა კიდევ ერთი გასაჭირი დაგვემატა: რამდენიმე დღეა, კანალიზაციის თხრა დაიწყეს, ნაგავს ზედ კარვებთან გვიყრიან, ალბათ უნდათ, რომ აქედან გავიქცეთ. ისეთი სიბინძურე და ანტისანიტარიაა, ბავშვები მოგვეწამლნენ. ჩვენს პატარას პირღებინება დაეწყო, მაღალი სიცხე მისცა. ეს ცოცხალი, ვერცხლისწყალივით ბავშვი, საწოლზე უღონოდ ეგდო. კვერნაკის ბავშვთა საავადმყოფოში მივიყვანეთ. 15 ლარი იყო ოფიციალური გადასახადი; იმწუთას ესეც არ აღმოგვაჩნდა. ბავშვი არც გასინჯეს: სანამ ფულს არ გადაიხდით, ხელს არ მოვკიდებთო, — გვითხრეს. არც „სიღარიბის ზღვარს მიღმა“ პირთათვის გათვალისწინებული სამედიცინო დაზღვევის მოწმობა მიიღეს; არც მთავარ ექიმთან თხოვნამ გაჭრა. ჩემი გოგო უკან ტირილით წამოვიდა. მერე ფული ვისესხეთ და ისევ მივიყვანეთ. სხვა რა გითხრათ, კარავში ცხოვრებაც სანატრელი გაგვიხდა. ხვალინდელ დღეს შიშით ველოდებით.

*კომენტარი გორის გამგებლის პირველ მოადგილეს,* **ზურაბ ჩხეიძეს** *ვთხოვეთ, რომელმაც გვითხრა:*

— მუნიციპალიტეტის კომპეტენციაში არ შედის საცხოვრებელი ფართობით დაკმაყოფილება. მით უმეტეს, რომ ამჟამად ქალაქში თავისუფალი ფართობი არ გვაქვს. ისინი, ვინც ჩვენგან ფართობს მოითხოვენ, დევნილები არ არიან და სახელმწიფო არ არის ვალდებული, ისინი დააკმაყოფილოს. კარავში მცხოვრებთ ერთი თვის ვადა მიეცათ (ხელწერილი დაწერეს), მერე კი, იმედი მაქვს, კარვებს დაცლიან.

P.S. *მასალა უკვე მომზადებული იყო, როცა შევიტყვე: კარავში მცხოვრებმა გელა ივანიძემ, ყოფილი პოლიციის სამმართველოს ეზოში უმოქმედო, ფაქტობრივად, გადაგდებული საკანალიზაციო ლიუკი ნახა; მან დასახმარებლად, ასევე კარავში მცხოვრებ, სამი მცირეწლოვანი ბავშვის მამას (ზემოთ ხსენებული ლია დოთიაშვილის მეუღლეს) უხმო; იფიქრეს, ჩავაბარებთ და ბავშვებისთვის პურის ფულს ვიშოვითო... ტაქსის მძღოლს 3 ლარი გადაუხადეს. ჯართში სულ 30 ლარი აიღეს. მეორე დღეს, პოლიციამ სამივე „დამნაშავე“ დააკავა. ტაქსის მძღოლი კარავში მცხოვრები, ასევე სამი მცირეწლოვანი ბავშვის მამა, ქურთაული აღმოჩნდა. სულ ცოტა ხნის წინ, დაბომბვისას სიდედრის დაღუპვის გამო, მის ოჯახს სახელმწიფომ ფულადი კომპენსაცია გადასცა. თანხა უაზროდ დაგვეხარჯებაო, — იფიქრეს და ძველი, იაფფასიანი მანქანა იყიდეს. ოჯახის მამამ იფიქრა — „ტაქსაობით“ ვარჩენ ოჯახსო...*

*ახლა ივანიძეს — 7 წლით, დოთიაშვილს — 4 წლით, ქურთაულს კი, მხოლოდ იმიტომ, რომ მას ტაქსით მომსახურებისთვის 3 ლარი გადაუხადეს — 3 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.* ■

# აკრძალული სიყვარულის ნაყოფი

## ანუ ნათესავზე დაქორწინებული ქალის ტვირთი და უშვილობით გამოწვეული ტანჯვა



**ყურსაც არ სიამოვნებს იმის გაგონება, რომ ნათესავებს შორის სისხლის აღრევა ხდება და რა გასაკვირია, რომ ადამიანები იმ ოჯახთან ურთიერთობას ერიდებიან, სადაც ასეთი რამ მოხდა? ჩემი რესპონდენტი, რომელიც მარიკად გაგვეცნო, ოდესღაც დეიდაშვილს „შეუცდენია“ და ამის წყალობით, როგორც თავად ამბობს, დღემდე ფრთამოტეხილივით დადის, რადგანაც შვილი არ უჩნდება და ბნელი მოგონებები ტანჯავს; მეორე რესპონდენტი, ზაალი თავისი მეზობლების შესახებ გვიყვება. ოჯახს, რომელსაც 5 ქალიშვილი ჰყოლია, სახელი გაუტყდა იმიტომ, რომ სამმა მათგანმა ნათესავთან დაამყარა ურთიერთობა და რა გასაკვირია, რომ ამ ოჯახში ჩასიძება აღარავის სურს?!. მესამე რესპონდენტი კი მოძალადე ნათესავის მსხვერპლია, რომელმაც გოგონა ცოლადაც შეირთო, მაგრამ შემდეგ, მათ ოჯახი დაენგრათ.**

*ლიკა ქაჯაია*

**მარიკა,** *27 წლის:*

— 14 წლის ვიყავი, როცა მე და ჩემს დეიდაშვილს ერთმანეთი შეგვიყვარდა, მერე ცდუნებას ვერ გავუძელით და ფიზიკური ურთიერთობაც დავამყარეთ. ვიცოდი, ცუდ რაღაცას ვაკეთებდი, მაგრამ საკუთარი თავი და გრძნობები ვერაფრით მოვთოკე. როცა გიჟური სურვილი დავიკმაყოფილეთ, მერე ყველაფერი ვინანე, მაგრამ ეს სინანული რაღას მიშველიდა?.. დიდის ამბით ვმალავდით ჩვენ შორის მომხდარს და მას შემდეგაც არაერთხელ ვიწექით ერთად, ბოლოს კი დედაჩემმა მამლის კუდი ალმოაჩინა — ცუდად ვიყავი, თავბრუ მეხვეოდა და გული მერეოდა ხოლმე. დედამ დაიჟინა: ექიმთან უნდა წაგიყვანო, არ მომწონხარო. მაშინ არ ვიცოდი, ფეხმძიმე ქალს როგორი სიმპტომები ჰქონდა, თორემ სად გავყვებოდი?! ექიმმა დედას უთხრა: გოგონა თავს კარგად გრძნობს, ჩემი პაციენტი არ არის, გინეკოლოგს გაასინჯეთო. დედას ფერი წაუვიდა და ექიმს ნათქვამის გამეორება სთხოვა. ბოლოს, მიმიყვანეს გინეკოლოგთან, რომელმაც დასვა დიაგნოზი: მარიკა 4 თვის ფეხმძიმეაო და დასძინა, — თუ სურვილი გექნებათ, შემიძლია, აბორტი გავუკეთოო. დედას არ ახსოვს, სახლამდე როგორ მივედით, მაგრამ შინ მისული მაგრად მცემა, სულ თხილის წკეპლა მირტყა. გაოგნებული მამა ცდილობდა, რაიმე გაეგო, მაგრამ ვერაფრით მიხვდა, დედაჩემი ასე ძალიან რამ გააცოფა. ის კარგა ხანს ხმას არ მცემდა, მამა კი დაბღვერილი დადიოდა და გვეუბნებოდა: მე ოჯახის წევრი არ ვარ? მითხარით, რა მოხდაო.

— **შენმა დეიდაშვილმა ეს ამბავი როდის შეიტყო?**

— მესამე დღეს ჩამოვიდა ჩემს სანახავად და მას ყველაფერი ვუამბე. თავში ხელები წაიშინა და ჩემი ნუგეშისცემა სცადა. ვუთხარი, — არ ვიცი, როგორ მოვიქცე. მეც ბავშვი ვარ და შვილს ვერ გავაჩენ, ამით მშობლებსაც ხომ სახელს გავუტეხ და საკუთარ თავსაც-მეთქი. დაუფიქრებლად დამთანხმდა, — მართალი ხარ, ასე გააკეთე და იცოდე, რაც უნდა მოხდეს, ჩემი სახელი არ ახსენოო. ამის გაკეთებას არც ვაპირებდი, მაგრამ მისმა ნათქვამმა გამაღიზიანა და ეს ბიჭი ჩემს თვალში რაღაცნაირად დაპატარავდა. იმ ღამით მივხვდი, სად და რა შეცდომაც დავუშვი, მაგრამ გვიანი იყო თითზე კბენანი.

— **დედაშენმა ბავშვის მამის ვინაობა არ იკითხა?**

— მხოლოდ ერთი კვირის მერე მკითხა: ვინაა ის ჩემი ცოდვით სავსეო? არავითარ შემთხვევაში არ გეტყვი, რომც მომკლა-მეთქი. — სიკვდილის ღირსი კი ხარ, მაგრამ ამას საკუთარი ხელით ვერ ვიზამ. რომ შემეძლოს, სიამოვნებით წაგაცლიდი თავს და ამ სირცხვილს აგაცილებდიო.

— **მისი ვინაობა მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ რატომ იკითხა?**

— თურმე, მითვალთვალებდა. იცოდა ჩემი ჯიუტი ხასიათის შესახებ და უფიქრია: ეს არაფერს მეტყვის, ჯობია, რამეში გამოვიჭიროო, მაგრამ არავის რომ არ ვხვდებოდი, ველარ მოითმინა და მკითხა.

— **შენს დეიდაშვილზე არც კი უეჭვია, არა?**

— არა, მისთვის მხოლოდ ის უთქვამს: შენ მარიკას მესაიდუმლე ხარ და მითხარი, ვინაა მისი შეყვარებულიო? რა თქმა უნდა, მისგან ვერაფერი შეიტყო და ამანაც გააგიჟა.

— **მუცელი მოიშალე?**

— რამდენიმე დღის შემდეგ დედამ გადაწყვიტა, რომ შვილიშვილი უნდა მოეკლა და სხვა რაიონში წამიყვანა მუცლის მოსაშლელად. აბორტი გამიკეთეს... იმ პერიოდში (ახლაც ასე ვარ) ძალიან ცუდად ვიყავი, საკუთარი თავი მეზიზღებოდა და მეგონა, მეც მალე მოვკვდებოდი, მაგრამ გადავრჩი. სამაგიეროდ, შვილი აღარ მიჩნდება და საკუთარი თავისთვის ვერ მიპატიებია, მაშინ დედას ცხვარივით რომ გავყევი უკან.

— **შენ მის ადგილას როგორ მოიქცეოდი?**

— არ ვიცი, ამ კითხვაზე ვერ გიპასუხებთ... მაშინ დედამ მითხრა: თუ იტყვი, ვინ გაგვაუბედურა, მის მშობლებთან მივალ და ვაიძულებ, ცოლად მოგიყვანოსო, მაგრამ ვინაიდან გავჯიუტდი, ფარ-ხმალი დაყარა და ეს მძიმე გადაწყვეტილება მიიღო.

— **მამაშენმა ეს ამბავი დღემდე არ იცის?**

— არა, არაფერი იცის, და ვერ გაუგია, ჩემსა და დედას შორის შავმა კატამ რატომ გაირბინა. ყოველთვის ეჩხუბება მეუღლეს: შვილს ასე რატომ ექცევიო?

— **შენმა დეიდაშვილმა აბორ-**

**ტის შესახებ რომ გაიგო...**

— მისთვის სულერთი იყო, პატარა გაჩნდებოდა თუ მოკვდებოდა. მან ვნება დაიკმაყოფილა და „დამიკიდა“. დარწმუნებული ვარ, რომ არ დავფეხმძიმებულიყავი, დღემდე ჩემთან იქნებოდა და ცხოვრებას საბოლოოდ დამინგრევდა, მაგრამ აბორტის შემდეგ, მიუხედავად ბევრი მცდელობისა, ახლოსაც არ გავიკარე. თუმცა, მასთან ურთიერთობის საბოლოოდ გაწყვეტაც ვერ გავბედე, რადგან ამ შემთხვევაში, დედაჩემი ყველაფერს მიხვდებდა და სიმართლეც გამჟღავნდებოდა, ეს კი ყველაზე ნაკლებად მინდოდა.

— **შენ თქვი, შვილები აღარ მიჩნდებაო. ახლა გათხოვილი ხარ?**

— ჰო, გამიმართლა და ისეთი ადამიანი გავიცანი, რომელმაც ჩემი გაგება შეძლო...

— **ანუ მას ყველაფერი უამბე, არა?**

— არა, რა თქმა უნდა! მან მხოლოდ ის იცის, რომ ვიღაც თავხედმა 14 წლის ასაკში შემაცდინა და დედა ამიტომაც აღარ მელაპარაკება ნორმალურად. მან ჩემი დეიდაშვილისა და მით უმეტეს, აბორტის შესახებ არაფერი იცის. ერთხელ ექიმმა ეჭვი გამოთქვა, რომ მე აბორტი არასწორად მქონდა გაკეთებული, მე კი ყველაფერი გავაკეთე იმისათვის, რომ ეს ჩემი ქმრის ყურამდე არ მისულიყო. მოვატყუე და ვიცი, ეს ძალიან ცუდია, მაგრამ რა მექნა, სხვა გზა არ მქონდა. სხვათა შორის, ჩემი დეიდაშვილი უსირცხვილოდ მოდის ხოლმე ჩვენს სახლში და კვლავ თვალებით მეფლირტავება. იმას ვერ ხვდება, რომ ნერვებს ძალიან მიშლის. ერთხელ ჩემმა ქმარმა აღნიშნა კიდეც: როცა სახლში მოდის, სულ „ნერვებზე ზიხარ“; რას ერჩი, მშვენიერი ბიჭია და რატომ ვერ იტანო?!.. მინდა, ყველა თინეიჯერს მივმართო: ძალიან გთხოვთ, ვიდრე რაიმეს გააკეთებთ, კარგად დაფიქრდით იმაზე, თუ რა მოჰყვება თქვენს ნაბიჯს. თავს ჩემსავით ნუ გაიუბედურებთ, თორემ მერე, რაც უნდა კარგი მეუღლე შეგხვდეთ და ფუფუნებაში გაცხოვროთ, საკუთარ თავს იმ ერთ შეცდომას ვერასდროს აპატიებთ და ივლით ჩემსავით ფრთამოტეხილი.

**ზაალი,** *18 წლის:*

— მყავს მეზობელი, რომლის ოჯახსაც ყველა პატივს სცემდა. მათ 5 გოგონა ჰყავდათ. თითოეული მათგანი ძალიან ლამაზი იყო და რა გასაკვირია, რომ უბნელებმა „ბირჟა“ მათი სახლის წინ გადაიტანეს?! გოგონები ბიჭებს ახლოს არ იკარებდნენ, ყოველთვის თავს იფასებდნენ: უბნელთან სიყვარულობანას როგორ ვიკადრებთო? სამაგიეროდ, სამმა მათგანმა ნათესავთან ურთიერთობა იკადრა და მას შემდეგ, იმ ოჯახს სახელი გაუტყდა. ბიჭები ახლაც მათი სახლის წინ აბირჟავებენ, მაგრამ სულ სხვა მიზნით.

— **კი, მაგრამ ეს ამბავი სააშკარაოზე ვინ გამოიტანა?**

— ხომ იცი, ამქვეყნად არაფერი იმალება. ის გოგონები სახლიდან არ გამოდიოდნენ, თავიანთ ნაჭუჭში ჩაკეტილებმა ისიც კი არ იცოდნენ, სად და როგორ უნდა მოქცეულიყვნენ. ხელი ისეთ ბიჭებს ჰკრეს, რომელთაც მართლა ძალიან უყვარდათ (ერთ-ერთი მათგანი ჩემი უფროსი ძმა იყო), რომლებთანაც მთელი ცხოვრება ბედნიერები იქნებოდნენ. ალბათ, დახამებულები იყვნენ სასიყვარულო გრძნობებს და როცა მათ ნათესავებმა რაღაც შესთავაზეს, ცდუნებას ვერ სძლიეს.

— **მაგრამ რაღა ნათესავებთან გადაწყვიტეს ურთიერთობა? მათ სიყვარულს სხვებიც ხომ სთავაზობდნენ?**

— ჰო, მაგრამ ალბათ, მოპარული და აკრძალული ხილი ერჩივნათ ლანგრით მირთმეულს. მათ ბიძაშვილები ჰყავდათ, რომლებიც ძალიან იბღინძებოდნენ და რატომღაც, ახლოს ისინიც არ გვიკარებდნენ. გოგონები ეზოს გარეთ მხოლოდ ნათესავებთან ერთად თუ გამოდიოდნენ და იმ ბიჭებთან უბნელებს კამათიც ხშირად მოსდიოდათ. ერთხელ, ვიღაცამ „ბირჟაზე“ მოიტანა ამბავი: ნათია და ვანიკო (მისი ბიძაშვილი) ტყეში ერთმანეთს „ეზასავებიან“, ჩემი თვალით ვნახეო. ნათიაზე შეყვარებულმა ბიჭმა ენის მომტანი ლამის წიხლქვეშ გაიგდო, ასეთი ხუმრობა ვის გაუგონიაო?! ის ტიპი კი ამტკიცებდა, — მართლა ვნახე, ასეთ ტყუილს როგორ მოვიგონებდიო? მან ბიჭები ტყეში წაიყვანა, მაგრამ იმ დღეს საეჭვო ვერაფერი ნახეს. რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ იმ ტიპმა თქვა: იქნებ, ჩემი ახლა მაინც დაიჯეროთ; დააკვირდით ნათიას, მუცელი როგორ გაებერა და თუ ამასაც გასუქებას მიაწერთ, მაშინ ამ საღამოს, დანგრეულ მაღაზიაში წამომყევითო. ბიჭები კიდევ შეეცადნენ, მისთვის ენა დაემოკლებინათ, მაგრამ ეზოში გამოსული ნათიას დანახვისას, ენა თავადვე გადაყლაპეს: გოგონას ჰაეროვანი ქსოვილისგან შეკერილი სარაფანი ეცვა და მუცელიც მართლა, ფეხმძიმე ქალივით ჰქონდა გამობერილი... იმ საღამოს წყვილს უკან გაჰყვნენ. ისინი კი მართლაც, დანგრეული მაღაზიის შენობაში შევიდნენ და ერთმანეთს გიჟებივით ეცნენ. ბიჭებმა ამ სცენის ყურება ვეღარ შეძლეს და სასწრაფოდ უკან გამობრუნდნენ. მეორე დღეს უნამუსო ვანიკო ყურებით დაიჭირეს და იმდენი ურტყეს, რომ კარგა ხანს გარეთ ვეღარ გამოდიოდა. მან პოლიციაში ჩივილიც ვერ გაბედა, ვინაიდან ბიჭებმა იმის მიზეზიც უთხრეს, რის გამოც ასე მაგრად მოხვდა.



— **ნათიამ ბავშვი გააჩინა?**

— ერთ დღეს მათ სახლში წივილ-კივილი ატყდა. მეზობლები შეიკრიბნენ, მაგრამ მათ ბოდიში მოუხადეს შეწუხებისთვის და უთხრეს: ჩვენს ოჯახურ კამათში ნუ ჩაერევითო. თუმცა, ამ ყველაფერს კამათი ნამდვილად არ ერქვა. მერე იმ სახლიდან ხმა აღარ გამოსულა, მაგრამ მას შემდეგ გოგონა აართქლეს. ვიცი, რომ ნათიამ შვილი გააჩინა და როგორც ამბობენ, ბავშვს რაღაც ნაკლი აქვს.

— **მის ბიძაშვილს რა ბედი ეწია?**

— არაფერი, სოფელში დაეთრევა, მაგრამ ნათიას მშობლიურ სახლში მისვლა აკრძალული აქვს და

კეთროვანივით, მას ყველა თავიდან იშორებს.

— **როგორც თავიდან აღნიშნე, ნათიას გარდა, მის ორ დასაც ჰქონია ნათესავთან კავშირი...**

— ჰო, ბელუკა 17 წლის იყო, როცა დეიდაშვილთან ერთად მონ-ებივრე გამოიჭირეს. ეტყობა, მშობ-ლებმა ამ სცენის დანახვისას გონება დაკარგეს და გოგონა სახალხოდ გაამათრახეს, ხოლო ნატუკა 16 წლის ასაკში „შეაცდინა“ დედამისის 15 წლის ბიძაშვილის შვილმა (მას შემ-დეგ, რაც ეს ამბავი სოფელში გავრ-ცელდა, აღარც ნატუკა გვინახავს და აღარც — ბელუკა). ამ გოგონებმა ოჯახის სახელი შეარცხვინეს და სულაც არ გამიკვირდება, რომ გავ-იგო, მათი დებიც ამავე გზას და-ადგნენ. ხომ გითხარით, ისინი სულ სახლში იყვნენ-მეთქი, ახლა კი გოგონებს ძალიანაც რომ უნდოდეთ, დებისგან „ბოძებული“ სახელის წყ-ალობით, გარეთ ვერც გამოვლენ, რადგან ყველანი მათთან მხოლოდ გართობაზე ვფიქრობთ.

— **მგონი, თქვენი მხრიდან ეს კარგი საქციელი არ უნდა იყოს.**

— აბა, როცა გოგო მოგწონს, მასთან ერთად ან ოჯახის შექმნაზე უნდა იფიქრო, ან მხოლოდ სურვი-ლის დაკმაყოფილებაზე. ასეთი ოჯახ-ის შვილს კი აბა, ცოლად ვინ მოიყ-ვანს, ორი თავი ვის აქვს?..

**უცნობი,** *30 წლის:*

— მე მსხვერპლი ვარ, ნათესავის მსხვერპლი. მე და ლაშა ერთად ვიზრდებოდით. ის ბებიაჩემის ძმისშვილის შვილია. გარკვეუ-ლი პერიოდი ჩვენს სახლში ცხ-ოვრობდა და ვემაკაცობდით, მაგრამ მერე, მისი ოჯახი საზღ-ვარგარეთ წავიდა საცხოვრე-ბლად და ცხადია, შვილიც თან წაიყვანეს. ცოტა ხანს ერთ-მანეთთან მიმოწერა გვქონდა, მაგრამ მერე, სიშორემ ჩვენი ურთიერთობა გააცივა და წლების შემდეგ ლამის მისი არსებობაც კი გადამავიწყდა... ერთ დღეს კი ის და მისი და სახლში გამოგვეცხადნენ. ეს ჩვენთვის ზეიმი იყო. ძალზე ბედნიერები ვიყავით, საზღვარგ-არეთიდან ნათესავები რომ გვესტუმრნენ. ლაშა ჩემს დან-ახვაზე აღფრთოვანდა: შენ რა მაგარი გოგო დამდგარხარ; ყოველთვის ვიცოდი, ლამაზი ქალი იქნებოდი, მაგრამ ასე-თი მშვენიერების დანახვას ნამ-დვილად არ ველოდიო. გამე-ცინა, ასეთი კომპლიმენტი ჩემთვის მანამდე არავის უთქ-ვამს და ეს ნათესაურ აფერის-ტობაში ჩავუთვალე. ისინი 1 თვე უნდა დარჩენილიყვნენ ჩვენთან. ვერც კი გავიგეთ, დრო ისე გაგვე-პარა და როცა მათი წასვლის დრო დადგა, ლაშა შეგვპირდა: თქვენს სანახავად მალე ჩამოვალო. ის მარ-თლაც, რამდენიმე თვეში ისევ ჩამო-ბრძანდა და ერთად ლამის მთელი საქართველო მოვიარეთ. იმ დღეს ქუთაისში გავყევი, იქაური ღირსშ-ესანიშნაობები დავათვალიერეთ და ამასობაში, დრო ისე გაიპარა, ვერც მივხვდით, ჩვენი შინ დაბრუნების დრო რომ იყო. როცა აზრზე მოვედით, ჩვენი რაიონისკენ ტრანს-პორტი აღარ მოძრაობდა... იმ დღეს ქუთაისში დავრჩით და ბინა იაფად ვიქირავეთ. ჩემებმა არც კი იცოდ-ნენ, სად ვიყავით და ამიტომაც, ძალიან ვნერვიულობდი. ლაშა მამშ-ვიდებდა, — ჩემთან ერთად რომ ხარ, ეს ხომ იციან და რისი შეეში-ნდებათო? გვიან საღამოს ვიგრძენი, ვიღაც ლოგინში შემომიწვა და მა-გრად ჩამეხუტა. თითქოს, ტანზე ცეცხ-ლი წამეკიდა და სასწრაფოდ წამ-ოვხტი, შუქი ავანთე. ჩემ წინ ლაშა იდგა, რომელიც რაღაც სისულელეებს მეუბნებოდა და ბოლოს, როცა ვე-რაფერს გახდა, ჩემზე ძალა იხმარა... არ ვიცოდი, სახლში როგორ უნდა დავბრუნებულიყავი, ჩემებისთვის თვალში როგორ უნდა შემეხედა?! ლაშა კი მამშვიდებდა: ჩვენ ცხოვრე-ბის ბოლომდე ერთად ვიქნებით, მშობლები ვერაფერს დაგაკლებენო... დიდხანს ვერ გავჩუმდებოდი, ერთი კვირის შემდეგ დედას ყველაფერში გამოვუტყდი, მან კი მამას და ჩემს ძმას უთხრა ეს მწარე სიმართლე. მოკლედ, ატყდა ერთი ამბავი. დედა ცდილობდა, ყველაფერი უხმაუროდ მოეგვარებინა, მეზობლებს რომ არა-ფერი შეეტყოთ, მაგრამ ამქვეყნად ვის რა დაუმალავს, ჩვენ რომ დაგვე-მალა?.. მოკლედ, ლაშამ თქვა: მე ცოლად მოვიყვან! იცოდეთ, უკან არ დავიხევ, ეს ჩემი ოცნების ქალიაო. მამამ თავიდან მომიცილა და, — ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროსო. ძმამ გვითხრა: თავს ლაფი დამასხ-ით და ახლა რაც გინდათ, ის ქენი-თო. მხოლოდ დედა იყო ჩუმად და ტიროდა.

— **ბოლოს, რა გადაწყვიტეთ?**

— ლაშას მშობლები საქართ-ველოში ჩამოვიდნენ, საბუთები გამიკეთეს და მეც საზღვარგარეთ წამიყვანეს. მოკლედ, დავქორწინდ-ით. მასთან ერთად ბედნიერი ვერ ვიქნებოდი, რადგან ყოველთვის ძმასავით მიყვარდა, მაგრამ ერთი პერიოდი ვცდილობდი, ამ სიტუა-ციას შევჩვეოდი და მისი სხვანაირ-ად შეყვარებაც მომეხერხებინა, მა-გრამ ეს ვერ შევძელი. ამას ლაშაც ხვდებოდა და ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ თავი კარგად მეგრძნო, თუმცა, ვერაფერს გახდა. ჩვენ შვილი გაგვიჩნდა — ალიკა სრულყოფილი ადამიანი არ გახ-ლავთ და ამას ძალიან განვიცდი. მას გონება არ განუვითარდა და გარეგნული ნაკლიც აქვს. ეს ქმარს ვერაფრით ვაპატიე და მიუხედავად მისი ბევრი ხვეწნა-მუდარისა, გავშორდი. ახლა თბილისში, ნა-ქირავებ ბინაში ვცხოვრობ, შვილთან ერთად. მატერიალუ-რად ლაშა გვეხმარება, რომელ-იც უკან დაბრუნებას ისევ მთხ-ოვს, მაგრამ ამას ვერ შევძლებ!..

— **მშობლები არ გეკითხ-ავენ ხოლმე?**

— ერთი-ორჯერ დედამ მო-მიკითხა, მაგრამ სულ აქ ხომ ვერ დამიჯდება? ძმამ და მამამ კი ჩემზე გული აიცრუეს და იშვიათად თუ მომიკითხავენ, ის-იც — ტელეფონით. ლაშასა და მისი მშობლების წყალობით, ჩემს შვილს არაფერი აკლია, მაგრამ ის მაინც, ნათესაური კავშირის მსხვერპლია და მისთ-ვის მნიშვნელობა არა აქვს, ფუ-ფუნებაში იცხოვრებს თუ უკი-დურეს სიღარიბეში, რადგანაც ვერაფერს გრძნობს. ალიკა ჩემი ტვირთიცაა, რომელიც ცხოვრე-ბის ბოლომდე უნდა ვზიდო, ჩემი სიკვდილის შემდეგ კი ალბათ, ჩემს შვილს უფალი გადმოხედავს და მარტოს არ მიატოვებს. ■



# როცა საფრანგეთის პოპულარულ სიმფონიურ კვარტეტს „თბილისი“ ჰქვია...

## ქართველი მუსიკოსი გია მელიქიშვილი ფრანგ მოღვაწეთა პანთეონში განისვენებს

*ელენე სალარიძე*

გასული საუკუნის 70-80-იანი წლების ქართველ მუსიკალურ საზოგადოებას კარგად ახსოვს სახელმწიფო კამერული ორკესტრის კონცერტები, გამორჩეულად კი ალბათ ვივალდის ორი ვიოლინოსათვის. სოლისტებს — ლიანა ისაკაძეს და ორკესტრის კონცერტმაისტერ გია მელიქიშვილს დიდხანს უკრავდა ტაშს მათი საშემსრულებლო ოსტატობით განებივრებული მსმენელი.

შემდგომ უკვე სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტის წევრი გია მელიქიშვილი არაერთგზის ყოფილა მონაწილე იმ თავბრუდამხვევი წარმატებისა, რომლითაც ეს კვარტეტი მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მუსიკალურ სამყაროს აოცებდა.

1992 წელს კი, როცა ქვეყანაში მუსიკისთვის არავის ეცალა, შეიქმნა რადიოსა და ტელევიზიის სიმებიანი კვარტეტი: გია მელიქიშვილი ( ვიოლინო), ია ხინთიბიძე (ვიოლინო), ტატო ხარაძე (ალტი) და რეზო მაჩაბელი (ჩელო). ამ კვარტეტს უამრავი ქვეყანა იწვევდა თავისთან სამუშაოდ და... ერთი წლის შემდეგ ქართველი მუსიკოსები საფრანგეთში გაემგზავრნენ. საფრანგეთში მათ თავიანთ კვარტეტს „თბილისი“ დაარქვეს. სულ მალე საფრანგეთის „თბილისი“ იმდენად პოპულარული გახდა, რომ მის გარეშე თითქმის არც ერთ მნიშვნელოვან მუსიკალურ ფესტივალსა თუ დღესასწაულს არ ჩაუვლია არა მხოლოდ საფრანგეთის, არამედ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ქალაქებში.

გია მელიქიშვილი პარიზის მახლობლად მდებარე მუსიკალურ ქალაქ ბლუაში დასახლდა ოჯახთან ერთად. მალე თეიმურაზ მათურელთან (ფორტეპიანო) და რეზო მაჩაბელთან (ჩელო) ერთად შექმნა საფორტეპიანო ტრიო, რომელიც ასევე პოპულარული გახდა საფრანგეთში. სამწუხაროდ, ეს ტრიო მალე დაიშალა მისი ერთ-ერთი წევრის, თეიმურაზ მათურელის მოულოდნელი გარდაცვალების გამო.

სხვადასხვა დროს ქართველ მუსიკოს-შემსრულებელს იწვევდნენ საფრანგეთის კამერულ თუ სიმფონიურ ორკესტრებსა და ანსამბლებში.

**სოსო ჭანტურიშვილი**, *პროფესორი, ეთნოლოგი:* „ჩვენ ერთად ვსწავლობდით ნიჭიერთა მუსიკალურ ათწლედში. მახსენდება სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მიერ შესრულებული ალექსი მაჭავარიანის ძალზე რთული სავიოლინო კონცერტი, რომელსაც ორი სოლისტი ჰყავდა — ახალბედა მევიოლინე გია მელიქიშვილი და მაშინდელი მუსიკალური სამყაროს კორიფე, პიანისტი ალექსანდრ იოხელესი, რომელმაც დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა ახალგაზრდა მევიოლინეს. ამ კონცერტმა საბოლოოდ განსაზღვრა გიას მომავალი — კონსერვატორიის სტუდენტი გახდა. მე ეთნოლოგობა ვარჩიე მუსიკოსობას, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია ჩვენი მეგობრობისთვის. მანამდე ხომ სულ ერთად ვიყავით, მაგრამ რაც გია ბლუაში გადასახლდა, თითქმის 16 წელიწადი, კვირა არ ყოფილა, ერთმანეთს არ შევხმიანებოდით. ჩვენ „მეგობრული კვარტეტი“ გვქონდა ლამის მთელი ცხოვრება. ამ კვარტეტის „წევრები“ ვიყავით — მე, გია, დირიჟორი და კომპოზიტორი შავლეგ შილაკაძე და მხატვარი და პიანისტი გრიგოლ აბაკელია.

და როცა 1999 წელს გიამ მონატრებულ თბილისში კონცერტი გამართა, მას გვერდით ჩვენი შვილები დაუდგნენ. კამერული ორკესტრის „თბილისის კონცერტინოს“ თანხლებით შესრულდა ბახისა და ვივალდის კონცერტები ორი ვიოლინოსთვის, რომელსაც ჩემს მეგობარ, „გაფრანგებულ“ ვირტუოზ მევიოლინეს პარტნიორობას უწევდა მისივე მოსწავლე და ჩემი შვილი, მევიოლინე პაატა ჭანტურიშვილი, დირიჟორის პულტთან კი იდგა ასევე ჩვენი მეგობრის, შავლეგის ვაჟი გოგა შილაკაძე.

მიჭირს იმის წარმოდგენა, რომ გია აღარ დამირეკავს საფრანგეთიდან, აღარ მეტყვის, შენ ნუ დარეკავ, მე შენზე ოდნავ მეტი ფული მაქვსო... 25 აგვისტოს, ქაშუეთში, ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი ბიძინა (გუნია) გია მელიქიშვილის სულის მოსახსენიებელ პანაშვიდს აღავლენს. 25 აგვისტოს 40 დღე გასრულდება, რაც გია ჩვენ გვერდით აღარ არის...

როცა იცოდა, რომ მძიმედ იყო ავად, ცდილობდა, ჩვენთვისაც „გაემარტივებინა“ მის ამ ქვეყნიდან წასვლაზე ფიქრი...“


გია მელიქიშვილი

**შავლეგ შილაკაძე,** *კომპოზიტორი:* „საფრანგეთის მუსიკალურმა საზოგადოებამ და ქალაქ ბლუას მუნიციპალიტეტმა პატივი მიაგეს მათ ქვეყანაში მოღვაწე ქართველ მუსიკოსს — საფრანგეთის გამორჩეულ მოღვაწეთა პანთეონში მიუჩინეს ადგილი...

გიას საქართველოში არაერთი მოსწავლე ჰყავდა. ერთხანს გორის სამუსიკო სასწავლებელშიც კი ასწავლიდა, შემდგომ თბილისში, ნიჭიერთა ათწლედში, კონსერვატორიაში. საკუთარ შვილებსაც გაუკვალა გზა დიდი მუსიკისკენ — ნინო და ოთარ მელიქიშვილები ფრანგულ მუსიკალურ სამყაროში საკმაოდ ცნობილ მევიოლინეებად მიიჩნევიან. ოთარი ვიოლინოს გამოთლა-დამზადების ხელოვნებასაც დაეუფლა...

და კიდევ, მინდა ჟურნალ „გზის“ საშუალებით ქართველ მუსიკოსთა სახელით თანაგრძნობა და სამძიმარი გადავცე ჩვენს უხლოეს მეგობარს, ჩვენი გიას ერთგულ მეუღლეს, ქალბატონ ნათელა გუნიას, უნიჭიერეს მუსიკოსს, რომელმაც თავისი კარიერა ოჯახს ანაცვალა...“ ■


გია მელიქიშვილი დირიჟორ გოგა შილაკაძესა და მევიოლინე პაატა ჭანტურიშვილთან ერთად

# „განდაგანაში“ ქართველი კაცის ისტორიული ღირსება ცეკვავს

***ამბობს, რომ „განდაგანას“ აკვანში დაიბადა... ალბათ, ასეცაა. ქართული ცეკვის შესახებ უემოციოდ ვერ ლაპარაკობს, ხოლო „განდაგანა“ და „ხორუმი“ მისი ცხოვრების თანამგზავრია. ის აჭარის დამსახურებული არტისტი გახლავთ. ეს წოდება საბჭოელებმა მიანიჭეს. მის დადგმულ „აჭარულს“, თურმე, არაერთხელ გაუოცებია დიდი ილიკო და თენგიზ სუხიშვილები, ვახუშტი კოტეტიშვილი, ენვერ ხაბაძე... მრავალი საპატიო ჯილდო და სიგელი ამშვენებს მისი ცხოვრების გზას, მაგრამ მაინც, იმ პატარა გოგო-ბიჭებთან მუშაობა ენატრება, რომელთაც გენში უდევთ ქართული ცეკვის ნიჭი და ამა თუ იმ ცეკვის შესრულებისას, თვალებიდან ქართული სული გამოუნათდებათ... ენატრება, რადგანაც მრავალი თაობის აღმზრდელი ქორეოგრაფი, ბათუმელი სიმონ ფუტკარაძე ჩვენმა დროებამ უმუშევართა რიგებში ჩააყენა...***

ჯაბა ანანიძე



— შუახევში, სოფელ კვიახიძეებში დავიბადე და გავიზარდე. არ მახსოვს, პირველად როდის ვიხილე „განდაგანა“... ასე მგონია, აკვნიდან გადმომყვა, ცხოვრებაში მტკიცედ რომ მევლო. ამაზე დიდი ბედნიერება არაფერია. სოფელში დღედაღამ შრომობდნენ, მაგრამ მაინც, ყველას უჭირდა. მიუხედავად ამისა, გაჭირვებას და სევდას ვინც მიეცემოდა, მას ნორმალურ კაცად აღარ მიიჩნევდნენ. სევდაა ქართველი ერის მთელი ისტორია, მაგრამ ღმერთი ყოველთვის გვიტოვებდა გზას, ბილიკს მაინც, სამშვიდობოს რომ გავსულიყავით... ამიტომაც მღეროდნენ ომახიანად თოხს ჩახუტებული გლეხები. საღამოს იკრიბებოდნენ და დალლას ცეკვით ეთამაშებოდნენ. ასე იქმნებოდა: „თოფალიონი“, „დისყირმე“, „თარნანინო“... მოგვიანებით, ამ ცეკვებით შეიკრა „განდაგანა“, რომელშიც ქართულმა სიხარულმა ტკივილებთან ერთად მოი-

## „დედაჩემი თურქეთში გაყიდეს, იქიდან მოწერილმა „საშიშმა წერილმა“ უშიშროების აგენტი აატირა...“

ყარა თავი, გაშალა ხელები, წრედ შემოევლო სიყვარულს და „დერდები“ დაასამარა... აჭარელი კაცის ხასიათი საუკეთესოდ ჩანს „განდაგანაში“. მასში სისწრაფეცაა, მუხანათური ცხოვრების წინააღმდეგ გალაშქრებაც და ქალის უზადოდ ტრფიალიც... წინათ, ქალთა „განდაგანა“ ცალკე არსებობდა, კაცთა — ცალკე. ახლა არა მხოლოდ „განდაგანაში“ შეიცვალა ბევრი რამ. ზოგიერთი ცვლილება ჩემთვის ძალიან მიუღებელია. არ შეიძლება, ქართულ ცეკვაში ქალი ქალს არ ჰგავდეს და სცენაზე გიჟურად დაფრინავდეს. ძველებურ „განდაგანაში“ ქალი-შემსრულებელი ხელებს მხოლოდ წელის ირგვლივ ატრიალებდა, ხელს მაღლა არ ასწევდა, იღლია რომ არ გამოეჩინა და არც ჩამუხლული მამაკაცისთვის შეეძლო ქალს წრის დარტყმა. როცა აჭარის მთაში ასეთი „განდაგანა“ ნახეს, ძალიან არ მოეწონათ.

ქორეოგრაფად მშობლიურ შუახევშიც ვმუშაობდი. ერთხელ, ჩვენს რეპეტიციას მოცეკვავის მშობელი დაესწრო და მითხრა, — ამას როგორ კადრულობ, ბიჭი და გოგო ერთად რაფერ იცეკვებენო?!. ძლივს დავიყოლიე ჩემთან დაეტოვებინა შვილი. პირობა დამადებინა: მხოლოდ კონცერტის დროს უნდა ეცეკვა გოგოს ბიჭთან ერთად.



არ მახსოვს, პირველად როდის ვიხილე „განდაგანა“...

ჩემი აზრით, გადამეტებული არაფერი ვარგა, არც წარსულზე მიჯაჭვულობაა ალბათ კარგი, მაგრამ ჩვენი ცეკვები წინაპრებმა იმდენი ლამაზი ილეთით ააშენეს, რომ მათ ევრომიშენ-მოშენება სულაც არ სჭირდებათ, მგონი...

## „უშიშროების შიშით, დედა თურქეთში დატოვებულ შვილებს ვერც კი ახსენებდა...“

— 6 წლის ყოფილა დედაჩემი, როცა ადგილობრივმა ბეგებმა მოიტაცეს და თურქეთში, ართვინში მცხოვრებ ქართველს გროშებად მიჰყიდეს. მაშინ ასეთი ამბავი, მოგეხსენებათ, ხშირად ხდებოდა. დედაჩემი იხსენებდა: გაუთავებლად ვტიროდი, ბატონი კი მარწმუნებდა, — მხოლოდ იმისთვის გიყიდე, რომ ჩემი ბიჭისთვის ქართველი ცოლი მინდაო. მართლაც, ასე მომხდარა: დედაჩემი გათურქებული ქართველი ბატონის რძალი გამხდარა და ორი შვილი — გოგო-ბიჭი გაუჩენია. აქეთ, ბაბუაჩემს ვერ მოუნელებია შვილის დაკარგვა. ბევრი უწვალია, მაგრამ ბოლოს, მისი ადგილსამყოფელი გაუგია და ართვინში საიდუმლო წერილიც გაუგზავნია, — შვილი გამომიგზავნეთ, მოვისიყვარულებ და რამდენიმე დღეში უკან დაგიბრუნებთო... დედა საიდუმლოდ გადმოუპარებიათ საზღვარზე. როცა ბაბუაჩემს უნახავს, ცრემლად დაღვრილა ორივე. კომუნისტებს ზუსტად ამ დროს გაუმკაცრებიათ საზღვრების კონტროლი

და დედა საქართველოში დარჩენილა. რამდენიმე წლის შემდეგ დედაჩემი ბაბუას მამაჩემისთვის მიუთხოვებია. ჩვენ 7 და-ძმა ვართ, ყველაზე უმცროსი მე ვარ.

წლების განმავლობაში ენატრებოდა შვილები დედაჩემს, მაგრამ აქაური უშიშროების შიშით, მათ როგორ ახსენებდა?!. მახსოვს, შიშით გახედავდა დედა თურქეთის ქართულ მთებს და ცრემლი მოადგებოდა თვალზე...

1977 წელს, ჩემმა ნახევარძმამ დედას საიდუმლოდ წერილი გამოუგზავნა. წერილი საზღვარზე უშიშროების აგენტს ჩავარდნია ხელში. როგორც ამ ამბის თვითმხილველები ჰყვებიან, აგენტი ჯერ სიბრაზისგან აკანკალებულა, წერილი გაუხსნია და როცა დიდი მონატრების სიტყვები წაუკითხავს, თანაც — ქართულად ნაწერი, წერილი ხელიდან გავარდნია და ატირებულა...

ჩვენ თურქი და-ძმის გაცნობა მხოლოდ 1989 წელს მოვახერხეთ. ისე თბილად შევხვდით ერთმანეთს, თითქოს, ბავშვობიდან ერთად ვიზრდებოდით... ისინი ქართულად კარგად ლაპარაკობენ, შვილებსაც ქართული ასწავლეს. ეს კი არა, ამას წინათ, თურქეთში მათთან სტუმრობისას, ძმისშვილებმა ქართული აქეთ დამიწუნეს, — ეს ბჟოლის ხე კი არა, თუთისააო... ბევრ ძველსა და ჩვენ მიერ დავიწყებულ ქართულ სიტყვას სწორედ იქ უფრთხილდებიან და მათ, როგორც ოქროს, სათუთად ინახავენ...

ახლა ჩემები, სხვა მრავალ ქართველთან ერთად, ისევ გაღმა არიან, თურქეთში, ჩვენ — გამოღმა, საქართველოში, მაგრამ სიყვარულს ხომ გაღმა-გამოღმა ნაპირები არ გააჩნია?!

## „მინდა, ყველას უნდოდეს, „ცეცხლისფერი აჭარულით" დაიღალოს..."

— დააკვირდით, როგორ დადის ახალგაზრდა, როცა ის ქართულ ცეკვასაა შეთამაშებული... ქართული ცეკვა ქართული სულის საზრდოა, ისტორიაა, აწმყოა, მომავალია... მინდა, ყველას უნდოდეს, „ცეცხლისფერი აჭარულით" დაიღალოს! არაერთი საცეკვაო გუნდის მთავარი ქორეოგრაფი ვყოფილვარ: ზოგი გუნდი დაიშალა, ზოგიც — ძალით დაშალეს. ბოლო წლებში პატარა ბავშვები ისე ავაცეკვე, რომ მათ თბილისის რუსთაველის თეატრის დიდი სცენაც კი დაუთმეს... შემდეგ, ჯანმრთელობის მდგომარეობა გამიუარესდა და ვიმკურნალე. ახლა კარგად ვარ, მაგრამ არ ვიცი, ასე, ქუჩა-ქუჩა ხეტიალით ვიპოვი თუ არა სამუშაოს და ისევ ავაცეკვებ თუ არა მომავალ თაობას...

სამსახურს არავინ მთავაზობს, მაგრამ იქნებ, მოვახერხო და ბავშვები მაინც შევკრიბო. ძალიან მიყვარს ახალგაზრდა თაობა. ისინი ისეთი კარგები არიან, რომ ძალად შეგაყვარებენ თავს... ■





# ემიგრაციაში დასრულებული სიცოცხლე

***ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და მისი მოღვაწეობის შესახებ ბევრი რამ არის ცნობილი, მაგრამ ქართველი საზოგადოება ნაკლებად იცნობს იმ ადამიანებს, ვინც მის მხარდამხარ საბჭოთა რუსეთისა და ბოლშევიკური მთავრობის წინააღმდეგ იბრძოდა. არქივში დაცული საქმე №864, შეფიცულთაგან ერთ-ერთის, მიხეილ ლაშქარაშვილის „დანაშაულებრივ" ქმედებებსა და მის ტრაგიკულ ცხოვრებაზე მოგვითხრობს.***

## „შემიწირია რუსეთისთვის რაცხა მილიონ-ნახევარი ქართველიო..."

ემა ტუხიაშვილი

ლაშქარაშვილი 1884 წელს, კასპის რაიონის სოფელ ხანდაკში, გლეხის ოჯახში დაიბადა. 1902-1903 წლებში თბილისში, იარალოვის მექანიკურ ქარხანაში მუშად მუშაობდა, შემდეგ რკინიგზის მთავარი სახელოსნოს სადურგლო საამქროში დასაქმდა. ამავე პერიოდში პირველი ქართული მარქსისტული დაჯგუფების ჩამოყალიბებაში მიუღია მონაწილეობა. მისი ბიოგრაფიული ცნობებიდან ირკვევა, რომ მარქსისტების იდეოლოგია ლაშქარაშვილისთვის მალევე გახდა მიუღებელი. გადაწყვიტა, თავისი შეხედულებები ქაღალდზე გადაეტანა და მის მოგონებებში ასეთი ჩანაწერი გაჩნდა: „ამნაირად, ყველა ის პირი, ვინც კი მარქსისტებისთვის თვალში მოსაწონი არ იყო, ხდებოდა ტერორისტების მსხვერპლი. მათ მიერ ჩადენილი მუხანათური საქმეების მოწმე მე თვითონ ვიყავი ქარხანაში მუშაობის დროს. მთელი მარქსისტული მოძრაობა ამაზედ იყო დაფუძნებული და მამულიშვილების უმანკო, უდანაშაულო სისხლის დაღვრით მოიკაფავდნენ გზას ხელისუფლებისკენ. განა შემიძლია, ყველა იმ საშინელების აღწერა ქაღალდზე, რასაც მაშინ ისინი სჩადიოდნენ. ეს ძალიან შორს წაგვიყვანს, მაგრამ რაც ვთქვი, იმიტომ, რომ ფარდა აეხადოს მათ საქმიანობას და ნათელ ვყოთ ყველაფერი. ამით უტყუარი სურათი გადავცეთ ქართველი ერის მომავალ თაობებს და ისტორიას, როგორც მასალა, რომ ყველამ იცოდეს ზემოთ აღნიშნული შეცდომები — სასტიკი მუხანათობა ქართველი ერის წინაშე ჩადენილი, გადაგვარებული, გარუსებული მარქსისტების მიერ". მოგვიანებით, ლაშქარაშვილი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი გახდა, 1919 წელს კი დემოკრატიული მთავრობის მიერ საველე სასამართლოს თავმჯდომარედ დაინიშნა. საქართველოს ოკუპაციის და ხელისუფლებაში ბოლშევიკების მოსვლის შემდეგ, ლაშქარაშვილი ოჯახთან ერთად, მშობლიურ სოფელსა და მამისეულ სახლ-კარს დაუბრუნდა და ცხოვრების მშვიდად გაგრძელება სცადა. სოფლის მეურნეობას მისდევდა და ამით არჩენდა ოჯახს მანამ, სანამ ბოლშევიკებს ლაშქარაშვილის მენშევიკური წარსული არ გაახსენდათ.

1921 წლის 29 აპრილს, გორის მაზრის პოლიტბიუროში შევიდა ამავე პოლიტბიუროს თანამშრომლების — არაქელოვის, არუცევისა და ხემიზურის განცხადება იმის შესახებ, რომ სოფელ ხანდაკ-

ში ცხოვრობს მენშევიკური მთავრობის ჯალათი, კომუნისტების — შახნაზაროვის, ზარაპოვის და მეცხვარიშვილის მკვლელი, მიხეილ ლაშქარაშვილი. მილიციის რამდენიმე თანამშრომელი მის შესაპყრობად გაემართა. ეს შემთხვევა დეტალურად არის აღწერილი ლაშქარაშვილის მეუღლის, ელენე ჩივაძე-ლაშქარაშვილის დაკითხვის ოქმში, რომელიც ასევე საარქივო საქმეშია დაცული.

„29 აპრილს დილით, დაახლოებით ოთხი საათი იქნებოდა, როდესაც კარზე დაიწყეს ბრახუნი. გავიგე, ავდექი ჩაუცმელი და კარი გავაღე. დავინახე შეიარაღებული კაცები და მივმართე: ვინ ხართ, მეთქი? იმათ კი დამიყვირეს: ჩვენ ვართ, თქვენს სახლს „ობისკი" უნდა დავარტყათო. რასაკვირველია, მანდატი მოვთხოვე, რა უფლებით უნდა გაეჩხრიკათ სახლი. მათ კი მიპასუხეს: მანდატი ჩვენს ოფიცერს აქვსო. ვუთხარი, მანდატი მოეტანათ და მერე მოსულიყვნენ, მაგრამ ბევრი აღარ მალაპარაკეს, კარს ძალით მოაწვნენ: ესეც ჩვენი მანდატიო და სახლში შემოცვივდნენ. მათგან ერთი კართან დარჩა, ორი კი ფანჯარასთან დადგა. ერთ-ერთი კი მწოლიარე მიხეილ ლაშქარაშვილს მივარდა, ერთი ხელი ყელში წაუჭირა, მეორე ხელით კი ქამრიდან რევოლვერს იღებდა. ეს რომ დავინახე, მივვარდი და ხელი დავუჭირე, მან ხელი მკრა და განზე გადამაგდო. უეცრად თოფის გასროლის ხმა გავიგონე და დავინახე, რომ ჩემი დედამთილი იატაკზე უგონოდ დაეცა. რამდენიმე წუთის განმავლობაში ვცდილობდი, ჩემი ქმარი და ერთ-ერთი მოსული კაცი გამეშველებინა, იმან კი მუცელში წიხლი ჩამარტყა და კედელს მიმანარცხა. ამასობაში მეორე გასროლის ხმაც გავიგონე. გარეთ გავვარდი და ყვირილი დავიწყე: ხალხნო, მიშველეთ, ქმარიც მომიკლეს და დედაცმეთქი. ამის თქმა იყო და უკნიდან უცხო ხმა შემომესმა: ეგეც მოკალითო. ამასობაში დასახმარებლად თანასოფლელებიც მოცვივდნენ. რამდენიმე მილიციელი დაატყვევეს, რადგან მათ არანაირი მანდატი არ აღმოაჩნდათ. ვარ 32 წლის ქართველი, ეს არის ჩემი ჩვენება. ჩვენება ნამდვილია და ხელს აწერს ელენე ლაშქარაშვილი".

დატყვევებული მილიციელები, დასახმარებლად მისულმა ხალხმა, მიხეილ ლაშქარაშვილის სახლის წინ მდგარ ჩიქოვანების კოშკში გამოამწყვდია. თავად ლაშქარაშვილი კი იმ დღეს სოფელს გარიდებია, მაგრამ მეორე დღეს, ისევ დაბრუნებულა, სარკმლიდან შეუხედავს კოშკში დატყვევებული მილიციელებისთვის და უთქვამს: როგორ დაგხოცოთ, თქვენ მაგის ღირსიც კი არ ხართ, ხომ ვიცი, მერე თქვენ გამო აქ ხალხს ააწიოკებენო. მის დაპატიმრებას შეწირული დედა დაუტირებია და გადახვეწილა. სოფელში იმასაც ამბობდნენ: მიშა დედის დაკრძალვას სასაფლაოს მოპირდაპირე მთებიდან, დურბინდით ადევნებდა თვალსო. თავდაპირველად კომუნისტებმა მასვე დააბრალეს დედის მკვლელობა, მაგრამ საქმეში დაცულია გორის მაზრის მილიციის უფროსის მიმართვა პოლიტბიუროსადმი, სადაც ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ ლაშქარაშვილის დედის და ვინმე მირიანაშვილის მკვლელობა გამოწვეული იყო მილიციელების „უტაქტო მოქმედებით". მოკლული მირიანაშვილი მიხეილ ლაშქარაშვილის მეგობარი გახლდათ, რომელიც მომხდარის გამო გამოექომაგა ლაშქარაშვილს. ამ შემთხვევიდან რამდენიმე დღის შემდეგ ბოლშევიკებისთვის უთქვამს: თქვენ რა გვარდიელები ხართ?! მიშა ლაშქარაშვილს ყაჩაღურად დაესხით, ბოლშევიკურად კი ნუ მოდიხართ, ვაჟკაცურად მოდითო. ამ სიტყვების გამო თურმე მირიანაშვილი დაცხრილეს. ამ ამბის შემდეგ მიხეილ ლაშქარაშვილი თავს ტყეს აფარებდა. იქაც კი მოახერხა, თავის გარშემო თანამოაზრეები შემოეკრიბა და 1922 წლის ზაფხულში დაგეგმილ ხევსურეთის აჯანყებისთვის პარტიზანულ ჯგუფს თავკაცობდა. 14 სექტემბერს კი ვინმე კაციაშვილმა შეატყობინა, რომ აჯანყება სისხლში ჩაახშვეს. ლაშქარაშვილი უიმედობამ შეიპყრო, დაშალა პარტიზანული დაჯგუფება, თავად კი გადაწყვიტა, ოჯახთან ერთად, ოსმალეთში, იქიდან კი ევროპაში გადახვეწილიყო. მალე ქაქუცასგან შეტყობინება მიიღო და წასვლაც გადაიფიქრა. ახალი აჯანყების მოლოდინში, ლაშქარაშვილი მოძმეებთან ერთად, ოთხი თვის განმავლობაში მანგლისის მახლობლად, თავს ბოტისის ტყეს აფარებდა. მალე მათ ქაქუცა ჩოლოყაშვილიც შეუერთდა. ადგილობრივი მოსახლეობა „შეფიცულებს" სურსათ-სანოვაგით ამარაგებდა. საგულისხმოა, რომ არც ერთ გლეხკაცს არ უცნობებია მთავრობისთვის მათგან დევნილი „შეფიცულების" ადგილსამყოფელი. მთელი ამ ხნის განმავლობაში, მიხეილ ლაშქარაშვილის მეუღლეც, ჩოლოყაშვილის თანამებრძოლებს, მხარში ერთგულად edგა, საჭირო ინფორმაციას აწვდიდა მათ და ტყვია-წამლით ამარაგებდა. „ჩემი მეუღლე არათუ იყო ყველა ჩემი ბრძოლის თანაზიარი, იგი ხშირად აქტიურად მონაწილეობდა და დიდ ხიფათშიც იყო ჩავარდნილი", — წერდა ლაშქარაშვილი თავის მოგონებებში. აჯანყება, რომელსაც კომუნისტებმა მოგვიანებით, „1924 წლის ავანტიურა" უწოდეს, თავდაპირველად 20 აგვისტოსთვის იყო დაგეგმილი, მაგრამ ღალატმა ორგანიზატორებს გეგმები შეაცვლევინა. აღმოჩნდა, რომ გასცეს ჯუღელი, რომელიც აჯანყებისთვის გარე კახელებს ხელმძღვანელობდა. ეს ის ჯუღელი იყო, რომელმაც ერთ დროს მძინარე ქართველებს სომხები მიუსია და დაახოცვინა, მაგრამ მალე მიხვდა „წითლების" ვერაგობას და თავისუფლებისთვის მებრძოლთა რიგებს შეუერთდა. მისმა დაჭერამ და დასჯამ აჯანყების ბედი მნიშვნელოვნად შეცვალა. ხმები გავრცელდა, რომ ჯუღელი ბოლშევიკებმა ცოცხლად დაწვეს.

ამის შემდეგ, აჯანყების ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, პირდაპირ თბილისში კი არ შეჭრილიყვნენ, არამედ აჯანყების ტალღა რეგიონებიდან აეგორებინათ. პარიტეტულმა კომიტეტმა მიხეილ ლაშქარაშვილს ქართლი ჩააბარა. ამასობაში მანგლისში შეფიცულთაგან ერთ-ერთი, ელიზბარ ვაჩნაძე გასცეს და მისი დაპატიმრებით აჯანყების კიდევ ერთი კერა მოსპეს. მართალია, ქაქუცამ ბრძოლით აიღო დუშეთი, შევიდა ზემო კახეთში, გადავიდა ყარაიზსა და ბორჩალოში და თბილისის დაზვერვა დაიწყო, მაგრამ აჯანყება მაინც მარცხით დამთავრდა. ამის შემდეგ, მიხეილ ლაშქარაშვილის მოგონებებში ასეთი ჩანაწერი გაჩნდა: „ჯალათურ მოსკოვს, ორჯონიკიძეს, მახარაძეს და სტალინს მახვილი გალესილი ჰქონდათ და მზად იყვნენ ქართველების სისხლის დასაღვრელად. „ჩეკამ" კარგად იცოდა პარიტეტული კომიტეტის შემადგენლობა, მაგრამ განგებ ხელს არ ჰკიდებდა, რომ აჯანყება არ ჩაშლილიყო, ამ მიზეზით შემდეგში დაერბია და სისხლში ჩაეხშო მთელი საქართველო და შური ეძია ყველა პატრიოტ მამულიშვილზე. მისთვის ეს საოცნებო დღეც დადგა და მოღალატეებისგან გაცემული აჯანყებაც ჩაიხშო ნამდვილი ბრძოლების დაწყებამდე... მარქსისტები გლეხობას მოუწოდებდნენ, თავადაზნაურობა ამოეწყვიტათ, მოითხოვდნენ იმ ხალხის ამოწყვეტას, ვინც იმ ხანებში ეროვნული ბრძოლებისთვის მთავარ ძალას წარმოადგენდა". რთულია იმის გადმოცემა, თუ რა ზარალი მიადგა მაშინ ქართულ ჯიშს, გენსა და ინტელექტს. ვინც საზღვარგარეთ გაასწრო და გადაიხვეწა, სიცოცხლე შეინარჩუნა, დანარჩენები კი დახვრიტეს. ე.წ. „ტროიკა" ახლობელ-ნათესავებს მიცვალებულების დამარხვისა და დატირების უფლებასაც არ აძლევდა. იმ დროს თურმე არაკად დადიოდა ორჯონიკიძის სიტყვები: „შემიწირია რუსეთისთვის რაცხა მილიონ-ნახევარი ქართველიო"... 1924 წლის ოქტომბრის დასაწყისში ქაქუცამ ცოცხლად გადარჩენილ შეფიცულებთან ერთად, საქართველო დატოვა და საფრანგეთში ითხოვა თავშესაფარი. სოფელ ხანდაკში კი პელაგიას დიდთვალება, ჯან-ღონით სავსე ბიჭზე მას შემდეგ არაფერი გაუგონიათ, მხოლოდ იმას ამბობდნენ: უცხო ქვეყანაში მინისტრის ტოლი კაცი ყოფილა და ოქროს ტროსტით დადიოდაო... საფრანგეთში, ლევილის ქართველთა სასაფლაოზე, ოთხასამდე სამარეა. მათგან ორზე კი ვკითხულობთ: მიხეილ ლაშქარაშვილი 1884-1952, ელენე ლაშქარაშვილი 1884-1950. ■



# ბიბლუსი

## ანუ პაპირუსი — წიგნის სინონიმი



„– აქ უჩემოდ არაფერი წყდება. ლამის ქალაქკომში თათბირებსაც დამასწრონ. თანამდებობებზე ხალხს მე ვნიშნავ. ამიტომ ყველგან ჩემი კაცი მყავს და უბატონოდ ხმას არავინ მცემს. იციან, რომ ჩემთან კონფლიქტი მათი მოხსნით დასრულდება...
– აქ „ბეზპრედელი“ ყოფილა! მოსკოვში ასე არაა, იქ სხვა სიტუაციაა.“

გვ.76

# უიღბლო სიყვარულის წამალი




მარი ჯაფარიძე

წამალი უბედური სიყვარულისგან განსაკურნებლად, თავისთავად გაჩნდა, როდესაც ფენაზეპამს ისე დაჰყურებდა, როგორც ალკოჰოლისტი — არაყს. პატარა ზომის აბია, 50 ცალი... დალევ და ვერც ვერაფერს გაიგებ... მხოლოდ იმ აზრმა შეაჩერა, რომ მაშინვე ვერ იპოვიდნენ, რამდენიმე დღის შემდეგ კი მისი სხეული ისეთი გახდებოდა, რომ დანახვაც კი ზიზღის მომგვრელი იქნებოდა. ეს კი არავითარ შემთხვევაში არ იყო დასაშვები... ის ხომ ასეთი ლამაზია და ვერ დაუშვებს, სიკვდილის შემდეგ დამახინჯებული ნახონ.

რა უნდოდა იმ დეგენერატს? სარკეში თუ ჩაუხედავს ოდესმე?! ნამდვილი მუტანტია! ის ბედნიერი უნდა ყოფილიყო, რომ ნინომ საერთოდ ყურადღება მიაქცია. მთელი ცხოვრება ძაღლივით კუდი უნდა ექიცინებინა ამის გამო.

რატომ ხდება ისე, რომ ქვეყნად მისნაირი მამაკაცები არსებობენ?! ქალები ისე ეხვევიან, როგორც ბუზები — თაფლს. აუხსნელი მოვლენაა... პრაქტიკულად — კატასტროფა. ჰოდა, ახლა ის წევს, ბალიშში ცხვირჩარგული... შეგიძლიათ, მიულოცოთ კიდეც.

ნიკო განქორწინების შემდგომი პერიოდით ტკბებოდა. ასეთ დროს მამაკაცები ამბობენ: „წარსულსა და მომავალს შორის მხოლოდ წამია და სწორედ ამას ჰქვია ცხოვრება“.

მას მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისთვის სურდა ცხოვრება და ამას არც მალავდა. მაგრამ — ღმერთო ჩემო! როგორ სჩვეოდა თვალებში ჩახედვა!.. როგორი შემპარავი ხმა ჰქონდა!.. რაოდენ ნაზად ეხებოდა მის ხელის თითებს!.. ასეთი მომხიბვლელი არსება არც კი დაბადებულა! ქალს სურვილი უჩნდებოდა, ყველა მისი ბრძანება შეესრულებინა... არ არსებობდა სურვილი, რომელსაც არ აუსრულებდა. რომ ებრძანებინა, ოფისის დერეფანი თავიდან ბოლომდე ხოხვით გაევლო, აუცილებლად წავიდოდა და იმასაც კი შეეცდებოდა, რომ სხვა „მხოხავებისთვის“ გაესწრო.

არადა, მამაკაცს მხოლოდ ის სურდა, რომ რამდენჯერმე ქალაქგარეთ წასულიყვნენ და ღამე სასტუმროში გაეტარებინათ; ამის შემდეგ ერთმანეთისთვის კარგ ნაცნობებად დარჩენილიყვნენ. სულ ეს იყო...

ისინი კოლეგები იყვნენ. მათი მაგიდები ერთმანეთის პირისპირ იდგა, მაგრამ ქალის დაჟინებულ მზერას ვერ ამჩნევდა ან განგებ არიდებდა თვალს და არ უნდოდა, რომ შეემჩნია. ყველაზე ცუდი ის იყო, რომ ღიად აბამდა სხვებს, მაგალითად, ნანას, რომელიც ნინოს გვერდით იჯდა. მთელი დღის განმავლობაში უწევდა იმის ყურება, როგორ უღიმოდა ნიკო ქალს ყველაზე მომხიბვლელი ღიმილით და როგორ უდუღებდა ნანა ყავას...

რა თქმა უნდა, მამაკაცს მიაჩნდა, რომ სამართლიანად იქცეოდა, ვინაიდან ნინოს არაფერს შეჰპირებია. უბრალოდ, ერთმანეთს სიამოვნება მიანიჭეს, ეგ იყო და ეგ. ქალის ფსიქიკის ნიუანსებში გარკვევის

დრო და სურვილი კი სულაც არ ჰქონია.

ნინო ფიქრობდა, რომ ნიკოს ასეთი ქცევის მიზეზი მისი ოჯახური მდგომარეობა იყო — ის ხომ 4 წლის შვილთან ერთად, ერთოთახიან ბინაში ცხოვრობდა. შვილსა და პატარა ბინას მას პლუსად ნამდვილად ვერ ჩაუწერდი...

თუმცა, თუ საკითხს სხვაგვარად შეხედავ, — როგორ შეიძლება, ასეთი გაიძვერა გაალმერთო?! ერჩივნა, ამ საკითხზე არ ეფიქრა. ნინოს იმ აზრმაც გაუელვა თავში, რომ ლაქები მზესაც აქვს, მაგრამ ის მაინც ბრწყინავს... მიუხედავად იმისა, რომ ნიკოს ბევრი უარყოფითი თვისება ჰქონდა, მაინც მოსწონდა და რა ექნა?!



რამდენიმე ხნის შემდეგ ნანამ უთხრა, რომ ნიკო მასთან გადადიოდა საცხოვრებლად, თვითონ კი მალე დეკრეტულ შვებულებას აიღებდა: ექოსკოპიამ უჩვენა, რომ ბიჭი ჰყავს და ქალ-ვაჟმა გადაწყვიტა, ბავშვს მალხაზი დაარქვას. უახლოეს დღეებში კი ნიკო მაღაზიაში წავიდოდა და ბავშვისთვის ეტლსა და საწოლს შეარჩევდა. ნიკო თავს ბედნიერად გრძნობდა, რადგან როგორც იქნა, დიდი ხნის ნანატრი, გვარის გამგრძელებელიც ეყოლება, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ მამასთან ერთად, ზოოპარკსა და ცირკში ივლის...

ეს ყველაფერი ნანამ ერთი ამოსუნთქვით თქვა და ნინოს ნიშნის მოგებით გადახედა...

აი, სწორედ ამის შემდეგ დაიწყო ნინოს იმ თაროს წინ ტრიალი, სადაც ფენაზეპამი იდო. მას საკუთარი შვილიც კი არ შეეცოდა. ბავშვს ბებია გაზრდიდა და შესაძლოა, ეს უკეთესიც ყოფილიყო ბიჭუნასთვის. ახლა, როცა ბაღში არდადეგებია, მას დედასთან მისვლაც არ უნდა; ბებიასთან ურჩევნია, იქ თავს მშვენივრად გრძნობს.

როგორც იქნა, გონს მოეგო... ფენაზეპამის აბები, რომლებიც მუჭში ჰქონდა მოგროვილი, უნიტაზში ჩაუძახა და ჩარეცხა.

მთელი ღამე ტელევიზორის წინ გაატარა, რომ გონება სხვა რამეზე გადაეტანა. დილით სამსახურში დასივებული თვალებით წავიდა. ყველაზე ადრე მივიდა, რომ ყავა მოედუღებინა, მაკიაჟი გაეკეთებინა და სხვების მოსვლამდე ადამიანს დამსგავსებოდა.

მის მაგიდაზე ვიღაცას გაზეთი დაეტოვებინა. პირველ გვერდზე, დანარჩენ ფოტოებს შორის, ერთი პატარა, ასანთის კოლოფის ზომის სურათი გამოარჩია. ნიკოლას ქეიჯი ახალ ფილმში გადაუღიათ... ეს მსახიობი ადრეც უნახავს ბევრ ფილმში, მაგრამ მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ ის ძალიან ჰგავდა ნიკოს. უფრო სწორად, ნიკო ჰგავდა მას.

ნიკო, ნიკოლასის „სულელური ასლი“, პაროდია, კარიკატურა და გროტესკი იყო.

ნინომ გაზეთი დაკეცა და ჩანთაში ჩაკუჭა.

...ძაღლი, რომელსაც ბიოლოგიის არაფერი გაეგება, ავად რომ გახდება, იმ ბალახს ჭამს, რომელიც მოარჩენს. მისთვის ეს დედას არ უსწავლებია და არც ადამიანს მიუყვანია მწვანე ბუჩქთან, რომ სწორედ მისი ფოთლები შეეჭამა. ძაღლმა უშეცდომოდ იცის, რომ სწორედ ეს ბალახია მისი მხსნელი.

ნინოს შემთხვევაშიც ნამდვილად, დროულად გამოჩნდა მშველელი.

ნიკოსგან არაფერი ჰქონდა დარჩენილი, გარდა ერთი ბოთლი კონიაკისა, რომელიც შეხვედრისას ერთად დალიეს და ნინო ახლა, ბუფეტის ქვედა თაროზე სუვენირივით ინახავდა. მისი სურათიც კი არ ჰქონდა და საერთოდ, ნიკოს ცხოვრების შესახებ თითქმის არაფერი იცოდა. მამაკაცი საკუთარ თავზე ლაპარაკს ყოველთვის გაურბოდა.

რაც შეეხებოდა ნიკოლას ქეიჯს, ის გულუხვი მამაკაცი იყო, თავისი ცხოვრების არც ერთ ნაბიჯს არ მალავდა, სურათებსაც საუკეთესო პოზებში იღებდა და მისი დიდი პლაკატები კინოთეატრის აფიშაზეც ხშირად მოჩანდა. მასზე უამრავი სტატია და რეცენზია ქვეყნდებოდა. ბევრ ტყუილსაც წერდნენ, ჭორებსაც და გამოგონილ ამბებსაც, მაგრამ ვარსკვლავების ხვედრიც ხომ ესაა?!

ყველაზე მთავარი — ფილმები იყო. თუ ნინო მოისურვებდა, ის მასთან ყოველდღე ახალ-ახალი ამბით მივიდოდა და ეკრანიდან სიყვარულით, სიკეთით სავსე, ბავშვივით მიამიტი გამომეტყველებით გამოხედავდა. ის, ვინც ეკრანზე ასე თამაშობს და თვალებით ამხელა გრძნობის გამოხატვა შეუძლია, სულითაც ამაღლებული იქნება და არა როგორც ზოგიერთი... ნიკოლასი ის მამაკაცია, რომელიც საკუთარ თავზე გამუდმებით მუშაობს და ხალხს ახალ პერსონაჟებს ჩუქნის. თუ შეიყვარებ, სწორედ ასეთი მამაკაცი უნდა შეიყვარო და არა...

ყოველ დილით, როდესაც ნინო თვალს ახელდა, მისი მზერა ნიკოლასს ხვდებოდა: ერთი პლაკატი პირდაპირ კედელზე იყო გაკრული, ორიც — საწერ მაგიდასთან, კიდევ — სამზარეულოში, დერეფანში, სააბაზანოში...

ნინო ყველგან მის მზერას გრძნობდა. ყველა პლაკატზე ნიკოლასი რეალური პარამეტრებით იყო გამოსახული, ამიტომ მის გვერდით „ნამდვილი, ცოცხალი“ ქეიჯი იდგა ხოლმე. ამიერიდან ნინო შინაც ისე გამოიყურებოდა, როგორც ნიკოლასის ჰოლივუდელი დაქალები.

თუმცა ქალი თავს მხოლოდ იმდენის უფლებას აძლევდა, რამდენსაც მისი ჯიბე გასწვდებოდა. მას ტანისამოსის ყიდვა მხოლოდ ბაზრობაზე ან მოკრძალებულ მაღაზიებში შეეძლო. სამაგიეროდ, იმას ხომ ვერავინ დაუშლიდა, როდესაც ხელოვნური ბეწვის ქურქით ქუჩაში მიაბიჯებდა, ისეთი სახე მიეღო, თითქოს ნამდვილი შინშილისბეწვიანი ქურქი ეცვა; სამსახურში მისულს კი ისე ჩამოეცურებინა მხრებიდან, თითქოს ახლახან მასში ძალიან ბევრი ფული გადაიხადა?!

ფანტაზია თანდათან ფრთებს შლიდა. ნინოს სიარული, დგომა სხვანაირი გაუხდა. ყელმოღერებული დადიოდა, ქალბატონივით იჯდა... სხვა მანერებიც შეეცვალა... ასეთი ცვლილება თვითონაც კი უკვირდა. შეეძლო, ჩექმის ელვის შესაკრავად, ისე მოხდენილად დახრილიყო, რომ თანამშრომელ მამაკაცებს ოხვრა აღმოხდენოდათ, ან სავარძლის საზურგეს ისე მისწოლოდა და კოლეგისთვის ისე შეეხედა, რომ ადგილზე გაექვავებინა. სათათბირო დარბაზში, ყელმოღერებული, გამართული, ნელი ნაბიჯით შედიოდა... ერთხელ ისიც კი შენიშნა, კიბეზე ამომავალმა უცხო მამაკაცმა მის დანახვაზე პიჯაკის ღილები სასწრაფოდ რომ შეიკრა და გზა ისე დაუთმო.

ახლა ნიკოს, თავის ახალ სიყვარულს — ნიკოლასს ადარებდა და ხვდებოდა, რომ თავიდან სულ ტყუილად სწყდებოდა გული.

ნიკო ერთი შემელოტებული მამაკაცი იყო, რომელსაც ამ ბოლო დროს ალბათ თმასაც ნანა სჭრიდა შინ... მუქი ფერის, იაფფასიანი სვიტერი ტანზე უშნოდ ეკიდა. მოხუცი ბაბუასავით, დაბუჩქული წარბები, წვრილი, ხაზივით შეუმჩნეველი ქვედა ტუჩი ჰქონდა...

სახლში რომ ბრუნდება, ალბათ დივანზე, ტელევიზორთან წამოწვება, პულტით ხელში, ან ეზოში გავა და თავის ავტომობილს „ლოკავს“, რომელშიც თავმოყვარე მამაკაცი არც ჩაჯდებოდა. ასეთი მანქანით ბოსტნეულით მოვაჭრემ კარტოფილი და კომბოსტო უნდა ზიდოს.



# საძულველი ხახვი

ინგა ჯაყელი

ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ხახვი ჩემზე მეტად კი არა, თუნდაც ჩემსავით სძულდა ვინმეს. რა ხერხი არ ვცადე, ვისი რჩევა არ გავითვალისწინე, მგრამ სულ ამაოდ — საკმარისია, ხახვს დანა დავუსვა და მორჩა, იმწუთასვე ხომ დამეწყება უსაშველო ცრემლდენა, შემეკვრება სუნთქვა და წამიჭერს ყელში სულთამხუთავი. რამდენიმე საათისა და თუნდაც ერთი დღის შემდეგაც რომ გამახსენდეს მომხდარი, უკვე ფსიქოლოგიური „შეტევა" მეწყება და გამწარებული ვისრეს დამწვარ თვალებს. დედამ ყოველთვის იცოდა, რომ ჩემთვის ხახვის დაჭრა არ უნდა დაევალებინა. ახლა უკვე ყველა ჩემმა ახლობელმა იცის და ეჭვიც არ მეპარება, 100 წლის ასაკში შვილიშვილებიც არ გამაკარებენ ჩემს მტრად ქცეულ ბოსტნეულს...

ამას წინათ ავტობუსში ისე გულიანად ავტირდი, ხალხმა უკან დაიხია, ალბათ გიჟიც ვეგონე, რა ვიცი... მიზეზი კი ის კაცი იყო, ჩემ წინ რომ დასკუპდა და ხახვის ისეთი ოხშივარი ამოუშვა დაღებული პირიდან, სულ მცირე, კილოგრამი მაინც ჰქონდა მირთმეული საუზმედ (ადრიანი დილა იყო)...

ამხელა შესავლის გაკეთება კი იმის მოსაყოლად დამჭირდა, რომ ცოტა ხნის წინ ჩემზე „გაჭირვებულს" შევხვდი და საერთო უბედურებამ უცებ გვაქცია მეგობრებად, რაც ჩემთვის ძალზე ხელსაყრელი აღმოჩნდა და ვფიქრობ, ბატონი ვაჟაც არაა უკმაყოფილო ჩემთან შეხვედრით, ხშირად მირეკავს და თავის რესტორანში მეპატიჟება, სადაც ყველანაირი კერძი უხახვოდ კეთდება და ძალიანაც გემრიელია...

ბატონი ვაჟა ასაკით, მამად შემეფერება, ის ე.წ. „ომის ბავშვია". ბედმა საერთო ახლობლის ქორწილში შეგვახვედრა, სადაც ოფიციანტმა ხორცით მომზადებული კერძი დამიდგა ცხვირწინ, რომელსაც ბლომად ჰქონდა მოყრილი „სურნელოვანი" ხახვი... ნახევარი წუთიც არ დამჭირვებია, ღვარად წამომსვლოდა ცრემლები და ნაპირზე ამოგდებული თევზივით დამებჩინა პირი ჰაერის ძიებაში... ვინ ხელსახოცს მაწოდებდა და ვინ — წყალს. ვიღაცამ ბეჭებშიც მომცხო, ალბათ ეგონა, ლუკმა გადამცდა და ამიტომ ვიხრჩობოდი.

ამ დროს იყვირა ვიღაცამ:

— აუ, აგერ კაცი იხრჩობა, ენა გადმოუვარდა... მოწამლული ხომ არაა საჭმელი, ყბები გააჩერეთ, ხალხო!..

— ხახვი... ხახვი მომაშორეთ! — ამოვიხრიალე როგორღაც.

— ჰაერზე გამიყვანეთ! — დაიკვნესა კაცმა და ორივე უცებ გაგვიყვანეს დარბაზიდან. ჯერ იმან დაიბანა პირი ონკანიდან მოჩხრიალე წყლით და მერე მე...

როცა ხალხმა გაიგო, რომ ორივე ხახვის „მსხვერპლი" ვიყავით — ზოგს შევეცოდეთ, ზოგს გაეცინა...

— უნაიროები! — იმერულად მოუქცია მსუქანმა ქალბატონმა და ზურგი გვაქცია.

სხვებიც მალე შებრუნდნენ დარბაზში.

— მალე მოვალ! — ვუთხარი მეგობრებს, მაგრამ თვალებდასივებული და ჩამორეცხილი მაკიაჟით უკან შემბრუნებელი აღარ ვიყავი.

— ვაჟა ბიძია ვარ მე! — ხელი გამომიწოდა კაცმა და გამიღიმა. — ერთ ბედქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ! — მოიქექა ქეჩო. — ვკვდები მშიერი; ქორწილში მივდივარ-მეთქი და დილიდან ლუკმა არ ჩავიდე პირში... — რატომ გძულს ასე ხახვი?

— მე კი არა, იმას ვძულვარ! — ავიჩეჩე მხრები. — ბავშვობიდან მტანჯავს ალერგია.

— მე დიდობაში დამემართა! — მითხრა და მხრებზე ხელი გადამხვია. — წამო, ჩემს რესტორანში ვივახშმოთ, იქ ხახვის ნასახი არ არის.

...რომ ვუთხარი, ჟურნალისტი ვარ-მეთქი, მომეფერა, წაკითხული ჰქონია ჩემი ნაწერი:

— ეჭვიც არ მეპარება, მეც გამომაჭენებ შენს ჟურნალში...

— მაშინ საკუთარ თავსაც უნდა დავცინო, ბატონო ვაჟა!..

ოფიციანტს თავის კაბინეტში მოატანინა ვახშამი. თლილ ჭიქებში კამკამა ღვინო ჩამოასხა და სინათლეზე გახედა:

— სოფელში ვიზრდებოდი. მდიდარი ოჯახი არასოდეს გვქონია, მაგრამ მამაჩემი ომში რომ წაიყვანეს, ნამეტნავი გაგვიჭირდა. ხახვი იყო ჩვენი სადილიც, ვახშამიც და საუზმეც. მჭადი თუ გვქონდა მისაყოლებლად, რაღა გვიჭირდა?! ძველ, დაობებულ მჭადსაც არ ვიწუნებდით მე და ჩემზე ორი წლით უფროსი ძმა. გარეცხავდა დედა იმ ობიან მჭადს ონკანზე, მოაყრიდა მარილს და ვჭამდით გემრიელად. თუ ცხიმი გვქონდა და იმაში მოხრაკულ ხახვს დაგვიდებდა წინ, დღესასწაული იყო... არც ვიწუნებდი და არც მწყენდა.. მოგვიანებით დამემართა ეს ალერგია თუ უბედურება. მამა ომიდან დაბრუნდა და რაიკომში დაიწყო მუშაობა. ფული გაუჩნდა. ოჯახიც მოძლიერდა და ყოველდღე ხაჭაპურის ჭამა რომ დავიწყეთ, მაშინ ვიგრძენი ხავხის ზიზღი და სიძულვილი. ისტერიკაში მაგდებდა მისი დანახვა. ექიმებშიც მატარეს, მაგრამ არაფერი მეშველა.

სმა-ჭა მიყვარს, კაცი რესტორნის პატრონი ვარ და ხახვის დანახვაზე ელეთ-ელეთი მომდის, ვკვდები. ფსიქიატრი ძმაკაცი მყავს და ტვინში გაქვს პრობლემა, ფსიქოლოგიური ტრავმააო! — მითხრა. რა მნიშვნელობა აქვს, რაა, კაცი სტუმრად ვერ წავსულვარ... პირველად ვნახე ჩემსავით გაჭირვებული და გამიხარდა... შენ ხომ არ გწყინს, რომ მიხარია?! — მიხვდა, რომ რაღაც შეეშალა.

— არა! — გამეღიმა მე.

— ჰოდა, შენ გაგიმარჯოს!..

ბატონი ვაჟა საოცარი მოსაუბრეა და იმდენი საინტერესო რამ მიამბო, სხვა დროს მოგიყვებით აუცილებლად. ვიცი, მოგეწონებათ.

სადილზე თუ ვახშამზე ხშირად მეპატიჟება. ჩიპოლინო შემარქვა — რა თქმა უნდა, ზღაპრის გმირის გავლენით და როცა მირეკავს, ვიცი, რასაც მეტყვის: მისალმების შემდეგ:

— სად ხარ, ჩიპოლინო, გცალია ჩემთვის?!

---

არავითარი სულიერი სამყარო მას არ გააჩნია... ცხოვრებით ისევეა კმაყოფილი, როგორც მოშივებული თხა, რომელიც უეცრად მწვანე ბალახს მიადგება.

სულ სხვაა მისი საყვარელი ნიკოლასი... აქ იმედგაცრუება არ ელის. ვარსკვლავი ვარსკვლავად დარჩება. მასთან მუდმივი ჰარმონია გარანტირებულია და არც გულისტკენა ელის.

...ნიკოს მზერა თანდათან უფრო და უფრო სევდიანი უხდებოდა. ნინოს დანახვაზე იმ ძაღლივით წკურავდა წარბებს, რომელსაც ცხვირწინ მიუხურეს კარი.

12-სანტიმეტრიან ქუსლებზე შემდგარი ნინო კი სამსახურის დერეფანში „დეფილეს" აწყობდა. მისი ოთახი იმ დერეფნის ბოლოში იყო, სადაც მწეველები იკრიბებოდნენ ხოლმე.

— აი, ადექი და ეს დაპატიჟე, — უთხრა ერთხელ ვიღაცამ ნიკოს და თავი ნინოსკენ გააქნია.

გოგოს ლოყები აენთო, სუნთქვა შეეკრა... „გმადლობ, ნიკოლას", — გაიფიქრა გულში.

— არ წამომყვება, — გაიგონა ნინომ, — ვერ ხედავ, დედოფალივით, ყელმოღერებული დადის!..

უეცრად ნინომ ლამაზად დავარცხნილ თმაზე უხილავი, ძვირფასი გვირგვინის სიმძიმე იგრძნო და წელში კიდევ უფრო გაიმართა...

# ერთი ვინმე ყაფლანიშვილი



დასაწყისი იხ. „გზა“ №18-33

*ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით*
*gza.fantazia@gmail.com*

ვაჟა გიგაშვილი

ჯოტომ ცოტა გაკვირვებით შეხედა:

— უკვე, ბატონო? რამე ხომ...

— არაფერი... არაფერი!

— წიგნს ხომ აპირებდით, ბატონო?!

— ვნახოთ, ვნახოთ! წინაა ყველაფერი! — რაღაც აგდებულ-დაბნეულად გამოუვიდა იორამს. — ნოდარს უნდა დაველოდო! აბა, თითოც დავასხათ!

ამასობაში პეტრეს ჩასძინებოდა, ფშვინავდა თავჩაქინდრული.

— გავიყვან მოხუცს თავის სახლში... — თქვა ჯოტომ.

— არა, იყოს, იყოს! კაი კაცია ეგ! — გაუგებარი ჭირვეულობით თქვა იორამმა. ჯოტომ დაბნეულად, დაეჭვებულად გამოხედა. იორამმა ჭიქა მიუჭახუნა. — ეს ჩვენ გაგვიმარჯოს! დამხვდურებს! — თითით აჩვენა თავის თავზე და მერე პეტრეზე, — ძალიან კარგი კაცია ეგ!

დალია და მოიღვენთა, თითქოს პეტრესგან გადმოედოო. ცოტა ხანს იჯდა თავჩაღუნული, მერე წიგნების შეკვრა მოხვდა თვალში და თითქოს გამოცოცხლდა, დაეჯაჯგურა მთვრალი მოძრაობით, დაშალა. წიგნები გაიფანტა და ერთ-ერთიდან კონვერტი გადმოვარდა.

— ოჰო, წერილიც ყოფილა! — წამოიზლაზნა და კონვერტით ხელში საძილესაკენ წაბანცალდა.

— კარგი, მივწვები მე, მომეკიდა, ხომ იცი, — წაილაპარაკა გზადაგზა. საძილეში გაუხდელად მიეგდო საწოლზე, თან კონვერტს ხსნიდა. თვალები ებლიტებოდა და მაინც წაიკითხა მოკლე წერილი.

„იორამ! ძალიან შემაგვიანდა... სალონში გამოჩნდა საქმეები. თექები გავყიდე. რესპუბლიკურში ვიწექი გამოკვლევაზე. ღვიძლის ამბავია... დიდი არაფერი... რომ ჩამოვალ, გეტყვი...“

— რას ატრაკებს, ნა ხადუ, სირბილში წერდა თუ რა არი, — წაიბურტყუნა და დაიძინა.

ერთ-ერთი ძალოვანი სამინისტროს ვრცელ ავტოსადგომზე იდგა ყაფლანიშვილის „მერსედესი“. ნოდარი და გივი შიგ ისხდნენ და ლაპარაკობდნენ.

— ვითომ რატომ დამიბარა აქ, ჰა? რას ფიქრობ? — ნოდარი უჩვეულოდ დამფრთხალი ჩანდა. გივიმ მხრები აიჩეჩა.

— კაცო, შენ ხო იცი, ყოველთვის კონფიდენციალნი იყო შეხვედრები... თანაც კაი ადგილებში... აქ შეხვედრა აფიციალნია, კაცო! ხო უეჭველად ფიქსირდება? რას უნდა ნიშნავდეს, ჰა? — კითხულობდა აწრიალებული ნოდარი. — იმ ამბავზეა? რას ფიქრობ, ჰა?

— რას ვფიქრობ და... — თქვა გივიმ. — იმას ვფიქრობ, რომ მთავარი ისაა, რომ დაგიბარა! ესე იგი, უნდა დაგელაპარაკოს. რახან გელაპარაკება, ესე იგი, საქმე მოგვარდება! სხვანაირად სიტყვასაც არავინ გეტყოდა, ვერც გაიგებდი... — და გივიმ სიტყვა გაწყვიტა. ამ გაწყვეტილ სიტყვაზე ნოდარს თეთრმა ფერმა გადაუარა, მისჩერებოდა თვალებში გივის.

— კაი, ახლა, მიდი, დროა! — უთხრა გივიმ და მიაყოლა: — ეგ აქ დატოვე, ვახტიორთან დატოვებას, აქ სჯობია...

— უჰ, კაცო, კინაღამ დამავიწყდა, — შეიცხადა ნოდარმა, შეიხსნა პისტოლეტის ბუდე, სავარძელზე დააგდო და გადავიდა მანქანიდან.

...მინისტრის დარბაზისხელა კაბინეტში ღრიალი ისმოდა. ყაფლანიშვილის გაჯორვის პროცესი ბოლოში გადიოდა.

— ვირიშვილო, ახლა გაიგე? კუდა ტი სუნულ სვოიო რილო?! — ღრიალითვე დაამთავრა მინისტრმა.

სამოც წელს მიღწეული მინისტრი მაგრად შეკრული მამაკაცი იყო, კვადრატული, გადაპარსული თავითა და მსხვილი, ქვასავით ყვრიმალებით. აგებულებაც — კვადრატული, მაგრად ჩადგმული, მხოლოდ ღიპის გარეშე... შესანიშნავად მორგებული, ძვირფასი ქსოვილის კოსტიუმი ეცვა. იჯდა თავის დიდ და ცარიელ მაგიდასთან, რატომღაც უკან გაწეულ მბრუნავ სავარძელში, ნახევრად შეტრიალებული. დარბაზის იატაკი მთლიანი, მოწითალო-მოყავისფრო ხალიჩით იყო მოგებული, ერთი კედელი მთლიანად ეკავა მრავალგანყოფილებიან, შავად მოლაპლაპე დახურულ კარადას. სრულიად ცარიელ კედლებზე მხოლოდ ორი დიდი ზომის პორტრეტი ეკიდა ერთმანეთის პირდაპირ. ერთი — ჭაღარათმიანი, მოღიმარი პრეზიდენტისა და მეორე — მეფე დავით აღმაშენებლისა, გელათის ფრესკის ასლი. მინისტრის მაგიდის წინ აწურული იდგა ყაფლანიშვილი და ხმას არ იღებდა. მინისტრი უყურებდა.

— ნუ... — თქვა მერე შემტევად.

— შეფ, ეეე... ბატონო მინისტრო, ალექსანდრ ვასილიჩ! — აირია ნოდარი. — მე ხომ... არა... ჩავიჭერი, რა თქმა უნდა! მე ხომ მეგონა... შემეშალა, მაგრამ... ეს ხომ კრუპნი საქმე იყო! ვიფიქრე, მოვჩხრეკ საკმაო ინფორმაციას, რო საკონსულტაციოდ მისვლა ღირდეს-მეთქი და... ჩავიჭერი! აწი...

— არავინ გავალებს, ყველა სდელკაზე აქ ირბინო, მაგრამ... შენ შენი სფერო გაქვს... კაზინოები, ოტელები, პერევოზკები... ს კაკოი სტატი ეტენები სხვა ნაპრავლენიაზე?! ნაპრავლენიას მე ვიძლევი! სამოვოლნო სმენიშ ნაპრავლენიე ი ნარვიოშსია ნა მინუ! შენი ბედი, რომ დალშე აღარ მოჩხრიკე! რატომ დატორმუზდი?

— რა ვიცი, — წაილუღლუღა ნოდარმა, — რაღაც ალღომ მიკარნახა...

— გივიმ გიკარნახა?

ნოდარი გაშრა. გაიფიქრა: „ვეღარ ვისწავლე, რო არაფრის დამალვა არ ღირს... მაინც იცის“... — ხმამაღლა კი თქვა:

— გივიმაც... გადაკვრით... ვარაუდით...

მინისტრმა თავისთვის წაიდუდღუნა:

— სპასობნიი პარენ...

ნოდარი დაძაბული მისჩერებოდა, ფიქრობდა: „კარგი თქვა გივისთვის თუ ცუდი?“

მინისტრი ისევ მკაცრად კოპშეკრული უყურებდა, წამითაც არ შესცვლია გამომეტყველება მთელი ლაპარაკის მანძილზე.

— ჰო, მოვრჩით ლაპარაკს! ეს საკითხი დაიხურა... ჯერჯერობით! ახლა სხვა ამ-

ბავი...

ნოდარი ისევ ფეხზე იდგა, არავის შეუთავაზებია დაჯდომა. სახეზე ისევ შიშმა გადაუარა: „კიდევ რა არი?“

— ნოდარ, შენ წუწკი ყოფილხარ! ადრე თითქოს არ შემიმჩნევია, მაგრამ...

— მეე, წუწკობა? სადა, როდის? — საბრალობელი ხმით თქვა ნოდარმა.

— მზეთუნახავს რომ მალავ სახლში, რატომ მალავ? შენს შეფს და ბლაგოდეტელს, უფროს ბიძიას არ უნდა აჩვენო? ხომ იცი, როგორ უყვარს ეგეთი რამეები? — ისე თქვა, რომ არც გამომეტყველება შესცვლია, არც შუბლი გახსნია და არც ხმაში გამორევია ხუმრობის მაგვარი ინტონაცია.

ნოდარი პირდაღებული მისჩერებოდა, მერე სწრაფად თქვა:

— ვასილიჩ! ეგ ქალი ავად იყო... — და უცებ წამოსცდა: — თქვენ საიდან?..

მინისტრმა ბრაზიანად გააწყვეტინა:

— რას ჰქვია, საიდან?! მე ყველაფერი ვიცი! ეტო მოი დოლგ! დაგავიწყდა, ვის ელაპარაკები?!

ნოდარი ისევ დაფრთხა, აირია:

— შეფ, როგორ გეკადრებათ! ბოდიში! მაგრამ... — და ისევ წამოსცდა. — ჯოტო?..

— ჯოტო?! ჯოტო ხომ შენი ერთგულია... შენ კიდევ ჩემი ერთგული! ჰოდა, ჯოტო ჩემი დვაინოი ერთგულია, გესმის? ზნაჩიტ, დვაჟდი, პონიმაეშ, ერთგული!

ყაფლანიშვილმა ისევ პირი დააღო და ასე ხარშავდა ამ ინფორმაციას. მერე დაასკვნა, რომ ამაში არაფერია არც გასაკვირი და არც მოულოდნელი, პირი მოკუმა და ახსნა-განმარტებებზე გადავიდა:

— ეგ ქალი, ბატონო მინისტრო, მაინცდამაინც დიდი არაფერია! თქვენი საკადრისი... თან ისე მოხდა... თან ავად იყო... ახლაც ჯერ არ გამოკეთებულა...

— ნე განი ხერნიუ! დაგავიწყდა, ჩვენ რომ ჩვენი კლინიკა გვაქვს დახურული? ერთი-ორი შენგან დაჭრილი და სამი-ოთხი შენგან დასახიჩრებული ბოზიც მოგირჩენია მანდ... დაგავიწყდა? ვოობშჩემ, დავაი! ჩასვი მანქანაში და მომიყვანე... ლიჩნად ვნახო, როგორი „დიდი არაფერია“, გამიგე?!.

ნოდარი დაფაცურდა წასასვლელად...

— ახლავე, ბატონო მინისტრო! რაზეა ლაპარაკი?

მინისტრმა შეაჩერა:

— ერთი წუთი! მანდ ბარში, ორი ვისკი გააკეთე... ყინულით... რიგალი...

ნოდარმა შავი ხის დაბალი სერვანტი გამოაღო, შიგ მაცივარი იყო ჩამონტაჟებული. გამოიღო ჭიქები, ჩაყარა ყინულის კუბიკები, გახსნა რიგალის ბოთლი... ამ დროს მინისტრმა შიდა ტელეფონში ჩასძახა:

— ყავა შემოგვიტანეთ!

დარბაზის სიღრმეში, შავი კარადების ბოლოს, შიდა კარის მძიმე ფარდა გაიხსნა და ყავისფინჯნებიანი ლანგრით ხელში შემოვიდა... თეა.

ნოდარს ყბა ისევ ჩამოუვარდა, დამუნჯებული მიაჩერდა ქალს.

შეფმა დაუყვირა:

— დაჯექი, რას დაყუდებულხარ?! ვ ნოგახ პრავდი ნეტ!

ნოდარი მექანიკურად დაჯდა. ვისკიანყინულიანი ჭიქები ისევ ხელში ეჭირა, მერე მაგიდაზე დადგა.

თეა თვალისმომჭრელად ლამაზი იყო: ვარცხნილობა, აღმოსავლური უნაზესი ქსოვილის უცნაური სამოსი, ყელზე — ალმასების ფარღული. ზღაპრული დედოფალივით ირიბად იღიმებოდა.

შეფს პირველად შეეცვალა გამომეტყველება, უხეშად ახარხარდა.

— ხა-ხა-ხა-ხა! ისე, „მაინცდამაინც დიდი არაფერია“, ჰა?! თანაც, მგონი, რაღაც ავადაც არის! შენ ხომ არ აჰკიდე რამე, ბიჭო?! ვაა-ხა-ხა-ხა!..

ნოდარი გაქვავებული იჯდა, ბოლმისაგან გასივებული სახით, ხმას ვერ იღებდა. მერე შეფის თვალებს წააწყდა და შეეცადა, სახეზე გამხიარულების მაგვარი რამ გამოეხატა, ასადგომად წამოიწია.

— მოიცა, თითო დავლიოთ.

თეამ ყავის ფინჯნები დაუდგა მამაკაცებს. ღიმილით უყურებდა ნოდარს, მერე გაიცინა და უთხრა:

— ნოდარ, შენ ხომ მასწავლიდი, მჯობნის მჯობნი არ დაილევაო. ჰოდა, ვისწავლე!

— ჰა? ჰო! დიახ! — ჩაილაპარაკა ნოდარმა... გაიფიქრა: „მჯობნის მჯობნი!... ისემც შენი...“, — ხმამაღლა კი თქვა: — შენ სულ იმ ფარდის უკან იყავი?

თეამ გაიცინა:

— ჰო, ყავას ვაკეთებდი.

მინისტრს ძალიან კმაყოფილი სახე ჰქონდა, თითქოს უკვე მხიარულიცა და გულკეთილიც გახდა.

— ნუ, დავაი, დავლიოთ! — ჭიქა გაუშვირა მისაჭახუნებლად. ნოდარი გადაიწია, ჭიქა მიაწვდინა და მიუჭახუნა.

— ეტო ტებე უროკ, მოი მალჩიკ! გამიგე? ხომ არ გწყინს — „მალჩიკ“, ჰა? შენ ჩემი ხარ, გესმის?! ჩემიანი! მე ასეთ უროკებს მხოლოდ ჩემიანებს ვუტარებ... რომ ისწავლონ. მტრებს ისეთ უროკებს ვუტარებ, რომ ველარაფერს ისწავლიან, გამიგე?

წამოდგა. ნოდარიც წამოხტა და ასე დალიეს ვისკი.

„მერსედესში“ მიბრუნებული ყაფლანიშვილი გივის ეკითხებოდა:

— რატომ თქვა, ჯერჯერობითო, ჰა? ვითომ...

— ეგრე ითქმება! უროკი ხომ ჩაგიტარა, რაღა გინდა?

პაუზა... მერე გივიმ შთამაგონებელი ტონით განაგრძო:

— ჩვენ მაგათ ვჭირდებით, ნოდარ. ჩვენნაირების ქსელი, სისტემა... ესაა დასაყრდენი... აბა, როგორ გინდა ქვეყნის ფლობა, ამოქაჩვა? ძალიან ვჭირდებით! ვერა ხედავ, რა დღეშია ეს ოპოზიცია?! — ხელი გაიქნია რადიომიმღებისაკენ, საიდანაც ოპოზიციის ლიდერების წინასაარჩევნო ისტერია ისმოდა... — ხედავ, როგორ არიან აყირავებული?!

— ეტყობა, კაი ზურგიცა აქვთ... იგრძნობა!

— აქვთ, აქვთ, მაგრამ ამათაც აქვთ! მთავარი ძალა მაინც ამათია, ჯერჯერობით... მაგრამ მაგრად უნდა დადგომა, გოჯის დათმობა არ შეიძლება... ისე, რო იცოდე, საკმაოდ აპასნი სიტუაციაა...



ნოდარი აწრიალდა, გივის მიუბრუნდა:

— ბიჭო, რო იცოდე, რამდენჯერ ვიფიქრე! ხო არ ვგლიჯო მაგათ პარტიაში, სანამ დროა? კაი დაფინანსება და სიაში ადგილზედაც შეიძლება მოლაპარაკება... თანხას გააჩნია...

— აზრადაც არ გაივლო, — კატეგორიულად მოუჭრა გივიმ, — დიდ ფულს გამოგართმევენ და მერე, თუ გაიმარჯვეს, ერთიანად გაგფცქვნიან და შეიძლება ციხეშიც ჩაგაყუდონ, — ხელი გაიქნია სამინისტროს შენობისაკენ, — რომ გეუბნები, ამათ ვჭირდებით-მეთქი, ჩვენც გვჭირდება ესენი, — პაუზა, — ჩვენ გადაბმულები ვართ... ეგენი სხვა ხალხია, სხვა თაობაა! ეგენიც ერთმანეთზე არიან გადაბმული... თუ გაიმარჯვეს, ფული ვერ გიშველის... მადლიერებაზე ლაპარაკი დურაკობაა... არც დაგეკითხებიან, თვითონ წაიღებენ და შენც

სანაგვეზე მოგისვრიან... ჩვენ მაგათი პარადისათვის აღარ გამოვდგებით... მაგათთვის ჩვენ გასვრილები და ნახმარები ვართ... იმიჯს გავუფუჭებთ!..

— დედის მაგათისამ, ეგენი ხო...

— ჰო, ეგრეა... ეგენი ახლა ემზადებიან გასასვრელად, კბილებს ილესავენ, მაგრამ ახლა, საპარადოდ, სუფთა სიფათები აქვთ და ეგ არი მაგათი კოზირი!..

ისევ პაუზა. რადიომიმღებში ისმოდა არსებული ხელისუფლების დაურიდებელი ლანძღვა, დიდი პათოსითა და შემართებით. ნოდარმა და გივიმ ერთმანეთს გადახედეს გესლიანი ღიმილით. თავები გადააქნიეს.

— იცი, რას გეტყვი?! — უთხრა ნოდარმა. — მაგრად არ მომწონს, მეტისმეტადა ჰყავთ მიშვებული! ზედმეტს აბედვინებენ!..

— დემოკრატია, დემოკრატია! ახლა ეგრეა, რას იზამ! კონიუნქტურა! გაუშვი, ანთხიონ ბოლომდე, მაგრამ საპასუხოდ მაგარი მუშტი უნდა დაახვედრო. ახლა ეგრეა! თუ მაგ ბოლმის ნთხევას ძალით მოაკეტვინებ, ქვეყნიერება ანტიდემოკრატიზმში ჩაგითვლის... მაგრამ როცა მოქმედებაზე გადავლენ და მაგარ მუშტს სთხლეშ, სახელმწიფოებრიობის კანონიერ დაცვად ჩაგეთვლება... — ნოდარი ამრეზილი უყურებდა.

გივიმ განაგრძო:

— ჰოდა, ამიტომ... — ხელი ისევ სამინისტროსაკენ გაიქნია. — ამათ უნდა დავუდგეთ მხარში... და მაგრადაც უნდა დავუდგეთ, ძალიან მაგრად! თუ არა და, მაშინ სჯობია, ახლავე დაახვიო აქედან, სანამ რაღაცის თან წაღების საშუალება გაქვს.

ზეინაბი დაკარგულივით დაბორიალებდა ნაშინდრის ცარიელ ბინაში. ყველა კუთხეში შეიხედა, თითქოს რაღაცას ეძებსო. ერთხანს უაზროდ იდგა ადგილზე, მერე ეცა თან მოტანილ ჩანთებს, გადაათრ-გადმოათრია ადგილიდან ადგილზე, გახსნა დაუწყო. კესომ სცადა ხელის შეშველება, მაგრამ ხელის აქნევით მოიშორა ქალბატონმა. ჰკითხა:

— შენ ეგ მითხარი, ეს იორამი სად დაიკარგა?..

— ვერ ვიცი, ქალბატონო... სუ დადის...

— სად დადის?

— რა ვი, აბა, ხან გორში მიდის, ხან სად. საბუთებს ვეძებო, ვაგროვებო, ეგრე ამბობს...

— ხომ არ გაგიჭირდა მაგისი მოვლა?

— უი, ქაა, არა! სუფთა კაცია, წყნარი... არც არაფერსა გთხოვს, თუ შენ თვითონ არ გაუკეთე...

— საჭმელს უკეთებდი, მე როგორც დაგიბარე?

— მე კი ვუკეთებდი, მაგრამ... რა ვი? თითქმის არც უჭამია...

— როგორ?!..

— სუ ნაქეიფარი მოდის... ნაჭამი ვარო, ამბობს.

— ესე იგი, ბევრს სვამს? მთვრალი მოდის ხოლმე?

კესო უხერხულად შეიშმუშნა...

— აბა, რა გითხრათ... ისე, ზოგჯერ... ერთი-ორჯერ კარგა მთვრალიც მოიყვანეს...

კართან ჯაჯგური ატყდა, აქაურებმა, შავმა კოტემ და ორმა ახალგაზრდამ — თედომ და ილამ, ნახევრად ხელში ატატებული შემოიყვანეს იორამი. იორამმა თავი გაითავისუფლა, წაბარბაცდა, დადგა, თვალები დააჭყიტა, დახუჭა და გაალო.

— ვაჰ, ამას რას ვხედავ! მეჩვენება? გარიაჩკა ხომ არ დამეწყო? შენა ხარ?..

ზეინაბი მის დანახვაზე გაშეშდა და გაფითრდა.

— ვაიმე, როგორი მთვრალია... — ჩაილაპარაკა.

— ლაპარაკობს! ეგ არი, ზეინაბია! — მასხრულად შესძახა იორამმა და სცადა წელზე ხელი მოეხვია... ზეინაბი მოხერხებულად გამოეცალა და სოფლელებს მიმართა:

— ამდენი რატომ დაალევინეთ?..

შავი კოტე, თედო და ილა ერთად აყაყანდნენ. ისინიც კაი მაგარი მთვრალები იყვნენ...

— აბა, ქალბატონო, მაგას სასმელს ვინ დაუთვლის?! — თქვა შავმა კოტემ.

— ზოგჯერ ჯეელებსაც აქეთ გვათრობს... — თქვა თედომ.

— მაგასთან ქეიფს კიდე, რა სჯობია! იგრე გვიყვარს მაგისი ლაპარაკი, ვეღარც ვიგებთ, დრო როგორ გადის... — თქვა ილამ.

— მაშა! უმაგისოდ სუფრაზე დაჯდომაც აღარ გვინდა! იგეთი კაცია, იგეთი, რო! ძვირფასი კაცია, რა! რა ვქნათ! — გაიღრიჭა შავი კოტე, თან თითქოს ბოდიშის მოსახდელად ხელები გაშალა, თან კარისაკენ დაიხია.

— ბოდიში მოგვითხოვია!

— აბა, კეთილად!..

— ღმერთმა გაგიმარჯოთ! — ამოძახილებით გაიკრიფა სამივე.

იორამი საწოლისაკენ წაბანცალდა, თან თითქოს ვიღაცას ატყობინებსო, გაიძახოდა:

— ზეინაბი გამოცხადდა, ზეინაბი!

კესო შეჰყვა საძილეში, ხელი შეაშველა და იორამი საწოლზე გაიშოტა. ზეინაბი არ განძრეულა, ისევ გაშეშებული იდგა. თავისთვის ჩაილაპარაკა:

— რა ვქნა? როგორ უნდა დაველაპარაკო?

...და დუმილის შემდეგ:

— ნეტავ, სულ ასე მთვრალი იყოს!..

იორამი დილაადრიან გამობორიალდა დიდ ოთახში. ვერ შეამჩნია დივანზე მძინარე ზეინაბი და ტერასაზე გავიდა. იდგა გარინდებული და დილის ჰაერს ისე ისრუტავდა, თითქოს წყალს სვამსო. მერე რატომღაც აბაზანის მაგიერ ეზოში, მოშორებით გამოყვანილ ონკანს მიაშურა, მოუშვა, წყალი გადაივლო თავზე, კისერზე, მხრებზე, მკლავებზე. თავისივე მაისურით შეიმშრალა და ოთახში შებრუნდა, სამზარეულო კუთხეში გავიდა და გაზის ქურაზე ყავის ხარშვას შეუდგა. ჯეზვე დიდ ფინჯანში გადმოაპირქვავა, ლამბაქზე დამხობილი ლიმონის ნახევარი აიღო და ყავაში ჩაწურა. მერე ფინჯნით ხელში დიდ ოთახში გავიდა და ისევ ტერასისაკენ გაემართა. თვალებით დიდ დივანზე გაშლილ ლოგინსა და შიგ გახვეულ ზეინაბს წააწყდა, შედგა, უყურა. მერე მოტრიალდა და დაბალ მაგიდასთან, დივნის გვერდით სავარძელში მოეწყო თავისი ფინჯნიანად. ორი ყლუპი მოსვა, სიგარეტი ამოიღო და გემრიელად გააბოლა. უყურებდა მძინარეს, შიგადაშიგ ყავას ყლუპავდა, აბოლებდა, სანამ ზეინაბი არ შეიშმუშნა და თვალები არ გაახილა.

— აჰა, გაიღვიძე, მზეთუნახავო! — ფინჯანი მაგიდაზე დადგა და დივანზე გადაუჯდა. ხელი საბანქვეშ შეუყო, მსუბუქად ჩამოუსვა ზურგზე, ხერხემლის ღარში. ზეინაბს გააჟრჟოლა და სხეული დაეძაბა, რამდენიმე წამი ასე იყო, გახევებული, მერე სწრაფი მოძრაობით გადმოიქნია ფეხები და ლოგინიდან წამოხტა, სწრაფადვე მოიცვა მსუბუქი ხალათი და ნოხზე ფეხშიშველამ გაიარა. მონახა ფაჩუჩები და ფეხები შიგ წაყო, სავარძელში ჩაჯდა და სიგარეტი გააბოლა. იორამი გაკვირვებული უყურებდა.

— რა იყო, გეწყინა რამე?..

ზეინაბი საშინლად იყო დაძაბული, მოძრაობა სიგარეტის მოწევისასაც კი ისეთი შებოჭილი გაუხდა, თითქოს ხელის განძრევაც უჭირდა. სიტყვებს ეძებდა, ძლივს ამოღერღა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ:

— არა, არაფერი... ოღონდ რაღაც... იცი, რა? რაღაც ვერა ვარ კარგად...

— გამოკვლევაზე ვიწექიო... რაღაცა ღვიძლიო... ვერაფერი გავიგე იმ შენი წერილიდან... მაინც რაშია საქმე?

— არა... არაფერი... ღვიძლი კი არა... წერილში არ მინდოდა ჩამეწერა... ქალური ამბავია... ქალური ავადმყოფობა... არ მინდა ახლა მაგისი წვრილმანები ჩამოგიკაკლო... შენ ხომ გძულს ეგეთ რამეებზე ლაპარაკი და არ მინდა...

— კაი, ბატონო... მაგრამ საავადმყოფოში გამოკვლევებიო და... დაგინიშნეს რამე მკურნალობა?..

— დამინიშნეს, დამინიშნეს! საშიში კი არაფერია, მაგრამ აუცილებელია მკურნალობა... ახლა კურსს გავდივარ, ერთ კვირაში დავამთავრებ და ისევ წავალ გამოკვლევაზე. შედეგი უნდა ნახონ... შეიძლება, პროცედურებიც დამჭირდეს...

კარში კესომ შემოიხედა და ზეინაბს მიმართა:

— ქალბატონო, დავიწყო მატყლის ხარშვა? მღებავსაც დავუძახო?

ზეინაბი თითქოს დაიბნა, ყოყმანით თქვა:

— არაა... დღეს მაგისი თავი არა მაქვს... ვნახოთ... — მერე უეცარი კატეგორიულობით დაამატა. — არა, აღარ გვინდა! საერთოდ აღარ დამჭირდება... მერე მოგელაპარაკები...

ხელი აუქნია. კესო გავიდა.

— რა იყო? მაგ თექებსაც ჯვარი დაესვა? — იკითხა იორამმა.

ზეინაბი ისევ არეულად, სწრაფად ალაპარაკდა:

— არა... აქ აღარ... ეს მატყლი არ ვარგა... სხვა ხარისხი უნდა... იქ, თბილისში...

მერე უცებ აგრესიულად:



— ისე, რომ იცოდე, რაღაცები გავყიდე! აბა, ეს საიდან? — ჩანთებზე მიუთითა. — რაღაც ტანსაცმელიც ვიყიდე... იქაა საჭირო მუშაობა, ერისთავის სალონში... ვიმუშავებ... ამ პერიოდშიც ვმუშაობდი... — წამოხტა, ყავის ხარშვა დაიწყო.

— ესე იგი, კიდევ ორი თვე დაიკარგები? ერისთავის სალონი... პროცედურები... შე დალოცვილო, თითქმის ორი თვე დაიკარგე, წესიერად ამბავიც ვერ შემატყობინე.

ზეინაბი ჯეზვეთი და ფინჯნით ხელში შემოტრიალდა... ხმაში უეცარი გაკაპასება, ისტერიული ტონი გაუჩნდა:

— მერე შენ რა დაგაკლდა? არც შენ მოგიწყვია ვსესოიუზნი როზისკი... მოწყობილხარ აქ შენს გემოზე და და ქეიფობ! რა? გული გაგისკდა თუ შავი ხანდრა დაგემართა?

იორამი წამოდგა, სამუშაო მაგიდაზე თავისი მათარა მონახა, კარგი ყლუპი გაავკეთა და ხმაში გესლი გაუჩნდა:

— გულიც კარგა ხანია გამსკდარია და შავი ხანდრაც კარგა ხანია, მჭირს... კიდე რაღა უნდა დამმართოდა?..

— ჰოდა, აბა რა გინდა? შენთვის რა მნიშვნელობა აქვს, ორი თვე დავიკარგები თუ სამი? დაგითვლია კიდეც, — „თითქმის ორი თვე“... ეგეც მიკვირს შენგან, რამხელა ყურადღება გამოგიჩენია! როგორ შეამჩნიე უჩემობა, საკვირველია! თითქმის ორი თვე! — თითქოს ხელმოსაკიდი გაუჩნდა და გაუადვილდა, ნიშნის მოგებით ლაპარაკობდა.

— როგორც ყოველთვის, როგორც ყველგან, როგორც ყველა ქალმა, ბანალურად მონახე საშველი: „გალმა შეედავეს“ პრინციპი... მალადეც! მიდი, გარეკე! — ერთი გემრიელი ყლუპიც დაარტყა მათარიდან და გესლიანად დაამატა. — ისე მართალი ხარ! თითქმის არც შემიმჩნევია უშენობა. ერთადერთი ეგაა, რომ მითითებებისა და ჭკუის დარიგებებისაგან დავისვენე!

— ჰოდა, ასე! — ისევ გაკაპასებით, ოღონდ ბოღმის ცრემლებით წაგუდული ხმით დაიძახა ზეინაბმა. — იყავი დასვენებული! შენ შენთვის და მე ჩემთვის!

შეტრიალდა და გავარდა სააბაზანოსკენ. იორამმა უკვე სრულიად ფლეგმატურად დაადევნა:

— ისე, თუ ცალკე ძილი გირჩევნია, საძილეში გადაბარგდი. ღამღამობით ვმუშაობ ხოლმე და აქ ხელს შემიშლი. აქ, — ხელი დივნისაკენ გაიქნია, — ჩემთვის უფრო მოსახერხებელია.

ზეინაბი სააბაზანოში შევარდა და კარი ჩაკეტა, ონკანები მოუშვა და ისტერიული, ბოღმით სავსე ქვითინი წასკდა. ხმას კბილებში მუშტების შეტენვით ახშობდა, ცახცახებდა.

— აღარ არის იორამი! ეს იორამი აღარაა! მე არ ვიცი, ვინაა! იორამის ფიტულია... ყველაფრისაგან დაცლილი, მხოლოდ ღვარძლის ნარჩენები... ღვარძლიც უძლური და უნიათო... ისე, რა, გულის მოსაფხანი... მგონი. ეგ გულის მოფხანაც მოწყენილი აქვს... სად გაქრა ყველაფერი? ჩემი ყველაფერი... ჩემი საყვარელი ყველაფერი? სადა ვარ? რატომ ვარ? ნუთუ მხოლოდ მხეცის ამარა დავრჩი? ამისთვისა ვარ ქვეყანაზე? ესღა დარჩი ზეინაბი? ზეინაბი შენა ხარ? მხეცი ყაფლანიშვილის ხასა? მისი სახმარი? მისი სიაფანდი, უზრდელი „კომპლიმენტების“ მსმენელი?

ანგარიშმიუცემლად უმატებდა და უმატებდა ნაკადს ონკანებში. წყალი ყველა სადინარიდან თხლიშინით მოდიოდა, შხაპიდან წამოსული შხეფები ასველებდა გარშემო ყველაფერს. გვიან გააცნობიერა, რომ თვითონაც თითქმის სველი იყო და შხაპს ცელოფანის ფარდა ჩამოაფარა...

უსაზმნოდ ფხრეწდა და ჭმუჭნიდა, ფხრეწდა და ჭმუჭნიდა ტუალეტის ქაღალდის რულონს და ყრიდა და ყრიდა უნიტაზში. ისევ უეცრად აღიქვა, რომ უნიტაზი ამოვსებულია ქაღალდის გროვებით და ავზიდან წყალი ჩაუშვა წყალი წამოვიდა ხრიალით და დაგუბდა. გრძელი ჯაგრისით უჩუჩხურა ქაღალდის გროვებს, ისევ ჩამოუშვა ავზიდან წყალი, ისევ უჩუჩხურა. მოთმინება არა ჰყოფნიდა, დალოდებოდა ავზის შევსებას, ისევ უშვებდა და უჩუჩხურებდა, უჩუჩხურებდა... მოქმედებდა ისტერიული მიზანდასახულობით, თითქოს რაღაც გამოსავალს მიაგნოო.

ბოლოს უნიტაზიც ჩაიწმინდა, ბოლო წყალმაც ჩაიჩხრიალა და თითქოს სიჩუმე დადგა. ერთნაირად, თანაბრად მოშხრიალე ონკანების ფონს ავზის ისტერიული, ხმამაღალი ჩაჩხრიალებები გამოაკლდა და დარჩენილი თანაბარი შხრიალი სიჩუმედ აღიქმებოდა. ზეინაბი უნიტაზის დახურულ ხუფზე იჯდა და პირსახოცით თავ-პირს იმშრალებდა, განაგრძობდა თავის თავთან ლაპარაკს:

— ჰო, გაგრიალდი, ზეინაბო, მაგრად გაგრიალდი! ფრანგული შამპანურები! შიკბლესკ! მხეცური სექსი! ხომ გენატრებოდა ქვეშეცნეულად... თავს არ უტყდებოდი... მაგრამ ასე არა! ასე არა! სხვანაირად მენატრებოდა... ჩემს სიყვარულში მენატრებოდა! ახლა რა ვქნა? როდემდე ვიგრიალო ასე უხამსად, უშნოდ, ღორულად? რა ვქნა?!

იჯდა თვალებგაფართოებული, მუშტს იჭამდა, ფიქრობდა. მერე უეცრად თითქოს რაღაცა გაახსენდა, თვალებში ნაპერწკლებმა გაუელვა.

— ერთი რაღაც დარჩა! ეს უნდა მივიყვანო ბოლომდე! რადაც უნდა დამიჯდეს! ყაფლანიშვილს უნდა შევასრულებინო პირობა! იორამი უნდა დააფინანსოს საზღვარგარეთ! იორამი უნდა წავიდეს! ეგეოსის ზღვა! კუნძულები! ეგეოსის კუნძულები! ჰა-ჰა-ჰა-ჰა! რა ბედნიერი ვიყავი ოდესღაც, მხოლოდ ამისი მოლოდინითაც კი! რა გოგო ვიყავი! რა ბავშვი! რა კარგი ვიყავი! არა, მართლა კარგი ვიყავი, როგორ არა! და რა დარწმუნებულიც ვიყავი, რომ ძალიან კარგი ვარ! რა კარგი იყო იორამი! იორამი ჩემი სიცოცხლე იყო!

ისევ წასკდა ჩუმი ცრემლები. მალევე შეიმშრალა პირსახოცით.

— რა იქნებოდა, მაშინ რომ კა-გე-ბეს გავეშვით? — მზერა დაურბილდა, ნაზი და მეოცნებე გაუხდა. — ყველაფერი სხვანაირად იქნებოდა, სხვანაირად! ისე იქნებოდა, როგორც მე მჯეროდა და მიყვარდა!

თვალები ისევ ჩაუქრა, მზერა გაუცივდა.

— ეეჰ, რა ვიცი, რა ვიცი!

წამოდგა, სარკეში თავი მოიწესრიგა, ონკანები ერთიმეორის მიყოლებით გადაკეტა. ისევ სარკეს ჩააშტერდა, მერე გადამწყვეტად, მისი დამახასიათებელი ჯიუტი ინტონაციით ჩაილაპარაკა:

— ფაქტია, ეს უნდა გავაკეთო! ბოლომდე მივიყვანო! რადაც უნდა დამიჯდეს... მერე არ ვიცი! მეტი რაღა უნდა ვიცოდე? მეტი რაღა დარჩა? მეტი არაფერი ვიცი!

დიდ ოთახში გამოვიდა, მოათვალიერა. ოთახი ცარიელი იყო.

— იორამ, იორამ, სადა ხარ?! — და კარისაკენ წავიდა, გაიხედა.

— წასულა... — ყრუდ ჩაილაპარაკა.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*



# ეშმაკის მოციქული

დასაწყისი — „გზა“, №38-33

**მარი ჯაფარიძე**

თვალი გადავავლე ჩემს ახლო და შორეულ წარსულს... ვერავინ გავიხსენე ისეთი, ვისაც ჩემთვის ცუდის გაკეთება სურდა, მით უმეტეს, ნიცას საშუალებით შურისძიება ან ჩემი გამწარება რომ ნდომოდა. თუმცა შესაძლოა, უბრალოდ, იმწუთას ვერ გავიხსენე.

ლაშამ ბიჭები გაუშვა.

— რა ვქნათ ახლა? — მკითხა დაფიქრებულმა. — რა ვუშველოთ ამ საქმეს?

მხრები ავიჩეჩე.

— მანქანის ნომერი არაფერს გეუბნება, არა?

— არა, ასეთი მანქანა, არ მახსოვს, რომელიმე ჩემს ახლობელს ჰყოლოდა. ნიცას მამას ვეტყვი, ის დაადგენს მფლობელს.

იმედი მომეცა თითქოს. მაშინვე საქჩეს მივუჯექი, ლაშა სახლთან ჩამოვსვი და ვალერის მივადექი. არ დამხვდა. კარგა ხანს მომიწია ლოდინმა. დერეფანში ბოლთას ვცემდი. ვალერი ისე წამომადგა თავს, ვერც შევნიშნე.

— ახალი ხომ არაფერია? — მხარზე ხელი დამადო და ფიქრებიდან გამომარკვია.

— კი, არის რაღაც.

— მოდი, — თავით კაბინეტისკენ მანიშნა.

ყველაფერს მოვუყევი, რაც ბიჭებისგან გავიგე. მის სახეზე ნაკვთიც არ შერხეულა, გაყინული სახით მისმენდა. როდესაც ლაპარაკი დავასრულე, გავჩუმდი და დაველოდე, რას მეტყოდა.

— ახლა რა ვქნათ ჩვენ? — რაღაცნაირად, სასოწარკვეთილი ხმით იკითხა.

— ახლა ამ მანქანის პატრონი უნდა დავადგინოთ, — ვუკარნახე.

— კარგი, მაგრამ არა მგონია, რომ ამან რაიმე მოგვცეს, — ვალერიმ თანამშრომელს დაუძახა და დაავალა, ავტომანქანის მფლობელის ვინაობა დაედგინა.

— პასუხს როდის გვეტყვიან? — ვერ ვითმენდი.

— სავარაუდოდ, ერთ საათში. ასე უკვალოდ გამქრალი ადამიანი არ მინახავს. მაინცდამაინც ჩემს შვილს უნდა შემთხვეოდა ასეთი უცნაური ამბავი...

თავი ჩავქინდრე. ვალერი თავის საქმეს მიუბრუნდა, მე ჩუმად, თვალს ვადევნებდი მის სახეს. ვხვდებოდი, ფიქრი გაექცეოდა ხოლმე, თვალი ერთ ადგილზე უშტერდებოდა, მერე უცებ გამოერკვეოდა და რომელიღაც საქმის გაცნობას თუ კითხვას განაგრძობდა.

როგორც იქნა, მოგვიტანეს პასუხი. ავტომანქანა ვინმე რომან მეტრეველს ეკუთვნოდა. მისი საცხოვრებელი ადგილი კი როსტოვი გახლდათ.

— მომიწევს როსტოვში წასვლა, — გადაჭრით ვთქვი.

— დავურეკავ იქაურ მილიციის უფროსს და ის გაიგებს ყველაფერს.

— არა, წავალ. იქნებ, რაიმეს, უფრო ხელმოსაჭიდს მივაკვლიო.

— შენ დამოუკიდებელ გამოძიებას აწარმოებ? — ვალერის ტუჩის კუთხე ღიმილმა შეურხია.

— დარწმუნებული ვარ, მე უფრო მეტი შემიძლია.

— კარგი, როგორც გინდა. ჩემი სამსახურის ტელეფონის ნომერი ჩაიწერე და საქმის კურსში ჩამაყენე, თუ ახალი გარემოებები გამოჩნდება.

ვალერის დავემშვიდობე და აეროპორტში წავედი, რომ მეორე დღისთვის ბილეთი შემეკვეთა. ნაცნობობით, ძლივს ვიშოვე ბილეთი.

ახლა მთავარი იყო, მალე გათენებულიყო.

თვითმფრინავში რომ ჩავჯექი, შვება ვიგრძენი. გული ცუდს არ მიგრძნობდა. თუმცა ისიც არ ვიცოდი, როგორ უნდა მოვქცეულიყავი. იმ მისამართზე რომ მივიდოდი, რა დამხვდებოდა, არავინ იცოდა...

მერე?.. რა უნდა გამეკეთებინა მერე?.. ალბათ იმის მიხედვით ვიმოქმედებდი, რასაც საქმე მიჩვენებდა. გამომძიებლობა საინტერესო საქმე ყოფილა-მეთქი, გავიფიქრე.

როსტოვის აეროპორტიდან პირდაპირ სასტუმროში წავედი. ტაქსი არ გავუშვი. ბარგი დავყარე თუ არა, მაშინვე კიბეზე დავეშვი და ტაქსის მძღოლს მეტრეველის მისამართი ვუკარნახე. ქალაქის განაპირას, თითქმის ქალაქგარეთ, კერძო სახლი აღმოჩნდა. საკმაოდ მაღალი გალავანი ჰქონდა და ეზოში რა ხდებოდა, იმის დანახვა გამიჭირდა.

სახლს შემოვუარე. მის წინ გზა ჩადიოდა, აქეთ-იქით სახლები იდგა, უკან კი ასე, 50 მეტრში პატარა და ლამაზი ტყე იწყებოდა.

სწორედ უკანა მხრიდან ავცოცდი გალავანზე და ეზოში გადავიხედე. ლამაზად, წითელი, დაფშვნილი აგურით მოკირწყლული ბილიკები მწვანე მდელოს რამდენიმე ადგილას კვეთდა. ეზოს წინა მხარეს სავარაუდოდ, შადრევანი და აუზი უნდა ყოფილიყო, მაგრამ აქედან მხოლოდ აუზის ნაწილი ჩანდა და ჩემამდეც მხოლოდ შადრევნის ხმა აღწევდა. ადამიანის ჭაჭანება არ ჩანდა. სახლსაც სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა.

თავიდან გადაწყვეტილი მქონდა, დამეკაკუნებინა და მასპინძელი მომენახა, მაგრამ ახლა გადავიფიქრე. სჯობდა, აქაურ „შავებს“ დავკავშირებოდი და მათგან გამეგო, ვინ ცხოვრობდა ამ სახლში.

უკან გავბრუნდი. ფეხით კარგა ხანს ვიარე, ვიდრე ტაქსის გავაჩერებდი. სასტუმროში დავბრუნდი და ვასიკოს ტელეფონის ნომერი ავკრიბე.

ვასიკო თბილისელი ბიჭია, მეტსახელად — ზვერი. ეს სახელი იმის გამო შეარქვეს, რომ ფიზიკურად ძალიან დიდია — მაღალი და „ჩადგმული". ყოფილი მოჭიდავე და მოკრივეა და მისი დარტყმული მუშტის შემდეგ, ფეხზე ვერავინ დარჩება, ერთი დარტყმით ხარსაც კი მოცელავს. მის ჩადენილ საქმეებზე ლეგენდები დადიოდა. კონფლიქტში არავისთან შედიოდა. კეთილი გული ჰქონდა და შესაძლოა, რომელიმე მელოდრამაზეც ისე გულიანად ექვითინა, წყლით მოსაბრუნებელი გამხდარიყო. სამაგიეროდ, თუ გაბრაზდებოდა, ყველაზე საშიში ხდებოდა. უსამართლობას ვერ იტანდა და სუსტის მჩაგვრელს პასუხს უეჭველად მოსთხოვდა.

მას თბილისიდან ვიცნობდი. მერე კარგა ხანს აღარ მყავდა ნანახი და ერთ ქურდულ „სხადნიაკზე" შევხვდით ერთმანეთს... ამის მერე იშვიათად ვხვდებოდით, მაგრამ სატელეფონო კავშირი სულ გვქონდა. მთელ როსტოვს აკონტროლებდა და ყველა კარგი ქართველის ქომაგი და დამხმარე იყო.

ვასიკოს ნამძინარევი ხმა ჰქონდა. ეტყობოდა, ჩემი ტელეფონის ზარმა გააღვიძა. ძლივს მიხვდა, ვინ ურეკავდა. როცა გამიხსენა, ძალიან გაუხარდა.

— აქ რა გინდა, ბიჭო? საქმეზე იქნები ჩამოსული, ჩემს სანახავად ხომ არ შეიწუხებდი თავს?!

— ჰო, საქმეზე ვარ, თან, ძალიან სერიოზულ საქმეზე.

— ბანკი უნდა გავიტანოთ? — ჩაიხითხითა.

— არა. სასტუმრო „როსტოვში" ვარ, აქ მოდი და ყველაფერს მოგიყვები.

— მოდი, იცი, რა ვქნათ?.. მე გუშინდელი ნაქეიფარი ვარ, „პახმელიაზე" თავი მისკდება. სადმე შევხვდეთ, რესტორანში დავსხდეთ და იქ ვილაპარაკოთ.

— არ ვსვამ, ექიმებმა ამიკრძალეს. ისე წავიდეთ, თუ გინდა.

— ექიმებს რას უჯერებ, ბიჭო?! ახლა მოგაკითხავ და მერე გადავწყვიტოთ. ნახევარ საათში მანდ ვარ. ბევრი არ მალოდინო და არ მასიგნალებინებენო, ნახევარ საათში დაბლა იყავი, — ჩემი პასუხისთვის არც დაუცდია, ყურმილი ისე დაკიდა.

ცოტა ხანში მისი „ინომარკით" როსტოვის ქუჩებში მივქროდით. მაგარი მანქანა ჰყავდა, ძალიან მომეწონა.

— ასეთი ვინმეს კიდევ ჰყავს როსტოვში?

— არა, ქალაქკომის მდივანი „ოცდაოთხით" დადის, მაგათ მაგის შნო სად აქვთ?!

— რატომ? ფულს ვერ შოულობენ თუ?..

— ფულს იმდენს შოულობენ, სად წაიღონ, აღარ იციან, მაგრამ ყველა თავის სკამს უფრთხილდება. ხომ იცი, მაშინვე პასუხს მოსთხოვენ, — საიდან, როგორ, რა საშუალებით, „ანონიმკებს" დაუწერენ და არ შეარჩენენ. მილიციის უფროსი ქალებში რომ მიდის, ჩემგან თხოულობს მანქანას, რომ გაიმარიაჟოს... აი, მოვედით კიდეც, — თქვა და რესტორნის ეზოში მოხერხებულად შეუხვია.

ვიდრე სუფრას გაშლიდნენ, მანამდე მოკლედ მოვუყევი, რის გამოც ვიყავი ჩასული.

— მდაა, — თქვა ბოლოს, — მართლა სერიოზული ამბავია. დღეს აღარ დავლევ, ბევრი საქმე გვქონია მოსაგვარებელი.

მადლიერი თვალებით გადავხედე. როგორც ჩანს, მიხვდა, რომ გადაწყვეტილება მოვუწონე.

— ნუ ნერვიულობ, ძმაო, თუ ეგ გოგო როსტოვშია, მიწიდანაც ამოვიღებ, — მერე დაფიქრდა და გააგრძელა: — ღმერთმა ნუ ქნას, მიწიდან ამოსაღები გაგვიხდეს. იმედია, კარგადაა.

იქ დიდხანს არ გავჩერებულვართ, მალევე წამოვედით და ისევ იმ სახლს მივადექით, სადაც შუადღისას ვიყავი.

— ეს სახლი, ძმაო, ქართველი კაცისაა, რომანი ჰქვია. აქ რაღაცას აკეთებს, კოოპერატივი აქვს, მაგრამ ისეთი არაფერი, რომ ამდენ ფულს შოულობდეს, ასეთი სასახლის აშენების თავი რომ ჰქონდეს. მაგას კუდზე მე ვაზივარ, წილი ჩემთან მოაქვს, მაგრამ ის კი არ ვიცოდი, ამდენი თუ იშოვა. 3 წლის წინ აქ ერთი პატარა სახლი იდგა, იმის მერე აღარ მოვსულვარ. ყოველთვე პატიოსნად მოაქვს წილი... უყურე შენ! მაგას დავიბარებ და „სტავკას" გავუზრდი. სწორედ მაგ საბაბით მოვიყვან ჩემთან და შენც შეგახვედრებ.

მალევე გამოვბრუნდით. სასტუმროში აღარ დამტოვა, ხარჯი გაისტუმრა, ბარგი ჩამომატანინა და თავისთან წამიყვანა.

ქალაქის შუაგულში, საუკეთესო უბანში, 4-სართულიან კერძო სახლში ცხოვრობდა. ასეთი სახლი პირველად ვნახე. მუზეუმს ჰგავდა, ყველანაირი კომფორტი და ფუფუნება...

— ეს ყველაფერი საზღვარგარეთიდან ჩამოვატანინე, — დამნაშავესავით თქვა, როცა ჩემი გაოცებული მზერა შენიშნა.

— შენ მაგრად ხარ მომჯდარი ამ ქალაქში, როგორც ჩანს, — აღფრთოვანება ვერ დავფარე.

— ჩვენი „ბიზნესისთვის" პატარა ქალაქები ჯობია. მართალია, როსტოვი არც ისე პატარაა, მაგრამ მოსკოვთან შედარებით, სულ ერთი ციცქნაა. აქ გასაყოფი არაფერია და ამიტომ, არც შემცილებელი გვყავს ვინმე.

— როგორ, მარტო შენ აკონტროლებ ამ ქალაქს?

— ნუ, ასე ვთქვათ, 2 „ფილიალი" მაქვს, რომელსაც ქართველი ბიჭები „უყურებენ". იმათგანაც მოდის წილი... ასე რომ, აქ უჩემოდ არაფერი წყდება. ლამის ქალაქკომში თათბირებსაც დამასწრონ. თანამდებობებზე ხალხს მე ვნიშნავ. ამიტომ ყველგან ჩემი კაცი მყავს და უბატონოდ ხმას არავინ მცემს. იციან, რომ ჩემთან კონფლიქტი მათი მოხსნით დასრულდება...

— აქ „ბეზპრედელი" ყოფილა! მოსკოვში ასე არაა, იქ სხვა სიტუაციაა.

— ვიცი, ვიცი და იმიტომ ვამბობ, რომ პატარა ქალაქში ჯობია ცხოვრება. ახლა დავურეკავ რომანს და მოვიკითხავ.

კარგა ხანს ელოდა, როდის უპასუხებდნენ მის ზარს.

როგორც ჩანს, რომანი შინ არ იყო. ვასიკომ დაიბარა, რომ დაბრუნდება, დამირეკოსო და ყურმილი დაკიდა.

— საღამოს დარეკავს აუცილებლად და — ჰოპ! ადგილზე გავუიმავთ, შენ ამაზე არ ინერვიულო, — გამამხნევა.

საღამომდე, ლაპარაკსა და ტელევიზორის ყურებაში გავლიეთ დრო და როგორც იქნა, რომანმაც დარეკა.

— ჩემთან გამოდი, საქმე მაქვს, — მკაცრი ტონით უთხრა ზვერმა, — ჰო, დღეს, აუცილებელი საქმე მაქვს... მოხვალ და გაიგებ... კარგი...

ერთ საათში კარზე ზარი დარეკეს.

ოთახში მაღალი, სიმპათიური მამაკაცი შემოვიდა. თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. წვრილი, კატასავით თვალები ჰქონდა. ასეთი თვალების პატრონებს არ ვენდობოდი. თვალები და სიცილი ხომ ყველაზე კარგად ავლენს ადამიანის შინაგან ბუნებას. ასეთი წვრილი თვალების მქონენი ცბიერები არიან. არასოდეს უმტყუნია ჩემს ინტუიციას.

— აქ დაჯექი, — ხელით ანიშნა ვასიკომ ჩვენ წინ მდგარ სავარძელზე.

რომანი მორიდებულად ჩამოჯდა. მის გამოხედვაში მოწიწება იგრძნობოდა, მაგრამ სიღრმიდან ბოროტი ნაპერწკალი მაინც კიაფობდა.

— ეს ჩემი მეგობარია, გაიცანი.

ხელი ჩამოვართვი.

— ასეთი სასწრაფო რა იყო, ბატონო ვასიკო? — შემპარავი ხმით იკითხა. ნაძალადევი ზრდილობა და თავშეკავება იგრძნობოდა მის ხმაში.

— დღეს ვიყავი შენს უბანში საქმეზე... — უთხრა და პაუზა გააკეთა.

რომანს უნებურად წარბები შეეჭმუხნა.

— მერე? ჩემი დახმარება ხომ არ გჭირდებათ?

— იქ, სადაც ადრე შენი სახლი იდგა, ახლა უზარმაზარი სასახლე დგას. სახლი გაყიდე თუ ისევ იქ ცხოვრობ?

— ისევ იქ ვცხოვრობ, — აშკარად ნირი წაუხდა.

— მერე, იმ შენი კოოპერატივით იმდენი ფული იშოვე, რომ ამხელა სახლი წამოჭიმე?!.

რომანი დუმდა.

— ხომ იცი, მაინც გავიგებ, რით შოულობ მაყუთს. ჯობია, თავად მითხრა. თუ ისაა, რასაც მე ვფიქრობ, იცოდე, მაგის გამო პასუხს მოგთხოვ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



# წითელი ფეხსაცმელი

სვეტა კვარაცხელია

**ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით**

**gza.fantazia@gmail.com**

დასაწყისი
იხ. „გზა“ №23-33

ნია კიდევ უფრო დაიძაბა. კარგა ხანს ჩუმად იჯდა, შემდეგ, როგორც იქნა, ძალა მოიკრიბა და ხმადაბლა თქვა.

— მაკას მიაჩნდა, რომ მე მამაკაცი მჭირდებოდა... მისი აზრით, ჩემი სიმარტოვე დასანანი იყო.

ის იტყუებოდა. გიგი მაშინვე მიხვდა ამას. რაც ერთმანეთს ხვდებოდნენ, საკმაოდ კარგად გაიცნო იგი. გულზე თითქოს რაღაცამ მოუჭირა. ნიამ იგრძნო, რაც ხდებოდა მამაკაცის თავს და სიტუაციის განმუხტვა სცადა.

— რატომ ანიჭებ მაკას ნათქვამს ამხელა მნიშვნელობას? ის ჩემი ახლო მეგობარი არ არის, უბრალოდ, კარგი ნაცნობია...

— ისეთი ახლო ნაცნობი, რომ მისი გულისთვის მისი საყვარლის მეთვალყურეობაც არ ითაკილე? ადრე მეუბნებოდი, დაქალიაო, რომელი დავიჯერო? — კოპები შეკრა მამაკაცმა.

გიგის ხმაში კვლავ გამოწვევა იგრძნობოდა. ამან გააღიზიანა ნია. ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ მაკასაც და დევიძესაც... მათ გამო შეიძლება გიგისთან გატარებული ძვირფასი წუთები ჩაშხამდეს!

— არ მინდა ლაპარაკი არც მასზე და არც მის საყვარელზე! — თავი ამაყად ასწია და კატეგორიული ტონით განაცხადა. თუმცა ყველაზე მეტად საკუთარ პრობლემებზე ლაპარაკს გაურბოდა, არ უნდოდა, გიგის გაეგო, კახას ვალი რომ მართებდა.

თავს საშინლად არაკომფორტულად გრძნობდა, ტყუილის თქმა რომ უწევდა. მაგრამ რატომ უწყობს დაკითხვას? რა საერთო აქვს მის პრობლემებს მათ ურთიერთობასთან? ახლა რომ ყველაფერს მოჰყვეს, სამუდამოდ დაკარგავს ამ ადამიანს და მერე მთელი ცხოვრება დაიტანჯება.

ნია წამოდგა და სააბაზანოსკენ გაემართა. კარი შიგნიდან ჩაკეტა და სარკეში თავის გამოსახულებას დააშტერდა. ეზიზღებოდა საკუთარი თავი...

ონკანი მოუშვა და წყალი გადაივლო. ათი წუთის შემდეგ თავი უკეთ იგრძნო. ყველაფერი ასე ახლოს არ უნდა მიიტანოს გულთან. თუმცა რესტორანში ჩხუბი ხომ მის გამო მოხდა... როგორ შეიძლება ამ ამბავს გულგრილად შეხედოს? გარდა ამისა, დამნაშავეა იმაში, რომ მაკასნაირ გოგოსთან მეგობრობს. სწორედ მისი გამოისობით აიკიდა ამხელა ვალი, რომლის გადახდას ალბათ მთელი ცხოვრება ვერ შეძლებს. სწორედ თავდაცვის ინსტინქტმა აიძულა იგი, მოეტყუებინა საყვარელი მამაკაცი, რადგან არ უნდოდა, მის პრობლემებს გავლენა მოეხდინა მათ რომანზე.

„არა, მართლაც და, რა მაკავშირებს ამ კაცთან? რატომ ვარ მასთან?“ — მარტო დარჩენილმა პირველად დაუსვა ეს კითხვა თავის თავს... და პასუხიც მაშინვე გასცა — „სექსი, ფანტასტიკური სექსი. მსგავსი სიამოვნება არასდროს განმიცდია. მისი შედარება არაფერთან შეიძლება. და ალბათ ვერც ვერასდროს გამოვცდი. მასთან სექსი თავს მაკარგვინებს, ყველაფერს თავდაყირა აყენებს ჩემს ცხოვრებაში“.

ნიამ საჩვენებელი თითით კრემი ამოიღო ფლაკონიდან და სახეზე გადაინაწილა, მერე კი წრიული მოძრაობით დაიწყო მისი შეზელა კანში.

თუმცა... მათი ურთიერთობა უფრო მეტი იყო, ვიდრე სექსი, უფრო ღრმა, უფრო ფაქიზი... ნია ხვდებოდა, რომ გიგისთან რომანი ჩვეულებრივი გატაცება და გართობა არ იყო. მის დანახვაზე მთელ სხეულში ჯერ არგანცდილი ჟრუანტელი უვლიდა, გული გამალებით უცემდა და სიამოვნების მეთერთმეტე ტალღა ხმაურით ეხეთქებოდა მისი სულის ყველა წერტილს. რატომ მოიხიბლა ასე ამ მამაკაცით? რატომ ელოდება ხოლმე დაძაბული მასთან ყოველ პაემანს? რატომ აფორიაქებს ფიქრი იმაზე, რომ მათი ყოველი შეხვედრა უკანასკნელი იქნება?

იმიტომ, რომ შეუყვარდა!

მოულოდნელად კრემით გათხუპნილი თითები ჰაერში გაუშეშდა. გაქვავებული შეჰყურებდა თავის ანარეკლს სარკეში.

თითქოს გული გაუჩერდა წამით, ხელფეხი გაეყინა... ისე გააჟრჟოლა, ერთიანად დაბურძგლა მკლავებზე.

არა!

გონებას არ სურდა, გულის გამოძახილს დამორჩილებოდა. არა, მას არ უყვარს გიგი ახვლედიანი! ეს ტყუილია!

ეს შეუძლებელია! მას არ აქვს ამის უფლება!

ნიას დიდი ხანია, არ უფიქრია ისეთ სერიოზულ და ღრმა გრძნობაზე, როგორიც სიყვარულია, მით უმეტეს, გიგისთან... მას შეუძლია, აღფრთოვანდეს მისით, ლტოლვა, სიამოვნება, კმაყოფილება განიცადოს, მაგრამ არა სიყვარული! ეს, უბრალოდ, გამორიცხულია!

არადა, სწორედ ეს მოხდა! შენ შეგიყვარდა იგი, პატარა ნია! და ამ რეალობას ვერსად გაექცევი!

ამის გააზრებამ თავზარი დასცა. მოულოდნელობისგან გაოგნებული, საშხაპე კაბინას მიეყრდნო, რომ არ წაქცეულიყო. „მე მიყვარს იგი... მე გიგი ახვლედიანი მიყვარს“, — კარგა ხანს ჩურჩულებდა თავგზააბნეული.

დრომ, როგორც ჩანს, შეაჩერა სვლა, მერე კი საერთოდ გაჩერდა... არ ახსოვს ნიას, რამდენ ხანს იჯდა სააბაზანოში, შეიძლება მხოლოდ რამდენიმე წუთი, ან იქნებ მთელი საუკუნე...

სიყვარულმა დროის შეგრძნება დააკარგვინა, ყველაფერი დაავიწყა.

ჰო, მაგრამ... გიგის რომ არ უყვარს იგი? ამის გაფიქრებაზე ჩხვლეტა იგრძნო მკერდში. მწარე სიმართლე მძიმე ტვირთად დააწვა მის გულს. გიგის არ უყვარს იგი...

ან კი რატომ უნდა უყვარდეს? ერთი მიზეზი მაინც დაუსახელეთ ნიას, რატომ უნდა შეიყვაროს მდიდარმა ბიზნესმენმა მისნაირი ქალი? მათ ურთიერთობაში არასდროს თქმულა სიტყვა სიყვარულზე... არასდროს. აბა, რას ელოდა? წესით, ასეც უნდა ყოფილიყო. ახვლედიანისთვის ნია მხოლოდ დროებითი თავდავიწყების ობიექტია, დიდი გართობის ნაწილი, რომელსაც გაგრძელება არ ექნება. ძალიან მალე მის ადგილს მორიგი ლამაზმანი დაიკავებს, რომელიც სულ სხვა ინტერესს აღუძრავს მამაკაცს. სწორედ მაშინ, ზედმეტი ყოყმანის გარეშე გამოუცხადებს — „მშვიდობით, პატარავ“, — და ნიას აღარაფერი დარჩება, გარდა იმისა, უსიტყვოდ გატრიალდეს და სამუდამოდ გაქრეს მისი ცხოვრებიდან.

არა, არც უნდა იოცნებოს გიგიზე. ახვლედიანი არასდროს შეიყვარებს. მას საერთოდ არაფერში სჭირდება სიყვარული... ამიტომ არც უნდა გაიგოს, როგორ უყვარს ნიას იგი, არასდროს უნდა გაიგოს! ბოლოს და ბოლოს, მას სხვა გამოსავალი არა აქვს. მამაკაცი ალბათ არ აღფრთოვანდება, თუკი გაიგებს, როგორ უსაშველოდ უყვარს ნიას! სრულებით შესაძლებელია, რომ ქალის სიყვარული გიგის ტვირთადაც ექცეს. ასეთ მამაკაცებს არ სჭირდებათ მსგავსი სენტიმენტალური გამოხდომები. ბიზნესმენს მის-

გან სულ სხვა რამ სურს, მაგალითად — ლოგინი და ყოველგვარი ვალდებულებისგან თავისუფალი ურთიერთობა. ამიტომაც არ უნდა გამოუტყდეს თავის გრძნობებში.

საღამომ შედარებით მშვიდად ჩაიარა. ისე ივახშმეს, არც მაკა უხსენებიათ და არც ნიას პრობლემები. მოულოდნელად გიგი ზაფხულის გეგმებზე ალაპარაკდა.

— არ გინდა, სადმე დასასვენებლად გავემგზავროთ? — ჰკითხა მამაკაცმა და გამომცდელი მზერა შეავლო.

— დასასვენებლად? სად? — წარბები აზიდა ნიამ, არ ელოდა ასეთ შეკითხვას.

— რა ვიცი, მაგალითად, რომელიმე ზღვისპირა კურორტზე, თუნდაც, თურქეთში... ან...

— იქ ერთხელ უკვე ვიყავი, — მორცხვად ჩაილაპარაკა გოგონამ, — და ვიცი, რომ ძალიან კარგია.

— რა თქმა უნდა, არაჩვეულებრივია. ვფიქრობ, კარგ დროს გავატარებდით...

— არ ვიცი... მაგაზე არ მიფიქრია... — თვალი აარიდა ნიამ.

გიგის პასუხი არ ესიამოვნა. ერთხელ უკვე იყო იქ... თავის შეყვარებულთან ერთად? ეს ის კაცია, ვისთან ერთადაც აქ ჩამოვიდა საცხოვრებლად? რა ურთიერთობა ჰქონდა მასთან?.. და მიხვდა, ეჭვის ჭია კვლავ როგორ შეუძვრა გულში. ადრე არასდროს უეჭვიანია სხვა ქალებზე. ახლა კი...

იმის გაფიქრებაც კი, რომ ოდესმე შეიძლებოდა, ნიას სხვა კაცის მკლავებში ენებივრა, გულს უკლავდა, საშინლად აღიზიანებდა. არადა, როცა პირველად დაწვა მასთან, ქალწული იყო. ამაში გიგი ღრმად არის დარწმუნებული. მაშინ რა გამოდის? სხვა რა სახის ურთიერთობა უნდა ჰქონოდა იმ იდუმალ პარტნიორთან? თავი გადააქნია, რომ აბეზარი ფიქრები თავიდან მოეშორებინა.

ნია ვერ ხვდებოდა, რა ხდებოდა მამაკაცის თავს, ამიტომ წამოდგა და სუფრის ალაგებას შეუდგა.

— რას აკეთებ, გაგიჟდი? — შეიცხადა გიგიმ და მაჯა დაუჭირა.

— ავალაგებ, მაინც არაფერს ვაკეთებ, — კეკლუცად გაიღიმა გოგონამ.

— შეეშვი, აქაურობას ჰყავს ამლაგებელიც და დამლაგებელიც... მითხარი, რატომ არ გინდა, თურქეთში გამომყვე?

ნიას ალმურმა გადაჰკრა, უსიამოვნო შეგრძნებამ დარია ხელი.

— მე უკვე ვიყავი იქ. ვფიქრობ, სხვაგან უკეთეს დროს გავატარებდი.

— ვისთან ერთად იყავი?

რატომ ეკითხება? ეჭვიანობს? რაში აინტერესებს, ვისთან ერთად იყო? მისთვის რა მნიშვნელობა აქვს, ნიას ადრე ჰყავდა თუ არა სხვა მამაკაცი?

არადა, გიგისთვის ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მას უნდოდა, ყველაფერი სცოდნოდა ამ ქალის შესახებ, ყველა წვრილმანი; ისიც კი, მოჰფერებია თუ არა ადრე სხვა მამაკაცი.

— ადამიანთან, რომელიც წავიდა ჩემი ცხოვრებიდან და არასდროს დაბრუნდება. თუმცა, მისი გახსენება ყოველთვის დიდ ტკივილს მაყენებს, მიუხედავად იმისა, რომ ამდენი წელი გავიდა, — სევდიანად ჩაილაპარაკა ნიამ.

გიგი გამომცდელად მისჩერებოდა.

— თუ არ ვცდები, სწორედ მასთან ერთად ჩამოხვედი თბილისში საცხოვრებლად, არა?

— ჰო... მაგრამ რაში გჭირდება ამის გამოკითხვა?

— იმიტომ, რომ სრულებით არ გიცნობ, პატარავ. მინდა, რაც შეიძლება მეტი გავიგო შენზე.

გოგონამ თავი დახარა.

— ჩემს ცხოვრებაში ისეთი საინტერესო არაფერი ყოფილა, რომ შენი ყურადღების ღირსი გახდეს, დამიჯერე. მე ერთი ჩვეულებრივი გოგო ვარ, სხვებისგან არაფრით გამორჩეული. ერთადერთი ღირებული ჩემს ცხოვრებაში, ეს შენ ხარ, გიგი.

— ნუთუ? — ირონია გაისმა მამაკაცის ხმაში. — რატომ ლაპარაკობ ასე, პატარავ?

— იმიტომ, რომ ეს სიმართლეა.

— საინტერესოა, რატომ გავხდი შენთვის ასეთი განსაკუთრებული?

მისი საუბრის ტონით ნია მიხვდა, რომ საშიშროება ისევ ახლოვდებოდა. არა, არაფრით დაუშვებს, რომ გიგიმ მისი გრძნობების შესახებ შეიტყოს, ამით სამუდამოდ დაკარგავს მას. ახვლედიანს მისთვის შეყვარება არ უთხოვია. მას მხოლოდ ის სურდა, ნია დამყოლი, უპრეტენზიო და საწოლში ვნებიანი ყოფილიყო. სიყვარულზე არ ყოფილა ლაპარაკი.

— გიგი, იცი? მე... მე...

ქალის ხმა ყრუდ გაისმა. იგრძნო, ცრემლები როგორ ჩამოუგორდა ლაწვებზე.

ამის დანახვაზე მამაკაცი წამოხტა და ქალს მიეჭრა.

— პატარავ! რა გჭირს? ნუ ტირი, გთხოვ, არ მინდოდა შენი წყენინება!

ნიამ ამოიოხრა.

— მაპატიე... არ მინდოდა შენთვის ტკივილი მომეყენებინა. რა ცუდი საღამო გამოგვივიდა, რა არის ეს! — შეწუხდა იგი და ნიას ხელები გულზე მიიხუტა.

ხმა ისე დაუთბა, გოგონას უარესად აუჩუყდა გული და ხმამაღლა ატირდა.

— გიგი... რომ იცოდე... შენ ყველაზე კარგი ხარ... საუკეთესო მამაკაცი ხარ მთელ მსოფლიოში, — ჩურჩულით წარმოთქვა და მის მკერდში ჩარგო ცრემლით დანამული პირ-ცხვირი.

— მორჩი, აღარ იტირო, გესმის? ამისთვის კი არ ხარ ჩემთან, შენ მე სხვა რამეში მჭირდები, წამომყევი, — ბოლო სიტყვები ვნებიანად წარმოთქვა მამაკაცმა, ქალს წელზე ხელი მოხვია, ჰაერში აიტაცა და სასიამოვნო ტვირთიანად საძინებლისკენ აიღო გეზი.



გიგი საჩუქრებით ხშირად ანებივრებდა ნიას. მამაკაცი არაფერს იშურებდა გოგონასთვის, ყიდულობდა ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, სამკაულებს, ჩანთებს, აქსესუარებს... თუმცა თავად არასდროს გამოუთქვამს პრეტენზია, ეს არ მაქვს, ის არ მაქვს, რა ჩავიცვა, არ ვიციო... ბიზნესმენი უყოყმანოდ ხარჯავდა მისი სიამოვნებისთვის ფულს. თავადაც სიამოვნებდა ამის გაკეთება. უნდოდა, დარწმუნებულიყო, რომ ძვირად ღირებული სამოსი ქალის ბუნებრივად უზადო სილამაზეს კიდევ უფრო ბრწყინვალეს გამოაჩენდა. და ასეც იყო. სადაც უნდა ყოფილიყო, ყველგან ყველასგან გამოირჩეოდა გარეგნობითაც და ჩაცმის სტილითაც. მის დანახვაზე ახვლედიანს სუნთქვა

ეკვროდა ხოლმე. თუმცა ნიას ნაკლებად სიამოვნებდა ასეთი ყურადღება. იცოდა, რომ ამით უფრო და უფრო დამოკიდებული ხდებოდა მამაკაცზე.

რა თქმა უნდა, სიამოვნებით წავიდოდა მასთან ერთად თურქეთში დასასვენებელად, მაგრამ... მაინც უარის თქმა მოუწევს. ამ ქვეყანასთან ფრიად უსიამოვნო მოგონებები აკავშირებს. გიგისთან ერთად ქვეყნის დასალიერამდეც წავა, რადგან მის გვერდით ყოფნა ერთი დიდი სიამოვნებაა. იგი არასდროს ყოფილა ასეთი ბედნიერი, მაშინაც კი, როცა დედა ცოცხალი ჰყავდა. როცა პირველად ჩამოვიდა თბილისში, გუმანით მიხვდა, რომ ცხოვრება მას მძიმე გამოცდას მოუწყობდა. სამწუხაროდ, არ შემცდარა.

ახლა რეალურ ზღაპარში ცხოვრობს, თუმცა დარწმუნებულია, რომ ეს ზღაპარი ჰეფი ენდით არ დამთავრდება. სულ მალე გამოჩნდება ის მორიგი ბედნიერი ფერია, რომელიც გიგის ცხოვრებას გაულამაზებს. ნია კი სხვა ყოფილების ბედს გაიზიარებს და წარსულში დარჩება. ერთადერთი, რაც ექნება — მხოლოდ ტკბილი მოგონებები... და კიდევ, უზარმაზარი ვალი, რომელიც აუცილებლად უნდა გადაიხადოს.

კიდევ კარგი, ჰორიზონტზე არც მაკა ჩანს და არც კახა. ალბათ არ არიან თბილისში. როგორც ჩანს, დევიძემ საყვარელი დასასვენებლად საზღვრებს გარეთ გაუშვა. ნეტავ, მაკას მაინც აეწყობოდეს ცხოვრება და არ მიატოვებდეს ის საზიზღარი კაცი! ნიას სულით და გულით სურდა, მაკას გამართლებოდა პირადულში, მიუხედავად იმისა, რომ მეგობრის ცხოვრების წესი არ მოსწონდა.

რა ცუდია, რომ გიგიმ სიმართლე არ იცის. მას ჰგონია, რომ ნია საბოლოოდ გათავისუფლდა მაკას და კახას ვალდებულებებისგან. არადა, რამხელა ვალი აქვს აკიდებული. რას იზამს, რომ გაიგოს? როგორ მოიქცევა? ღმერთო! ძალიან განრისხდება ალბათ და მაშინვე ხელს აიღებს ნიაზე! არა, ამას როგორ ეტყვის! არასდროს! უამისოდაც მალე დამთავრდება ყველაფერი.

ეჰ... ნეტავ შეეძლოს, სამუდამოდ მოინადიროს მისი გული. ნეტავ, როგორ ახერხებენ სხვა ქალები ამას? არ შეიძლება, ვინმემ ასწავლოს, როგორ შეინარჩუნოს საყვარელი მამაკაცი და გამუდმებით მისი დაკარგვის შიში არ აწუხებდეს? სულ ასე ხომ არ უნდა სტკიოდეს გული? ნია ყველაფერზე თანახმაა, ოღონდ რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს მათი რომანი. გოგონას ყველაფერი მოსწონს მისი — აღნაგობა, თვალები, ტუჩები, ცხვირი, გამოხედვა, ღიმილი, ხასიათი... ალარაფერს ამბობს იმაზე, როგორია იგი საწოლში და როგორი მოფერება იცის...

ამავდროულად, სულაც არ სიამოვნებს, ასე რომ იხარჯება ახვლედიანი მისთვის, თუმცა საჩუქარზე უარს არასდროს ამბობს. არა იმიტომ, რომ ვალდებულად მიიჩნევდა საყვარელს, ასე მოქცეულიყო; არც იმიტომ, რომ მდიდრული სამოსით სავსე გარდერობი ჰქონოდა. არა, უბრალოდ, ესმოდა, რომ რაც უფრო დიდხანს იქნებოდა თვალისმომჭრელ ფორმაში, მით მეტხანს შეინარჩუნებდა გიგის.

სწორედ ამიტომ ირგებდა ყოველდღე სხვადასხვა კოსტიუმს, ამიტომ დადიოდა სილამაზის სალონებში და გამუდმებით ზრუნავდა თავის გარეგნობაზე. გიგის გარშემო ხომ ყოველთვის მოვლილი და „დაცემა“ ქალები ტრიალებდნენ. საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ვერ შეძლებს, შეეჯიბროს რომელიმეს. ნებისმიერს შეუძლია, როცა მოინდომებს, მაშინ წაართვას ნიას იგი.

ერთადერთი გამოსავალი, რაც დროებით მაინც გაანელებდა ქალის ტკივილს, გიგის შემოთავაზებაზე დათანხმება იყო. ამას გრძნობდა ნია. ამიტომ ერთ საღამოსაც, როცა მორიგი ვახშმის შემდეგ ლოგინში ჩაწვნენ და ერთმანეთის ალერსით იჯერეს გული, სიბნელეში მისი ჩურჩულით ნათქვამი გაისმა.

— მე თანახმა ვარ შენს წინადადებაზე.

— რომელ წინადადებაზე? — მამაკაცმა თავი წამოსწია და სიბნელეში დაჟინებით დააშტერდა.

ნია წამოწითლდა.

— ხვალიდან შენთან ვრჩები. ხომ გინდოდა ეს? — გაუბედავად წარმოთქვა.

ახვლედიანი უსიტყვოდ მიესვენა ბალიშზე.

— ჰო, — ცივად წამოისროლა და გაჩუმდა.

ნიას ელდა ეცა. რატომ უპასუხა ასეთი ტონით? არ ესიამოვნა? მაგრამ ეს ხომ მისი სურვილი იყო?

— თუ გადაიფიქრე, პრობლემა არ არის, ჯერ ხომ არ გადმომიტანია ჩემი ნივთები, — ხმა შეუსუსტდა გოგონას.

— არა, არ გადამიფიქრებია. მე მეგონა, ჩემთან ერთად დასასვენებლად წამოსვლაზე იყავი თანახმა.

— ააა, ეგ... მაგაზე შეიძლება სხვა დროს ვილაპარაკოთ?

— რა თქმა უნდა, თუკი ძალიან შორს არ გადაიწევს ეგ „სხვა დრო“. მე ახლა ვარ თავისუფალი, მერე ისევ მომეძალება საქმეები და შეიძლება ველარც შევძლო გამგზავრება.

— მერე რა, შენთან ერთად მე აქაც კარგად ვგრძნობ თავს, — ნია მისკენ შეტრიალდა და ლოყაზე აკოცა.

— მინდოდა, უფრო უკეთ გეგრძნო თავი, თან სხვა გარემოში... თუმცა, როგორც გინდა, მე არ გაძალებ. კარგია, რომ ეგ მაინც გადაწყვიტე. ხვალვე ვეტყვი ბიჭებს, გადმოიტანონ შენი ბარგი-ბარხანა. იმედია, ბევრი არ გექნება.

ნიამ ღიმილი ვერ შეიკავა.

— რაც მაქვს, ყველაფერი შენი ნაყიდია.

— ოჰ, ეგენი შეგიძლია იქვე დატოვო, ახალს გიყიდი, — გიგიმ მკლავები შემოხვია და მკერდზე მიიხუტა, — მთავარია, შენ იყო ჩემ გვერდით, სხვას ყველაფერს ჯანდაბამდე გზა ჰქონია.

სასიამოვნო ტალღამ გოგონას სხეული გაუხურა. არა, იგი არასდროს ყოფილა ასეთი ბედნიერი. ამ კაცის გვერდით საოცრად დაცულად გრძნობს თავს... თანაც... უყვარს იგი, ყველასა და ყველაფერზე მეტად...

გარდა ამისა, იმ ავადსახსენებელი საღამოს შემდეგ, გიგის ერთხელაც არ უხსენებია მაკა, კახა და მისი პრობლემები. როგორც ჩანს, შეეგუა იმ ფაქტს, რომ ნიას თავის პირად ცხოვრებაზე საუბარი არ სურს და შეეშვა. სამაგიეროდ, არც ნია დარჩა ვალში. იგი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, მამაკაცს მაქსიმალური სიამოვნება მიანიჭოს. გამუდმებით ცდილობს, ახვლედიანის ცხოვრება რაც შეიძლება ლაღი და ხალისიანი გახადოს... საინტერესოც, რა თქმა უნდა.

თუმცა... მიუხედავად ამ ყველაფრისა, მათ ურთიერთობაში ძალიან მალე რაღაც მაინც შეიცვალა... უფრო სწორად, თავად ნიამ შეცვალა. გოგონა მშვენივრად ხვდებოდა, რატომაც მოხდა ეს. იმიტომ, რომ იგი შეყვარებული იყო. რა თქმა უნდა, ყოველ წუთს ცდილობდა, დაეფარა თავის გრძნობები, რადგან შიშობდა, რომ ახვლედიანს არ მოეწონებოდა ამის გაგება. მისთვის ხომ სიყვარული არ უთხოვიათ...

გიგი კაბინეტში შევიდა თუ არა, მდივანმა უშაქრო ყავა და კორესპონდენციების მთელი დასტა დაუდო მაგიდაზე.

ესეც ასე! სიცოცხლე მშვენიერია! კაზინოს საქმეები ბრწყინვალედ მიდის, სასტუმროსიც, რა თქმა უნდა! მისი ბიზნესი ყვავის, იზრდება და შემოსავალიც, თავისთავად, მატულობს. ახლა გოლფკლუბსაც გახსნის და...

ნიაც როგორ ჩაერთო მის საქმეებში... რამდენჯერმე ისეთი წინადადებით გამოვიდა, გიგის პირი ღია დარჩა. არ ელოდა, ამ პატარა გოგონას ასეთი ნათელი გონება თუ ჰქონდა.

ნია!.. მის გახსენებაზე ახვლედიანს ბურთულიანი კალამი ჰაერში გაუშეშდა. ეს კიდევ ერთი მიზეზია, რის გამოც ცხოვრება უხარია. თუმცა, აქამდე ვერ აუხსნია, რა არის ამ ქალში ასეთი განსაკუთრებული და როგორ ახერხებს, რომ მამაკაცის ცხოვრება ასე ჰარმონიული და საინტერესო გახადოს. ნია... ნია... სხვა ბევრს სიკეთესთან ერთად, არაჩვეულებრივი მოსაუბრეა. მის გვერდით არ მოიწყენ. ამასთან, ნებისმიერ თემაზე შეიძლება მასთან ლაპარაკი. მერე საწოლში როგორია?! ფანტასტიკური! რაც მასთან გადმოვიდა საცხოვრებლად, ხომ საერთოდ... ძალიან მზრუნველი და მოსიყვარულე გახდა. ერთი სიტყვით, ნია არის ქალი, რომელიც ყველა ქალური ღირსებითაა დაჯილდოებული. ის ერთადერთია, რომელთანაც განშორება დღემდე არ სურს ახვლედიანს, რადგან პატარა ნია ბოლომდე ავსებს მის ცხოვრებას, მის სულს, მის არსებობას... ან კი რატომ უნდა დაშორდეს? ურთიერთობაში იდეალურია, მას ყველაფერი აქვს, რაც უნდა გიგის, დაინახოს ქალში...



მაგრამ სინამდვილეში ვინ არის ეს ქალი? რა იცის გიგიმ მასზე? თითქმის არაფერი. ნიას არ სიამოვნებს წარსულზე ლაპარაკი, ერთი სიტყვაც ვერ დააცდენინა. რატომ? რას მალავს? იქნებ სულაც არ იყო ქალწული, როცა პირველად დაწვა მასთან? იქნებ... ხომ შეიძლება, ხელოვნურად ყოფილიყო ქალიშვილი? რა თქმა უნდა, შეიძლება, მაგრამ რაში სჭირდებოდა ამის გაკეთება? გიგი ცოლად ხომ არ უპირებდა შერთვას და ეს მან ძალიან კარგად იცოდა.

ვინ იყო ის მამაკაცი, ვისთან ერთადაც იმოგზაურა თურქეთში? რატომ არაფერს უყვება ამის შესახებ? იმ კაცმა მიატოვა თუ ნიამ აქცია ზურგი? რა მოხდა მათ შორის? ეს კითხვები მოსვენებას არ აძლევდა.

არა, მაინც რატომ დაინტერესდა ასე ნიას პირადი ცხოვრებით? მერე რა, თუ ქალწული არ იყო? დიდი ხანია, წარსულს ჩაჰბარდა ის დრო, როცა ამას ვინმე ყურადღებას აქცევდა. დავუშვათ, გიგიმდე ჰყავდა საყვარელი. რა დაშავდა ამით? არ ჰქონდა უფლება, თუ რა?! ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ამორალურ ცხოვრებას ეწეოდა. განა დანაშაულია, მარტოხელა ქალს საყვარელი ჰყავდეს, თანაც ასეთ ქალს? ან კი ვინ გააჩერებდა ისე? შეხედავ, ულამაზესია. ამასთან ერთად — თბილი, მოსიყვარულე, დამყოლი, მომთმენი... მეტი რა სჭირდება კაცს? თანაც, ნია არ არის იმ კატეგორიის ქალი, ფულის გულისთვის რომ გააბამს მამაკაცთან რომანს. არ ეტყობა? ცხოვრებაში არ უთხოვია გიგისთვის, ეს მიყიდე, ის მომიტანე, აქ წამიყვანეო... სრულიად უპრეტენზიოა, ყველგან და ყველაფერში. მას გიგის გვერდით მოსწონს ყოფნა და არა მისი ფული. ეს ასეა და ამაში ეჭვის შეტანა არ შეიძლება. ამიტომაც არ მოიშორებს გვერდიდან. ახვლედიანს სჭირდება იგი და ნია კიდევ დიდხანს დარჩება მასთან.

— ბატონო გიგი, — ამ დროს მდივანმა შემოყო თავი, — ვიღაც კაცია მოსული, მაგრამ თქვენთან შეხვედრა არ აქვს დანიშნული. რა ვუთხრა?

— ვინ არის?

— კახა დევიძე.

გიგი გაშეშდა. იმდენად მოულოდნელი იყო დევიძის ვიზიტი, თვალები გაუფართოვდა. რა უნდა უნდოდეს ნეტავ? სამაგიეროს გადახდა ხომ არ განიზრახა?

— შემოვიდეს, — ცივად თქვა და წამოდგა.

რამდენიმე წუთიც და კახა უკვე კაბინეტში იყო. ერთხანს მამაკაცები თვალებით ზომავდნენ ერთმანეთს, თითქოს დუელი ჰქონოდათ დანიშნული. გიგის ნაკვთი არ შერხევია სახეზე.

— დაბრძანდით, — დუმილი ახვლედიანმა დაარღვია და ხელით მიუთითა დევიძეს.

დაუპატიჟებელი სტუმარი უდიერად გადაწვა სკამზე და ფეხი ფეხზე შემოიდო.

— ერთი საქმე მაქვს თქვენთან მოსაგვარებელი, ამიტომაც მოვედი, — დაიწყო მოსულმა და ნიშნის მოგებით გადახედა მასპინძელს, — საქმე თქვენს... ქალს ეხება...

მამაკაცმა იგრძნო, როგორ დაეჭიმა სხეული.

— თქვენთან გასაყოფი არაფერი მაქვს, პატივცემულო გიორგი, არც ახსნა-განმარტებას ვითხოვ იმ ინციდენტის გამო და არც ბოდიშის მოხდას. მოგწონთ ის ქალი? ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ, მაგნაირების მეტი რა მყავს... ამის გამო ცხოვრებას ნამდვილად არ გაგირთულებთ, თუმცა... არის ერთი საქმე, რომელიც ერთად უნდა მოვაგვაროთ და ეს მას ეხება.

— მითხარით, რაშია საქმე, ბევრი დრო არ მაქვს, — უკმეხად წარმოთქვა ახვლედიანმა და თავადაც დაჯდა.

— ეს ქაღალდი გეტყვით ყველაფერს, — უდარდელად თქვა დევიძემ, ჯიბიდან ოთხად გაკეცილი ფურცელი ამოიღო, გაშალა და წინ დაუდო.

გიგი არ შერხეულა, მხოლოდ დახედა ბეჭედდასმულ თაბახს და ტექსტს სწრაფად გადაავლო თვალი... უცებ იგრძნო, როგორ მკვეთრად აიწია ადრენალინის დონემ სისხლში... სახე თანდათან მოექუფრა, ძარღვი დაებერა საფეთქელთან. რა სიამოვნებით უთავაზებდა ახლა ამ ვიგინდარას ერთ გემრიელ მუშტს, მაგრამ... არ გამოდიოდა აქ, ამ ვითარებაში.

დევიძემ ჩაიფხუკუნა.

— არ ელოდით, არა? არც იცოდით ამის შესახებ არაფერი, ხომ მართალია? აი, ასეთ ვალებშია ჩაფლული თქვენი ქალბატონი და მას ჩემი ფული მართებს, სხვათა შორის! — სტუმრის ხმა დამცინავად ჟღერდა.

— თუ ნებას დამრთავთ, რამდენიმე სიტყვას გეტყვით. არ შეიძლება ამათი ნდობა, ჩემო გიგი... ისე ნიჭიერად შეუძლიათ თავი წესიერ ქალად მოგაჩვენონ, ეჭვსაც ვერ შეიტან მათ საქციელში, მაგრამ სინამდვილეში ნადირობენ ჩვენნაირ კაცებზე, რომ მდიდრულად იცხოვრონ და რაც შეიძლება მეტი ფული გამოგვძალონ! ხანდახან ზედმეტიც მოსდით, როგორც, მაგალითად, ჩვენს საერთო ნაცნობს დაემართა. რამდენიმე ათასი ევროს კრედიტი აიღო და მერე გადახდა ველარ შეძლო. მე უყოყმანოდ მოვუგვარე მას ეს პრობლემა, ახლა მისი პრობლემა თქვენ უნდა მომიგვაროთ. რა თქმა უნდა, თქვენი გადასაწყვეტია, გილირთ თუ არა მასთან ურთიერთობა ამხელა თანხად, თუმცა... შეიძლება რაღაც შეთანხმებამდეც მივიდეთ. ბოლოს და ბოლოს, თუ მის ვალს გადაიხდით, თქვენთან დარჩება ვალში. არა, არა, არ გეგონოთ, ჩვენ შორის რამე ხდებოდა. ის ჩემთან არასდროს წოლილა, არ არის ჩემი გემოვნების ქალი.

ახვლედიანმა უსიტყვოდ გამოაღო მაგიდის უჯრა და სეიფის გასაღები აიღო.

— თუ სწორად გავიგე, ნაღდ ფულს ამჯობინებთ, არა? — მექანიკურად იკითხა.

დევიძეს კმაყოფილი ღიმილი გადაეფინა სახეზე. მისი მისია შესრულებული იყო — თავისი ფული მიიღო და მოწინააღმდეგე დაამცირა. არადა, სწორედ ამ ქალის გამო მოუვიდათ ერთმანეთში ჩხუბი...

გიგი მძიმე ნაბიჯებით მივიდა კედელთან ჩაშენებულ სეიფთან, კოდი აკრიბა, გამოაღო, საჭირო რაოდენობის თანხა გადათვალა და მდუმარედ გაუწოდა.

— ძალიანაც კარგი, მეგობარო, — სარკასტულად წარმოთქვა კახამ, — შეგიძლიათ დატკბეთ თქვენი გოგონათი, უკვე გადახდილი გაქვთ. კარგად მეყოლეთ, — ამ სიტყვებით და დამცინავი ღიმილით კაბინეტი დატოვა.

გახევებული გიგი დიდხანს დაჰყურებდა მაგიდაზე გაშლილ თაბახის ფურცელს... თურმე ქაღალდის ერთმა პატარა ნაგლეჯმაც კი შეიძლება საშინელი ტკივილი მიაყენოს ადამიანს...

***გაგრძელება შემდეგ ნომერში***

# შეხვედრები სტალინთან

## ფრაგმენტები ვლადიმირ კარპოვის წიგნიდან „გენერალისიმუსი“




***1932 წლის 7 ნოემბერს, ოქტომბრის რევოლუციის მე-15 წლისთავის აღსანიშნავი ბანკეტის შემდეგ, ღამით, სტალინის ცოლმა — ნადეჟდა ალილუევამ ტყვია დაიხალა...***

***ბელადის ქალიშვილი, სვეტლანა ალილუევა თავისი მოგონებების წიგნში წერს:***

***„ჩემმა ძიძამ — გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, როცა მიხვდა, რომ დიდი დღე აღარ ეწერა — ჩემთვის იმის მოყოლა გადაწყვიტა, რაც იმ საბედისწერო ღამეს მოხდა. საბრალო ქალს არ სურდა, ეს ამბავი სამარეში ჩაეტანა და, როგორც აღსარება, უნდოდა, ჩემთვის ჩაებარებინა. ორნი, აგარაკის მახლობლად მდებარე, პატარა ტყის პირას ვისხედით, როცა მოყოლა დაიწყო...***

***დასაწყისი იხ. „გზა“, №27-33***

### ზურგში ჩაცემული დანა

*კაროლინა ტილი — ჩვენი დიასახლისი — დილაობით აღვიძებდა დედაჩემს, რომელსაც თავის ოთახში ცალკე ეძინა. მამა კაბინეტში წვებოდა ხოლმე ან სასადილოს მომიჯნავე პატარა ოთახში, სადაც ტელეფონი იდგა. იმ ღამითაც, როცა სადღესასწაულო წვეულებიდან გვიან დაბრუნდა, იქ დარჩა.*

*ორივე ეს ოთახი სახლის სამსახურებრივი ნაწილისგან გრძელი დერეფნით იყო გაყოფილი. მამაჩემის ოთახი სასადილოდან ხელმარცხნივ მდებარეობდა, დედასთან მოსახვედრად კი ნახსენები დერეფნის გავლით, ხელმარჯვნივ უნდა შეგეხვია. მისი ფანჯრები ალექსანდრეს ბაღს გაჰყურებდა.*

*...დილით კაროლინამ ჩვეულებისამებრ, სამზარეულოში საუზმის მომზადება რომ დაასრულა, დედაჩემის გასაღვიძებლად გაეშურა... შიშისგან აკანკალებული ქალი ჩვენთან, საბავშვო ოთახში მოვარდა და საშველად ძიძას უხმო; მას ხმის ამოღების უნარიც დაჰკარგოდა. ქალები ერთად გაეშურნენ უბედურების ადგილისკენ. დედა, საწოლის გვერდით, სისხლში ცურავდა; ხელში პატარა პისტოლეტი — „ვალტერი“ შერჩენოდა, რომელიც დიდი ხნის წინ ბიძაჩემმა პავლუშამ ბერლინიდან ჩამოუტანა. მისი გასროლის ხმა იმდენად სუსტი იყო, რომ სახლშიც კი ვერ გაიგონებდნენ... დედა უკვე გაცივებული იყო. შიშისგან აკანკალებულმა ქალებმა, რომლებიც ყოველ წამს მამაჩემის გამოჩენას ელოდნენ, რის ვაი-ვაგლახით გადააწვინეს მიცვალებული საწოლში, გააპატიოსნეს... მერე, სრულიად დაბნეულები, უფროსობასთან დასარეკად წავიდნენ: დაცვის უფროსთან, აბელ ენუქიძესთან, დედაჩემის უახლოეს მეგობართან, პოლინა მოლოტოვასთან დარეკეს.*

*მალე ყველა მოვიდა. მამას ჯერ კიდევ ეძინა თავის ოთახში. მოვიდნენ: მოლოტოვი, ვოროშილოვი... ყველანი შეძრულები იყვნენ მომხდარით და ამის დაჯერება უჭირდათ...*

*ბოლოს და ბოლოს, მამაც გამოვიდა სასადილო ოთახში. „იოსებ, ნადია ჩვენ გვერდით აღარაა“, — უთხრეს მას.*

*ამას მიყვებოდა ჩემი ძიძა. მისი კი სხვებზე მეტად მჯერა. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ის სრულიად უეშმაკო ადამიანი იყო; მეორეც — იმის გამო, რომ ამას, როგორც აღსარებას, ისე მაბარებდა; უბრალო წრიდან გამოსული ქალი, ჭეშმარიტი ქრისტიანი კი ამ დროს არას დიდებით არ იცრუებს...“*

საინტერესოა — რატომ წერს ხაზგასმით სვეტლანა იმის შესახებ, რომ ძიძის მონათხრობში ეჭვი არ ეპარება?.. რომ ის, როგორც მორწმუნე ქრისტიანი, არაფრით იცრუებდა?.. საქმე ის გახლავთ, რომ ნადეჟდა ალილუევას თვითმკვლელობის შემდეგ (ისევე, როგორც მერე, კიროვის დაღუპვის შემდეგ), სტალინის მტრები მის კომპრომეტირებას ცდილობდნენ და ავრცელებდნენ ხმას, თითქოს მან მოკლა ცოლა იმის გამო, რომ მათ შორის პოლიტიკური უთანხმოება ჩამოვარდა. ეს სიცრუე დღემდე იღვრება ხოლმე ე.წ. „დემოკრატიული“ პრესის ფურცლებიდან.

სვეტლანა აბსოლუტურად გამორიცხავს მსგავსი ვერსიის მართებულობას. აი, რას წერს იგი:

*„...მამა შეძრული იყო მომხდარი ტრაგედიით. იმიტომ იყო შეძრული, რომ ვერ პოულობდა პასუხს კითხვაზე — რატომ? რატომ ჩასცეს მას ზურგში ეს დარტყმა?.. ის მეტისმეტად ჭკვიანი იყო იმისათვის, რომ ვერ მიმხვდარიყო — თვითმკვლელი, ამის ჩადენისას, ვიღაცის „დასჯას“ ლამობს, თითქოს ეუბნება — „მიიღე?! ეგეც შენ! ასე მოგიხდება!“ ამას კი აცნობიერებდა, მაგრამ ის კი ვერ გაეგო — რისთვის? ესოდენ მწარედ რისთვის დასაჯეს?!.*




პირველ დღეებში სრულიად გაოგნებული დადიოდა. ამბობდა, რომ თავადაც აღარ უნდოდა სიცოცხლე

*ამიტომაც, გარშემო მყოფებს ეკითხებოდა: ნუთუ ცოლის მიმართ უყურადღებობას იჩენდა? ნუთუ სათანადოდ არ ამჟღავნებდა მისდამი, როგორც მეუღლისადმი, სიყვარულს? ნუთუ არ უჩვენებდა, თუ რაოდენ აფასებდა, როგორც ადამიანს? ნუთუ ასეთი მნიშვნელოვანი იყო ცოლისთვის ის, რომ ხშირად ვერ იცლიდა, ვთქვათ, თეატრში მის წასაყვანად? ნუთუ ეს ყველაფერი ასეთი მნიშვნელოვანი იყო მისთვის?..*

*პირველ დღეებში სრულიად გაოგნებული დადიოდა. ამბობდა, რომ თავადაც აღარ უნდოდა სიცოცხლე (ამის შესახებ, წლების შემდეგ, ბიძაჩემის, პავლუშას ქვრივი მიყვებოდა, რომელიც იმ დღეებში დღე და ღამე ჩვენ გვერდით იმყოფებოდა). ახლობლებს იმისიც კი ეშინოდათ, რომ მამა განმარტოებული დაეტოვებინათ ხოლმე... დროდადრო მას რაღაც საშინელი განრისხების შეტევები მოსდიოდა. ამას იმ წერილით ხსნიდნენ, რომელიც დედას მისთვის დაუტოვებია.*

*როგორც ჩანს, დედამ ის იმ ღამესვე დაწერა. რასაკვირველია, ეს ბარათი არასდროს მინახავს. ალბათ ის უმალ გაანადგურეს, მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ ის არსებობდა, — მის შესახებ ბევრმა ადამიანმა მითხრა. ეს არ იყო მხოლოდ პირადი ხასიათის წერილი, ნაწილობრივ, პოლიტიკურ შინაარსსაც შეიცავდა. ჰოდა, მისი წაკითხვის შემდეგ, მამას შესაძლოა, ეფიქრა, რომ დედა მხოლოდ სხვების დასანახავად იდგა მის გვერდით, სინამდვილეში კი ოპოზიციას უჭერდა მხარს (აშკარაა, რომ აქაც ტროცკისტების ხელი ერია. — ავტ.).*

*მამა გაოგნებული და განრისხებული იყო და როცა სამოქალაქო პანაშვიდზე მოვიდა, ერთი წუთით შეყოვნდა კუბოსთან, შემდეგ ხელები მიაბჯინა, მკვეთრი მოძრაობა გააკეთა — თითქოს მას ხელი ჰკრა — და იქაურობას გაეცალა. დაკრძალვაზე აღარც გამოჩენილა...“*

ეს მოგონება სვეტლანა ალილუევამ მოწიფულ ასაკში დაწერა — მაშინ, როცა უკვე ბევრი სიმწარე ჰქონდა ნანახი და ცხოვრებისეული სიძნელე გამოვლილი, ამიტომ მას ჰქონდა უფლება, საკუთარი შეხედულებები გამოეთქვა და დასკვნები გამოეტანა. მის წიგნში ასახულია დედის პიროვნების მთელი ევოლუცია: ჩვენ თვალწინ ცოცხლდება სტალინზე შეყვარებული, 17 წლის გიმნაზისტი გოგონა, შემდეგ — მისი თანამოაზრე, ფრონტელი ამხანაგი ქალი, ბოლშევიკი-რევოლუციონერი; ერთგული მეუღლე და ორი შვილის დედა; მოკრძალებული, მუდამ იმაზე მზრუნველი, რომ რაიმეთი ჩრდილი არ მიეყენებინა ქმრისთვის, — თუნდაც მატერიალურ კეთილდღეობასთან დაკავშირებული, ყოფითი პრეტენზიებით (ავეჯი და სხვა ნივთები ოჯახში უკიდურესად მოკრძალებული ჰქონდა, სასწავლებელში ტრამვაით დადიოდა...).

ყველაფერი იმგვარად ვითარდებოდა, როგორც ნორმალურ, ჯანსაღ ოჯახს შეეფერება. მაგრამ თანდათან, გარე ძალების ზეგავლენამ იჩინა თავი: სამრეწველო აკადემიაში მრავლად იყვნენ ტროცკისტები და მათი გარემოცვა შეუმჩნევლად, შეფარვით, ქალის სულში ქმრის პოზიციის მიმართ ეჭვის ჭიას აღვივებდა; ამას მათი პოზიციისადმი თანაგრძნობა მოჰყვა, ბოლოს კი — ოპოზიციონერების სრული მხარდაჭერა.





**ნადეჟდა და სვეტლანა**

გავიხსენოთ სვეტლანას სიტყვები „საშინელი წერილის“ შესახებ, იმის შესახებ, რომ „თვითმკვლელი მუდამ ვიღაცის დასჯაზე ფიქრობს“, მსჯელობა „ზურგში ჩაცემული დანის“ შესახებ.

დავეთანხმოთ სვეტლანას ამაში, მაგრამ შევეცადოთ, გავცეთ პასუხი კითხვას — ვინ ჩასცა სტალინს ეს დანა?

ქალიშვილს თუ დავუჯერებთ, ნადეჟდას *„ისე ძლიერ უყვარდა ქმარი, როგორც მხოლოდ იმ ადამიანს შეუძლია უყვარდეს, ვისაც ერთხელ და სამუდამოდ უყვარდება; და მიუხედავად იმისა, თუ რაოდენ ეწინააღმდეგებოდა ამას გონება, გული მაინც არ თმობდა ერთხელ გაკეთებულ არჩევანს... გარდა ამისა, ის კარგი მეოჯახე ქალი იყო; მისთვის ძალზე ბევრს ნიშნავდა: ოჯახი, ქმარი, შვილები, საკუთარი ვალი მათ წინაშე“.*

ოპოზიციონერები შეუპოვრად ცდილობდნენ, ნადეჟდას თვითმკვლელობისთვის პოლიტიკური შინაარსი მიენიჭებინათ და საამისოდ, მის უკანასკნელ წერილს იყენებდნენ. არადა, ამ საქციელს სრულიად განსხვავებული პოლიტიკური შინაარსი ჰქონდა და არა ის, რომლის ხალხისათვის თავს მოხვევასაც ისინი ცდილობდნენ.

ვფიქრობ, საჭირო არ არის, რაღაც ვარაუდები გამოვთქვათ; პასუხი დასმულ კითხვაზე ზედაპირზეა: სიონისტი-ოპოზიციონერები ადამიანის ფსიქიკაზე, მის შეხედულებებზე ზემოქმედებისა და ინტრიგების ხლართვის უბადლო ოსტატები იყვნენ. ეჭვგარეშეა — ეს კარგად მომზადებული, წინასწარ დაგეგმილი, პოლიტიკური აქცია გახლდათ. მათ სტალინს მისი საყვარელი ადამიანის — ნადეჟდა ალილუევას ხელით ჩასცეს ზურგში დანა. სწორედ ამაში მდგომარეობდა მომხდარის მთავარი პოლიტიკური შინაარსი.

რაოდენ ძლიერიც უნდა ყოფილიყო ეს დარტყმა, სტალინმა მას მაინც გაუძლო. თუმცა ამ ტრაგედიამ ძალზე ღრმა კვალი დატოვა მის მეხსიერებაში და როცა ამის დრო დადგა, მან „ტერორის უდანაშაულო მსხვერპლთაგან“ ზოგიერთს ეს საკუთარი ტკივილიც შეახსენა...

## ᲙᲘᲠᲝᲕᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐ

ეს 1934 წლის პირველ დეკემბერს მოხდა. არსებობს ორი ვერსია: პირველი ყოფითია — თითქოს სერგეი კიროვი ვინმე ნიკოლაევის ცოლს, მილდა დრაულეს ეარშიყებოდა და ის ქმარმა ეჭვიანობის გამო მოკლა; მკვლელი, გამოძიების საწყის ეტაპზე,



**ნადეჟდა ალილუევას საფლავი მოსკოვში**

თავადაც ადასტურებდა ამას. მეორე ვერსია — პოლიტიკურია, უფრო სწორად — პოლიტიზებული: მის თანახმად, კიროვის მკვლელობა სტალინის ორგანიზებული იყო, რადგან მისი, როგორც კონკურენტის თავიდან მოცილება სურდა. სერგეი კიროვი კარგი ორგანიზატორი და ორატორული ნიჭით დაჯილდოებული მოღვაწე გახლდათ და დიდი ავტორიტეტითაც სარგებლობდა. ამბობდნენ, რომ XVII ყრილობაზე, პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევისას, კიროვმა იმდენივე ხმა მიიღო, რამდენიც თვით სტალინმა... თითქოს იმაზეც მიდიოდა სჯა-ბაასი, რომ საჭირო იყო, სტალინი კიროვით შეეცვალათ... ჰოდა, ბელადსაც გაუჩნდა შავბნელი განზრახვა, თავიდან მოეცილებინა მეტოქე.

ორივე დასახელებული ვერსია გამოგონილია. პირველი, პოლიტიკური აქციის რეალურ ორგანიზატორთა — ოპოზიციონერთა მიერაა შეთხზული იმისათვის, რათა დაეფარათ ბოროტმოქმედების ნამდვილი მიზეზები და ყურადღება რეალური დამნაშავეებისგან სხვა გარემოებებზე გადაეტანათ. მეორე ვერსია სტალინის კომპრომეტირებასა და ძალაუფლებიდან მის ჩამოშორებას ისახავდა მიზნად. და მისი არსებობა კიროვის მკვლელობის ორგანიზატორებს ამხელს, რომლებიც წლების მანძილზე ცდილობდნენ, გადაეყენებინათ სტალინი სახელმწიფოს მეთაურის პოსტიდან. არადა, მის მიმართ წაყენებული ბრალდება არც სადი ლოგიკით, არც დოკუმენტებით, არც ბრალდებულთა ჩვენებებით არ დასტურდება, ამიტომ, მხოლოდ სტალინის მოწინააღმდეგეთა ბინძურ პოლიტიკურ პროვოკაციას წარმოადგენს.

და მაინც, სწორედ ეს ვერსია, რომელიც XX ყრილობაზე, ბელადის „მხილებისას“, ნიკიტა ხრუშჩოვმაც გამოიყენა, დღემდე ტრიალებს საზოგადოებაში.

არადა, არსებობს ჭეშმარიტი, უტყუარი — მესამე ვერსია, რომელსაც გულმოდგინედ მალავენ ოპოზიციონერები და მათი იდეების გამგრძელებლები — თანამედროვე „დემოკრატები“. არაფერი საძიებელი, არანაირი საიდუმლო არ არსებობს, ყველაფერი ზედაპირზეა. მკვლელობის ორგანიზატორები და შემსრულებლები თავად, გამოძიების დროსაც და სასამართლო პროცესზეც, საჯაროდ, ყველას გასაგონად აცხადებდნენ: „დიახ, ჩვენ მოვკალით კიროვი!“ შეგვიძლია, წავიკითხოთ ჩვენებები, რომლებიც მათ 1936 წლის აგვისტოში ჩატარებულ სასამართლო პროცესზე მისცეს.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*





ბავშვს დღის განმავლობაში 10 კგ ბრინჯი, 5 კგ კარტოფილი, 24 კვერცხი და 6 ლიტრი რძე სჭირდება. მშობლები იძულებული არიან, დახმარება მეზობლებს სთხოვონ. თუ მშობლები ჭამას უკრძალავენ, გოგონა ხმამაღლა ტირის და ქვების სროლას იწყებს.

გვ.90

მარი ჯაფარიძე

*გამარჯობა, ჩემო ერთგულო მკითხველო. ისევ მოვიდა ხუთშაბათი და ისევ შევხვდით, მაგრამ როგორც ხედავთ, თქვენს საყვარელ ჟურნალში დიდი ცვლილებაა. მოკლედ, ახალი სეზონისთვის მთელი რედაქცია ვემზადებოდით, გვინდოდა, სასიამოვნო სიახლე შემოგვეთავაზებინა, რათა თქვენი გული გაგვეხარებინა და აი, ეს გამოგვივიდა. სიახლის ავ-კარგიანობის განსაზღვრას ისევ თქვენ მოგანდობთ, რა თქმა უნდა... კარგად დაათვალიერეთ ჟურნალი. ზოგიერთმა ძველმა რუბრიკამ ადგილი შეიცვალა და უბრალოდ, სხვაგან „გადაბარგდა“... მოკლედ, სიახლემშვიდობისა, ჩემო კარგებო და თქვენს მესიჯებს გაგაცნობთ.*

# საზაფხულო რომანი

## თენგო

„საზაფხულო რომანი ისეთი უნდა, ჩემს თბილისელ მეზობლის კაცს რომ ჰქონდა, წლების განმავლობაში. ნამდვილი ბედის ირონიაა ის ფაქტი, სოფლის ხალხი, ჩვენ, თბილისელებს რომ გვეძახიან ქვეყნის დამაქცევრებს. რეალურად კი რა ამბებიც სოფლებში ხდება, ის ჩვენ არც კი დაგვესიზმრება. თუ არ გჯერათ, მოისმინეთ და თავად განსაჯეთ: ჩემს უბანში, იტალიურ ეზოში, 51 ოჯახს შორის ბევრი უცნაური და შეიძლება ითქვას, უნიკალური ოჯახი ცხოვრობს. მათ შორის ჩვენს დღევანდელ გმირს, ბატონ თენგიზს გამოვარჩევ, რომელიც 40-ოდე წლის, პატიოსანი შრომით წელში გაწყვეტილი, ოჯახის კაცია. ერთი ფაშფაშა და კაი დამრტყმელი ძალა, ცოლი და 2 მოზარდი ქალიშვილი ჰყავს. რამდენიმე წლის წინ, აგვისტოს თვეში, როცა ჯერ კიდევ არ იყო დედაბუნება განაწყენებული, კარგა გვარიანად ცხელოდა და ამინდებიც ყოველთვის სეზონის შესაფერისი გვქონდა, თენგომ ცოლშვილი დასასვენებლად, არც მეტი, არც ნაკლები, ქობულეთში გაუშვა. ხოხ! ქობულეთი რა არისო? იტყვის ჩვენი ძვირფასი მკითხველი, მაგრამ სამი კაცის საწოლი, ჭამა-სმა და ახირებები 2 კვირის მანძილზე, კაი გვარიან თანხას „უკაკუნებდა“ და ქობულეთი ეძახე შენ, ჩემო ბატონო. გაისტუმრა თუ არა ოჯახობა, თენგომ მშვიდად ამოისუნთქა. დღეიდან, 2 კვირის მანძილზე მას დაუვიწყარი არდადეგები ელოდა. ხუმრობა ხომ არ იყო, საღამოს, სამსახურიდან დაბრუნებული, მაცივრის კარს გამოაღებდა, იქიდან ცივ-ცივ ლუდს გამოიღებდა, რომელსაც მანამდე შებოლილი თევზის ნაცვლად

ყოველთვის ცოლის მწარე-მწარე სიტყვებს დააყოლებდა ხოლმე. წამოწვებოდა, ტელევიზორის წინ, დივანზე და ინებივრებდა გემოზე. ჰოდა, აგერ, შევიჭყიტოთ აივნიდან. თენგო წამოწოლილა დივანზე, გარშემო კი ცარიელი ლუდის ბოთლების ამალა აქვს შემოკრებილი. მე მგონი, ცხოვრებაში პირველად მისცა საკუთარ თავს ასეთი ფუფუნების უფლება. მაშინ აღმოაჩინა, რომ თურმე ტელევიზორი ვენესუელურ-მექსიკურ-ბრაზილიური ტელენოველების გარდა სხვა უამრავ საინტერესო გადაცემებს უჩვენებდა. იგდო ხელთ სანატრელი და ფუნქციადაკარგული პულტი და ჩამოურბინა არხებს. მერე ცოტა ხანს პატრონი მოუკითხა ცოლს და გული იჯერა საფეხბურთო და პორნო არხების ყურებით. მეორე დღეს კი სამსახურიდან დაბრუნებულმა, თავის აივანზე მოფუსფუსე, მკერდსავსე ლამაზმანი შეამჩნია. ქალი მისი კარის მეზობლის, თინიკოს ძმის ცოლი, ნანუჩი აღმოჩნდა. დასავლეთის ერთ-ერთი რაიონიდან ჩამოსულიყო, შვილთან ერთად მულის ოჯახში, სტუმრად. მოკლედ, მთელი ეზოს კაცები შეაშფოთა ნანუჩის სტუმრობამ. ასე ამბობდნენ, პირველ ლედის თუ არა, მინისტრის ცოლს მაინც ჰგავს, ეს შეჩვენებულიო. ჰოდა, თენგომაც იფიქრა, თუ გაჯეჯილებაა, ბარემ ბოლომდე ავუშვებ აფრებსო და ახალგაზრდა ნანუჩი ორიოდე დღეში დაიმარტოხელა. მერე სახლშიც შეიტყუა და წავიდა, მარა რა წავიდა?! სოფელში გათხოვილმა ქალმა ისეთი „შტუკები“ ჩაუტარა ჩვენს თენგიზს, აინუნშიც რომ არ იყო აქამდე, საწყალი. ის საღამო იყო და იმის მერე, 2 კვირის მანძილზე ჭრაჭუნი გაუდიოდა თენგოს საწოლს, ყოველ საღამოს. ვიღას ახსოვდა ტელევიზორი, ლუდი და მარტოობით განცდილი სიხარული? მით უფრო, ქობულეთში გაგზავნილი ბუმბერაზი ცოლი და შვილები? თუმცა, ისევე, როგორც სხვა დანარჩენს, თენგოს არდადეგებსაც მოუკაკუნა დასასრულმა. ნანუჩი წავიდა თავის სოფელში. სამაგიეროდ, ფაშფაშა და „დაზაგრული“ ცოლი ჩამოუვიდა თენგოს. საწყალს, ისედაც არ მისდიოდა გული ცოლზე და ახლა ხომ, საერთოდ შეიჯავრა. მერე დაიწყო ჩვეული, რიტმული და ერთფეროვანი ცხოვრება. თენგო მუშაობდა, წელებზე ფეხს იდგამდა, რომ მომავალ წელს ცოლ-შვილი ისევ გაეშვა ზღვაზე, თუნდაც მთელი თვით. ის ხომ ისევ ელოდა ნანუჩის ჩამოსვლას, ზაფხულის არდადეგებზე. უკვე 3 წელია, თენგოს სუპერზაფხული ჰქონდა, თუმცა, ვინაიდან და რადგანაც ჩვენს ენაჭარტალა უბანში ზოგადად არაფერი იმალება ხოლმე, ეს ბობოქარი, სასიყვარულო რომანიც გასკდა და ისეთი ამბები დატრიალდა, მტრისას და ავისას. ნანუჩი ოჯახიდან გამოაბუნძულეს, თენგო კი ერთი გემოზე სცემეს. რას იზამ, ზოგს ქმარი ჰყავს, ზოგს — მამალი ცოლი. იკუშკები“.



## იმედგაცრუება

„ახალი დაშორებული იყო თეო თავის საქმროს. მიხვდა, მთლად ღირსეულ ადამიანთან არ ჰქონდა ურთიერთობა. ტკივილით დაღლილს ზაფხულის ერთ ცხელ დღეს, ვიღაც ახალგაზრდამ დაურეკა სიმშვიდე. ნომერი შეეშალა. თეომ თავაზიანად, მაგრამ ნაღვლიანი ხმით უთხრა, რომ სხვაგან მოხვდა. მერე არ წყდებოდა მესიჯები, გოგონა, რა სასიამოვნო ხმა გაქვთ და გაცნობა თუ შეიძლებაო. შეწუხდა თეო და გაეცნო. ხუმრობა-ხუმრობაში პირველი შეხვედრის დროც მოვიდა. თითქოს დაიჯერა, რომ ეს ის არის, ვაჟკაცური და ბავშვურად საყვარელი. მერე იყო ნაძალადევი პირველი კოცნა, წყენა, ცრემლები და შერიგება. ბოლოს კი დარჩა სინანული. საპნის ბუშტივით გაქრა, ყოველი ახსნისა და მიზეზების გარეშე. ახლა? ახლა არაფერი. ისევ მარტოა თეო და ახალ მიზნებს ისახავს. არ უმართლებს სიყვარულში? გაუმართლებს! ტირიფი73“.

## გადაშვებული

„წინა კვირის „გზავნილებში“ ცოტა ვიპასიურე, რადგან დაუვიწ-

ხანდახან სცენიდან
ჩამოსვლის შემდეგ ხვდები,
[illegible]



გზავნილები

ყარი სიყვარული არ მქონია. სამაგიეროდ, ჩემი ახლოსმყოფი თუ შორსმყოფი მეგობრების საზაფხულო რომანები მაქვს ბლომად. ნანუჩისგან ნებართვა მაქვს აღებული, მისი საზაფხულო რომანი გამოვამზეურო. ასე რომ, ისღა დამრჩენია, ყველაფერი დაწვრილებით გიამბოთ. ნუ, ახლა, ნანუჩის წუწუნის ამბავი რომ ვიცი (თავად ვარ მომსწრე), გადაღლიდა ბუზღუნით მის ერთ-ერთ სათაყვანებელ მეგობარ ნინუცის (ერთხელ დავუძახე ნინო და ლამის დამაპოტნა სახე) და ისიც, თავისი ნებითა თუ ძალით დასთანხმდებოდა და დასასვენებლად თავის მამიდასთან ბათუმში წაიყვანა, ერთი კვირით. პირველი ორი დღე არხეინად იყო ნანუჩი, მესამე დღეს კი უკვე დასრულდა მისი მშვიდი ყოფა, როცა ნინუცის ძმას, დიმას, გურიიდან ძმაკაცი ესტუმრა — თოკე. დიმამ უცებ ააგდო ჭორი, ჩემს ძმაკაცს ნანუჩი მოეწონაო და საბრალო გოგო შეიკლეს ხელში. მასაც, მეტი რა უნდოდა? ჯერ გადაეშვა, მერე კი მთლიანად ჩაიძირა სიყვარულის მორევში. თავიდან ცუდი თვალით შეხედეს ერთმანეთს, მთელი დღე იღრინებოდნენ. ნანუჩი დილიდანვე იწყებდა „კნავილს", საპასუხოდ კი თოკე ეღრინებოდა. ასე ძაღლი და კატასავით ჭამდნენ ერთმანეთს. ნანუჩის უხეშობით გადაღლილმა, შეწუხებული ხმით უთხრა: ბოლოს და ბოლოს, ერთ სახლში ვცხოვრობთ, იქნებ დამეგობრება გვეცადაო, მაგრამ ამ სიტყვებმაც ვერ გაჭრა. ერთ დილას თოკე ადრიანად ამდგარიყო, დივანზე მობუზული და დადარდიანებული, ფიქრებში იყო „გადაშვებული". ამასობაში ნანუჩიც გამოვიდა და როცა მისი გაბუსხული ტუჩები და სევდიანი თვალები დაუნახავს, კინაღამ საკოცნელად გაქანებულა. უეცრად, მათი სიყვარულით ანთებული მზერა შეხვდა ერთმანეთს. ცოტა ხანში თოკემ მზერა მის ღრმად ამოჭრილ დეკოლტეზე გადაიტანა. ნანა უხერხულად შეიშმუშნა და



მაისური ზემოთ აქაჩა. ახლა მოშიშვლებული წელი გამოუჩნდა. მერე უხერხულობის დასაძლევად გაიღიმა და ოთახიდან გავიდა. ამ დღის მერე შეწყვიტეს ერთმანეთის კბენა-ღრენა და თბილი გრძნობაც გაჩნდა მათ შორის. მერე ორივე თავ-თავის გზაზე წავიდა და დაწყებული სიყვარული ტელეფონით გააგრძელეს. მათი მესიჯები ცალი თვალით მაინც რომ წაგაკითხათ, ორივეს ცოდვით დაიწვებოდით. ლუნა".

## საზაფხულო რომანები

„მააარ, მე რომ საზაფხულო Love Story-ები მაქვს წეეელს?! ნამდვილი „წებოს სეზონი" მაქვს, რა... ბევრი რომ არ გავაგრძელო, ერთი „ლოვე" ზაფხულის დასაწყისში „მომეწება" და მეც მის მომაჯადოებელ თვალებს ვერ გავუძელი და ჩავიხუტე, მაგრამ... კარგი ხარისხის წებო არ გამოდგა და მალევე დავშორდით ერთმანეთს. ამ ამბიდან ერთ კვირაში ახალი „წებოსმოყვარული" „პაკლო" გადამეკიდა და ლამის მთელი დღეები ლანდივით თან დამდევდა, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არააა, ვერა და ვერ ვუპასუხე სიყვარულზე. მესამე „ლოვე" ვირტუალური სამყაროს წარმომადგენელი იყო და ჩემდა გასაოცრად, სამსახურში არ მომაკითხა (ნეტავ, საიდან გაიგო ჩემზე ინფორმაცია?)?! ჰოდა, მეც მაგრად გავუბრაზდი და ინტერნეტი გავთიშე. მეოთხე კი ისეთი საკალელი და კარგია, ლამის გამაგიჟა, ეს ჭკუის კოლოფი (ასე მეგობრები მომმართავენ) ქალი. სულ მასზე ვფიქრობ და არ მინდა, მასზეც წარსულში ვილაპარაკო, მაგრამ ერთი დაბრკოლება გვაქვს, ჩემზე პატარაა, ასაკით. ნუ, დაბნეული ბრინჯივითაა. ხედავ, მაარ, რამდენი რამე მოვასწარი 3 თვის განმავლობაში? ამას ჰქვია „საზაფხულო რომანები". ეჰ, წავედი, წებო უნდა მოვიშორო, თორეეემ"...

## მოტაცება სურამულად

„ადრე, სანამ დავბრძენდებოდი, მაგარი ქარაფშუტა ვინმე ვიყავი. ყოველი წლის ზაფხულზე შეყვარებულებს ვიცვლიდი, ისე მსიამოვნებდა მათი გაწამება. ჩემ გამო რამდენჯერ უჩხუბიათ, დანა-ჩანგლით დასდევდნენ ერთმანეთს. საქმე საქმეზე რომ მიდგებოდა, ყველას ჩაილურის წყალს დავალევინებდი ხოლმე. ზაფხულობით სურამში ვისვენებდით 3 განუყრელი დაქალი, მე, შორენა და ნონა. ერთხელ, სასეირნოდ წავედით ატრაქციონებზე. იქ მიშიკო შეგვხვდა (შორენას სატრფო). ვითომ შემთხვევით გვნახა, ლაპარაკში შეგვაბა, „პერევალზე" ზანგები ჩამოსულან, არ გინდათ, გაჩვენოთო? ჩვენც ავ-



ქრიმინალური მსახიობი
[illegible]
ახალის ქმნის

ტყდით და გავყევით. ტაქსი დაგვიქირავა მიშკამ, დიდი ამბით (თურმე, წინასწარ განზრახული ჰქონია ყველაფერი). ძირულას რომ გავცდით, მანქანამ რომელიღაცა სოფლისკენ გადაუხვია. ცოტა არ იყოს, შევცბით, მაგრამ რაღა დროს? მანქანამ მიშიკოს ნათესავის სახლთან დაამუხრუჭა და გახარებულმა გადმოგვძახა, გადმოდით, ცოლი მოვიყვანე, ქეიფიაო. შორენამ, ტრადიციისამებრ, სახეზე ხელები აიფარა და ტირილი მორთო, ვითომ არ უნდოდა გათხოვება, თავის საყვარელ პიროვნებაზე. იქ ქეიფი გაჩაღდა, ნუ მკითხავთ! ბედი არ გინდა? აქაც არ მომასვენეს, მიშკას ნათესავმა დაიჩემა, უცოლო ძმა მყავს, ბარემ მოტაცებულები ხართ და რა კარგი გოგო ყოფილხარ, შენც შორენასთან ერთად დაგიტოვებთო. ლამის გული გამისკდა, ჩემი ფეხით მივედი-მეთქი. შიშისგან ლამის ტირილი მოვრთე, გეხუმრებიანო, მიშკას რო არ ეთქვა. ერთი სიტყვით, 3 დღე ვიპურმარილეთ, სახლში წამოსვლა აღარ მინდოდა. ახლა შორეს და მიშას 2 ვაჟკაცი ჰყავთ. ღმერთმა სულ ბედნიერები ამყოფოთ. ქალი ცდუნება“.

## მეცხვარის სასამართლო

„ბავშვობაში განსაკუთრებით მიყვარდა ისეთი მოთხრობების კითხვა, სადაც მეცხვარე გოგოსა და ბიჭის სიყვარული იყო აღწერილი. იმდენჯერ ვკითხულობდი, ლამის ბავშვობის ოცნებად მექცა ცხვარში სიარული. რა თქმა უნდა, ოცნება ოცნებად დარჩა და მივათვალე სხვა, აუხდენელ ოცნებებს. რა კავშირშია საზაფხულო რომანი მეცხვარესთან? მეც ასე ვფიქრობდი, მაგრამ ასე არ არის თაყაო, შენ რომ საშენოდ გაყავო და მოვისმინე ერთი უცნაური სასამართლოს შესახებ, რომელიც საზაფხულო რომანს ეძღვნებოდა. ბრალდებული იყო მეცხვარე გირგოლა. არც მეტი, არც ნაკლები, ბრალად ედებოდა მწყემსობისას მეზობლის ქალთან ძრომიალი. მეზობლის ქალს ხელს ნუ ახლებ, ისიც შინაურიაო, ეს წესდება საძოვარზე აღარ ჭრიდა და ჰქონდათ გაჩაღებული საზაფხულ-სამეცხვარეო რომანი. სასამართლოზე ლამის სიკვდილის ფასად დაუსვამთ გირგოლასთვის „ნამწყემსარის მოგონებანი“, რომ არ აპილპილებულიყო ბრალდებულის მეუღლე — ხალხო, ამას წინათ, ცხვარში რომ ვიყავი, ჩამაიარა ვაჟიამა, შამამაჯდა და... სხვა დღეს ჩამაიარა ლევანამა, შამამაჯდა და... უფრო სხვა დღეს ჩამაიარა მამუკაიმა, შამამაჯდა და... მაგრამ მე არაფერი მითქვამს სახლშიც კი, არამც თუ საჩივარი შემეტანაო. მითქვამს რამე, გირგოლავო? გადასძახა მეუღლეს. სულგანაბული მიაჩერდა სასამართლო დარბაზი გირგოლას და ამანაც, ალიბის გამოჩენით გახარებულმა, ისე, რომ ვერც კი ჩასწვდა არსს, გადმოსძახა — მააშ, მააშ, გენაცვალე, რა საჭიროა რუტრუტიო. P.S. ყველაზე მიუღებელ დანაშაულსაც ჩამოეხსნება დამნაშავეობის იარლიყი, თუ სხვანაირად წარმოაჩენ ან შესაბამის დროს გამოამზეურებ. ესეც ჩვენი მედლის მეორე მხარე. მე-მე“.



## წლის პაემანი

„შარშან ზაფხულს, 10 აგვისტოს ერთი ბიჭი გავიცანი, ომონიაზე. შემდეგ ტელეფონით გავაგრძელეთ ურთიერთობა. შეხვედრას კი მთხოვდა, მაგრამ არ ვთანხმდებოდი, სანამ 2009 წლის 10 აგვისტო არ დადგება, არ განახავ-თქო. დადგა ეს მისთვის სანატრელი 10 აგვისტო. დანაპირები შევუსრულე და შევხვდი. იმ დღეს ხასიათზე ვერ ვიყავი. შემამჩნია უხასიათობა და მკითხა, კრიტიკული დღეები ხომ არ გაქვსო? თან ბერძნულად მკითხა, ქართულად რა ერქვა, არ იცოდა. გავბრაზდი და წამოვედი. თან მივაძახე, მომავალი წლის 10 აგვისტოს გნახავ-მეთქი. ჰოდა, დაველოდები მომავალ ზაფხულს. ეს ხომ საზაფხულო რომანია. აბა, შემოდგომაზე, ზამთარში და გაზაფხულზე რატომ უნდა შევხვდე? ალინა“.

## გამხდარი

„გიო უსაშველოდ გამხდარი და სუსტი იყო. რომ იტყვიან, მარტო ძვალი და ტყავი. ერთ ზაფხულს ბათუმში წავიდა დასასვენებლად. ავტობუსში მის გვერდით ღმერთივით, ქერა ქალი მოხვდა. ისაუბრეს, ბევრი აცინა ქალი, თან მის მუხლებსა და გამჭვირვალე კაბიდან მოელვარე მკერდს თვალებით ჭამდა. ქალმა ტელეფონის ნომერი მისცა. სთხოვა, სასტუმროში რომ მოეწყობი, დამირეკეო. მეორე დილით დაურე-

ჩვილები და ძაღლები —
კინოს საუკეთესო მსახიობები
[illegible] ჩარლი ჩაპლინი



გზავნილები

კა. ჩემო გიო, ახლავე სახლში უნდა მეწვიოო, უთხრა ქალმა და მისამართიც მისცა. მივიდა გიო მიცემულ მისამართზე. სახლში ქალი და სამიოდე წლის ბავშვი დახვდა.
— შვილო, უთხრა ბავშვს ქალმა, თუ საჭმელს არ შეჭამ, აი ამ ძიასავით გამხდარი იქნებიო. იმედგაცრუებული გიო უხალისოდ დაბრუნდა სასტუმროში. ოლეგარიო“.

## თემაზე და თემის გარეშე მოსული მოკლე მესიჯები

„ახლა ვკითხულობდი „გზის“ ძველ ნომერში, თუ როგორ აუბედურებენ პატიმრები გოგონებს (თუ, თვითონ იუბედურებენ თავს) და მომინდა, მომეწერა. ამ გოგონების საქციელი მაოცებს: რატომ იტყუებენ თავს და რატომ აყენებინებენ პატიმრებს თავს? ძალიან მიკვირს. ნუთუ, საკუთარ თავს პატივს არ სცემენ და არ ზრუნავენ ბედნიერ მომავალზე? ან როგორ უყვარდებათ? უკვე ექსპერიმენტის გამო დამაინტერესა პატიმართან კონტაქტმა. შორენა“.

„მარი, რავა ხარ? ეეე, წელს ისეთი საშინელი ზაფხულია, რომელ რომანზეა ლაპარაკი? თბილისიდან ვერ გავყავი თავი. დადუ“.

„აუ, მარიკუნა, რომ იცოდე, რა დიდი სიამოვნებით კითხულობს ბებიაჩემი „გზას“. აი, რა მაგარი ხარ, განა მარტო თინეიჯერებს გვხიბლავ, ბებიებსაც დააწყებინე ჟურნალის კითხვა. ჰოდა, რა უნდა მეთქვა: ბებიაჩემი და დედაჩემი მეხვეწებიან, გავუმხილო, რომელი სახელით ვამესიჯებ. ნურას უკაცრავად, მოინდომეს მთვარეზე ასვლა. მარ, ეს ხომ ჩვენი საიდუმლოა? ბებო, ვიცი, ამას წაიკითხავ. მენატრები შენც და შენი გამომცხვარი ლობიანებიც. იქნებ გამოგეგზავნა, ჰა? რას იტყვი? შენი თეკლატუნა“.

„7 აგვისტო იყო. ეს მოხდა კახეთში. გულის გასაგრილებლად გურგენიის ნაკრძალში წავედით. ერთი ნახვით სიყვარული თუ არ არსებობს, მაშ, რატომ შევცქეროდი გახევებული, ადამიანთა დაუდევარი მოპყრობით შეურაცხყოფილ წალკოტს? მაინც გაგვიღიმა და გვიმასპინძლა. ბავშვობის წლები გამახსენა. ვუსმენდი მდინარის გულმოდგინე ჩხრიალს და ერთმანეთს ლამაზ ამბებს ვუყვებოდით. მერე იყო გურია, დიდრონი მთები და პირველი და უკანასკნელი პაემანი ჭადართან. თითქოს ნაცნობი სული იგრძნოო, მომეჩვენა, სუნთქავდა და რაღაცის მოყოლა



უნდოდა, მაგრამ... მეორე დღეს უკან დავბრუნდი. ბოლომდე ვერგანცდილმა სილამაზემ და ვერმოსწრებულმა დამშვიდობებამ დალექა გულში 2 სიყვარულის მონატრება — ჭადრის და მოჩუხჩუხე მდინარის. მხოლოდ ბუნება განგაცდევინებს ყველაფერს, სადაც ფიქრებიც სასიამოვნოა და მოგონებებიც ტკბილი გეჩვენება. ტირიფი 73“.

„მიყვარდა, ახლაც მიყვარს და კიდევ მეყვარება. ერთ წელზე მეტია, დავშორდით, თან — ჩემი მიზეზით... ჩემთვის დაუვიწყარია, მისთვის? როცა ყველაზე მეტად მიჭირდა, ჩათვალა, რომ სწორედ მაშინ უნდა გამოეჩინა სიამაყე. ყველაფრის მიუხედავად, მიყვარხარ და მაპატიე, რომ არ გაგრძნობინე ეს. „Lonely Girl“.

„შარშან აგვისტოში გავიცანი ერთი ბიჭი და შეგვიყვარდა ერთმანეთი. ამის მერე ყოველდღე ერთად ვართ, უერთმანეთოდ წამიც არ შეგვიძლია. ძალიან ბედნიერი ვარ, ძალიან მიყვარს. რა კარგი გრძნობაა, იცით, როცა გიყვარს და მისგანაც იგივეს გრძნობ? ყველას ასეთ სიყვარულს გისურვებთ. პატივისცემით, ლოლიტა“.

„ერთი ჩვეულებრივი გამვლელი პრესას ჩაუვლის და ჟურნალ „გზას“ მოჰკრავს თვალს. იყიდის, წაიკითხავს „გზავნილებს“ და მაგრად დაევასება იქაური პონტები. გაუჩნდება დამესიჯების სურვილი, „მობილიზაციაში“ გაგზავნის ტექსტს, ასეთი შინაარსით: „პრივეტ, მეც მინდა თქვენთააან! გკოცნით ყველას და გეფერებით, თქვენი გემრიელი გოგო“. მომავალ კვირას ეს გოგო კიდევ იყიდის ჟურნალ „გზას“ და ხვდება შემდეგი შინაარსის ტექსტი: „გემრიელო გოგო, მაგრად მინდა, რეალში დაგაგემოვნო“. აიშლება ეს გოგო ნერვებზე და ეჭვს ბერბიჭაზე მიიტანს. თურმე გემრიელი გოგოს დაგემოვნება პავლიკას სდომებია და ნიკის მიწერა დავიწყნია. გაბრაზებულა და „მობილი-ზაციაში“ საჯაროდ დაუწერია: „ბერბიჭავ, ჩამომეცალე, შენ რა, დაგავიწყდა, მგზავნელი გოგოების მუსუსი ადრე მე რომ ვიყავი?“ ბერბიჭამ პასუხად მისწერა: „პავლიკ, სტაჟი ჩემზე დიდი, მეტისმეტად მოგრევია, დაძველდი და აზრებიც კი სულ მთლიანად აგრევია, მე რა გიყო, გოგონები ახლა ჩემზე ირევიან“. ამის წამკითხავ, ჩრდილში მიმალულ მაესტროს ასეთი პასუხი გაუცია: „გოგონები ფეხქვეშ მეგებიან და ნუ იჭიმებით“. ამ ყველაფრის წაკითხვის შემდეგ გემრიელ გოგოს საჩვენებელი თითი საფეთქელზე მიუდია, დაუტრიალებია და მხოლოდ ამის შემდეგ უთქვამს: „ასე ერთიანად როგორ შეიკრიბა ამ ჟურნალში მექალთანე ბიჭები?“ მის“. ■

**„გზავნილების“ მომდევნო თემად გთავაზობთ — ყველაზე დიდი იმედგაცრუება“. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე:** marorita77@yahoo.com **რაც შეეხება „მოკლე ჩართვას“, ამჯერად კითხვა ასეთია — „რა მომწონს და რა — არ მომწონს განახლებულ გზაში“?**

# „მზის ქალაქი“, გაუმაძღარი ბავშვი და ლილი პუტების ოლიმპიადა



11 წლის ინგლისელი გოგონა მშობლებმა მანქანაში დატოვეს. გოგონამ შემთხვევით ხელის მუხრუჭი დასწია. მანქანა დაგორდა და წყალში გადავარდა. გოგონამ ბედად, გადმოხტომა მოასწრო და გადარჩა.

პარაგვაის ერთ-ერთ სამშობიაროში ბიჭუნა 16 კვირით ადრე დაიბადა. ექიმებმა ის მკვდრად გამოაცხადეს, მაგრამ ბავშვი რამდენიმე საათის შემდეგ გონს მოვიდა. ბიჭუნა სულ 500 გრამს იწონიდა, არ მოძრაობდა, სუნთქვის რეფლექსი და გულისცემა არ ჰქონდა. ახალშობილის ოჯახმა გარდაცვალების მოწმობა მიიღო და მიცვალებული შინ გადაასვენა. მშობლები დაკრძალვის ცერემონიისთვის ემზადებოდნენ, როდესაც საოცარი რამ მოხდა — ბავშვი ატირდა. შემდეგ ხელებისა და ფეხების ქნევაც დაიწყო. ახალშობილი მაშინვე საავადმყოფოში გადაიყვანეს და სპეციალურ ინკუბატორში მოათავსეს. როგორც ექიმები ამბობენ, ბავშვის მდგომარეობა სტაბილურია. მეცნიერები ამ უცნაურ მოვლენას იკვლევენ.

5 წლის ინდოელი გოგონა თავისი მადითაა ცნობილი. ის გამუდმებით ჭამს. ექიმები ამბობენ, ჭამას მხოლოდ სიკვდილის მერე შეწყვეტს, თუ შესაბამის სპეციალისტთან არ წაიყვანენ. გოგონას მშობლები დღეში 10 დოლარს გამოიმუშავებენ, რის გამოც შვილისთვის სამყოფ საჭმელს ვერ ყიდულობენ. ბავშვს დღის განმავლობაში 10 კგ ბრინჯი, 5 კგ კარტოფილი, 24 კვერცხი და 6 ლიტრი რძე სჭირდება. მშობლები იძულებული არიან, დახმარება მეზობლებს სთხოვონ. თუ მშობლები ჭამას უკრძალავენ, გოგონა ხმამაღლა ტირის და ქვების სროლას იწყებს.





ლილიპუტებისთვის რიგით მეხუთე ოლიმპიადა ჩრდილოეთ ირლანდიაში, ბელფასტში ჩატარდა და 2 აგვისტოს დასრულდა. ოლიმპიადა ჩვეულებრივისგან არაფრით განსხვავდებოდა, გარდა იმისა, რომ სპორტსმენების სიმაღლე ჩვეულებრივზე დაბალი იყო.



MK

# გზავნილები



საუდის არაბეთში მცხოვრებმა გამომგონებელმა გერმანიის საპატენტო სამსახურს განცხადებით მიმართა. ის აღწერდა საიმპლანტაციო ჩიპს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება, ქვეყანაში მყოფი უცხოელი მოქალაქეების ადგილსამყოფელის დადგენა და აუცილებლობის შემთხვევაში, დისტანციური მართვის პულტით, ჩიპში ჩადებული შხამის ორგანიზმში გაშვებაც. განცხადებაში ჩიპის სქემა 2 ნაწილადაა წარმოდგენილი. პირველი მხოლოდ თვალთვალისთვისაა განკუთვნილი, მეორე კი შხამს შეიცავს. 2-ნაწილიან ჩიპს მხოლოდ იმ მოქალაქეებს ჩაუდგამენ, ვისაც სახელმწიფოსთვის საშიშ პიროვნებად მიიჩნევენ. გერმანიაში განცხადების ავტორი უარით გაისტუმრეს, ვინაიდან მოწყობილობა ეთიკურ ნორმებს არ აკმაყოფილებდა. საქმე ის გახლავთ, რომ გერმანიის საპატენტო სამსახური მსოფლიოში ერთადერთი არ გახლავთ და შესაძლოა, ამ გამოგონებამ სტარტი სხვა სახელმწიფოში აიღოს.

ლატვიელმა მილიონერმა ქალაქ ცესისის მახლობლად ფანტასტიკური პროექტი განახორციელა. მან 3 ათასი ჰექტარი ტყე შეისყიდა და „მზის ქალაქი“ ააშენა. ამ ქალაქში განსაკუთრებული კანონები მოქმედებს და იქ მცხოვრები ადამიანები სხვანაირი დღის განრიგით ცხოვრობენ. ქალაქი ეკოლოგიურად სუფთა მასალით აშენებული, სამსართულიანი სახლებისგან შედგება. ისინი რელიეფის გათვალისწინებით ისეა აშენებული, რომ მეზობელი სახლის ფანჯრები არ ჩანს. ასეთი სულ 300 სახლია და თითოეულ მათგანს ეზოში თავისი ტბა და მომცრო ტყე აქვს. ყველა სახლს ცენტრალური კანალიზაცია (რომელიც სპეციალური ტექნიკის საშუალებით, ხეების ფესვებშია გატარებული), მაღალსიჩქარიანი ინტერნეტი, მუდმივი ელექტროენერგია, ბუხარი და გათბობის ინდივიდუალური სისტემა აქვს. „მზის ქალაქში“ არც ერთი ღობე არ არის (აკრძალულია) და ასევე არ შეიძლება ძაღლის დაბმა. ძაღლი მხოლოდ შინ შეიძლება იყოლიონ. თითოეულ სახლს მხოლოდ მისამართი კი არა, თავისი სახელწოდება აქვს. 300 სახლიდან 150 უკვე გაიყიდა. თითოეულის ღირებულება დაახლოებით 94 ათასი ევროა.



2010 წლის მარტში, ჰოლანდიაში პირველი მრავალბინიანი, საცხოვრებელი, მცურავი სახლის მშენებლობას იწყებენ. ციტადელი „უოტერსტუდიო“ ბუნებასთან შერწყმის მცდელობაა. დროა, ადამიანებმა წყალზეც იცხოვრონ და არა მხოლოდ ნაპირზე, ამბობენ არქიტექტორები. თითოეული ბინიდან წყლის საუკეთესო ხედი გადაიშლება და თავისი ნავსაყუდელიც ექნება. მცხოვრებნი ნაპირზე გადმოსვლას მხოლოდ ცურვით კი არა, ხიდის საშუალებითაც შეძლებენ.





*იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.*

## ქალები



1. ვარ 41 წლის ქალიშვილი, მუსიკალური განათლებით, 170/80. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ განათლებულ, სპორტული აღნაგობის, მშვიდი ბუნების მამაკაცს.

2. ჩემო ძვირფასო მგზავნელებო, ვისაც ჩემი გაცნობა გსურთ, დამიმესიჯეთ. თუ გათიშული დაგხვდათ, იმედი არ დაკარგოთ, თქვენს მესიჯს აუცილებლად ვნახავ.

3. ვარ 37 წლის, გასათხოვარი ქალბატონი, სუფთა წარსულით. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 42 წლამდე ასაკის, სერიოზულ და სულით წმინდა მამაკაცს.

4. დავიღალე მარტოობით. არა და, ვერავის ვენდობი. სევდიანი ნინი ვარ. იმედია, მალე შევავსებ სიცარიელეს.

5. ვარ 42 წლის, ქვრივი. მხოლოდ სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ დამოუკიდებელ, ქვრივ მამაკაცს, შესაფერისი ასაკისას, იმერეთიდან.

## კაცები



6. ვარ 44 წლის, უცოლშვილო. მარტო, ცოტა მოწყენილი მამაკაცი. აქვს სურვილი გამეცნოს ვინმე?

7. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისში მცხოვრებ, ბინით უზრუნველყოფილ ქალიშვილს, 34 წლამდე. ვარ 34 წლის.

8. გავიცნობ მარტოხელა, შეძლებულ ქალბატონს, 50 წლამდე.

9. დაოჯახების მიზნით გავიცნობ ლამაზ, პუტკუნა, მოხდენილად მსუქანა, საყვარელ, თბილ, მოსიყვარულე, განათლებულ და ბინიან გოგოს, 29 წლამდე. ვარ კარგი სამსახურით უზრუნველყოფილი.

10. გავიცნობ მას, ვინც გამიცნობს. გიორგი.

11. ვარ 23 წლის, ცისფერთვალება ბიჭი. გავიცნობ 18-23 წლამდე გოგოს, ვისაც შეუძლია სიყვარული და ერთგულება. ცანცარები ნუ გამომეხმაურებიან.

12. ვეხმიანები ქუთაისში, 44 წლის ქალბატონს. ავთო.

13. გავიცნობ გოგონას, 18-დან 26 წლამდე.

14. დაოჯახების მიზნით გავიცნობ სუფთა წარსულის მქონე, 38 წლამდე ასაკის, მაღალ, არამსუქან ქალიშვილს. ვარ დასაქმებული, თბილისში მცხოვრები, 47/182/102.

15. სრული სერიოზულობით გავიცნობ ერთგულ და სერიოზულ მანდილოსანს. ვარ 25 წლის, მაქვს სამსახური. ვცხოვრობ ქირით. მინდა გვერდით ისეთი ადამიანი, ვისზეც ვიზრუნებ.

16. გავიცნობ 25-35 წლამდე ასაკის, სერიოზულ ქალბატონს, თბილისელს, თუნდაც ბავშვიანს.

## ვეძებ



17. საბერძნეთში მცხოვრებო ეკა ოქრაძე, გამომეხმაურე.

18. ვეძებ ლალი ლიპარიშვილს. თუ ვინმე იცნობთ, შეატყობინეთ. საბერძნეთში ველარ ვუკავშირდები. გამომეხმაურე, ვნერვიულობ, რომ დამეკარგე, გაჭირვების მეგობარო. კლარა.

19. ვეძებ ქუთაისელ მანანა ნიჟარაძეს. ძმას ჰქვია გია. ვთხოვ, დამიკავშირდეს. სოფო ახალკაცი.

20. ვეძებ ნინო მარიამულს, რომელიც ჩემთან ერთად სწავლობდა თბილისის მე-10 საშუალო სკოლაში. მაკა შალვაშვილი.

## სხვადასხვა



● ახლა რა ხდება... :) ამჟამად ცაგერში ვისვენებ. ჰოდა, მეთქი თუ ამესიჯებენ აქაურები „გზაში“ ეგება გავიცნო-თქო. :) სონი და ბელო, შემეხმიანეთ, რა. აბეზარა.

● პრივეტები, გეხუტუნეთ, მგზავნელებო. გაიხარეთ, ასეთი კარგი გზავნილებისთვის. ბერბიჭა და სონი, იზვინი, სიჩქარეში მესიჯზე ნიკის მიწერა დამავიწყდა. სევდიან ქალს მინდა ჩავეხუტო, ჩემი კეთილი სურვილებით... ბელო.

● ღმერთო ჩემო, როგორ გამიმართლა, რომ ჩემი მესიჯი მაშინვე მოგივიდა. არც კი ვიცი, რა გითხრა. უბრალოდ, კარგი ადამიანი ხარ, გმადლობ, რომ გულს გვიხარებ და ხალისს გვმატებ. გაიხარე, ადამიანო! მარ, ნეტავ ერთხელ მაინც მამესიჯა შენთან, სხვა

# გზავნილები

თუ არაფერი (რა სასაცილოა, არა?) ეეეჰ, ისე, მე კარგი და პატარა ბიჭი ვარ.

● მიკრი (პატარა), გაგიცნობდი. მეც ათენში ვარ. 69 81 46 66 98 ამ ნომერზე დამიმესიჯე. გათიშული მაქვს, მაგრამ ხანდახან ვრთავ ხოლმე. ალინა.

● ყველა მგზავნელს მოგესალმებით. გარკვეული მიზეზების გამო მართლა აღარ ვაპირებდი დამესიჯებას, მაგრამ გაცნობაზე უარს როგორ გეტყვი? თუმცა, მესიჯს ნიკი არ აქვს და ჩემი ვარაუდით, უკარება უნდა იყო. თუ შეძლებ, შენ დამიკავშირდი. თუ არა და ისევ „გზაში“ მომწერე და მე გავიგებ შენს ნომერს. ენიგმა, როგორ ხარ? გამოჯანმრთელდი? მარტოსულოოო... მაგარი ახალი ამბები მაქვს შენთვის და ერთხელ მაინც იკადრე დამესიჯება, ნუ გადაჰყვები მთლად ბერძნებს. სო-ნი.

● ტეხასისშტატელო გია-ჩორნა, თუ მართლა დაგვპატიჟებ, გპირდები, აუცილებლად შეგარიგებ იდუმალ ქალთან. სევდიანი ქალი.

● არც აფერისტობა შემიძლია და არც უმიზეზოდ ვინმეს გამოლანძღვა. აქ არავის ვიცნობ, მაგრამ ყველაზე მაქვს რაღაც წარმოდგენა შექმნილი. უბრალოდ, მისწორდება და ვამესიჯებ... სიხარულო, სიყვარულო, არიქა გაკოცე და გადაგეფსკვენიო, არ არის ჩემი სტილი, მარა ვისზე რას ვიფიქრებ, იმას დავწერ. ნუ, თუ ვინმე შემეკითხება აზრს. თუ არა და, არავის ვეხები. Ashley, არ მითქვამს, ბუტირკა მიყვარს-თქო. ლიმონ, პილპილა რატომ? გაწყენინე რამე? სიკვდილ, გმადლობ! ფეშენა.

● გაუმარჯოს ჩემს მეგობრებს! როგორ ხართო, როგორრო? დიდი, დიდი კოცნა ყველას, ვინც ბაღდადელი, როხელია, წითელხეველია, ვანელია. ნუ, ვინც მაგ წრეშია. უკარება.

● გამარჯობა. მე თქვენი ერთგული მკითხველი ვარ, მაგრამ პირველად გწერთ იმ იმედით, რომ თქვენს დიდ და ლამაზ ოჯახში მიმიღებთ, მე კი გპირდებით, არ მოგაკლებთ საინტერესო ისტორიებს. კოცა.

● მარი, დილა მშვიდობის! თეთრად დამათენდა იტალიური ღამე „გზის“ და „გზავნილების“ კითხვაში. ხალხოოო, ქართველებო, რა გჭირთ? რატომ სტკენთ გულს ერთმანეთს? საიდან ეს ბოლმიანი სიტყვები? მოვეფეროთ ერთმანეთს, მძიმე ცხოვრება გავუხალისოთ. მიყვარხართ ყველანი, მგზავნელებო, თქვენ მოგეფერეთ. იტალიელი ემიგრანტი.

● კიდევ ერთი ბათუმური შეხვედრა შედგა. ამჯერად ბევრი მგზავნელი ვიყავით. მე, ჩუპი, როკო, კოზანოსტრა, Emyly. ცუდი დრო არ გვიტარებია. მარი, შენ გელოდებით სულმოუთქმელად. როდის ჩამოხვალ, ნეტავ? სუპერსთარი.

● მააარ, ისევ მე ვარ, მოცლილი და უძინარი ჩუპი. მოკლედ, სანამ გურიაში გავქუსლავდი, წინა დღეს შევხვდი მგზავნელებს. ვერმახტს, სუპერსთარს, კოზანოსტრას და ემილის. კიდევ ერთი ლამაზი დღე გავატარე ამ ადამიანებთან ერთად... იცი, მარ, მათთან თავს ისე ვგრძნობ, თითქოს საუკუნეა, ვიცნობ. თანაც, ჩვენ ყველას ერთი რამ გვაერთიანებს: ჟურნალი „გზის“ და თქვენი მგზავნელების სიყვარული. ჰო, მართლა, ეს რამდენიმესაათიანი ბედნიერება პოეზიით დავასრულეთ. სუპერსთარმა თავისი შემოქმედებიდან გაგვაცნო ლექსები და ჩემი მოწონებაც დაიმსახურა, სხვათა შორის. ყველას მადლობას გიხდით ამ ლამაზი დღისთვის და კიდევ, Will be back (იმედია)! ჩუპი.

● Sweet Girl, ხაშურის მიწისქვეშა გვირაბი არ ნახე? ისე ნუ წახვალ მანდედან, ეგ მშვენიერება რომ არ ნახო. მანდ წავაწყდი სწორედ კაცს, უხერხულ პოზაში. :) კიდევ „პატარა ნიუ-იორკის“ ნახვაც შეგიძლია, ტანსაცმლის მაღაზიაა, საბითუმო ფასებში. სტალინის პარკიც კარგია, პროსტა სულ 3 სკამი დგას და იმათაც იმხელა გინება აწერია, ვინც აქ დაჯდესო, რომ... აფსუს, რა დროს წამოვედი ხაშურიდან, გადასარევ გიდობას გაგიწევდი, საყვარელო. :) დამავოი.

● სევდიანო ქალო, ულრმესი მადლობა სითბოსთვის. ლუნას და გრუზინკას ვეხუტუნე, ლამაზ გულებში. იდუმალ ქალს დიდი მოკითხვა. Ashley PCD, ასაკი რად გინდა, ძვირფასო? ტირიფო, ვიცი, რომ კარგი ხარ. თუ სურვილი გექნება, გრუზის გამოართვი ჩემი ნომერი. ქალი ცდუნება.

გაკოცეთ, თქვენი გიჟი New moon.

● ენიგმა, არც ისეთი მაგარი ტიპი ხარ, როგორც ბლატაობ. ისე, ძვირფასო, მის რიჟაზე რას იტყოდი? მარი, რატი დურგლიშვილზე ვარ უგონოდ შეყვარებული და გთხოვ, გამაცანი.

● მგზავნელებო, გამოვფხიზლდეთ/ მოვიმარჯვოთ კალმები/ ვისაც ჩვენი მტრობა უნდა/ დავუბნელოთ თვალები/ ვინც ჩვენ გვიძმობს, ვეყვარებით/ არ ავიკლოთ ბრალდებით/ მტერი გარეთ გავისტუმროთ/ მივუხუროთ კარები/ ერთად ვიყოთ, გავატაროთ/ ბედნიერი წამები/ ჩვენთან ერთად გავამხნევოთ/ დატანჯული ქალები/ ერთმანეთი გვყვარებოდეს/ მეგობრული გაგებით/ შეგვწეოდეს ძალა ზეცის/ დალოცვილი განგების!/ ქალი ცდუნება.

● იდუმალო ქალო, მადლობა, რომ გახსოვარ. Ashley, სახელს და ასაკს ვერ გამოვჭიმავ. თუ ვინმეს რამე პირადად უნდა ჩემთან, მარის სთხოვეთ და შემეხმიანეთ. პრობლემა არაა, პასუხისმგებელი ვარ. კამი, რა დაგემართა, დაი? მომენატრე. აიი, ბერბიჭააავ! შენ რა მექალთანე ყოფილხააარ?! გოგო არ დატოვე „გზაში“, შენ რომ არ გაარშიყებოდი. გაშალე ფრთები? ფრთხილად, რამე არ მოიტეხო. ეს საწყენად არ მიიღო. მე პირადად, გულს გთავაზობ და თუ არ მიიღებ, მერე ტყვიას შემოგთავაზებ. ყველაფერი ცუდი დამთავრდა! ვიღიმი! სიცოცხლე მიხარია და მინდა! მოკითხვა აბსოლუტურად ყველა მგზავნელს, ძველსა და ახალს. მიყვარხართ. თოლია.

● მააარ, შენ ხარ ადამიანი — ლეგენდა, ადამიანი — აზრი, ადამიანი — ხალისი და საერთოდ, შენ ხარ უმაგრესი ადამიანი... ახლა „გზას“ ვკითხულობ და მაგრად ვხალისობ... ასე გააგრძელე...

● დიდი სალამი, დიდ ადამიანს! ეს შენ, მარიამულო. შემოგევლე, Thanks for all. მოკლედ, პირველად ვამესიჯებ მაარ და გამიხარდებასავით, თუ ამას გამოაქვეყნებ. აქამდეც სიამოვნებით მოგწერდით, მაგრამ 3 თვეა, რაც ჯარში ვარ. :) მომიწია შვებულება, ჩამოვედი ჩემს საყვარელ ბათუმში, ვტაცე ხელი ტელეფონს და შედეგიც სახეზეა. მოკლედ, მოვიკითხავ ყველა მგზავნელს. შემოგევლეთ, კარგები ხართ. განსაკუთრებით კი ლუნას, Sweet-Girls და Ashley PCD-ს. ღვთის წყალობა ნუ მოგკლებოდეთ! Filippo.

● მე პირველად გწერთ. თუმცა, „გზას“ ხშირად ვკითხულობ. ყველანი ძალიან მაგრები ხართ. შავტუხა.

● 2008 წლის „გზის“ ნომერს ვათვალიერებდი და შემთხვევით ნომერი ამოვწერე და მესიჯზეც შემთხვევით ის სახელი მივუთითე, რომელიც მას ჰქვია. დამიჯერებ? გიორგი.

● ლუნ, სიხუნი, ერთმანეთს 2007-ში ვემესიჯებოდით. კამისთან დაკავშირებით კი ძაან მიხარია, რომ შევცდი. იმედია, მაპატიებს. Ashley PCD.

● მარუსი, არ გეწყინოს ქალო, ვიცი, გადაღლილი ხარ და იმის ბრალია, მაგრამ „აშიბკებზე“ უნდა მიგითითოოო. ფოტკას დასათაურებაში „ფასთ ფოოდის ახალი ბუტერბროდების რეკლამა: წამო, ბანკი გავძარცვოთ“ და „მოიცა, ჯერ ეს შევჭამოთ, მაგას მერეც მოვასწრებთ“, ბოლოში ჩემი ნიკი არ ეწერა. ზოგი ჩემი მესიჯი შეკვეცილი იყო. გარდა ამისა, „ნამოსტე“ კი არა, „ნამასტე“. თანაც, სესილიკოს ის კი არ მივწერე, იტირეთქო, არამედ, ჩემი ნომი ითრიე-თქო. რა სჭირს სატირალი ამ ანგელოზივით გოგოს? არ იფიქრო, რომ გსაყვედურობ, ანგელოზო. მესმის, გადაიწვი უკვე ამდენი მუშაობით. პლოცტა, არ მინდოდა, ხალხს ჩემი აზრი არასწორად გაეგო. სულ ესაა. Ashley PCD.

● რა კაქიააა! ჩემი გოჭები, აბეზარა და Nicole დამიბლუნდნენოოო. აუ, ბავშვებო, ბოდიში რა, ყოველთვის რომ არ გპასუხობთ ფართიზე. მძინავს ხოლმე და... Ashley PCD.

● კანიბალკა, Where ar u losted, my dear? ლიმონ და სიკვდილ, მიგბრიდავთ (კოცნით თუ იარაღით, თავად გადაწყვიტეთ). ლატო არ მპასუხობთ ხოლმე ფართიზე რომ გწერთ? Ashley PCD.

● რა იყო ენიგმა, ეგრე ძაან გაგიჭირდა ქალის თრევა, რომ მგზავნელებს საკუთარ თავს სთავაზობ? მერწმუნე, საქართველოს დემოგრაფიის პრობლემა არ აქვს. ყველა სკვერსა თუ ბუჩქში მოზასავე თუ მო...აურე წყვილები არიან აყუდებულები. ნუ, რა გაფუჭდა და გაირყვნა ეს თაობა, ჩემი ჩათვლიით?! :-) Ashley PCD.

● Ashley PCD, დაი, ვინც დამიმესიჯა, ყველა შეგნებული იყო და ჩემი გაცნობა გულწრფელად უნდოდა, არავის შევუწუხებივარ. აკიმ, მთავარია, შენ იყო აზრიანი. მპუა.

● მე და სვეტა რატომ, ნეტავ? მოწონებიდან სიყვარულამდე 1 ნაბიჯია, იდუმალო ქალო. თოლია, კარგი ადამიანი ხარ. სიყვარულისთვის მადლობა, უცნობო. გიცნობ, ნეტავ? გრუზინკა.

● ქალ ცდუნებას: მადლობა, რომ გაგიცანი. ჩვენ სიკვდილამდე ვიმეგობრებთ, რადგან მე მეგობრები მხოლოდ სამესიჯოდ არ მჭირდება. ოღონდ მე უფრო მიყვარხარ. ეს ხომ იცი? გრუზინკა.

● თოლია, გმადლობ ანგელოზო. შენც ძაან საკალელი და ჩასაყლაპი ხარ. სიკვდილ, მე ყოველღამ გწერ ფართიზე და შენ არ მპასუხობ. Ashley PCD.

● უკარებავ, ანგელოზო, ძაან მომეწონა

შენი აზროვნება. მართლაც, სიყვარული სილამაზე არაა, თავად სიყვარულია ლამაზი. ძაან მომენატრე. გოჭუუკ. Ashley PCD.

● სევდიანი ქალი, სიხუნი, ადრე Music Box-ზე ხომ არ ამესიჯებდი? ლიმონ და სიკვდილ, ფართიზე რომ არ მპასუხობთ, კოცნით დაგბრიდოთ თუ იარაღით? Ashley PCD.

● მოვიკითხავ ჩემს უსაყვარლეს ხალხს: ულამაზეს მისს რეალს, სესისა და აბეზარას, უსაყვარლეს დუჩის, რიცასა და Nicole-ს Of Course, „გზის“ მაგარ კაცებს: კოზანოსტრას, ლი ჰარვი ოსვალდსა და 9717-ს და ცხადია, ყველა „გზაელს“. მიკალქალთ და გატოცეეეთ. მარი „გზა“, 4ევერ! მარო, მიკალქაააალ! AshleyPCD.

● მე ახალი ვარ, Ashley დაქალი. ყველას დიდი სიამოვნებით გაგიცნობთ. „გზა“ ძაან მაგარი ჟურნალია. Princess Bell.

● დუჩი და მისტერი გამომრჩნენ. მიკალქალთ, დარმაედებოო. აუ, Sean Paul-ი და Beyonce ვის გევასებათ? Ashley PCD.

● მაპატიეთ ბავშვებო, ყოველღამე რომ არ გპასუხობთ. ზოგჯერ ისე ვიღლები, გათიშულს მძინავს. ამიტომ ღამის 4-ის ნახევრიდან მომწერეთ. მაგ დროს ვიღვიძებ. Ashley PCD.

● Sweet-Girl, ჰოდა, ნუღარ ეწუწუნები ხაშურლებს. თუ არ მოგწონს, იქ წადი, საიდანაც მოხვედი. უჰ, ბოდიში ქალბატონო, კომფორტი ვერ დაგახვედრეთ... გვაპატიე.

● ლიმოოონ, ვახ, ჩემიი! იკუშკები საყვარელი გოგოა. იმიტომ ეფანცქვალება ჩემს გულს. ეჰ, რა სერიოზული ვჩანვარ შორიდან, არა და... ნენა, ნენა, საცოდავი ბაღანა. :) დამავოი.

● მისტერ, ჩემი კუტურიე ბიჭი, მგონი ხშირად წაგისვია ფირუზისფერ გავაზე ვაზელინი და რა მინდა გკითხო: რატომ, უმტკივნეულოა? გიჟოო, მოკეტავ თუ...

● სინდისს ვერაფრით ვერ დავემალე, ამ დამპალ წარსულს რაღა სწადია? ვწუხვარ, რომ უკვე გადავილალე და მჭირს სიცოცხლის ბოლო სტადია. დათო.

● წინააღმდეგი არა ვარ, რომ აგიხდინო სიზმარი, ადგილი, დღე და საათი, იქით ხუთშაბათს მითხარი. იქნება გადავიფიქრო, აღარ გაჩუქო ფიცარი... ცხრათვალა.

● მისტერ, რაც დათესე, იმას იმკი და გვითხარი, რაღა გაცხარებს, ჯერ გამარჯობაც არ გითქვამს და უკვე დაგვიცაცხანე. ბიჭუკელა ხარ აშკარად და ბლატაობა გაცადეთ, რაზე ვფიქრობ და სექსზეო, თვითონ არ გამოაცხადე? ბალნები სექსზე ფიქრობენ (დიდი საქმეა, ესოდენ), სანამ ბალნები ფიქრობენ, კაცები ნაღდში სექსობენ. ჭორებიც გხიბლავს და ამჩნევ, ვინ ვის უჯდება კალთებში, აბა თბილისში რაც ხდება, რატომ ავრცელებ ათენში? ბილწსიტყვაობ და არა გაქვს, უფლება, გერქვას — მგზავნელი, კარგს იზამ, თუ ერთ ადგილზე თავად წაიცხებ ვაზელინს. მაგრად გასხია კვრინჩხი და ეგ თავი დაარხიეო, ან გამოსწორდი ბიჭუნი, ან „გზიდან“ დაახვიეო. მისტერის ეშაფოტი. ხომ მაგარი ნიკია?

● სოფი19, რავა ხარ? Ashley, კარგად ვარ, შენ? დაბრუნდი და დაიმხე თავზე „გზა“? :-) როდის დავლაშქროთ კიდევ ავლაბრიდან მარიმდე გზა? მარი არ დაგვხვდა მაშინ და... სესი.

● ჩემო მტრედებო, არ ვიცოდი, ასე თუ გიყვარდათ ობოლი ცრემლი სიყვარულისა. სევდიანო ქალო, დაუფასებელი, მსხვერპლად გაღებული ცხოვრება ტკივილად არ ღირს. ტირიფი73.

● ისევ მზე გამოანათებს/ სულ ხალისი იქნება/ ჩვენი ქალი ცდუნება/ სულ ჩვენთან თუ იქნება. ძალიან მიყვარხარ, სიხარულო! მალე ჩამო ჩემთან, რაა. სოფი19, მიყვარხარ. ლუნა.

● ლუნას ოჯახს მადლობა მასპინძლობისთვის. ავთოს კი მადლობა, ხახვის ფარულად ჩანთაში დამალვისთვის. ტირიფი73, მადლობა, 2 დღე რომ ამიტანე. გრუზინკა.

● ჰეი, Ashley PCD, რაებს წეერ? რა, ჩამიბრატდი? ან პირში რა მომახალე? ან რომელ სიყვარულზე მესაუბრები, როდესაც შენთან მხოლოდ ერთხელ მქონდა წესიერი საუბარი და ისიც საჭირო მიზეზმა გამოიწვია. ტყუილის წერას შეეშვი. მისტერ.

● იკუშკები, რატომღაც მხოლოდ შენს შეურაცხყოფას კვლავ ვატარებ, შენთან კამათითაც დავიღალე და ამჯერად, ჩემთვისაც საკვირველ სიტყვებს გეტყვი: უფალმა შენი ცხოვრების გზას, სიკეთის და იმაზე მეტი ბედნიერების მომტანი თვალით გადმოხედოს, ვიდრე ახლა გაქვს. იმედია, მცირედით, მაგრამ მაინც შევა დადებითი წვლილი, ჩვენი ცუდი ურთიერთობის ჩახშობაში. ამას მართლა წრფელი გულით გეუბნები. მისტერ.

● არ მეტკინოს ამდენი ბოროტება? რწმენა გვაკლია, ადამიანებო! P.S. ენიგმავ, შენი სურვილი ჩემს სურვილს ეტოლფარდება. საკუთარ ფეხბურთის გუნდზე ვოცნებობ. ა?! მეჰე.

● გენაცვალე, მისტერ, როდის მერე გახდი ქუთაისელი? მე სხვა ინფორმაცია მაქვს შენს წარმოშობასთან დაკავშირებით. ასე არ არის? აბა, გონება დაძაბე! იკუშკები.

● მიკრი, მიხარია შენი შეფასება და პერსონალური მადლობა, შენ. იასამან, შენმა სითბომ უკვე გამამხნევა. ასტეროიდ, უფრო გასაგებად, რაა... მე მბაძავს ვინმე? ენიგმა.

● იასამან, შენთვის იის მოსაწყვეტად დავიხარე. მოვიკითხავ სიყვარულით თოლიას და სოფი19-ს. სევდიან ქალს, იდუმალ ქალს: ჯიგრები ხართ, გაიხარეთ! ცხრათვალას ვენაცვალეო. ბერბიჭა.

● მე ახალი ვარ. დიდი ხანია, „გზას“ ვკითხულობ და მინდა, მგზავნელიც გავხდე. დღეის შემდეგ თუ მიმიღებთ, თქვენი ერთგული ვიქნები. გკოცნით. მინდა, თქვენიანი გავხდე და თუ მიმიღებთ, ძალიან გამიხარდება. ჩემს თავს მოკლედ გაგაცნობთ. ვარ ბორჯომელი. ჩემი ნიკია ლინდა. დამესიჯება თქვენმა სიყვარულმა გადამაწყვეტინა. ვარ სიყვარულისგან გატანჯული, ერთი უბრალო გოგო, რომელსაც თქვენთან დამეგობრება ძალიან უნდა. ლინდა.

● კამი, ეს რა კარგი და უეჭველი ჭეშმარიტება თქვი! მაგრამ საქმე იმაშია, რომ ხშირად გვავიწყდება, დღევანდელი დღით ვიცხოვროთ. ჩაგეთვალა, რა! :-) სარვიეტა.

● მგზავნელებო, გთხოვთ, შემდეგ ნომერში მომწერეთ, მიმიღებთ თუ არა. დიდი სიყვარულით მოვიკითხავ ყველა მგზავნელს. გკოცნით, თქვენი ლინდა17.

● როგორ ხართ, საყვარლებო? აუ, ამ კვირის „გზა“ აღარ მაქვს და ახლა გლოვის საათი მაქვს. მარ, მე მაპატიე, თემა არ ვიცი, გილოცავთ ფერისცვალებას, უფალი გფარავდეთ.

## მიყვარხარ



● მინდა, ჩემს თაზოს ვუთხრა: შენ ჩემი სიყვარული და სიცოცხლე ხარ. სულ მენატრები, ჩემო ცხოვრებავ. შენი თეა.

● მიყვარხარ, ყურში გეჩურჩულები და გული სითბოთი და სინაზით მევსება. თითებზე ვითვლი, როდის მოვა სექტემბერი, რომ სამუდამოდ ერთად ვიყოთ. გკოცნი. დადუნა ქიზილაური.

● ზურა შამადუხაშვილო, ჩემო ულამაზესო სიყვარულო, მენატრები. ორი კვირაც და მე შენ და მარი სულ ერთად ვიქნებით. გეფერები შორიდან. შენი დადუნა.

● მარი, გთხოვ, ეს მესიჯი დამიბეჭდე. ამით მინდა, ჩემს ერთადერთ და განუმეორებელს სიყვარულს ვუთხრა, რომ ტკივილამდე და სიგიჟემდე მიყვარს.

● თვალებს სევდიანს, შენი ნახვა მონატრებია, ამ გულს უშენოდ რა ხანია, არ უმღერია, როცა შენ გელი, ჩემი გული ბედნიერია, მე ახლა მივხვდი, უშენობა მართლა ძნელია! შოთას.

## გილოცავ



● უზნეო ანგელოზო, დაბადების დღეს გილოცავ, მრავალს დაესწარი, უფლის წყალობა არ მოგკლებოდეს. შენი ბედნიერება შენი შვილები და ოჯახია. მეც გისურვებ მათ კარგად ყოფნას, მშობლების დიდხანს სიცოცხლეს, შვილების კეთილდღეობას და სიკარგეს. კარგი პიროვნება ხარ და ყოველთვის ასეთი თბილი და ჯიგარი იყავი. მუდამ შენი მეგობარი, შეწირული.

● სამველს ულოცავენ დაბადების დღეს დედა, მეგობრები და ირაკლი კომახიანი. უსურვებენ სიკეთეს, ჯანმრთელობას და ულევ სიხარულს.

● თინიკო და გია სოფრომაძეებს ვულოცავთ დაბადების დღეს, 19 და 23 აგვისტოს. დაესწარით მრავალს, თქვენს საყვარელ ხალხთან ერთად. უფალი გფარავდეთ. გკოცნით, მაყვალა და ომარი.

● ჩემს მონატრებულ შვილს, თეონა ჩუბუნიძეს, რომელიც არ უნახავს დედას 2 წელია და 21 აგვისტოს ხდება 19 წლის, დიდი მონატრებითა და სიყვარულით ვუ-

# გზავნილები

ლოცავ დაბადების დღეს. ღმერთმა მრავალი გაგითენოს, ჩემო შვილო, ასეთი კარგი დღეები, შენს საყვარელ დედმამიშვილებთან ერთად. გამრავლდი და გაიხარე, სულ. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი. ნაირა.

● ჩემს საყვარელ სიძეს, ალეკო გოგლიჩიძეს ვულოცავ ოქროს დაბადების დღეს. მრავალს დაესწარი, საყვარელი ლიკათი და პატარა ილიათი. უფალს ვთხოვ, მისი ლოცვა-კურთხევით გაგაძლიეროთ. გკოცნით უამრავს დარეჯანი.

● ჩემს უცნობ შვილიშვილს, ნინიკო მიქაძეს, 25 აგვისტოს ვულოცავ დაბადების დღეს. იხარე და იკისკისე, ჩემო პატარა ანგელოზო. გფარავდეს უფალი, შენს დაიკოებთან ერთად. დარეჯან ბებო.

● ჩემს მონატრებულ შვილს, ნინო გიგაურს 24 აგვისტოს ვულოცავ დაბადების დღეს. ჯანმრთელობას, სიხარულსა და სიყვარულს გისურვებ. მუდამ ლამაზი ცხოვრებით გეცხოვროს. უზომოდ მენატრებით შენც და გიოც. ღმერთმა ქნას, შენს ოქროს დაბადების დღეზე ერთად შევხვდეთ. მარინა.

● ქუთაისში მცხოვრებ ჩემს ლამაზ ბიჭს, ლევან ენდელაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 22 აგვისტოს და სკოლის დამთავრებას. ვუსურვებ წინსვლას და გახარებას. გილოცავს დიდი სიყვარულით მზია დეიდა.

● მინდა, დაბადების დღე მივულოცო თბილისში, ჩემს საყვარელ შვილიშვილს, ირინე სარმანიძეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს. ღმერთი იყოს შენი მფარველი. მიყვარხარ და მენატრები. შენი ნათლია ბებო.

● დაბადების დღეს ვულოცავ ათენში, მალხაზ მჭედლიშვილს. ვუსურვებ ჯანმრთელობას და ულევ სიხარულს, საყვარელ ოჯახთან ერთად. ნათელა.

● დაბადების დღეს ვულოცავ კასპის რაიონში, სოფელ ხვითში, ლალი ხალიშვილს. ვუსურვებ ულევ სიხარულს და ღმერთის მფარველობას, საყვარელ ოჯახთან ერთად. ათენი. ნათელა.

● ჩემს დას, ანა კბილაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს. გვსურს მოგილოცოთ დაბადების დღე და ზედ დავურთოთ ღვთისმშობლის ლოცვა, შენი ცხოვრების მეგზური იყოს, სიყვარული და იესოს ლოცვა. გფარავდეს უფალი. კახა და ირინა.

● დედაჩემს, მაყვალა კბილაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს, შენი დიდი ოჯახით, შენი მონატრებული შვილიშვილები მალე ჩაგეხუტებიან. კახა და ირინა.

● ქეთინო ტულუშს ვულოცავთ დაბადების დღეს. 15-მა გაზაფხულმა გაიარა, 15-მა ყვავილობის თვემ, 15-ჯერ აყვავდა ბაღში ია, 15 წლის გახდი შენ, 15-ჯერ გკოცნით და მოგილოცავთ დაბადების დღეს. მაყვალა ბებია, ანა, კახა და ირინა.

● ათენში მყოფ ჩემს მარინა გუმბერიძე-გოგელიძეს ვულოცავ 22 აგვისტოს, დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, ულევ სიხარულს და უფლის მფარველობას, ლამაზ ოჯახთან ერთად. გკოცნი და გეფერები, ნათაკია დევიძე.

● შვილო, მემო, გილოცავ დაბადების დღეს, 19 აგვისტოს. შენს ლუკასთან ერთად გლოცავ. ღმერთი გფარავდეს. შენი დედიკო, ნანი. დეიდა ირინა და მერი.

● მონატრებულ შვილს, თორნიკე დათაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 16 აგვისტოს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, ღვთის წყალობას, ულევ სიხარულს და ბედნიერ მომავალს, ია-ვარდებით მოფენილ გზაზე გევლოს, მთელი ცხოვრება. დედის ლოცვა გფარავდეს, განსაცდელისგან. ლალი.

● ნათი დევიძეს ვულოცავ 15 აგვისტოს, დაბადების დღეს. ჯანმრთელობას და ულევ სიხარულს ვუსურვებ, ქმარ-შვილთან ერთად.

● ჩემს მონატრებულ დისშვილს, ერეკლე ხაბულიანს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერ მომავალს. უფალმა დალოცოს და გააძლიეროს. გეფერები და გკოცნი, შენი მონატრებული დეიდა, თამილა.

● ჩემს ძმას, თენგო ფუტკარიძეს 12 აგვისტოს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლეს, ოჯახთან და დედმამიშვილებთან ერთად. გკოცნით და გეფერებით ლელა.

● ჩემს მონატრებულ ნინო სანიკიძეს, რომელიც ცხოვრობს ვანის რაიონში, გულითა და სულით ვულოცავ 19 წლის იუბილეს. ღმერთმა მრავალ კარგ დღეებს დაგასწროს, ჩემო მონატრებულო ნინიკელა. გკოცნი და გეხუტები ბევრს. ნაირა.

● ჩემს საყვარელ ძმისშვილს, ანა ქობულაძეს ვულოცავ დაბადების დღეს და ფერისცვალების ბრწყინვალე დღესასწაულს და საყვარელ რძალს, ლია ქობულაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. უფლის წყალობა არ მოგკლებოდეთ. გკოცნით და გეფერებით. დარეჯანი.

● ბაღდათში თეონა გოცირიძეს და ვაჟუნა ებანოიძეს ვულოცავ გაბედნიერებას. სულ ბედნიერი იყავით და გამრავლდით. გისურვებთ კარგი ქართული ოჯახის შექმნას, სიხარულს, სიყვარულს თქვენს საყვარელ ხალხთან ერთად. ღმერთი გფარავდეთ. მიყვარხართ.

● ჩემს მონატრებულ შვილს, თათია დვალიშვილს 25 აგვისტოს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ულევ სიხარულსა და ყველაფერს კარგს, ცხოვრებაში. შენი დედიკო ეკა.

● თეა ჩხიროძე, გილოცავ დაბადების დღეს, 19 აგვისტოს. სულ ბედნიერი და გახარებული მენახე, შენს ლამაზ ოჯახთან ერთად. შენი ოჯახის ნათლია, ეკა.

● ჩემს მონატრებულ შვილს, გელა გეწაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 19 აგვისტოს. ვუსურვებ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს, საყვარელ ცოლ-შვილთან ერთად. უფალი გფარავდეს. შენი მონატრებული დედა, ჟუჟუნა ცუცქირიძე. გკოცნი.

● შორენა ქათამაძეს ვულოცავთ დაბადების დღეს, 13 აგვისტოს. ვუსურვებთ ყოველივე კარგს. მამიდები, ნანა და ნუნუ ქათამაძეები. მამიდაშვილი, თამუნა ჭეიშვილი.

● დაბადების დღეს ვულოცავ ნინო ჩაკვეტაძეს. გახარება და სიყვარული არ მოგკლებოდეს, შენს ირაკლისთან ერთად. ღმერთი გფარავდეს, მალე დაბრუნებას გისურვებ. ლელა მაჩიტაძე.

● სამველ მარტიროსოვს დაბადების დღეს ულოცავენ ირაკლი კომახიანი, დედა ამალია და მისი ყველაზე ახლო მეგობრები. უსურვებენ ულევ სიხარულსა და ჯანმრთელობას.

● 21 აგვისტოს ოქროს დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს ძმიკოს, გიორგის, რომელიც ამჟამად ჯარშია. ვუსურვებ ლამაზ სიყვარულს და ბედნიერ მომავალს. ღმერთი გფარავდეს. ეკა.

● 23 აგვისტოს დაბადების დღეს ვულოცავ უსაყვარლეს და ერთადერთ შვილს, თიკო გოგიას. ჯანმრთელობა, ბედნიერება და სიხარული არ მოგკლებოდეს, შენი ცხოვრების ყოველი დღის მანძილზე.

● ენიგმაა, ვინ უნდა გავაქალო ცემი მილოცვითაო? 25 აგვისტო დიდი დღეა, დიიდი! იმიტომ, რომ შენ დაიბადე. აკი არავის გავახსენდებიო? დაგადე ზასი. ეგეც შენ, ჯიუტო! ჯიუტიუსი.



# ჟურნალისტები (არ) ხუმრობენ

***ჟურნალ „დისქავერის“ ერთ-ერთ ნომერში მეცნიერ-ბიოლოგმა ეპრილ პაცომ მკითხველს ანტარქტიდაზე აღმოჩენილი, ახალი სახეობის ცოცხალი არსებების შესახებ ამცნო. ეს ცხელთავიანი, შიშველი ჭიაყელა-მბურღავი გახლდათ. მას, თავისი ცხელი თავის წყალობით ყინულის გახვრეტა და ნადირობა შეუძლია. პინგვინის ქვეშ ყინულის გათხრის შემდეგ, ჭიაყელები უძრავად რჩებიან, საკუთარი ტემპერატურით ყინულს ადნობენ და ელიან, როდის ჩავარდება პინგვინი მათთან, რომ მერე დაესხონ და შეჭამონ. პაცომ ივარაუდა, რომ 1837 წელს, ანტარქტიდაზე გაუჩინარებული მკვლევარი, ფილიპ პუასონი სწორედ მსგავსი ჭიაყელების მსხვერპლი გახდა, რომელიც თავისი ჩაცმულობით პინგვინს წააგავდა. აღნიშნულ სტატიას იმდენი გამოხმაურება მოჰყვა, რამდენიც ჟურნალს — მთელი თავისი არსებობის მანძილზე. სინამდვილეში ეს ერთ-ერთი ჟურნალისტის ხუმრობა იყო.***




● 1993 წელს, ერთ-ერთმა გერმანულმა რადიოსადგურმა განაცხადა, რომ კიოლნის მცხოვრებთათვის ახალი კანონი შემოიღეს. დილაობით, სკვერში მორბენალ ადამიანებს არანაკლებ 6 კმ/სთ სიჩქარით უნდა ერბინათ. მიზეზი? ამ დროს ციყვებს „საქორწილო“ სეზონი ჰქონდათ და მათთვის ხელი არ უნდა შეეშალათ.

● საბერძნეთის კულტურის სამინისტრომ გაავრცელა ინფორმაცია, რომ მიაგნეს სოკრატეს საფლავს, სადაც მისი თავი და კანის ნარჩენები აღმოაჩინეს. გაზეთის გამოსვლისთანავე თავის მართლება მოუწია ფრანგული გაზეთის, „ფრანც-პრესის“ რედაქტორს, რომელმაც აღნიშნული ინფორმაცია გადაუმოწმებლად გამოაქვეყნა.

● 1981 წელს, „დეილი-მეილმა“ გამოაქვეყნა ინფორმაცია ერთ-ერთი იაპონელი მორბენლის, კიმო ნაკაშიმის შესახებ. სტატიაში ნათქვამი იყო, რომ შეჯიბრების ორგანიზატორმა იაპონური ენა ცუდად იცოდა და იმის ნაცვლად, რომ კიმოსთვის ეთქვა, 26 კილომეტრი უნდა გაირბინოო, უთქვამს, 26 დღე უნდა ირბინოო. ისიც გაიქცა... მკითხველებმა რედაქცია ზარებით აიკლეს.

ისინი ამბობდნენ, რომ მორბენალი გზაში შეხვდათ, მაგრამ მისი შეჩერება ვერ შეძლეს. ვინ ნახეს მათ სინამდვილეში, უცნობია, რადგან მისტერ ნაკაშიმი სინამდვილეში არ არსებობდა.

● 1998 წელს სწრაფი კვების ქსელმა, „ბიურგერ კინგმა“ პრესის საშუალებით გაავრცელა ინფორმაცია, რომ გაიყიდებოდა სპეციალური სენდვიჩები ცაციებისთვის, რომელშიც საწებელი 180 გრადუსით იქნებოდა „შემობრუნებული“. მეორე დღეს აღნიშნულ პროდუქციაზე მოთხოვნა იმდენად დიდი იყო, რომ გაზეთს, რომელმაც ეს ინფორმაცია გაავრცელა, ბოდიშის მოხდა მოუწია.

● ერთდროულად რამდენიმე ქვეყანაში გაზეთებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ მალე დროის ათვლა მეტრული სისტემით მოხდებოდა (1 საათი — 100 წუთი).

● 1950 წელს დანიის ტელევიზიამ გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სახელმწიფოს აქვს სპეციალური დანადგარი, რომლის საშუალებითაც არალიცენზირებული ტელევიზორების აღმოჩენა შეეძლო, მაგრამ თუ ტელევიზორს ლითონის კილიტას („ფოლგა“) შემოახვევდი, მისი აღმოჩენა შეუძლებელი გახდებოდა. რამდენიმე საათის განმავლობაში მაღაზიებში „ფოლგა“ დეფიციტი გახდა.

● ალაბამას შტატის სამეცნიერო ბიულეტენში მითითებული იყო, რომ იმ დღიდან მათ შტატში რიცხვი „პი“ 3,14-ის ნაცვლად 3-ის ტოლი იქნებოდა. მთელი მსოფლიოს მეცნიერების აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა.

● 1995 წელს, გაზეთმა „აირიშ თაიმსმა“ გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კომპანია „უოლტ დისნეი“ მოსკოვის მავზოლეუმის (ლენინიანად) შესყიდვაზე მოსკოვის მერიასთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა. შენაძენს ევროპულ „დისნეილენდში“ გადაიტანდნენ. ბელადის გაფითრებული სახის „გასაცოცხლებლად“ კი დარბაზში ფერად შუქებს აანთებდნენ.

● 1979 წელს, ლონდონის რადიომ განაცხადა, რომ ზაფხულის დროზე გადასვლასთან დაკავშირებით, 48 ზედმეტი საათი დაგროვდა, რის გამოც, 5 და 12 აპრილი აღარ იქნებოდა. ამ დღეს დაბადებული ადამიანები პანიკაში ჩაცვივდნენ. ■



# ტაიმ-აუტი

ვისაც კომუნისტური წყობის დროს მოუწია ცხოვრებამ და მონსტრად არ ჩამოყალიბდა, ღმერთს მადლობა უნდა შესწიროს. მაშინ ბავშვები მუდმივი სტრესის ქვეშ იზრდებოდნენ. მაგალითად, საბავშვო ბაღში მასწავლებელი პატარებს აიძულებდა, დღეში რამდენჯერმე, ხმამაღლა წარმოეთქვათ: „ვლადიმერ ილიჩ ლენინი ჩვენი ბელადი და მასწავლებელია“... სკოლაც თავის სიტყვას ამბობდა ბავშვის ჩამოუყალიბებელი ფსიქიკის დამახინჯებაში. მაგალითად, პირველკლასელ ბავშვს ზოია კოსმოდემიანსკაიას წამებისა და სიკვდილის ამბავი დაწვრილებით უნდა სცოდნოდა, შედარებით მაღალ კლასებში კი საბჭოთა ქართული ლიტერატურის შედევრებსაც ასწავლიდნენ. მასობრივი მორალური დეგრადაცია სახეზეა: წინათ ქართველები მღეროდნენ — „შენ ხარ ვენახი“, ახლა კი სიტყვათა წყობა — „შენ რა სექსი ხარ“ გაცილებით მოდურია. ჰოდა, რეალობის პატივცემულო ჰაკერო, ამ კულტურული მემკვიდრეობის პატრონი ახლა შენ ხარ. საინტერესოა, როგორია შენი მორალური სახე? გთავაზობთ ფოტოტესტს. ფოტოს რამდენიმე წუთის განმავლობაში დააკვირდი და დაიმახსოვრე, რა გაიფიქრე ამ დროს, შემდეგ კი ფოტოტესტის პასუხები იხილე.



მარი ჯაფარიძე

1. თუ გაიფიქრე, რომ მე გავგიჟდი და თავს უფლება მივეცი, რომ მკითხველს „ფოტოტესტისთვის“ უხამსი ფოტო შევთავაზე, სავარაუდოდ, კარგად იცნობ ჟურნალ „გზას“ და შესაბამისად, ისიც იცი, რომ ის პორნოჟურნალი კი არა, სრულიად მოკრძალებული, „ზრდილობიანი“ და „წესიერი“ ჟურნალია და ან შეცდომა გაიპარა, ან ხაფანგია მკითხველისთვის.

2. თუ გაიფიქრე, რომ კარგი იქნებოდა, ასეთ ფოტოები უფრო დიდი დოზით დაგვებეჭდა, სავარაუდოდ, საინტერესო ადამიანი ხარ და დაკვირვებულიც. ზუსტად მიხვდი, თუ რა არის ამ ფოტოზე აღბეჭდილი, მაგრამ ამის დასადგენად ცოტა ტვინის გავარჯიშება მოგიხდა და ამ პროცესმა სიამოვნება მოგანიჭა.

3. თუ გაიფიქრე, რომ ეს უხამსი ფოტოა და პროტესტის გრძნობა გაგიჩნდა, შინაგანად კულტურული ადამიანი ყოფილხარ, მაგრამ შენი გონება მაინც უხამსობისკენ იხრება. თუ პროტესტის გრძნობა არ გაგიჩნდა, თავისუფალი და უკომპლექსო ადამიანი იქნები. საზოგადოებაში თავი ისე გიჭირავს, თითქოს შენზე ზრდილი და ტაქტიანი ადამიანი არ არსებობს, მაგრამ როცა მარტო რჩები, თავს იმის უფლებას აძლევ, რაზეც ხმამაღლა არასოდეს ილაპარაკებ.

4. თუ გაიფიქრე, რომ ეს ჩვეულებრივი სურათია და მასზე კედელთან მიდგმული სანათია აღბეჭდილი, მსოფლიოში ყველაზე ჭკვიანი, ალალი, სუფთა და საუკეთესო ადამიანი ხარ, რომელთანაც მეგობრობასაც უკლებლივ ყველა ინატრებდა.



M K

# „დონ-კიხოტს დავემგზავრებოდი და მედეასთან ვიმეგობრებდი“



**მას ყველაზე მეტად იგავ-არაკები უყვარს. ცნობილ მეიგავეებს — ეზოპეს, ლაფონტენსა და კრილოვს დიდ პატივს სცემს, მაგრამ მიიჩნევს, რომ სულხან-საბა ორბელიანზე ძლიერი მეიგავე მსოფლიოში არ არსებობს. მოსწონს ჩაპეკისა და აკუტაგავას შემოქმედება. მას კითხვის პროცესი სიამოვნებას ანიჭებს და წიგნის მოპარვის ფაქტსაც არ მალავს. „ერისთავის სათვალის“ თანაწამყვანმა, ნიკა წულუკიძემ აღიარა, რომ ეს სამარცხვინო საქციელი ერთხელ ჩაიდინა — ნაცნობს ედუარდ შევარდნაძის მემუარები მოჰპარა, წაიკითხა და მოგვიანებით წიგნი უკან დააბრუნა.**

## ნიკა წულუკიძის „სამარცხვინო საქციელი“

*თამუნა კვინიკაძე*

### პრეამბულის მაგიერ

**— ნიკა, იგავებით ლაპარაკი ცხოვრებაშიც გიყვარს?**

— ძალიან. ზოგჯერ პირდაპირ თქმას გადაკრული ნათქვამი სჯობია. როგორც წესი, ყველა ყველაფერს ხვდება, მაგრამ ზოგი არაფერს იმჩნევს.

**— პროფესიით თეატრმცოდნე ხარ, თანამედროვე ქართველ დრამატურგებზე რას გვეტყვი?**

— ქართულ დრამატურგიაშიც წინსვლა შეინიშნება და ეს ძალიან მახარებს. ნიჭიერი ახალგაზრდა დრამატურგები გვყავს. მაგალითად, ძალიან მომეწონა ლაშა ბუღაძის „ნაფტალინი“, რომლითაც ის „საბას“ გამარჯვებული გახდა.

**— ნიკა, ლიტერატურული პერსონაჟებიდან მეგობრად ვის აირჩევდი?**

— დიდი სიამოვნებით ვიცხოვრებდი XIX საუკუნის II ნახევრის საქართველოში, სიამოვნებით დავემგზავრებოდი დონ-კიხოტს, ხოლო მეგობრად მედეას ავირჩევდი და ამ ადამიანის ირგვლივ არსებულ ბურუსს გავფანტავდი. დღეს ჩემთვის გაურკვეველია, ვინ იყო იგი — ქალი, რომელმაც მამას უღალატა, ძმა მოაკვლევინა და ა.შ. თუ პატრიოტი, რომელსაც სურდა, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა მოეგვარებინა?!

**— ეს მოგზაური 1643 წელს, პარიზში დაიბადა. იგი ავტორია თხზულებისა — „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“. თხზულების საკმაოდ დიდი ნაწილი საქართველოსაც შეეხება. აღსანიშნავია ისიც, რომ წერილობით წყაროებში ქალაქი ზუგდიდი პირველად ამ ნაწარმოებშია მოხსენიებული. დაასახელე ეს ევროპელი მოგზაური.**

— შარდენი, არა?

**— დიახ. ყველაზე მეტი გაწევა სცენაზე ჰქონდა მომღერალს, რომელმაც 1988 წლის 24 თებერვალს, ბერლინის ოპერის თეატრში შეასრულა ნემორინოს პარტია დონიცეტის ოპერაში — „სასიყვარულო სასმელი“. ტაში 1 საათსა და 7 წუთს გაგრძელდა, ფარდა კი 165-ჯერ აიხადა. ვინ იყო ეს მომღერალი?**

— მამაკაცია თუ ქალბატონი?

**— მამაკაცი.**

— მაშინ ლუჩანო პავაროტი იქნება.

**— გამოიცანი. ვისი აფორიზმია — გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღომელი?**

— შოთა რუსთაველის.

**— მარტორქა, ბეჰემოთი, ნანგი, გნუ — ამ ცხოველებიდან, რომლის ძვალია სპილოს ძვალზე ძვირად ღირებული?**

— მარტორქის — ეს ჩემი სავარაუდო პასუხია.

**— სპილოს ძვალზე მეტად, ბეჰემოთის ძვალი ფასობს. რა იყო მაია წყნეთელის მამაკაცური სახელი?**

— მას მათე ბიჭს ეძახდნენ.

**— ბილიარდს თამაშობ?**

— რა თქმა უნდა!

**— მაშინ გეცოდინება, რამდენი ხვრელი აქვს დატანებული ბილიარდის მაგიდას?**

— 6.

**— რომელია მსოფლიოში ყველაზე დიდი სტადიონი?**

— გეხვეწები, ფეხბურთზე ნურაფერს მკითხავ.

**— კითხვა უკვე დაგისვი...**

— არ ვიცი.

**— მიგანიშნებ, ეს სტადიონი რიო-დე-ჟანეიროში მდებარეობს.**

— მაინც ვერ გიპასუხებ.

**— მარაკანა. რომელ ოკეანეში ჩაედინება მდინარე კონგო?**

— (*ფიქრობს*) ატლანტის ოკეანეში, არა?

**— დიახ. ანბანი, რომელსაც დღეს ვიყენებთ, არის ნუსხური, ლურსმული თუ მხედრული?**

— მხედრული.

**— რა ჰქვია პეპინა ერისთავის ძაღლს ფილმში „არაჩვეულებრივი გამოფენა“?**

— რომ ვერ გავიხსენო, გავგიჟდები. (*ფიქრობს*) პერი ერქვა, არა?

**— დიახ. პორტუგალია, კუბა, ლიტვა, შვეიცარია, დანია — ჩამოთვლილთაგან, ტერიტორიულად რომელია ყველაზე პატარა ქვეყანა?**

— დანია.

**— ცდები, დანიაზე პატარა შვეიცარიაა... ისინი რუსი თავადაზნაური რევოლუციონერები იყვნენ, ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ იბრძოდნენ. მათ 1825 წელს, პეტერბურგში შეიარაღებული აჯანყება მოაწყვეს. ვინ იყვნენ ისინი?**

— ეს აჯანყება დეკემბერში მოხდა?

**— დიახ.**

— დეკაბრისტები ყოფილან.

**— რომელი სახელმწიფოს დედაქალაქია კატმანდუ?**

— არ ვიცი.

— **ნეპალის. რომელ ფილმში შედგა ლეილა აბაშიძის დებიუტი?**

— „ქაჯანაში“.

— **1770 წელს ერეკლე მეფემ, რუსის ჯართან ერთად, აწყურის ციხეს ალყა შემოარტყა, მაგრამ მოულოდნელად, რუსებმა უკან დაიხიეს და ქართველები ბრძოლის ველზე მიატოვეს. მიუხედავად ამისა, იმ დღეს ერეკლე II არ დამარცხებულა. ვინ სარდლობდა რუსის ჯარს?**

— ტოტლებენი.

— **ნატურმორტები, პორტრეტები, პეიზაჟები, ბიბლიური თემები — ამათგან, რომელი ნამუშევრებით არის ცნობილი ივანე აივაზოვსკი?**

— (*ფიქრობს*) ამ წუთში აივაზოვსკის რამდენიმე სურათი მახსენდება. უმეტეს შემთხვევაში, პეიზაჟებს ხატავდა.

— **რა ერქვა ცნობილ მოგზაურ მაგელანს?**

— არ მახსოვს.

— **ფერნანდო. რომელ ქართველ მეფეს ეკუთვნის ლექსი — „გაბაასება რუსთაველთან“?**

— თეიმურაზს.

— **დაასახელე ქართული ხალხური ეპოსის გმირი, რომელიც ნადირობის ქალღმერთის, დალის და უცნობი მონადირის შვილი გახლდათ.**

— ამირანი.

— **მას შეუძლია აღაგზნოს ადამიანის გონება, რათა ფული გამოსძალოს. ეს არის საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალა. რას ვგულისხმობ?**

— თუ შეიძლება, კითხვა გამიმეორე. (*გამეორების შემდეგ*) არ ვიცი და თან — ვიცი (*იცინის*).

— **მიგანიშნებ, ის გვხვდება ტელევიზიებში, ქუჩაში, ჟურნალ-გაზეთებში და ა.შ.**

— მინიშნებამ კიდევ უფრო დამაბნია! ამ კითხვას პასუხს მოგვიანებით გავცემ, ხომ შეიძლება?

— **შეიძლება. რომელი ხილით მოწამლა ჯადოქარმა ფიფქია?**

— ვაშლით.

— **რომელი ოკეანე დააკავშირა ატლანტის ოკეანესთან პანამის არხმა?**

— ჩრდილოყინულოვანი ოკეანე?

— **არა.**

— ინდოეთის?

— **არა. რაღა დარჩა?**

— წყნარი ოკეანე. ამ კითხვაზე პასუხს ჩამითვლი?

— **უნდა ჩაგითვალო?**

— არა, არ მეკუთვნის!

— **რა ერქვა გაიძვერა კატას ტოლსტოის ზღაპარში — „ოქროს გასაღები, ანუ ბურატინოს თავგადასავალი“?**

— ბაზილიო.

— **რა საკითხს მიუძღვნა ილიამ 1871 წელს დაწერილი პუბლიცისტური წერილი — „გამოცანები“?**

— (*ფიქრობს*) მგონი, მამათა და შვილთა ბრძოლას ეძღვნება.

— **დიახ. რა ჰქვია აშშ-ში შტატის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურს?**

— გუბერნატორი.

— **საქართველოს რომელი კუთხის ისტორიული მხარეა ბორჩალო?**

— ორ სავარაუდო პასუხს გეტყვი — სამცხე-ჯავახეთის ან აჭარის.

— **სწორი პასუხია — ქართლის. დაპყრობილ ტერიტორიებზე რომელი მხედართმთავარი აარსებდა თავის მოსახელე ქალაქებს?**

— ალექსანდრე მაკედონელი.

— **ბაირონი, აქილევსი, შელი, ნიკოლოზ ბარათაშვილი — ამათგან, რომელი არ იყო კოჭლი?**

— შელი.

— **ვისზე დაიწერა სტოუნის ბიოგრაფიული რომანი — „წყურვილი სიცოცხლისა“?**

— არ ვიცი.

— **ვან გოგის ცხოვრებაზე. სად გაატარა სიცოცხლის ბოლო წლები დავით გურამიშვილმა?**

— უკრაინაში.

— **ვინ არის კომპოზიტორი ილია ჭავჭავაძის ლექსზე შექმნილი სიმღერისა — „ჩემო კარგო ქვეყანავ“?**

— რეზო ლაღიძე.

— **„მაშფოთებს ჩემი რეკვიემი“ — ვის ეკუთვნის ეს გამონათქვამი?**

— (*ფიქრობს*) მოცარტს.

— **პეტრიწონის მონასტერი ბიზანტიის პოლიტიკურმა და სამხედრო მოღვაწემ, ეროვნებით ქართველმა გრიგოლ ბაკურიანის ძემ დააარსა. რომელი ქვეყნის ტერიტორიაზე მდებარეობს დღეს იგი?**

— ბულგარეთის.

— **ამ ცხოველის შვილზე ამბობენ, — გვარზე ხტისო.**

— კვიცი გვარზე ხტისო ანუ ამას ცხენის შვილზე ამბობენ.

— **რამ შეუშალა ხელი 1940 წელს ბარსელონაში ოლიმპიური თამაშების ჩატარებას?**

— მსოფლიო ომმა.

— **რა იყო ფაშისტური გერმანიის მიერ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ წამოწყებული ომის გეგმის კოდური სახელწოდება?**

— გეფიცებით, ვიცოდი, მაგრამ ველარ ვიხსენებ.

— **ეს კოდური სიტყვა „ბ“-ზე იწყება.**

— „ბარბაროსა“!..

— **გვირაბი „ინგლიშ ჩენელი“ რომელ სახელმწიფოს აკავშირებს დიდ ბრიტანეთთან?**

— საფრანგეთს.

— **რომელ ბიბლიურ პერსონაჟს გადასცა ღმერთმა „ათი მცნება“?**

— მოსეს.

— **რამდენი წლის ვადით ირჩევენ სახალხო დამცველს საქართველოში?**

— რაც თავი მახსოვს, ამ თანამდებობაზე სოზარ სუბარია (*იცინის*). ეს ხუმრობით, ისე, მგონი, 5 წლით ირჩევენ, არა?

— **დიახ. „მე რომ დავიბადე, დღე იდგა ქუში,/ იმერეთს ხატავდა ტყემლების ფუნჯი,/ ბედი ცვალებადი დამყვა მარტივით,/ ბედი ერთდროულად რთულიც, მარტივიც“ — ვინ არის ამ სტროფის ავტორი?**

— შოთა ნიშნიანიძე.

— **„ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, ვინ იყო დავარი?**

— ნესტანის მამიდა.

— **1895 წელი კინემატოგრაფიის დაბადების წელია. რომელ ქალაქში შედგა პირველი კინოსეანსი?**

— პარიზში.

— **დაბოლოს, დაასრულე გერმანელი მწერლისა და ფილოსოფოსის, ფრიდრიხ ნიცშეს ცნობილი გამონათქვამი: „ადამიანებს არ უყვართ, როცა მათ უახლოვდები, შორდები, ადიხარ მაღლა და მაშინ იწყებენ...“**

— არ ვიცი, რას იწყებენ?

— **„...ქვის დაშენას“. შენ ერთ კითხვაზე პასუხი გასაცემი დაგრჩა.**

— არ დამვიწყნია, მაგრამ ვერ გიპასუხებ.

— **რეკლამა.**

— რა მარტივი კითხვა ყოფილა... მომეწონა, კარგი რუბრიკაა. სხვათა შორის, ერთი ანდაზა გამახსენდა: ქოთნის ამბავი ციცხვმა იცისო. შენ ის ადამიანი ხარ, რომელმაც ყველაზე კარგად იცის, თავში ვის რა აქვს.

— **იკითხე „გზა“ და ეს შენც გეცოდინება.**

— შენს რჩევას აუცილებლად გავითვალისწინებ და ამისკენ სხვებსაც მოვუწოდებ.

## გონების სავარჯიშო

### „გზის“ ერთგული მკითხველისათვის

### (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

**„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი**

1. რისი ჯიშია „ატმისებრი მერილინ მონრო“?

2. ვისი მოთხრობის მიხედვითაა გადაღებული ქართული მხატვრული ფილმი „ქვევრი“?

3. რა არის წალო?

4. „ეტო პოდნიატი ნა სმეხ ისუს ხრისტოს, კატორი მეჟდუ დოსპეხამი ი უ უსპეხამი ვიბერაეტ დოსპეხი“, — რომელი ლიტერატურული პერსონაჟის შესახებ ამბობდა ამას ფელიქს კრივინი?

5. გადადგომამდე ცოტა ხნით ადრე, მარგარეტ ტეტჩერმა ერთ-ერთ ინტერვიუში ოპონენტები დაამშვიდა: „ძალიან მალე, დიდ ბრიტანეთში კვლავ შემოვა მოდაში...“ დაასრულეთ რკინის ლედის სიტყვები.

6. რა არის კალტი?

7. რა არის კანძი?

8. რას მიიჩნევენ დეპრესიისგან განკურნების ყველაზე ეფექტიან საშუალებად?

9. რომელ ქვეყანაში გამოიცა პირველად მოსახევი კალენდარი?

10. დაასახელეთ ერთადერთი პრეზიდენტი ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში, რომელიც გადადგა.

11. ჩინგის-ყაენის საფლავი ყველასთვის უცნობია. რატომ?

12. გვატემალა, პანამა, სანმარინო, ლუქსემბურგი, ანდორა, მონაკო, ბრაზილია — რა აქვს საერთო ამ სახელმწიფოებს?

# ანეკდოტები

* * *

— მიხო, ხომ ხედავ, ჩვენში ყველა პროფესიის ადამიანმა პოლიტიკოსობა დაიწყო!

— რა გიკვირს? ზოგჯერ, ცუდი ღვინისგან კარგი ძმარი დგება!

* * *

— ჩემს ცოლს კულინარიული წიგნი ვუყიდე, მაგრამ ალბათ, არ გამოადგება.

— რატომ?

— თითქმის ყველა რეცეპტი ასე იწყება: „აიღეთ სუფთა ქვაბი“.

* * *

— მიხო, მოგწონს უჭკუო ქალები?

— არა!

— უსუფთაოები და მწეველები?

— არა!

— ისეთები, გემრიელ კერძებს რომ ვერ ამზადებენ?

— არა!

— აბა, დაანებე ჩემს ცოლს თავი!

* * *

უშნო ქალი სარკეში იყურება, იყურება და ამბობს:

— ასე მოუხდება ჩემს ქმარს!



* * *

— ქალბატონო, ეს მამაკაცი თქვენი მეუღლეა?

— არა, ბატონო, მეუღლე მივლინებაშია, ეს მამაკაცი კი მისი მოვალეობის შემსრულებელია.

* * *

— ექიმო, ჩასახვის საწინაალმდეგოდ რა წამალი არ ვიხმარე, მაგრამ მაინც არაფერი გამომდის! აღარ ვიცი, რა ვქნა... — იცრემლება ქალი.

— მე გასწავლი უებარ საშუალებას! დაწოლის წინ ქმარს ფეხებშუა წიხლი ჩააზილე ხოლმე!

* * *

— თორმეტგოჯა ნაწლავის ამოჭრა 300 ლარი ღირს, — ეუბნება ჭიჭიკიას ექიმი.

— რას ამბობ, ჩემი ცხრა გოჯზე მეტი არ იქნება.

* * *

მიხო მძღოლად მუშაობს — რაიონის გამგებელს დაატარებს.

— ბიჭო, ნელა იარე, თორემ გაგვაჩერებენ, — აფრთხილებს უფროსი.

— იცი, რას გეტყვი, უფროსო? ამ ჩვენს რაიონში არავისი მეშინია! შენ გარდა ფეხებს ვერავინ მომჭამს.

* * *

— მე და ჩემი ქმარი ათი წელია, ერთად ვცხოვრობთ და შინიდან ერთად მხოლოდ ერთხელ გავედით, — შესჩივის სოფი დაქალს.

— თეატრში მიდიოდით?

— არა, სახლში ხანძარი გაჩნდა.

* * *

— სანადირო ადგილზე მისვლას 2 საათი მოვუნდი, იქიდან კი 10 წუთში ჩამოვედი.

— რავა, დალმართი იყო?

— არა, დათვმა დაგვინახა.

* * *

— ცოლს დაბადების დღეზე რა ვუყიდო?

— თვითონ მას ჰკითხე.

— გადაირიე, სადა მაქვს მაგდენი ფული?!

* * *

— მწეველები არამწეველებზე ცოტას ცოცხლობენ, — არწმუნებს ჭიჭიკიას ექიმი.

— კაი, ახლა, რას მატყუებ, ექიმო?! ბაბუაჩემი სულ ეწეოდა და 100 წელი იცოცხლა, ჩემს ძმას კი საერთოდ არ მოუწევია, მაგრამ სამი თვის გარდაიცვალა.

# ტაიმ-აუტი



* * *

ყბაშეხვეულ ოდესელ ებრაელს მეგობარი შეხვდა.

— რა მოგივიდა?

— ეს-ეს არის, ორი კბილი ამოვიღე.

— შენ ხომ ერთი გტკიოდა?

— ხო, მაგრამ ექიმს ხურდა არ აღმოაჩნდა.

* * *

— მოშე, გავიგე რუსი გოგო მოგიყვანია ცოლად. რატომ?

— იცი, ებრაელი გოგოები ხშირად ავადმყოფობენ.

— რა, რუსები არ ავადმყოფობენ?

— კი, მაგრამ ისინი ნაკლებად მებრალებიან.

* * *

ტროტუარზე პატარა ვანო ზის, არაყს სვამს და სიგარეტს ეწევა.

— სკოლაში რატომ არა ხარ? — ეკითხება გამვლელი ქალი.

— სად გაგიგია, ქალო, 5 წლის ბავშვი სკოლაში დადიოდეს?!

* * *

— მოწმევ, რამდენი წლისა ხართ?

— ოცდაცხრის.

— კარგი, ქალბატონო, ოღონდ, დაიმახსოვრეთ, ამის შემდეგ მხოლოდ სიმართლე უნდა ილაპარაკოთ.

* * *

ჭიჭიკია ბარში ძაღლთან ერთად შევიდა:

— ვისაც უნდა, 100 დოლარზე დავენაძლევები, რომ ახლა ჩემი ძაღლი ადამიანივით დაილაპარაკებს.

დანაძლევდნენ. ძაღლმა ხმა არ ამოიღო. ჭიჭიკიამ 100 დოლარი წააგო და ბარიდან დაღონებული გამოვიდა.

— შე მართლა ძაღლო, შენ გამო ამდენი ფული წავაგე, ხმა რატომ არ ამოიღე?!

— ეე, შტერო, — პასუხობს ძაღლი. — შენ წარმოიდგინე, ხვალ რამდენ ფულს მოვიგებთ!

* * *

ბარბარა ხმამაღლა მოთქვამს:

— რა მოგივიდა? დავიჯერო, საყვარელმა გიღალატა? — ეკითხება დედა.

— ჰო, თანაც, სამივემ ერთად!

* * *

პაციენტმა ფსიქიატრს შესჩივლა:

— ექიმო, ამ ბოლო დროს მეჩვენება, რომ ცხენი ვარ.

— მაგ სენისგან განგკურნავთ, ოღონდ, ძვირი დაგიჯდებათ.

— ფული პრობლემა არ არის. ხვალ დოლია. ჰოდა, მოვიგებ და ფულიც თავზე საყრელად მექნება.



## გონების სავარჯიშო

### „გზის“ ერთგული მკითხველისათვის

### (პასუხები)

1. ვარდის ჰიბრიდული ჯიში.

2. იტალიელი მწერლის, ლუიჯი პირანდელოს მოთხრობის მიხედვით.

3. კედელში დატანებული განჯინა, ლოგინის შესანახავად.

4. დონ-კიხოტის შესახებ.

5. „...მამაკაცი პრემიერ-მინისტრები“.

6. გუნდებად გამხმარი ხაჭო.

7. ერთი ცხვრის ნაპარსი მატყლი.

8. შრომას.

9. რუსეთში. ცნობილ რუს გამომცემელს, სიტინს ეს იდეა ლევ ტოლსტოიმ მიაწოდა.

10. რიჩარდ ნიქსონი.

11. ლეგენდის თანახმად, მისი დაკრძალვის ყველა მოწმე სიკვდილით დასაჯეს.

12. ამ ქვეყნების სახელწოდებანი მათივე დედაქალაქების სახელწოდებებს ემთხვევა.

## ჩვენი ფოტო გალერეა



***შეგახსენებთ, რომ ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ელფოსტით: gza.fantazia@gmail.com, „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების (კონვერტზე მიაწერეთ „გზისთვის“) მეშვეობით ან მოგვაწოდოთ რედაქციაში მის.: თბილისი, იოსებიძის ქ. №49.***

## ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

### ქოჩა დვალის ყბის წიგნაკიდან:

1. კაენი აბელზე უფროსი იყო.
2. ძეძვის ნაყოფს ძეძვიფრიალას ეძახიან.
3. ივრითის ანბანი 22 ასოსგან შედგება.
4. „თალხი“, „ფლასი“ და „ძაძა“ სინონიმებია.
5. კალიფორნიაში საგზაო შემთხვევა ყოველ 8 წამში ფიქსირდება.
6. საქართველოსთან ომში გამოვლენილი გამჭრიახობისა და მამაცობისთვის რუსეთის მთავრობამ 12 გენერალი წმინდა გიორგის ორდენით დააჯილდოვა.
7. „მოკალი ერთი, რათა დააშინო ასეულები“, — ღაღადებს ჩინური ანდაზა.
8. „იხ სტრადანიცე ნაშე ნასლაჟდენიცე“, — ამბობენ რუსები.
9. ჭკუა სინდისის გარეშე — ასეთი სახელი შეარქვეს ჟურნალისტებმა გერმან გერინგს, როცა ნიურნბერგის პროცესზე მისი პასუხები მოისმინეს.



10. იერუსალიმის ტაძრის მხოლოდ ერთმა კედელმა მოაღწია დღემდე. ებრაელები მას გოდების კედელს ეძახიან.
11. ბენჯამინ ფრანკლინის შვილი — პენსილვანიის გუბერნატორი დამოუკიდებლობის დეკლარაციის წინააღმდეგი იყო.
12. ორლულიან სანადირო თოფს, რომელსაც ლულები ვერტიკალურად აქვს განლაგებული, ბოკფლინტი ჰქვია.
13. კრიკი — ასე ეძახიან ავსტრალიელები ისეთ მდინარეს ან ნაკადულს, რომელიც პერიოდულად შრება.
14. მრავალი საბჭოთა ჰიტის ავტორი ალექსეი ექიმიანი ერთადერთი კომპოზიტორი იყო მსოფლიოში, რომელიც იმავდროულად, შინაგან საქმეთა განყოფილებას ხელმძღვანელობდა.
15. მეფის ან მემამულის მიერ ეკლესიისათვის გაცემულ საბუთს, რომელშიც ეკლესიის მეურნეობისათვის სავალდებულო წესები იყო განსაზღვრული, გუჯარი ერქვა.
16. 1840 წელს ალექსანდრე დიუმა მსახიობ იდა ფერიერზე დაქორწინდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი აგრძელებდა სასიყვარულო რომანებს, რის შედეგადაც 3 უკანონო შვილი შეეძინა. ერთ-ერთი მათგანი, მოგეხსენებათ, სახელოვანი მწერალი გახდა.
17. 1616 წლის 23 აპრილს სამი უდიდესი მწერალი — შექსპირი, სერვანტესი და ლოპე დე ლა ვეგა — გარდაიცვალა.

# მიღებული და მიუღებელი წესები

**ერთ-ერთმა ინტერნეტსაიტმა სხვადასხვა ქვეყანაში არსებული აკრძალული და გავრცელებული წესები გამოაქვეყნა. ახლა სწორედ რამდენიმე მათგანს გთავაზობთ:**

* საქართველოში, სუფრასთან მჯდომი სტუმრის ჭიქა ყოველთვის შევსებული უნდა იყოს. ამიტომაც, მასპინძელი ვალდებულია, სტუმარს იმდენჯერ შეუვსოს ჭიქა, რამდენჯერაც იგი მას გამოცლის.

* ჩინეთში თაიგულით სტუმრად მისვლა მიუღებელია. მასპინძელი იფიქრებს, რომ სახლის ინტერიერს უწუნებთ და ყვავილებით მის გალამაზებას ცდილობთ. გარდა ამისა, იქ პირის წკლაპუნით უნდა ჭამოთ, სუფრაც მოთხვაროთ, რათა მასპინძელი მიხვდეს, რომ გემრიელად მიირთვით.

* საბერძნეთში სტუმარს სურათი ან ლარნაკი თუ მოეწონება, მასპინძელი იძულებულია, ნივთი საჩუქრად გაატანოს.

* სამხრეთ კორეაში სადილობისას ცრემლებს ნუ შეიკავებთ (ცხარე საჭმელმა ცრემლი უნდა გადინოთ). თუ ჭამისას იცრემლებით, ამას მზარეულის შექებად მიიჩნევენ.

* იაპონიასა და ნორვეგიაში კენტი ნივთის მირთმევა დაუშვებელია, რადგანაც კენტი ნივთები სასაფლაოზე მიაქვთ.

* ჩინეთში 4-იანის გამოსახულების მქონე ნივთის ჩუქება ტრაგედიაა, რადგან 4-იანი სიკვდილის ციფრია. ამ ქვეყანაში მე-4 სართულიც კი არ არსებობს.

* სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვეყნებში ასეთი წესია: თუ თანამოსაუბრის დამცირება არ გსურთ, თავზე ხელს ნუ გადაუსვამთ.

* იაპონიაში სამსახურიდან უფროსზე ადრე წასვლა დაუშვებელია.

* ინდოეთში, თუ მასპინძელს საჩუქარს მიუტანთ, მადლობას ვერ ეღირსებით. „ამ ნივთზე ვოცნებობდი“, „რა კარგი ნივთია“, — ამბობენ მადლიერების ნიშნად.

* თუ ნორვეგიელს საკუთარი ძალის დემონსტრირება სურს, საქალაქო ტრანსპორტში ადგილი სხვა მგზავრს უნდა დაუთმოს. ■

# ვარსკვლავური ტატუ

**ძველად, ინდიელებს სწამდათ, რომ მარცხენა მხარზე სავსე მთვარის ფონზე გამოსახული მგელი ადამიანს ინტუიციისა და მაგიური ნიჭის განვითარებაში დაეხმარებოდა, გორგონას გამოსახულება კი ავი თვალისგან დაიცავდა. წარმატების მისაზიდად, ბირმის მოსახლეობა მხარზე თუთიყუშს იხატავს, ტაილანდელები — ბუდას. თუ ტატუს გაკეთება გადაწყვიტეთ, ზოგიერთი სიმბოლოს დანიშნულებას გაეცანით.**

- ჯვარი — ეს უკვდავების სიმბოლოა. მას აგრეთვე, ბარაქისა და წარმატების მისაზიდად იხატავენ;
- თვალი — ავი თვალისგან დაგიცავთ და ბედნიერებას მოგანიჭებთ;
- დელფინი — თავისუფლებისა და სიყვარულის სიმბოლოა;
- დრაკონი — კეთილსინდისიერებისა და მიზანსწრაფულობის სიმბოლოა;
- ობობა — როგორც ამბობენ, ეს გამოსახულება ადამიანს ავადმყოფობისგან იცავს. მას აგრეთვე, შემოქმედებისა და სიბრძნის სიმბოლოდ მიიჩნევენ;
- ფუტკარი — ამ მწერის გამოსახულება შრომისმოყვარეობას მიგაჩვევთ და წესრიგს შეგაყვარებთ.



ტატუ ვარსკვლავების სხეულებსაც ამშვენებს. ანჯელინა ჯოლის ხელზე ამოსვირინგებული აქვს იმ ადგილების სახელწოდებები, სადაც მისი შვილები დაიბადნენ; დევიდ ბექჰემმა შვილების — ბრუკლინის, რომეოსა და კრუზის სახელები ამოისვირინგა; ჯონი დეპმა სხეული „კარიბის ზღვის მეკობრეების“ მოტივებით მოიხატა.

დაბოლოს, გახსოვდეთ, რომ ტატუს მოცილება ხანგრძლივი და მტკივნეული პროცესია. ამიტომაც, ვიდრე გაიკეთებდეთ, დაფიქრდით, გსურთ კი სხეულზე ესა თუ ის გამოსახულება მუდმივად ატაროთ?.. ■



# ის, რაც არ იცოდით პოპის მეფეზე



1964 წელს, 6 წლის მაიკლ ჯექსონმა ძმებთან და დებთან ერთად, ამერიკის კლუბებში დაიწყო გამოსვლა.

1978 წელს საფრთხობელას როლი შეასრულა ბროდვეის მიუზიკლის ეკრანიზაციაში — „ჯადოქარი ოზის ქვეყნიდან“. მისი პარტნიორები იყვნენ: დაიანა როსი და რიჩარდ პრიორი.

1979 წელს, ცეკვის დროს მიღებული ტრავმის გამო, პირველად გაიკეთა ცხვირის პლასტიკური ოპერაცია.

1983 წელს 14-წუთიან ვიდეოკლიპში — „თრილერი“ პირველად შეასრულა საფირმო „მთვარის სვლა“.

1984 წელს, „პეპსის“ რეკლამის გადაღებისას, პიროტექნიკის აფეთქებისას, მაიკლმა მეორე ხარისხის დამწვრობა მიიღო. კომპანიამ კომპენსაციის სახით, დამატებით, 1,5 მლნ დოლარი გადაუხადა.

1986 წელს ფრენსის ფორდ კოპოლას 17-წუთიან ფილმში — „კაპიტანი იო“ — განსახიერებული მთავარი როლისთვის 30 მლნ დოლარი მიიღო. ფილმს მხოლოდ ამერიკისა და ტოკიოს „დისნეილენდსა“ და პარიზის „ევროდისნეილენდში“ უჩვენებდნენ.

1986 წელს მომღერალზე ჭორები გავრცელდა (ამბობდნენ, ჭორებს თავადვე ავრცელებდაო), თითქოს, ჟანგბადის კამერაში იძინებდა, შხაპს საყვარელ შიმპანზესთან ერთად იღებდა და კანს ითეთრებდა (ამ ჭორის გასაქარწყლებლად შეთხზეს ლეგენდა, თითქოს, მომღერალს უჩვეულო კანის დაავადება სჭირდა). ჭორების გამო, მაიკლს „მაიმუნი ვაკო“ შეარქვეს.

1988 წელს ავტობიოგრაფიაში — „მთვარის სვლა“ — მომღერალი ბავშვობაზე, ტირან მამასა (რომელიც დაუნდობლად სცემდა) და ცხვირის ორ პლასტიკურ ოპერაციაზე წერდა. „ნიუ-იორკ თაიმსმა“ წიგნი წლის ბესტსელერად გამოაცხადა.

1988 წელს ფანტასტიკურად გამდიდრებულმა მომღერალმა 2700 აკრ მიწაზე „ნევერლენდი“ ააშენა. იქვე მოაწყო ზოოპარკი, სადაც ლომები, სპილოები და ჟირაფები ბინადრობდნენ. 2006 წელს, ფინანსური კრიზისის გამო, მამულის გაყიდვა მოუხდა.

1989 წელს მომღერალი თეთრ სახლში მეორედ მიიწვიეს (პირველად, 1984 წელს, რონალდ რეიგანმა კულტურაში შეტანილი წვლილისათვის სპეციალური პრიზით დააჯილდოვა) და ჯორჯ ბუშმა (უფროსი) ათწლეულის არტისტად გამოაცხადა.

1992 წელს ბავშვთა უფლებების დაცვისა და განათლების საერთაშორისო ფონდი დააარსა.

1994 წელს „როკ-ენ-როლის მეფის“ ქალიშვილზე — ლიზა მარია პრესლიზე დაქორწინდა, მაგრამ 2 წელიწადში დაშორდა.

1996 წელს დერმატოვენეროლოგ დებორა როუზზე დაქორწინდა, რომელმაც ორი შვილი — მაიკლ ჯოზეფ ჯექსონ-უმცროსი (პრინცი) და პერის მაიკლ კეტრინ ჯექსონი გაუჩინა. მესამე შვილის — პრინც მაიკლ ჯექსონ მეორის დედის ვინაობა დღემდე უცნობია.

2001 წელს სოლო კარიერის 30-წლიანი იუბილე „მედისონ სკვერ გარდენში“, გრანდიოზული კონცერტით აღნიშნა.

2003 წელს მომღერალზე დოკუმენტური ფილმის გადაღების მიზნით, ნევერლენდის მთელ ტერიტორიაზე ტელეკამერები დაამონტაჟეს. ასევე, ფილმში ნაჩვენებია ჯექსონის გულახდილი ინტერვიუ ჟურნალისტ მარტინ ბაშირთან.

2006 წელს 100 მლნ ალბომის გაყიდვის გამო, ალმასის დისკის მფლობელი გახდა.

2008 წელს, 50 წლის იუბილეზე მეგობარმა, მსახიობმა ლიზ ტეილორმა ჯექსონი „პოპის მეფედ“ აღიარა. ■

## ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

### გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

ამ ტრაგიკული დამთხვევის გამო, წიგნის დღე 23 აპრილს აღინიშნება.

18. „თბილისის ომში 2 ბიძაშვილი და 6 კლასელი დამეღუპა, — ჰყვებოდა გია ყარყარაშვილი ერთ-ერთ ინტერვიუში. — ქალაქში მხოლოდ ომის დაწყების მერე ჩამოვედი. იმის გამო, რომ თბილისის ზღვიდან, სადაც გვარდია იყო დაბანაკებული, ცხინვალში წავედი, კიტოვანის ხალხი მოღალატესაც კი მეძახდა“.

19. „ერეკლე მეფეს ჩვევად ჰქონია კახეთის სოფლებში სიარული. ყველა სოფელში ორ-ორი ნათლული მაინც ჰყავდა. ამგვარი კავშირი ჰქონია დიდ მეფეს უბრალო ხალხთან. ჩვენთან კი დიდი ხანია, არც ექიმი გვინახავს თვალით, არც მასწავლებელი და არც — გამგებელი“, — ჰყვებოდა ერთ-ერთ გადაცემაში კახეთის მაღალმთიანი სოფლის მკვიდრი გლეხი.

20. ლეგენდის თანახმად, მონაზონი კლარა 1252 წელს მძიმედ დაავადდა და რადგანაც წირვაზე დასწრება ვერ შეძლო, ძალზე შეწუხდა. მან ღმერთს დახმარება სთხოვა. ღმერთმა ისმინა მისი ვედრება, მოხდა სასწაული და მონაზონმა მთელი წირვა საკუთარი კელიის კედელზე იხილა. წმინდა კლარა დღეს ტელევიზიის ოფიციალურ მფარველად მიიჩნევა.



21. მიხეილ ჯავახიშვილი 1937 წლის 14 აგვისტოს, გამთენიისას ქვიშხეთში, მწერალთა დასასვენებელ სახლში დააპატიმრეს და თბილისში, შინსახკომის საპყრობილეში მოათავსეს. საკანთან რომ მიიყვანეს და კარი გაუღეს, ერთ-ერთმა პატიმარმა, რომელიც კართან ყველაზე ახლოს იდგა, თანასაკნელებს გასძახა: ფეხზე წამოდექით, ჩვენთან მიხეილ ჯავახიშვილი მოიყვანესო. საკანი ისე იყო გადაჭედილი, რომ დასაწოლი კი არა, დასაჯდომი ადგილი ჭირდა. მიუხედავად ამისა, პატიმრებმა უმალ მიუჩინეს ადგილი მწერალს. პირველ დაკითხვებს თავად ლავრენტი ბერია ესწრებოდა. მისი ბრძანებით და მის თვალწინ მიმდინარეობდა ტუსაღ ჯავახიშვილის წამება. მიუხედავად ჯოჯოხეთური ტანჯვისა, მწერალი მაინც მხნეობას ინარჩუნებდა და დაკითხვიდან საკანში დაბრუნებული, პატიმრებს ხან რას უყვებოდა და ხან — რას. ერთხელაც, მორიგი თხრობის დროს, კარი გაიღო და ჯავახიშვილი დაკითხვაზე წაიყვანეს, საიდანაც ნაწამები, ქანცგამოცლილი და თითქმის გონებამიხდილი დააბრუნეს უკან. პატიმრებმა იგი ნარზე დააწვინეს და გარს შემოეხვივნენ. ცოტა ხნის შემდეგ მიხეილ ჯავახიშვილმა თვალები გაახილა და სუსტი ხმით იკითხა: გეთაყვა, სად გავჩერდი, აღარ მახსოვს. იქნებ, შემახსენოთო? მოისმინა თუ არა პასუხი, თხრობა იმ ადგილიდან განაგრძო, სადაც გააწყვეტინეს.

# ჰოროსკოპი

## (20 - 26 აგვისტო)

**ვერძი:**
მოსალოდნელია ახალი რომანის დაწყება ან ძველ პარტნიორთან ურთიერთობის აღდგენა. სამსახურში უამრავი საქმე დაგიგროვდებათ. ეცადეთ, უფროსის რისხვა აიცილოთ და პრობლემები სწრაფად მოაგვაროთ.

**კურო:**
შესაძლებელია, ისეთი სამუშაოს შესრულება მოგიხდეთ, რომელიც არ გევალებათ. სამაგიეროდ, თვის ბოლოს, გაწეული სამუშაოსთვის პრემიას მიიღებთ. უქმე დღეები შინ, ოჯახის წევრებთან ერთად გაატარეთ.

**ტყუპი:**
საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა გამოსწორდება. მეგობრების დახმარებით უამრავ პრობლემას მოაგვარებთ. შესაძლოა, მატერიალური არასტაბილურობა ოჯახში ხშირი კონფლიქტის მიზეზი გახდეს.

**კირჩხიბი:**
კარგი პერიოდია ნათესავებთან შესახვედრად, საოჯახო წვეულებების მოსაწყობად. სამსახურში აჩქარებას არ გირჩევთ. ახალი პროექტები კოლეგებთან ერთად განახორციელეთ. კვირადღე შვილებთან გაატარეთ.

**ლომი:**
გაღიზიანებული ხართ და შესაძლოა, გარშემო მყოფებს უმიზეზოდაც წაეჩხუბოთ. კარგი იქნება, თუ ცოტა ხნით დასასვენებლად გაემგზავრებით. კვირის ბოლოს შეიძლება, ნათესავებს თქვენი დახმარება დასჭირდეთ.

**ქალწული:**
თქვენს ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება. მოსალოდნელია ახალი სამსახურის, სასიყვარულო ურთიერთობის დაწყება, საზღვარგარეთ სასწავლებლად ან სამუშაოდ წასვლა. ყველაფერი გამოგივათ, მთავარია, არ აჩქარდეთ.

**სასწორი:**
განწყობილებას მეგობრებთან შეხვედრა და გართობა გამოგისწორებთ. ნუ მიიღებთ დაუფიქრებელ გადაწყვეტილებებს. კვირის ბოლოს საყვარელი ადამიანი რომანტიკულ შეხვედრას მოგიწყობთ.

**მორიელი:**
სამსახურში წარმატება და ოჯახის წევრებთან ურთიერთობა თქვენს გუნება-განწყობილებაზე იქნება დამოკიდებული. ეცადეთ, გარშემო მყოფები პრეტენზიებითა და ჭირვეული ხასიათით არ გატანჯოთ.

**მშვილდოსანი:**
ახალი საქმის დასაწყებად გავლენიან პარტნიორებს მიმართეთ. შუა კვირაში ხალხმრავალ ადგილებში სიარულს მოერიდეთ. შესაძლოა, შორეულმა ნათესავებმა საზღვარგარეთ, დასასვენებლად მიგიპატიჟონ.

**თხის რქა:**
ყველაფრის ერთდროულად და მოკლე დროში შესრულებას ნუ ეცდებით. მშვიდად და აუჩქარებლად იმოქმედეთ. მოერიდეთ ხელმძღვანელობასთან კონფლიქტს. უქმეები შვილებთან ერთად გაატარეთ.

**მერწყული:**
კარგი პერიოდია პროფილაქტიკური მკურნალობის, დიეტის დასაწყებად. ახალ სამსახურს მეგობრების დახმარებით იშოვით. შაბათ-კვირა საყვარელ ადამიანთან ერთად, ქალაქგარეთ გაატარეთ.

**თევზები:**
საყვარელ ადამიანთან საერთო ენას იპოვით. ამაღლებული განწყობილების წყალობით, სამსახურის საქმეებსაც ბრწყინვალედ მოაგვარებთ. კვირის ბოლოსთვის საქმეები დაასრულეთ და დასასვენებლად გაემგზავრეთ.

## პატარები მენიოსნობენ

**გაზეთ „კვირის პალიტრის“ არქივიდან**

წვიმიანი დილაა. 1 წლისა და 9 თვის ანანო მჟავანაძე დედას სთხოვს:
— დედიკო, გამიკეთე თოვლის ბაბუა, ლა...
— თოვლის ბაბუას ვერ გაგიკეთებ, ახლა არ თოვს, ახლა წვიმს, — უპასუხა დედამ.
— წვიმის თოვლის ბაბუა გამიკეთე, ლა...

2 წლის ლუკა თოჯინით ერთობა. მას ეკითხებიან:
— ლუკა, თოჯინას რამდენი თვალი აქვს?
— ეთი, ოლი, — ითვლის ლუკა.
— ყურები?
— ეთი, ოლი.
— ცხვირი?
ლუკა დაფიქრდა და — ძაან ცოტაო, — უპასუხა.

6 წლის დათუნა სიჭინავა უყურებს, თუ როგორ ასხამს ბიძამისი მანქანაში წყალს და ეკითხება:
— ინვერი ბიძია, შენს მანქანას წყალი სწყუროდა?!

2 წლის ლუკა ჩხაიძე უსმენს სიმღერას: „გიტარა ტირის“ და გაკვირვებული მამიდას ეკითხება:
— ია, ლატო ტილის გიტალა, კაკა უნდა?

ორწლინახევრის ანა თათელაშვილმა იმდენ ხანს უყურა სატელევიზიო წინასაარჩევნო რეკლამებს, რომ ერთ დღესაც განაცხადა:
— დედიკო, მეც მოვდივარ არჩევნებზე. ჟუჟუნა ბებოს უნდა მივცე ხმა!

შინ დაბრუნებულ ვაჟა ბაბუას 2 წლის მარიამ გუჯაბიძე ხელგაშლილი შეეგება:
— მარიკუნა, დასაბანი ვარ, მერე მოგეფერები.
— ბაბუ, დედა გყავს? — ეკითხება მარიამი.
— არა, ბაბუ, არ მყავს.
— მაშ, ვინ უნდა გაბანაოს?

4 წლის მადონამ დილით გაიღვიძა და თავის დაიკოს, 5 წლის ხატიას ეჩხუბება:
— გოგო, რა გინდოდა, სიზმარში რას მეუბნებოდი?
— მე შენს სიზმარში სულაც არ ვყოფილვარ, მე მამიკოს სიზმარში ვიყავი და მუშთაიდის ბაღში წამიყვანა, — პასუხობს ნაწყენი ხატია.



1 ცეცხლსასროლი იარაღის ტიპი

2 მედიცინის დარგი

3 კურკოვანი ხილი

4 მდიდრული აგარაკი

5 მთა თურქეთში

6 ძალიან იშვიათი

7 ბურუსი

8 შინაური ფრინველი

9 თიხის ჭურჭლის მკეთებელი

10 იგივეა, რაც მეტსახელი

11 ვიწრო და თხელი ფიცარი

12 შინაური ცხოველი

13 კალმანის ოპერეტა

14 გახმაურებული სამარცხვინო ამბავი

15 შლამის თევზი

16 კუზიანი კურდღელი

17 დაჩეგრტილი დიდი კოვზი

18 ერთად მიმავალ ცხენოსანთა ჯგუფი

19 ჯეიმს კამერონის ფილმი

20 ... მარლი

21 ავღანეთის დედაქალაქი

22 ... მრისხანე

23 ქვეყანაში შესვლის ნებართვა

24 სირაქლემის სახეობა

25 ნარგავი ტყე

26 ... ჯოლი

27 იტალიის ტელევიზია

28 ამერიკელი კინორეჟისორი

29 ოდნავ მოხარშული კვერცხი

30 ეპილეფსია

31 შეძახილი კორიდაზე

32 ... დეპი

33 საჯინიბო

34 ... კონერი

35 ავსტრიელი კომპოზიტორი

36 მინანქარი

37 საწვიმარი

38 ქართველი პოეტი



**წინა ნომრის სკანვორდის პასუხები**

1. მელოდრამა; 2. ლებანი; 3. მონაკო; 4. მაჭარი; 5. კარაბინი; 6. ნობათი; 7. იორი; 8. ოთარ; 9. კაკა; 10. ლიუ; 11. ლორი; 12. დამასკი; 13. სონი; 14. დიფერენციაცია; 15. უფალი; 16. კიკო; 17. ყუა; 18. ნინია; 19. ფალავანი; 20. ირისი; 21. პანო 22. რიკი; 23. ბროკერი; 24. დეკადა; 25. კალა; 26. ავენსისი; 27. დაფა; 28. უნია; 29. რომი; 30. სულიკო; 31. ქედანი; 32. ის; 33. ნავიგაცია; 34. ცინიზმი; 35. ცხედარი; 36. ნისანი; 37. კიო; 38. ტაქსა; 39. სოია; 40. ზუთხი; 41. აბი; 42. სუნამო; 43. ბია.

**სურათები:** 1. 1. მინა სუვარი; 2. ლუკ უილსონი;

# საფირმო კროსვორდი



**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.

**გ**. საჭადრაკო პარტიის ისეთი დასაწყისი, როდესაც თეთრები შეტევაზე სწრაფად გადასვლის მიზნით წირავენ პაიკს ან რომელიმე სხვა ფიგურას; **ზ**. რა ჰქვია მთავარ პერსონაჟს მხატვრულ ფილმში „რაჭა ჩემი სიყვარული“; **ა**. მღვდელმთავარი; **გ**. მიწის სახნავი იარაღი; **ზ**. მტაცებელი თევზი; **ი**. ამომავალი მზის ქვეყანა; **ს**. სამეფო კვერთხი; **თ**. ვალიკო მიზანდარის მშობლიური ქალაქი; **ვ**. ... გოლდბერგი; **ი**. უშფოთველი, მშვიდი ცხოვრება; **ს**. რისიმე მოხაზულობა, აღქმული შორი მანძილიდან, ბურუსში ან სიბნელეში; **ა**. კრეტის მეფის მინოსის ასული, რომელმაც თეზევსს ჯადოსნური ძაფის გორგალი მისცა და ლაბირინთიდან თავის დაღწევაში დაეხმარა; **ო**. გოგრისგან გაკეთებული გრძელტარიანი ჭურჭელი ქვევრიდან ღვინის ამოსაღებად; **მ**. ალექსანდრე ყაზბეგის „ელგუჯას“ პერსონაჟი ქალი; **კ**. უდაბნოს ეკლიანი მცენარე; **ი**. სიქა, ღონე, არაქათი; **თ**. ხელსაწყო, რომლითაც რაიმე ზედაპირის ჰორიზონტალურობას ამოწმებენ; **ხ**. დროებით სხვას შეკედლებული ადამიანი; **ვ**. იტალიელი ფეხბურთელი; **ე**. განსწავლული ადამიანი; **ლ**. ბალტიისპირეთის სახელმწიფო, რომლის დედაქალაქია რიგა; **ი**. იაპონური მაფიის სახელწოდება; **ს**. წინასწარმეტყველი ქალი ძველ რომსა და საბერძნეთში; **თ**. ირანის დედაქალაქი; **ვ**. მალტის დედაქალაქი; **ი**. რა დარჩა პანდორას ყუთში, მას შემდეგ რაც იქიდან შური, ბოროტება, ავადმყოფობები და სხვა მრავალი უბედურება ამოფრინდა; **ს**. პერიოდული სხდომა, რომელსაც ატარებენ წარმომადგენლობითი ორგანოები (სასამართლო, სამეცნიერო ორგანოები და ა.შ.); **ა**. ჰუნების ლეგენდარული მეფე; **ო**. თუშეთის ადმინისტრაციული ცენტრი.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**პასუხები:** **გ**. გუმბათი; **ა**. ანექსია; **ე**. ერნესტო; **რ**. რვალი; **თ**. თოხი; **ე**. ემისია; **თ**. თერმოსი; **დ**. დონინჯი; **ა**. აქსიომა; **დ**. დიმიტრი; **ა**. ანძა; **ი**. იუანი; **ს**. სეხნია; **ვ**. ვიაგრა; **ე**. ეკლერი; **ნ**. ნეი; **ე**. ერმაკი; **თ**. თხემი; **გ**. გახედნა; **ზ**. ზებრა; **ა**. აკორდი; **ს**. სორბონა; **თ**. თხევადი; **ა**. აკიმი; **ნ**. ნიქოზია; **ე**. ეტნა; **რ**. რვეული; **თ**. თიბათვე; **ა**. ათაბაგი; **დ**. დიონისე;

**გამუქებულ უჯრედებში იკითხება:**

**მენახირის მძახალი მეხბორე იქნებაო.**

# იაპონური სენსაცია სუდოკუ

„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული **სუდოკუს პასუხები**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 6 | 5 | 9 | 1 | 7 | 8 | 4 | 3 |
| 9 | 1 | 7 | 3 | 8 | 4 | 5 | 6 | 2 |
| 4 | 3 | 8 | 6 | 5 | 2 | 7 | 1 | 9 |
| 6 | 8 | 1 | 7 | 4 | 3 | 9 | 2 | 5 |
| 3 | 9 | 4 | 5 | 2 | 8 | 6 | 7 | 1 |
| 5 | 7 | 2 | 1 | 9 | 6 | 4 | 3 | 8 |
| 7 | 5 | 3 | 8 | 6 | 1 | 2 | 9 | 4 |
| 8 | 2 | 6 | 4 | 3 | 9 | 1 | 5 | 7 |
| 1 | 4 | 9 | 2 | 7 | 5 | 3 | 8 | 6 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 6 | 2 | 3 | 7 | 8 | 5 | 1 | 4 |
| 5 | 1 | 3 | 4 | 6 | 2 | 7 | 8 | 9 |
| 4 | 8 | 7 | 5 | 9 | 1 | 2 | 6 | 3 |
| 6 | 9 | 5 | 8 | 1 | 4 | 3 | 2 | 7 |
| 2 | 3 | 1 | 7 | 5 | 9 | 6 | 4 | 8 |
| 7 | 4 | 8 | 2 | 3 | 6 | 1 | 9 | 5 |
| 8 | 5 | 4 | 6 | 2 | 3 | 9 | 7 | 1 |
| 3 | 2 | 9 | 1 | 4 | 7 | 8 | 5 | 6 |
| 1 | 7 | 6 | 9 | 8 | 5 | 4 | 3 | 2 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 9 | 2 | 5 | 4 | 3 | 7 | 1 | 6 |
| 5 | 1 | 3 | 7 | 2 | 6 | 9 | 8 | 4 |
| 6 | 4 | 7 | 8 | 1 | 9 | 5 | 2 | 3 |
| 4 | 2 | 5 | 3 | 6 | 1 | 8 | 9 | 7 |
| 9 | 3 | 8 | 2 | 5 | 7 | 4 | 6 | 1 |
| 7 | 6 | 1 | 4 | 9 | 8 | 2 | 3 | 5 |
| 1 | 7 | 4 | 9 | 3 | 2 | 6 | 5 | 8 |
| 2 | 8 | 6 | 1 | 7 | 5 | 3 | 4 | 9 |
| 3 | 5 | 9 | 6 | 8 | 4 | 1 | 7 | 2 |

### * მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 9 | | 2 | | | 3 | |
| 4 | | 3 | 1 | | | 7 | 5 | |
| 2 | | | | 7 | 3 | 8 | | |
| | 7 | | | | 6 | | 4 | |
| | 6 | 5 | | 9 | | 3 | 8 | |
| | 9 | | 5 | 8 | | | 6 | |
| | | 8 | 6 | 3 | | | | 4 |
| | 4 | 7 | | | 8 | 1 | | 3 |
| | 3 | | | 4 | | 6 | | |

### * * საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 4 | | | 6 | | | 5 |
| | 9 | | 7 | | | | | 1 |
| 8 | | | 4 | 3 | | | 9 | |
| | | | | | 8 | 7 | | |
| 1 | | | | 6 | | | | 2 |
| | | 3 | | | | | | |
| | 5 | | | 4 | 1 | | | 7 |
| 2 | | | | | 9 | | 5 | |
| 7 | | | 5 | | | 1 | | |

### * * * რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 2 | | | 6 | | |
| 6 | | | | | 9 | | | 8 |
| | 5 | | | | 8 | | 1 | |
| | | 3 | 4 | | | | 7 | |
| | 2 | | | 9 | 1 | | 5 | |
| | 9 | | | 8 | | 1 | | |
| | 3 | | 5 | | | | 4 | |
| 9 | | | 8 | | | | | 3 |
| | | 7 | | | 2 | | | |

# ფოტოკურიოზები





















ნაყოფიერი საჩუქარი!
ბიბლიის სრული
აუდიოვერსია
51 დისკზე
კითხულობს გოგი ხარაბაძე
ბიბლუსი
ბიბლია მხოლოდ ბიბლუსის
წიგნის მაღაზიებში
საჩუქარი რომელიც
თაობებს დარჩება!
ბიბლია ინტერნეტმაღაზიაში www.elva.ge
თბილისი: რუსთაველის 40/1, ალმაშენებლის 121, იოსებიძის №49; რუსთავი: მეგობრობის გამზ. №12 (კინოთეატრ რუსთაველის წინ);
ზუგდიდი: რუსთაველის №92; სენაკი: რუსთაველის №24ა; ფოთი: ფარნავაზ მეფის №12; ქუთაისი: ლ. ნუცუბიძის №1; სამტრედია: სააკაძის №6;
ხაშური: რუსთაველის №69; დუშეთი: რუსთაველის №11.